

სამაზ სურამანიძე

# მცირე ქარაბაღინი

II ნაწილი



გამომცემლობა

„აპარი“

ბათუმი

1991

ხალხური მეთოდებით მკურნალობა ბოლო ხანებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ძველი ქართული ხელნაწერები უამრავ მასალას შეიცავს ხალხური მკურნალობის წესებზე. ამ წიგნში მოთხრობილია მე-18 საუკუნის ერთ-ერთ ასეთ ხელნაწერზე, რომელიც ავტორმა 1987 წელს აღმოაჩინა აკარის მაღალმთიან სოფელში.

წიგნი იბეჭდება ავტორის ხარჯით.

© გამომცემლობა „აქარა“ — 1991

ს 4108000000-07  
M621 (08)90 28-1990

## შესავალი

სამედიცინო წერილობითი ძეგლები ქართველი ხალხის უძველესი მეცნიერული აზროვნების პროდუქტი და ერის მდიდარი კულტურული წარსულის ერთერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

საქართველოში მათი შესწავლა დაიწყო 1934 წელს და ეს მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო მუშაობა დაკავშირებულია ნიჭიერი ქართველი ექიმისა და მკვლევარის ლალო კოტეტიშვილის სახელთან. სწორედ მას უნდა ვუძღვოდეთ, რომ დღეს ჩვენს შავილდებს ამშვენებს ძველი პროფესიული მედიცინის უბადლო სახელმძღვანელოები, ენციკლოპედიური წიგნები: ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (მე-11 საუკუნე), ხოჯა ყოფილის „წიგნი სააქიმოი“ (მე-13 საუკუნე), დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი“ (მე-16 საუკუნე).

ქართული ხალხური მედიცინის შესწავლა მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს დადგა დღის წესრიგში. ამ საკითხზე წერილები გამოქვეყნდა „კავკასისი კალენდარში“, „დროებაში“, „ივერიაში“ და „კავკასიის საექიმო კალენდარში“, მაგრამ მათში ცალკეული ავტორების მხოლოდ სურვილი იყო გამოხატული. პრაქტიკულად ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე თითქმის არაფერი გაკეთებულა.

1885 წლის 17 თებერვალს „დროებაში“ (№ 37, გვ. 3) გამოქვეყნდა ექიმ კონსტანტინე ბახუტაშვილის წერილი, რომელშიც იგი ასაბუთებდა სამკურნალო ხელნაწერების შეგროვებისა და კარაბადინების შესწავლის აუცილებლობას, თვითონვე კისრულობდა მათს შეგროვება-დამუშავებას, მაგრამ ეს განზრახვა არ განხორციელებულა ენთუზიასტი ექიმის გარდაცვალების გამო.

ცხრაასიანი წლებიდან რუსულ კრებულებში ქართული კარაბადინების შესახებ სტატიებს აქვეყნებდნენ ზ. ჭიჭინაძე,

პროვინორი ილია ალხაზიშვილი, ექიმი აბელ იაშვილი და სხვები. ა. იაშვილმა 1904 წელს გამოსცა საკმაოდ ვრცელი წიგნი „Народная медицина в Закавказском крае“. ეს იყო ქართული ხალხური მედიცინის შესწავლა-გამოკვლევის პირველი და გაბედული ცდა.

ქართული ხალხური მედიცინის შესწავლა-გამომზეურების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ი. ი. ბანკევიჩმა, ვ. ზ. გამრეკელმა, ს. ე. ბასტამაშვილმა, ი. ი. შაბლოვსკიმ, ს. ს. ვირსალაძემ და სხვებმა.

შემდგომ წლებში ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე მივიწყებას მიეცა, რაზეც გულისტკივილით მიუთითებდა ზ. კოჭინაძე: „ქართულ მკურნალობაში და კარაბადინებში აღმოჩნდება ბევრი ისეთი რამ წამლობა და მკურნალობა, რის განკურნება კი არა და, იქნება ევროპიელთ ხსენებაც არ იციან. ევროპიელთ ასეთი ძვირფასი მკურნალობის არაფერი შეუტყვიათ და ჩვენს წიგნებში იგი უქმად არის გაბნეული...“

ამ მძიმე საქმის შესრულების ვალი ქართველ მკურნალებს აწევთ კისერზედ, მათ უნდა იღვან ეს თავსა და ქართველს ძველი მკურნალობა და სამკურნალო წიგნები და მწერლობა აუცილებლად უნდა გააცნონ.

დარწმუნებული ვართ, რომ ოდესმე ქართული კარაბადინების შესახებ მთელი მწერლობა დაარსდება, ვრცელი ისტორია, რაც ბევრს რამ საყურადღებო ვითარებას გამოაჩენს ქართველი ერის ჭკუა-გონებისას, ქართველთ ტომის ძველი კულტურისას“.

მართლაც ეს დიდი ეროვნული საქმე შემდგომში ღირსეულად გააგრძელა მეცნიერთა მომდევნო თაობამ (მ. სააკაშვილი, მ. შენგელია, პ. ფირფილაშვილი), რომლებმაც მკითხველს მიაწოდეს ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ (მე-15 საუკუნე) და „იადი-გარ დაუდი“ (მეორე გამოცემა).

ქართული მედიცინის ზემოჩამოთვლილი კლასიკური ნაწარმოებები უკვე გაცდა ეროვნულ ჩარჩოებს და ისინი მსოფლიოს სამედიცინო ლიტერატურის საგანძურში შევიდა, როგორც შუა საუკუნეების მედიცინის უძვირფასესი ნიმუშები.

სამედიცინო ლიტერატურის მასიური ბეჭდვის დაწყებამდე ასეთი ვრცელი წერილობითი ძეგლების რიცხვი უკიდურესად შეზღუდული და მკურნალისათვის თითქმის მიუწვდომელი იყო. ამიტომ დიდი მასშტაბი მიიღო გადამწერლობითმა საქმიანობამ. საქართველოს ყველა კუთხე-კუნძულში გამოჩნდა სამკურნალო ხელნაწერების ვარიანტები, რომლებიც დროთა მსვლელობაში ივსებოდა მკურნალთა და ავტორ-გადამწერთა საკუთარი ცოდნით, ცალკეული ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობაში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ემპირული გამოცდილებით.

ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს ერთერთი უძველესი მხარე აჭარა წარმოადგენდა. იგი ერთ დროს კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და ამგვარად თავისი წვლილი შეჰქონდა მსოფლიოში სახელგანთქმული კოლხური მედიცინის განვითარების ისტორიაში. ამაზე მეტ-ნაკლებად არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ანტიკური ხანის წიგნები, რომლებიც უკავშირდება მკურნალობის იმდროინდელ ხელოვნებას.

ქართული სამედიცინო აზროვნების ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით კლასიკური წერილობითი ძეგლების შესწავლის პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში გაფანტული სამედიცინო ხელნაწერების და სხვა სამედიცინო წიგნების გამოვლენას და შესწავლას.

წინამორბედი მკვლევარების მდიდარმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ქართული ხელნაწერების ძირითადი მიმართულება, მკურნალობის ხერხები, თითქმის ერთიანია, მაგრამ თითოეულ ვარიანტს აქვს რაღაც განმასხვავებელი, ცალკეული კუთხისათვის დამახასიათებელი წამალთმომოვებისა და მკურნალობის თავისებური მეთოდები, რაც მათ ანიჭებს ორიგინალურობას. ასეთ წერილობით ძეგლებთან არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეჯერებით შესაძლოა მივიღოთ რეგიონის ხალხური მედიცინის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათი. თუ შესაძლებელი გახდება ყველა კუთხის ხალხური მედიცინის კომპლექსური შესწავლა, დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოში განთქმუ-

ლი ქართული მედიცინა კიდევ უფრო გამდიდრდება და ახალ შინაარსს შეიძენს.

ამ დიდი ეროვნული საქმის მნიშვნელობა მარტო მედიცინის ისტორიით როდი ამოიწურება. როგორც ვიცით ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის დაინტერესება მკურნალობის ხალხური მეთოდების, განსაკუთრებით სამკურნალო მცენარეულისადმი. ადამიანები თვითონვე ამზადებენ წამლებს და იყენებენ ექიმის რჩევის გარეშე. მოტივი მარტივია: ბუნებისაგან ნაბოძები არავითარ ვნებას არ მოგვიტანსო. ასეთ მცდარ შეხედულებას ხშირად სავალალო შედეგები მოსდევს. აღსანიშნავია, რომ მცენარეთა უმიზნო და უსისტემო მოპოვებამ საფრთხე შეუქმნა ჩვენს მრავალფეროვან და მდიდარ ფლორასაც, ამიტომ დღის წესრიგში მწვავედ დადგა მკურნალობის ხალხური და ტრადიციული წესებიდან რაციონალური მეთოდების გამოყოფა, ბუნების სიმდიდრეთა დაცვა ადამიანთა ხელყოფისაგან, რათა საუკუნეების მანძილზე დაგროვილი მკურნალობა-გამოცდილება, ადამიანის ნიჭისა და გენიის ნაყოფი, ბუნების სიკეთე მთელი თავისი შინაარსით და სიდიადით ჩადგეს ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში.

წინამდებარე წიგნის ავტორის მიზანია ერთი აქამდე სრულიად უცნობი, აჭარაში აღმოჩენილი ქართული ხელნაწერის გამოკვლევა-გამომზეურება, რომელიც ვფიქრობთ მოკრძალებული წვლილი იქნება ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში.

• • •

1893 წლის 17 ოქტომბერს გაზეთი „ივერია“ მკითხველს აუწყებდა: „სოფელ აგარაში ბ-ნ აბდულ მიქელაძეს ერთ ქართულ მაჰმადიან ოჯახში პატარა ძველი ქართული ხელნაწერი, შემოკლებული კარაბადინი უპოვნია, რომელიც ერთ ქართულ მაჰმადიანს ჰქონია და ამბობენ ეს ორასის წლისა არისო. ამ მოხუცს ეს ხელნაწერი ძლიერ ფაქიზად შეუნახავს და კითხვაც კარგად იცის თურმე“.

საქართველო ძველი სამკურნალო ხელნაწერებით ერთობ მდიდარი ქვეყანაა და მათი აღმოჩენა დიდ საოცრებად არ

ითვლება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სამხრეთ პროვინციების, კერძოდ აჭარის ისტორიულ -ავტონომიას, ოსმალთა დამპყრობთა სამსაუკუნოვან და დესპოტურ ბატონობას, როცა ცეცხლით და მახვილით ნადგურდებოდა ყოველივე ეროვნული, ქართული ხელნაწერის გამოჩენა იმ დროისათვის მართლაც რომ სენსაციური იყო.

ოციოდე წლის წინ ჩვენ საშუალება მოგვეცა მიგველო ამ ხელნაწერის სრული ფოტოპირი, რომლის შინაარსის შესახებ მკითხველს ვერ მივაწოდეთ საგაზეთო ინფორმაცია („აჭარის ხელნაწერი 300 წლისა“. გაზ. „საბჭოთა აჭარა“ № 246, 12 დეკემბერი, 1970 წ.), ხოლო შემდეგ ხელნაწერის ტექსტი გამოკვლევებითა და კომენტარებით ცალკე წიგნად გამოვიდა („მცირე კარაბადინი“. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1974). ისე როგორც „ივერიის“ ცნობამ, „მცირე კარაბადინის“ გამოსვლამაც ერთგვარი ინტერესი გამოიწვია მკითხველთა ფართო მასაში და სამეცნიერო წრეებში. იმთავითვე გაჩნდა კითხვა: აჭარაში კიდევ ხომ არ არის შემორჩენილი ანალოგიური ან სხვა ქართული ხელნაწერი. ამის საფუძველს იძლეოდა იმავე „ივერიაში“ ერთი თვით აღრე გამოქვეყნებული ცნობა, რომელიც ასევე აბდულ მიქელაძის კალამს ეკუთვნის: „სოფ. ქედა, ქვედა აჭარა. აქეთ ცხოვრობს ერთი ქართველი კაცი, სჯულით მაჰმადიანი, გვარად გეგიძე, რომელიც ბნელას არჩენს ადვილად. ამ სნეულების წამლობა გეგიძის გვარში ძველი-ძველიდგანვეა დარჩენილი, გეგიძეს ქართული კარაბადინიცა აქვს და წერა-კითხვაც იცის. მისი შვილი სოფელ ჭვანაში ხოჯა ალი ეფენდის (ქარცივაძე, რ. ს.) აბარია სასწავლებლად. ხოჯა ქართველი კაცია და თავის ბავშვებს ქართულადაც ასწავლის“ (№ 103, 18 მაისი, 1893 წ.).

როგორც ვხედავთ, ცნობა საკმაოდ მაცდუნებელია და ჩვენც შევუღდექით ხელნაწერების ძებნას. პირველ ცნობამ წავაწყდით „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“. საბუთ 1258-ა-ს აღწერილობაში კერძოდ ნათქვამია, რომ იგი დაწერილია შეტად თავისებური („აჭარული“) მხედრულით, მე-19 საუკუნეში. საინვენტარო დავთარში ექვთიმე თაყაიშვილის ხელით მოკლდება მიწერილი: „კარაბადინი, ქობულეთში ნაპოვნი მხედრული, რვეულად“.

საბუთი 1258-ბ-ს აღწერილობაში ვკითხულობთ: „მოკითხვის წიგნი (მე-19 ს.), 4 გვერდი ფანქრით არის ნაწერი აქარული („დედაბრული“) ხელით“. აქაც საინვენტარო დათარიში 1916 წელს ექვთიმე თაყაიშვილს ჩაუწერია: „მოკითხვის წიგნი 40 წლის წინად გადასახლებულ (მუჰაჯირ) ქობულეთელიდან. ქობულეთში გამოგზავნილი აქ 8 წლის წინად“; როგორც ამ ჩანაწერიდან ვგებულობთ, ხელნაწერი ვინმე ქობულეთელ მუჰაჯირს რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878) შემდეგ ოსმალეთში წაუღია. ხოლო 1908 წელს უკანვე ქობულეთში დაუბრუნებია.

ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების, პირადად ამ ინსტიტუტის დირექტორის აკად. ე. მეტრეველის დახმარებით მივიღეთ ზემორეხსენებული ხელნაწერების ანაბეჭდები. მათივე დახმარებით დავიწყეთ ტექსტის ამოკითხვა-დადგენა. შართალია, ტექსტის ნაწილში ვანიხილება ზოგიერთი დაავადების მკურნალობის წესები, კერძოდ, ხურვებისა და ავი თვალის სამკურნალო მეთოდი, მაგრამ ის არ სცილდება შელოცვებისა და ვედრების ფარგლებს. ამასთან ტექსტი ენობრივად იმდენად თავისებური და ძნელად გასაგები აღმოჩნდა, რომ მიზანშეუწონლად ვცანით მასზე მუშაობა და კვლავ გავაგრძელებთ მოსახლეობაში სამკურნალო ხელნაწერების ძებნა. პირველი ინფორმაცია ჯერ კიდევ „მცირე კარაბადინის“ გამოქვეყნებამდე 1969 წელს მივიღეთ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარის მცხოვრებ 93 წლის ოსმან შერვაშიძისაგან. მისი თქმით, ქედის მაზრის უფროსის თუფან შერვაშიძის ბიძის, სეფერის ქალიშვილს ფემბას ჰქონდა ხელნაწერი, რომლითაც სამხვედროს მკურნალობდაო. მოხუცი დაბეჯითებით შეგვპირდა, — ამ ხელნაწერს მე მივაგნებ და გადმოგცემთო. ჩვენც ნაადრევად ვირწმუნეთ ხელნაწერის მიღება და „მცირე კარაბადინში“ მას ს. თხილნარში აღმოჩენილი ხელნაწერი ვუწოდეთ (გვ. 74). სამწუხაროდ, ჩვენმა გულკეთილმა ინფორმატორმა ვერ მოასწრო პირობის შესრულება. იგი 1970 წელს გარდა-

1 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II კოლექცია. ტ. 3, თბილისი, 1948. გვ. 198, 159.



იცვალა. მიუხედავად ამისა, მისმა ნაამბობმა დიდი სამსახური გაგვიწია, რადგანაც კიდევ უფრო გააძლიერა ხელნაწერის ძეგლის სურვილი და, მართალია გვიან, მაგრამ ეს ძიება წარმატებით დამთავრდა.

ფემბა სეფერის ასული შერვაშიძე (1813-1897) ახლანდელი ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში ყოფილა გათხოვილი გულა ხუსეინის ძე სურმანიძეზე (1811-1898). 1844 წელს გულას ოჯახი ახლანდელი შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში, დედისეულ მამულში გადასახლებულა და დაფუძნებულა. შერვაშიძეთა ოჯახიდან ფემბას მზითვად მოყოლილი კარაბადინიც თან წაუღია.

1897-1898 წლებში ზემო აჭარაში სახადი (მუტლის ტიფი) გაჩენილა, რასაც ემსხვერპლა ფემბას ოჯახის ყველა მოზრდილი წევრი, 8 სული, მათ შორის: გულა, ფემბა, მათი შვილები და რძლები. ცოცხლად გადაარჩენილა მხოლოდ ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი. ნათესაეებს — ვექილებს ბავშვები აღსაზრდელად საკუთარ ოჯახებში წაუყვანიათ, მათი ქონებაც სუთ ნაწილად გაუყვიათ და წაუღიათ, ერთ დროს სიცოცხლით სავსე სახლი გავერანებულა. ამგვარად, მეხუთედი ქონება, მათ შორის ფემბასეული სამკურნალო წიგნიც ერთერთი ნათესავის ოჯახში მოხვედრილა. ძველ ხელნაწერებს ბევრი უფუნური ჩვენს დროშიც ემტერებოდა, რის გამოც მის გამოჩენას ვერ ბედავდნენ. (ალბათ იმიტომაც, რომ შესაძლოა მის კანონიერ პატრონს წაღებული ქონებაც მოეთხოვა). ასე დარჩა ხელნაწერი ამ ოჯახში ბოლო დრომდე, სანამ სახლის უფროსმა სიკვდილის წინ არ მოითხოვა იგი კანონიერი პატრონისათვის დაებრუნებინათ.

ოსმან შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ ფემბას მომსწრეებთან შეხვედრის იმედი გადაგვეწურა. საბედნიეროდ ეს აზრი ნაჩქარევი აღმოჩნდა. 1987 წელს ქედის რაიონის სოფელ დანდალოში ვნახეთ 93 წლის ქალი ფადიმე აღის ასული ავალიანი, რომელსაც მკურნალი დიდნენეი ფემბეხანუმი „ლანდათ ახსოვდა“. სამაგიეროდ ქალბატონ ფადიმეს კარგად ახსოვდა ფემბას ქალიშვილი რუხსეთი (1833-1920). იგი ჩვენი ინფორმატორის დვიძლი დეიდა იყო. ფადიმეს თქმით რუხსეთი აგრძელებდა დედის საქმიანობას. შან იცოდა წამ-

ლების დამზადებაც და მათი ხმარების წესებიც. კარგად იყო დაუფლებული მშობიარობის მიღების და ახალშობილისა და მელოგინის მოვლის წესებს. დიდ თასში დიდხანს რძეს ადულებდა. შემდეგ მას დაუმატებდა რომელიღაც მცენარეების წვენიებს და ამ სითხისაგან სამკურნალო ტკბილ კამფეტებს ამზადებდა და ხმარობდა კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს. პიტნისაგან სურნელს (სუნამოს) გამოხდიდა, ზოგს რაღაცას გადაურევდა და წამლათ იყენებდა, ზოგს ქალები ვხმარობდით, კარგი სუნი ჰქონდაო. ქალბატონმა ფადიმე ავალიანმა (დაბად. 1894 წ.) საჩუქრად გადმოგვცა მცირე მოცულობის ბლოკნოტი, რომელშიც არაბული შრიფტით ქართული ლექსები და თქმულებებია ჩაწერილი. ერთგან ორი გვერდი შეესებულა ულამაზო მხედრულით, ესეც ქართული ლექსებია, რომლებიც პატრონის თქმით თავად რუხსეთს ჩაუწერია. ბლოკნოტი ცნობილი ხალხური მთქმელის რეჯებ მჟავანაძისაა. თურქეთში გაქცევის დროს (1903 წ) იგი რეჯებს ფადიმეს მამისათვის, ალი ავალიანისათვის უჩუქნია.

\* \* \*


ფემბასეული სამკურნალო ხელნაწერი თავბოლონაკლულია, რასაც ადასტურებს წყვეტილი დასაწყისი და დაბოლოება. დასაწყისში ამოხეულია შვიდი, ხოლო ბოლოში რვა ფურცელი. ტექსტი იწყება ასე: „...ცოტა სხმარტლის ცილი, ესენი ყველა ჩაყარე ძმარში...“ ბოლო ფურცელი კიდევამოხეულია, რის გამო ტექსტი არასრულყოფილი და დაუმთავრებელია.

ხელნაწერი შესდგება 41 ფურცლისაგან (82 გვერდი), შესრულებულია ქალაქლდზე, რომლის ზომა 17,5×22 სმ. არა აქვს ყდა. ფურცლებს გაუკეთდა პაგინაცია ჩვენი ხელით 1-დან 82-დე. ტექსტი დაწერილია შავი მელნით, ულამაზო მხედრულით.

გარეგანი დათვალიერებითაც ცხადი ხდება, რომ ხელნაწერი შესრულებულია სულ ცოტა ოთხნაირ ქალაქლდზე. 1-4 გვერდი თეთრი — გაყვითლებულია, 5-76 გვერდი — მომწვანო ღია ფერისაა, 77-80 გვერდი გაყვითლებულია, ხოლო

81-82 — მუქი მომწვანოა, ამასთან იგი ცალკე ფურცლადაა და ხელნაწერში ჩაკრული არ არის.

კალიგრაფიაზე დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ტექსტი მე-18 საუკუნის ბოლოს არის გადაწერილი (გარდა მეორე გვერდის 4 სტრიქონისა და 77-ე გვერდისა, რომელიც დაახლოებით ერთი საუკუნით გვიან უნდა იყოს შესრულებული), რომელშიც სულ ცოტა ექვსი პირი მონა-



წილებდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ერთი და იგივე მცენარე ან სხვა წამლეული საშუალება ტექსტში სხვადასხვა სახელით არის წარმოდგენილი. ზოგჯერ მათი მომზადებისა და ხმარების მეთოდებიც განსხვავებულია. გარდა ამისა ერთი და იგივე დაავადება სხვადასხვა ადგილას არის შეტანილი და მათი მკურნალობის მეთოდიც არ არის ერთნაირი.

ამჟამად მიღებული კლასიფიკაციით ფეოდალური ეპოქის ქართული სამედიცინო ლიტერატურა შემდეგნაირად არის დაჯგუფებული: 1. ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატი; 2. სამკურნალო წიგნი — კარაბადინი, რომელიც გათვალისწინებულია პრაქტიკოსი ექიმებისათვის; 3. სამკურნალო სასწავლო სახელმძღვანელო წიგნი; 4. საოჯახო პოპულარული ზასიათის კარაბადინი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ექიმებისათვის; 5. მოკლე კარაბადინი — ცნობარი (მ. შენგელია 1980, ნ. ხელია — 1984). ფემბასეული ხელნაწერი მე-4 კატეგორიის საოჯახო პოპულარულ კარაბადინს მიეკუთვნება, თუმცა მასში ვხვდებით საცნობარო კარაბადინის ელემენტებსაც.

საყურადღებოა, რომ ტექსტში სრულიად არ გვხვდება ასო ჰ-აე, აგრეთვე ძველი ქართული გრაფემები: მ, მ, ჯ, ჯ, ზ.

ზოგიერთი გვერდის არშიაზე და ტექსტში სხვა ხელით გაკეთებულია მინაწერები დედაბრულით და თანამედროვე კალიგრაფიით. მათი უმეტესი ნაწილი დაავადების აღმნიშვნელია და გაკეთებულია ხელნაწერის გამოყენების გასაადვილებლად.

გადარჩენილ ტექსტს არ აკლია ფურცლები და მთლიანი წიგნის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამონაკლისია 51-52 გვერდი, რომელსაც ბოლო 5 სტრიქონი მოხეული აქვს. ხელნაწერში არ არის გამოყენებული სასვენი ნიშნები, არ არის დაყოფილი თავებად და აბზაცებად. ცალკეული (დაავადება და წამლის დამზადების წესი ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორი, სამი ან ოთხი ირიბი ხაზით, საერთოდ ახალი თავი იწყება დაავადების ან წამლის სახელწოდებით.

ხელნაწერის რამდენიმე გვერდი ხანგრძლივი ხმარებისა-

გან კიდევებზემოცლილია, პირველ ფურცელს აჩნია მსხვილი, მუქი ზოლი, რომელიც სისხლის წვეთი უნდა იყოს. იგი ფარავს ზოგიერთ სიტყვას, მაგრამ ყველა მათგანი იკითხება გარდა მე-10 სტრიქონის ერთი სიტყვისა.

• • •

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ არ გავგაჩნია სარწმუნო საბუთი ხელნაწერის ავტორის ვინაობის შესახებ, სამაგიეროდ ზუსტად ვიცით მისი მფლობელი — ფემბა სეფერის ასული შერვაშიძე-სურმანიძისა, ამიტომ ამ ძეგლს ფემბასეული ხელნაწერი (კარაბადინი) ვუწოდეთ.

ტექსტში ცალკეული სიტყვა შემოკლებულია (გამოტოვებულია ასოები, ან მთელი მარცვლები), რის გამო ზოგი სიტყვა ძნელად იკითხება. ეს ხარვეზი ჩვენ შევავსეთ, ნაწილი ასოები და მარცვლები ფრჩხილებში ჩავსვით. ასევე მოვიქეციით იმ სიტყვების მიმართ, რომლებიც ფურცლებს დაზიანების ან სხვა მიზეზების გამო ტექსტს აკლია, რაც ჩვენს მიერ არის აღდგენილი. ზოგი სიტყვა თითქოს სწორად არის დაწერილი (ასოები გარკვევით იკითხება), მაგრამ თვით სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია.

ფემბასეულ კარაბადინში არ არის ნახმარი უცხო სიტყვები, გარდა ორიოდ რუსული სიტყვისა, რითაც ის განსხვავდება ქართული კლასიკური სამკურნალო ძეგლებისაგან.

რამდენიმე ადგილას ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის მეთოდს თან ახლავს შელოცვები, სამკურნალოდ გამოყენებულია თილისმაც, ხშირად არის ნახმარი ტერმინი „ღვთით შველა“, ამგვარად მოცემულია ავადმყოფთა მკურნალობის კომპლექსური მეთოდი; მაგიურ-რელიგიური რიტუალი შერწყმულია მკურნალობის რაციონალურ მეთოდთან.

• • •

ფემბასეულ კარაბადინში დასახელებული ბევრი სამკურნალო საშუალება ხშირად გვხვდება ქართულ კლასიკურ სამკურნალო ძეგლებში და დღესაც გამოყენებულია როგორც ხალხურ, ისე მეცნიერულ მედიცინაში.

ასე მაგალითად, ფემბასეულ ხელნაწერში რამდენიმეჯერ სამკურნალოდ დასახელებულია ობობა თავისი ქსელით („ბანდლით“). ბუნებრივია, მაშინ მკურნალმა არ იცოდა ამ მწერისაგან შხამის მიღების წესი და მას ხმარობდა ემპირიულად, რომლის სარგებლიანობა ჩვენს დროში მეცნიერულადაც დადასტურდა. ყაზახეთის სსრ-ში მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი ინსექტარიუმი, რომელიც წლის განმავლობაში ობობასა და მორიელის „ნაწველისაგან“ ამზადებს... 20-30 გრამ შხამს, უძვირფასეს ნივთიერებას, რომელსაც სამეცნიერო-კვლევითი 'დაწესებულებები იყენებენ ვაქცინების, შრატებისა და ძვირფასი მედიკამენტების შესაქმნელად.

ამჟამად ხალხში ფართოდ პოპულარული ვიეტნამური ბალზამი, „ოქროს ვარსკვლავი“ ძირითადად შეიცავს პიტნის, ზიხაკის, ევკალიპტის, დარიჩინის და სხვა მცენარეულის ზეთებს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყველა ამ მცენარის ზეთი (გარდა ევკალიპტისა) ფართოდ არის გამოყენებული როგორც ფემბასეულ კარაბადინში, ისე სხვა ქართულ სამკურნალო ხელნაწერებში.

ქართული მედიცინის ისტორიისათვის ცნობილია თავისი ძვირფასი სამკურნალო თვისებები. ამ მხრივ გამონაკლისი არც ფემბასეული კარაბადინია, სადაც თავლი დასახელებულია ათამდე დაავადების დროს საჭირო წამლების დასამზადებლად. ახლა ყველასათვის ცნობილია პრეპარატი პროპოლისი, რომელსაც ფუტკარი ამზადებს და გამოიყენება ბეცნიერულ მედიცინაში მრავალი დაავადების დროს.

ყურადღებას იმსახურებს ფემბასეულ ხელნაწერში სამკურნალოდ აღამიანის სისხლის გამოყენება, რაც სხვა კარაბადინებში არ შეგვხვედრია. მკურნალი „ფერით“ დაავადებულის სამკურნალოდ იყენებდა მისივე სისხლს, რომელშიც ვირის პიტნა არის გარეული (გვ. 5), ასევე ახალშობილის დასამუშავებლად გამოყენებულია მისივე ჭიპლარის სისხლი (გვ. 67).

ფემბასეულ ხელნაწერში სამკურნალოდ ნახმარია სიმინდი, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში იხმარებოდა ადგილობრივი ნედლეული. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკ-

ვიდრებულა აზრი, რომ საქართველოში სიმინდის კულტურა პირველად მე-17 საუკუნეში შემოიტანეს. როგორც ცნობილია, სიმინდი სამკურნალოდ გამოყენებული აქვთ: ქანახელს (XI ს.), ხოჯა ყოფილს (XIII ს.) და ზაზა ფანასკერტელს (მე-16 ს.). ნუთუ სამივე სახელგანთქმული მკურნალი სამკურნალოდ იმპორტულ სიმინდს იყენებდა? ხომ არ საჭიროებს გადამოწმებას საქართველოში სიმინდის კულტურის შემოტანის ვადები?!

ფემბასეულ ხელნაწერში გამოყენებულია თურინჯი (ფორთოხალი) და მისი კაკალი. მკურნალისათვის, რა თქმა უნდა, უცნობი იყო მასში C ვიტამინის არსებობა, მაგრამ იგი ამ საშუალებას წარმატებით იყენებს ღრძილების ანთების დროს, რაც დღეისათვის სრულიად გამართლებულია.

ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიტანეთ (სხვა საინტერესო და გამართლებული დაკვირვებები იხილეთ თავში „პარალელები“), მაგრამ, ვფიქრობთ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ხალხურ გამოცდილებაში დაგროვილი დიდი სიბრძნე. აღარაფერს ვლაპარაკობთ საქართველოს ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის მიერ დამზადებულ რამდენიმე ათეულ ძვირფას პრეპარატზე, რომლისთვისაც ძირითადად ადგილობრივი მცენარეული ნედლეული გამოიყენება. მათი სარგებლობა ძირითადად ეყრდნობა როგორც ქართული ხალხური, ისე ტრადიციული მედიცინის ძვირფას გამოცდილებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფემბასეულ ხელნაწერში გამოყენებულია 400-ზე მეტი სამკურნალო საშუალება (მათ შორის 235 მცენარეული.). საინტერესოა, რომ მათი ნაწილი (80-მდე) მოხსენიებულია მხოლოდ ამ ხელნაწერში, სხვა კარაბადინებსა და ხელნაწერებში ისინი არ გვხვდება.

აკადემიკოს კ. ერისთავის და თანაავტორების მიერ მოწოდებულ „ძველ ქართულ მედიცინაში გამოყენებულ მცენარეთა მიხსნობებით სიაში“ შეტანილია 208 მცენარე, რომელთაგან 96 მოხსენიებულია ფემბასეულ ხელნაწერში.

საყურადღებოა, რომ ამ „სიაში“ არ არის შეტანილი 58 მცენარე, რომლებიც გვხვდება ფემბასეულ ხელნაწერში, ხოლო 26 მცენარე საერთოდ ვერ ვნახეთ, როგორც კ. ერი-

სთავის და თანაავტორების „სიაში“, ასევე ამჟამად გამოკვლევულ და გამოცემულ ქართულ კლასიკურ კარაბადინებში (იხ. დანართი).

სხვადასხვა დროს გამოცემულ სსრკ სახელმწიფო ფარმაკოპეათა უბრალო შედარებით ნათელი ხდება, რომ მათში დროთა მსვლელობაში მცირდება მცენარეული ნედლეულისაგან დამზადებული წამლების რაოდენობა. ასე, მაგალითად, უკანასკნელ მე-10 გამოცემაში<sup>2</sup> შეტანილია ერთადერთი მცენარეული საშუალება — კუნელის ნაყოფი, რომელიც ადრინდელ გამოცემებში არ გვხვდება. სამაგიეროდ ფარმაკოპეის ამ გამოცემიდან ამოღებულია 52 დასახელების მცენარეული ნედლეული, რომელიც შეტანილ იყო წინა მე-9 გამოცემაში. საყურადღებოა, რომ ფემბასეულ ხელნაწერში მოხსენიებულ 235 მცენარეულიდან სსრკ სახელმწიფო ფარმაკოპეის ბოლო, მე-10 გამოცემაში შეტანილია მხოლოდ 23.

ყოველივე ზემოთქმული დღის წესრიგში აყენებს ზოგიერთი მივიწყებული სამკურნალო საშუალებების (უპირატესად მცენარეულის) ახლად შესწავლისა და გამოყენების საკითხს. ამით გაძდიდრდება სამკურნალო საშუალებების არსენალი, გაიკვევა ადამიანისათვის მავნე და სასარგებლო მცენარეული და გაადვილდება ბრძოლა ზოგი დაავადების წინააღმდეგ, რომელთა მიმართ ჯერჯერობით რადიკალური საშუალება არ გავაჩნია. ამით შევძლებთ აგრეთვე მოსახლეობის ერთ ნაწილში უკუვაგდოთ მისტიკა და განვუმტყიცოთ მას ქეშმარიტების რწმენა. ეს კი აუცილებელია, რადგანაც ხალხური მკურნალობის სრული იგნორირება, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში, კარგ ნიადაგს უქმნის იატაკქვეშა მკურნალობას და ამრავლებს შარლატანებს. ასეთ შემთხვევაში თავს წამოყოფენ ხოლმე რელიგიის ცრუ მსახურნიც, რაც საერთო ჯამში დიდ ზიანს აყენებს ისედაც გატანჯული ადამიანის ჯანმრთელობას.

სამკურნალო მცენარეების მოპოვება-შენახვის და ნედლეულისაგან წამლების მომზადებით, ბუნებრივია, პირველ

<sup>2</sup> Государственная фармакопея СССР. М. 1968.



რიგში უნდა დაინტერესდნენ ამ საქმის სპეციალისტები. პროვიზორები. წარსულში ასეც იყო. ბევრი მათგანი გამოდიოდა პრესაში და აქვეყნებდა საინტერესო მასალებს ამა თუ იმ სამკურნალო მცენარეულის შესახებ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სერგო ელიავა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებისთანავე, ჯერ კიდევ 1920 წელს გამოაქვეყნა ბროშურა „მოკლე ცნობები ჩვენი ქვეყნის ველურად მზარდ სამკურნალო და სხვა სასარგებლო მცენარეებზე“. მართალია ბროშურა სულ 16 გვერდს შეიცავს და განხილულია 7 სახეობის მცენარე, მაგრამ ამ ნაშრომს უღარესად დიდი მნიშვნელობა ქონდა და ამჟამადაც აქვს მედიცინის ისტორიისა და ხალხური მკურნალობის შესწავლის საქმეში.

სამწუხაროდ მომდევნო წლებში და ჩვენს დროშიც. თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, პროვიზორებს შორის არ გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებიც გააგრძელებდნენ ამ ღებულ სასარგებლო საქმეს.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, ღღისათვის მკურნალობის ყველა შედეგიანი მეთოდი მეცნიერულმა მედიცინამ ხალხური მედიცინიდან აიღო. კარგი გამოთქმაა, მაგრამ ჩვენთან ხალხურ მედიცინას ჯერ ვერ მივუჩინეთ თავისი ადგილი. ზოგიერთი ქვეყნის სამედიცინო ინსტიტუტებში სასწავლო პროგრამებში შეიტანეს ხალხური მედიცინის სპეციალური კურსი, ზოგან ხალხური მედიცინის ინსტიტუტებიც მოქმედებს. მაგრამ ჩვენთან ეს საქმე ჯერ არ დაწყებულა, მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 10 წლის წინ მიიღო გადაწყვეტილება ხალხური რეცეპტების გამოყენების თაობაზე.

ჩვენ შევეცადეთ ზოგიერთი ასეთი რეცეპტის ჩაწერა-გაანალიზებას. საყურადღებოა, რომ აჭარის სოფლებში ჩაწერილი რეცეპტები თითქმის არაფრით არ განსხვავდება სხვა მსარეებში გამოვლინებული რეცეპტებისაგან. ასე მაგ. ორთაბათუმელმა ოთარ ჭყონიამ (დაბად. 1927 წ.) თირკმლის კენჭის მკურნალობისათვის მოგვაწოდა რთული შემადგენლობის წამალი. იგი თანაბარი რაოდენობით იღებს მატრეღას, სიმინდის ქოჩორს, ბარდის (მაყელის) ძირებს. ასკილს.

ზრავალძარღვას ფესვებს, მაკიდოს, ნიახურის ძირს, ჰინჭრის თესლებსა და ლეროს, ნიგვზის ფოთოლს. ჩრდილში გამხმარ ამ მცენარეებს ატარებს ხორცის მანქანაში, შემდეგ ამატებს იმავე რაოდენობის ჰემატოგენს. თუ ეს მცენარეები 100-100 გრამია, დაასხამს სამ ლიტრ წყალს და ადუღებს 15 წუთს. შემდეგ საჭიროა ერთი ღლე-ღამე გავაჩეროთ და მარლაში გავწუროთ. ავადმყოფმა უნდა მიიღოს 100 გრამი ჰემის წინ ყოველ 4 საათში ერთჯერ: წამლის მიღების დროს წყლის დალევისაგან თავი უნდა შეიკავოს.

მეორე რეცეპტი შემოხიველმა ფატყუმე ყიფიანმა (დაბადებული 1890 წელს) ჩაგვაწერინა. იგი ასწავლა მამამთილმა, რომელიც 77 წლის წინ 1912 წელს გარდაიცვალა 95 წლის ასაკში. (ე. ი. დაბადებული ყოფილა 1817 წელს). ზეირალ ყიფიანი ოსმალეთის ჯარში 7 წელს მსახურობდა რედიფად. იქ ჯარისკაცებს შორის ხშირი ყოფილა კუჭის აშლილობა და მათ ვიღაც სოფლის ექიმი მკურნალობდა. სწორედ მისგან უსწავლია ზ. ყიფიანს წამლობა. „მამამთილმა ჩემ კაცსაც ასტავლა წამლების გაკეთება, მარა მარობაში თავრობა შეიქანა და ექიმბაშობა არ იქსო, უთხრეს, დაგიჭირავთო და იმანაც დაანება თავი“.

ზეირალ ყიფიანის რეცეპტებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია ფრენგის (კისრის ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზის) წამალმა. იგი ფინჯანში ჩაყრიდა ფქვილივით დაფქულ თათრულ ინას, დანაყილ სელვის კუკულს, შემდეგ ჩააგდებდა ჯივას (ვერცხლის წყალს). უმატებდა ნერწყვს და ყველაფერ ამას ფინჯანში კარგად მოზეღდა, შემდეგ ცომივით მოაქცევდა (გააჰასილებდა) და გააკეთებდა პატარ-პატარა ბურთებს (კაკლებს), 12 ცალს. ამ კაკლებს ავადმყოფს კიდევ ალევინებდა და კიდევ უხჩოლებდა (ჩვენს მიერ შეკრებილ რეცეპტებს და მკურნალობის შეთოდებს შესაბამის ადგილას ქვემოთაც მოვიტანთ).

ზოგი რეცეპტი გვარეულობის საიდუმლოებაა და ცხადია მათი ჩაწერა არ ხერხდება. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისის მცხოვრები დაუთ დუმბაძე, (დაბად. 1928 წ.). იგი წარმატებით მკურნალობს დამწვრობას, კრილობებს, დაყევილობას, და

ჩირქებულ ნანემსარს, მასტიტებს, კანის ზოგიერთ ქრონიკულ დაავადებას, მოტეხილობებს. სამკურნალო ჩვევები მან მშობლებისაგან ისწავლა. სამკურნალოდ იყენებს მცენარეულისაგან დამზადებულ მაღამოებს. მცენარეულს აგროვებს აპარის მთელ ტერიტორიაზე. წამლების დამზადება მისმა მეუღლემ ეთერიმაც იცის. ჰყავთ ოთხი შვილი. მშობლების ამ სასარგებლო ცოდნის შესწავლის სურვილი გამოთქვა ერთმა ვაჟმა, რომელიც უკვე ეუფლება ხალხური მკურნალობის ხელოვნებას.

ძველი რეცეპტები და ხელნაწერები, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლადაა გაბნეული საქართველოში, მრავალ საინტერესო მასალას შესძენს ქართულ ხალხურ მედიცინას. ამასთან ერთად საჭიროა ამ ხელნაწერების ურთიერთშედარება. ამ მხრივ დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს ნ. ა. ხელაიას სადისერტაციო ნაშრომი, რომელშიც განხილულია მე-16 მე-18 სს ქართული ხელნაწერები და მათგან გამოყოფილია სამკურნალო მცენარეული, რომლებიც სხვა ქართულ კარაბადინებში არ გვხვდება. ალბათ, ავტორისათვის უცნობი იყო ჩვენი „მცირე კარაბადინი“, რომელთანაც, დარწმუნებული ვართ, მრავალ საინტერესო პარალელს ნახავდა. ჩვენ სამომავლო მიზნად მიგვაჩნია აგარელის კარაბადინი და ფემბასეული ხელნაწერი შევადაროთ ნ. ა. ხელაიას მიერ აღწერილ ხელნაწერებს, პირველ რიგში „აზრუმელის ცნობარს“, რომელთანაც, როგორც ვეარაუდობთ მრავალ საინტერესო მსგავსებას ვნახავთ. საყურადღებოა რომ ფემბასეული ხელნაწერის 2(4) გვერდზე მუცელკეთილის შელოცვის ტექსტში ღვთიურ მკურნალთა შორის მოხსენიებულია აზრუმელიც. უნდა ვიფიქროთ, რომ აზრუმელის ცნობარი და თავად მისი ავტორიც მე-18 საუკუნეში იმდენად პოპულარული იყო, რომ მას ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ.

სამკურნალო მცენარეულის თვისებების კარგად ცოდნას და მათს გონივრულ, რაციონალურ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების სიმდიდრეთა დაცვის თვალსაზრისითაც. როგორც ზემოთაც ვთქვით, უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ მცენარეულს გადაგვარება-გადაშენების საფრთხე

დაემუქრა, ამის მიზეზია მოსახლეობის დიდი ლტოლვა სამკურნალო მცენარეულისაკენ. ამით სარგებლობენ მცენარეთა ბრაკონიერები და ძირფესვიანად სპობენ ზოგიერთ ბალახეულს. ასეთი ბარბაროსული მოპოვების შედეგად ბევრი მდელი-მინდორი გადახრიოკდა, ბევრი მცენარე მოსპობის ზღვარზეა, რის გამოც ისინი „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეიტანეს. საყურადღებოა, რომ ფემბასეულ კარაბადინში მოსესენიებულთაგან „წითელ წიგნში“ შეტანილია 27 მცენარე და სამი ცხოველი.

ეს მდგომარეობა ერთჯერ კიდევ გვავალდებულებს ზუსტად გავარკვიოთ ერთმანეთისაგან სასარგებლო და შავნე, ამით ადამიანები გადავარჩინოთ საზიანო მკურნალობისაგან და ბუნებასაც შევუნარჩუნოთ პირველყოფილი სიმშვენიერე.

მცენარეულის გარდა ფემბასეულ კარაბადინში სამკურნალოდ გამოყენებულია ცხოველური პროდუქტები (რძე, ერბო, ნაღები, ყველი). ავრთვე ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავლების, თევზების, მწერების ორგანოები, გამონაყოფები, სითხეები და სხვ. (ღვიძლი, სისხლი, სკინტლი, ბალანი, თვალი, კბილი, რქა, ღუმეა, ქონი, ნეხვი, კაჭა, ნაწლავი, ბუშტი, შარდი, სასები, გული, კანი, ბუდე, ფრთა, ტვინი, ფილტვი, ჩლიქი, საკვერცხე, ფრჩხილი და სხვ.), ასევე ადამიანის რძე, ნერწყვი, სისხლი, ძვალი, თმა და ა. შ.

მკვლევართა აზრით ცხოველური სამკურნალო საშუალებები ქართულ ხალხურ მედიცინაში უცხო ქვეყნებიდან შემოპირილია. ამის შესახებ სამართლიანად შენიშნავს ქართული ხალხური მედიცინის და საქართველოს მინერალური რესურსების ცნობილი მკვლევარი რ. დ. კუპცისი: ცხოველური წარმოშობის სამკურნალო საშუალებები კავკასიის ხალხთა მედიცინას შეეერთა. როგორც ჩანს, ჩინეთის, ტიბეტის, ინდოეთის, არაბეთის და ფინიკიის მედიცინის გაცნობის შემდეგ. საუკუნეების განმავლობაში ცხოველური წარმოშობის სამკურნალო საშუალებათა რიცხვი იზრდებოდა და ახლა მან კოლოსალურ რაოდენობას მიაღწია.<sup>3</sup> ფემბასეული კარაბა-

3 კურს. „საბჭოთა მედიცინა“, № 3-5, 1931, გვ. 17.


დინი ამ მხრივ გამონაკლისი არაა. მასში შეტანილია 150 ზე მეტი ცხოველური წარმოშობის სამკურნალო საშუალება.

საყურადღებოა, რომ აჭარაში ნაპოვნ ორივე ხელნაწერში სამკურნალოდ დასახელებულია ზოგი ისეთი პროდუქტი, რომელთა შილებას მაკმადიანური რელიგია კრძალავდა (ღვინო, ღორის ქონი, „ოტკა“ და სხვ). ბუნებრივია, გადამწერი ცდილობდა წიგნში შეეტანა ის წამალი, რომელიც მისთვის ცნობილია, ამავე დროს ადვილად მოსაპოვებელი და ხელმისაწვდომი იყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ არც ეს ხელნაწერი არ არის თავისუფალი ისეთი სამკურნალო საშუალებებისაგან, რომლებიც საქართველოში არ მოიპოვებოდა და უცხოეთიდან (ძირითადად ინდოეთიდან, ირანიდან და თურქეთიდან) შემოჰქონდათ. ასეთებია: თანძუხათაია, ზეთის ხილი, არდაშხანი, ბალზინი, — დათვის ენა, დანამასტაკი, ვირილობიო, ინდური ხურმა, ლადანა, მუშკი, სანდალი, ქალბანა, ჯაოზი.



საერთოდ, როგორც სხვა ხელნაწერები, ისე ფემბასეული კარაბადინიც ყურადღებას იმსახურებს ცალკეული სამედიცინო ტერმინებითა და დიალექტური ლექსიკით. ხელნაწერში, როგორც ვთქვით, 400-ზე მეტი სამკურნალო საშუალებაა (მცენარეული, ცხოველური, მინერალური) დასახელებული. დიდი მეცადინეობის მიუხედავად ამთგან 13 ტერმინის მნიშვნელობა ვერ გავარკვიეთ და ლექსიკონში შევიტანეთ როგორც უცნობი სიტყვები, ხოლო ზოგ საექვოდ გამოფრულ ტერმინს დავუსვით კითხვითი ნიშანი.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართული სამკურნალო წიგნებისათვის ასეთი ხარვეზი საერთოდ დამახასიათებელია და ეს იმითაა გამოწვეული, რომ სამწუსაროდ მეცნიერება ჯერ კიდევ მთლიანად არ იცნობს ხალხში გავრცელებულ ტერმინებს, მცენარეთა სახელებს, მათს სინონიმებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იხმარება. ამ მხრივ ყველაზე უფრო სრულყოფილად ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონი“ მიგვაჩნია, რომელიც დაფუძნებულია დიდი ლექსიკოგრაფების: სულხან-საბას, ნ. და დ. ჩუბინაშვილების, რ. ერისთავის ლექსიკონებზე, აგრეთვე ხალხში გავრცელებულ



ბულ უნდიდრეს ლექსიკურ მასალაზე. მიუხედავად ამისა როგორც სხვა სამედიცინო ძეგლების, ასევე ფემბასეული ხელნაწერის ანალიზით ირკვევა, რომ ჭერ კიდევ არის სიტყვების მთელი რიგი, რომელთა განმარტება კვალიფიციურ გამოკვლევას ელოდება. მისასალმებელია, რომ უკანასკნელ ხანს ჩამოყალიბდა მცენარეთა სახელწოდებების შემსწავლე

ლი დარგი — ფიტონიმია. ვიმედოვნებთ, ეს სიახლე ხელს შეუწყობს არა მარტო მცენარეთა სახელების შესწავლას, არამედ სამკურნალო მცენარეების სახელთა გამოვლინება-დადგენას და ერთიანი დარგობრივი ლექსიკონის შედგენას, რაც ესოდენ სასარგებლო და საშური საქმეა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი ქართველი მედიკოსის სტეფანე შარიმანის ძე ლომინაშვილის (შარიმანაშვილი) — (1766-1826) ღვაწლი, რომელიც მან დასდო სამკურნალო მცენარეთა ლექსიკონის შედგენას. სამწუხაროდ, ამ სიყურადღებოსა მხოლოდ მკვლევართა ციწი წიგნი იქნობს. მთავარად მოესხენებათ, რომ ს. შარიმანაშვილი ბოტანიკური ლექსიკონის ავტორია, მაგრამ არ გვევლება ჩვენს დროში გამოცემული წიგნი, რომელშიც ეს საოცრად საინტერესო ნაშრომი იყოს მითითებული. არადა, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ წიგნის მეშვეობით ბევრი საინტერესო და უცნობი ტერმინის დადგენა იქნება შესაძლებელი. ნაშრომი ავტორმა 1818 წლის 20 ივნისს დაასრულა. იგი დაწერილია სომხურ ენაზე და ამჟამად მატენადარანში ინახება (№ 6267). ეს არის ვრცელი, თითქმის 1000 გვერდიანი გამოკვლევა. მასში შეტანილია საქართველოსა და სომხეთში გავრცელებულ მცენარეთა 110 ოჯახის 1200 სახე.<sup>4</sup> ამ ლექსიკონის ღირებეზზე საკმარისია გავიხსენოთ ერთი ადგილი პ. იოსელიანის წიგნიდან: სტეფანე შარიმანაშვილმან „შეადგინა ლექსიკონი ბოტანიკური მცირე ბალახთა და მცენარეთათვის სამკურნალოთა. შემდეგ იოანე მეფის ძემან დაურთო ესე თვისგან ქმნილსა ლექსიკონსა. ნ. დ. ჩუბინოვმან შეიტანა ლექსნი ესენი თვისსა ლექსიკონსა, რომელიც დაბეჭდა შემდეგ დავით ჩუბინოვმან“.<sup>5</sup>

ამგვარად, ს. შარიმანაშვილის ნაშრომი ლექსიკონების შესადგენად მე-19 საუკუნის ქართველ მეცნიერებს გამოუყენებიათ, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს არ აქვს მითითებული, სახელდობრ, რომელი ტერმინი მიეკუთვნება მათი წინამორბედის კალამს.

4 ს. შარიმანაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე დაწერილებით იხილეთ ჩვენი „ტრაქტატის თანავეტორი“. ბათუმი. 1983. გვ. 96-115.

5 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა თბ., 1936, გვ. 195.

ს. შარიმანაშვილი ნამდვილი პოლიგლოტი იყო. მშობ-  
ლიური ქართულის გარდა იგი ზედმიწევნით ფლობდა სომ-  
ხურ (როგორც ვთქვით წიგნებსაც წერდა ამ ენაზე), აგრე-  
თვე ლათინურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, ბერძნულ და  
ებრაულ ენებს. საყურადღებოა, რომ მის ნაშრომში ყველა  
მცენარის სახელს თან ახლავს ამ ენების შესატყვისი ტერმი-  
ნები. ს. შარიმანაშვილი რუსულის მცოდნეც იყო. ამის შე-  
სახებ საინტერესო ცნობას ვხვდებით ჟურნალ „რუსსკი არ-  
ხივში“, სადაც ნათქვამია, რომ თურქულ ენას ს. შარიმანა-  
შვილი ასწავლიდა კავკასიის არმიის მთავარსარდალს ნ. ნ.,  
მურავიოვს (1794-1866).<sup>6</sup> ბუნებრივია, ეს შეუძლებელი იქ-  
ნებოდა რუსული ენის ცოდნის გარეშე.

\* \* \*

იხე. როგორც სხვა ქართული სამედიცინო ხელნაწერე-  
ბი, ფეშბასეული კარაბადინიც ძირითადი საოჯახო წიგნი-ცნო-  
ბარია, რადგანაც მასში ვხვდებით ცნობებს პროფილაქტიკის,  
დიაგნოსტიკის, ბალასეულისა შეგროვების, ცალკეული სატ-  
ყუების ახსნის, წამლების დამზადების წესების. აგრეთვე  
ასწავლობდა მოვლის შესახებ.

ბევრგან დამბასეული ხელნაწერის ავტორი იძლევა გა-  
ფრთხილებას, რათა წამლების არასწორმა მიღებამ არ გამოი-  
წვიოს ქართულმა. სიტყვით დაავადების დროს ავტორი გვი-  
რჩევს სოროსანის მიღებას, ამასთან გვაფრთხილებს: „...მარა  
ცოტა ქეჩი, ბეგრის დაღევა საფაფერაჲო არის“ (გვ. 1). ასე-  
ვე პაძმას სობრშავის (ქსეროფთალმიის) დროს მკურნალი  
გვირჩევს ავადმყოფს ავალში ჩავეწვეთოთ ზოთში გახსნილი  
აილანი (ჩვენი აზრით უნდა იყოს ჩოლანი), ამასთან იძლევა  
გაფრთხილებას, რომ „ზაფხულში (ალბათ, ცხელ დღეებში,  
რ. ს.) ნუ იზამთ, ან შემოდგომაზე უქენით ან ზამთარში“  
(გვ. 14).

საკმაო ადგილი უკავია დაავადებათა თავიდან აცილების  
მეთოდებს. ამ მიზნით მკურნალი ხმარობს სამკურნალო საშ-

<sup>6</sup> Русский архив, № 1. 1894, с. 33.



უალებებს, რომელსაც აქვს როგორც პროფილაქტიკური, ისე სამკურნალო მნიშვნელობა. ასე მაგალითად, თვალზე თეთრი ლიბრის გადაკერისას მკურნალი გვირჩევს თვალში ჩავაწვეთოთ წურბელას სისხლი, რომელიც „თვალზე რომ თეთრი ქონდეს გადაკრული, იმასაც გადაართვამს, არც ბალანს ამოუშვებს თვალში“ (გვ. 14). ასევე ბავშვის ავი ზნის დროს, როცა ის მიწას ჭამს, მკურნალი გეთავაზობს შემდეგ მეთოდს: „თევზის ნაღველი მიწაში გაურიე და აჭამე და მიწას აღარ ჭამს“ (გვ. 47). მკურნალის აზრით, თრიაქი (ოპიუმი, ხაშხაში) ითვლება სასუნთქი გზების დაავადების თავიდან ასაცილებელ საშუალებად: „თრიაქი კაცს ცხვირზე დასცხე, სნებაში რომ შევიდეს არ შეეყრება“ — ამბობს ავტორი (გვ. 6.).

ფემბასეულ ხელნაწერში საკმაო ადგილი უკავია დიაგნოსტიკის ელემენტებს. დაავადების მიზეზთა გამოცნობის მიზნით მკურნალი კვლავ სამკურნალო საშუალებებს — საკმელს ან სასმელს იყენებს. ერთგან ავტორი ეხება კბილების ტკივილს და გვირჩევს: „კაცს რომ კბილები სტკიოდეს და არ იცოდეს თუ სიგრილით იყოს, ცივი წყალი იბუგოს, თუ ემწოს სიგრილით იქნება, თუ იამოს სიმხულით იქნება“ (გვ. 2). დიაგნოზის დასასმელად და პროგნოზისათვის მკურნალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შარდის ხასიათს (ფერი, გამჭვირვალობა, ნალექი და სხვ): „შარდი ნახე ავანდყოფის, საღამოჟამს შეინახე დილამდე, დილას ნახე შავი ღრუბელი თუ ქონდეს, მოკდეს, თუ თეთრი ჩაწვა, მოწამლულია, თუ ვარდისფრად ჩაწვა სიმხურვალისგან არის, თუ ქვარტლის ფერით ჩაწვა, ბალღამისგან არის, თუ მწვანეთ ჩაწვა, ღვიძლი სტკივა, წმინდა წითელი შარდი იყოს, ნათვალყბია, თუ ყვითლათ ჩაწვება, სიმხურვალისგან არის“. (გვ. 57).

დაუჯერებელი, მაგრამ მაინც საინტერესოა ფემბასეულ ხელნაწერში მოცემული ნაყოფის სქესის გამოცნობის წესი, რაც ხალხში ახლაც არის გავრცელებული და ზოგს სჯერა კიდევ: „დედაკაცი რომ ორსულათ იყოს, გინდა შეიტყო ვაჟია თუ ქალი: ერთს ფინჯალში წყალი ჩაასხი, ზედ იმ ორსულმა რაქე დააწვეთოს, თუ ქვეშ დაილექოს ქალია, თუ ზეით მოირთვას ვაჟია“ (გვ. 47).

ხელნაწერში განსაკუთრებული სიზუსტით არის მოცემული ახალშობილის მოვლის წესები, რაც სხვა ხელნაწერებში ნაკლებად გვხვდება: „ყმაწვილი რომ დაიბადოს. ეს წამლები უნდა წააყარო: დანაყე ენდრო, სამი რაკის თვალი მონცრო, წითელი ფუფალი, ესენი ყველა წმინდათ დანაყილი, რომ დაბან დააყარე. თავს და პირზე ნუ წააყრი, თბილ წყალში ლაყე კვერცხი ჩაასხი, ცოტა შინდის ტყლაპი გამოსდე. ის ყმაწვილი ისე დაბანე და მერე ეს წამლები წააყარე“ (გვ. 67).

ფემბასეულ კარაბადინში გვხვდება წამლების შეგროვებისა და დამზადების წესებიც. ასე მაგალითად, ავტორი თვლის, რომ თუ იორდასალემს შვიდ მარტს მოვთხრით, დაენაყავთ, წყალში შეეზილავთ და ადამიანს ვაჭმევთ „მრავალს სენსა და სნეულებას დაკარგავს“ (გვ. 10).

ავტორი გვიჩვენებს, მედიკამენტები და სხვა სამკურნალო საშუალებები ვეძებოთ არა მარტო იქ, სადაც წესით ისინი უნდა იყოს, არამედ სხვაგანაც. სადაც ესა თუ ის ელემენტი სამეურნეო მიზნით გამოიყენება, ან იყიდება; ასეთია მაგალითად, ჯოლანი (ჩოლანი), „ერთი წამალია, მეწრიმლეს ექნებაო“ (გვ. 14) — გვიჩვენებს ავტორი.

ფემბასეული კარაბადინი სხვა ხელნაწერებისაგან გამოირჩევა წამლების დამზადების წესების დეტალური აღწერით, რომლის დროს გათვალისწინებულია ნედლეულის წონა, დამუშავების წესი და ა. შ. „თუ ჯულაბი გინდოდეს. ბევრი თუთხმეტი ტუტის ძირი ამოიღეთ, შვიდი ღრამი ხიაშამბარი გაურიეთ, დანაყეთ, დაასხით წყალი, გაასწორეთ, დალიეთ, ჯულაბი იქნება, უწყინარია“ (გვ. 26, 27). და შემდეგ: „მაყვალნი რომ ამოვა, ის მაყვალნი თავს გადმოირგამს, იმ გადანარგავს, თავი მიწაში მოუძებნე, ფესვის ჩინჩხრები მოძებნე მიწაში, ამოიღე“ (გვ. 70).

ხელნაწერის ავტორმა კარგად იცის, რომ ზოგი მცენარის ნაყოფი შეიძლება მოვიპოვოთ არამარტო ზაფხულში, არამედ ზამთარშიც, ამიტომ კარაბადინში პირდაპირ მითითებულია, რომ მისი შეგროვება ყოველთვის შეიძლება. ასეთ მცენარეთა შორის ავტორი ასახელებს ასკილს: „კაცს თუ ქალს შარდი მოკავებული ქონდეს, დანაყე წითელი ასკილი,

ზამთარსაც ასხია, ზაფხულსაც, დაასხი წყალი, ჩადევი ფარა, ცოტახანს აცალე, საშკერ ასვი, უშველის“ (გვ. 67). ცხელებიანი კაცის სამკურნალოდ მკურნალი გვირჩევეს ვისმართ დილით მოკრეფილი ტირიფის ფოთოლი (გვ. 72).

ზოგ შემთხვევაში ავტორი პირდაპირ ვერ გვეუბნება მცენარის სახელს, მაგრამ მისი გარეგნობა, როგორც ჩანს, ემპირიულად იცის, ამიტომ ცდილობს სხვა ბალახის მსგავსებით გაგვაგებინოს ამა თუ იმ მცენარის გარეგანი აგებულება: „კატის ძუძუს გავს, ბაღში ყვითლათ აყვავდება, ჩინჩალი გამოესხმის, ის დანაყე, შაბი დააყარე და ჩაქმულს ღრძილებზედ და კბილებზე დაადევი“ (გვ. 2.). სხვაგან ასეთ ფრაზასაც შევხვდებით: „თვალი რომ კაცს უხდებოდეს და წითლათ ქონდეს, დედოფალა ბალახი რომ არის მეორე, მსუქანას გავს, წითელი ღერი აქ, ესენი ორივე ერთათ დანაყე, წითელი სანდალი გაურიე და თვალზე ადევი, მოუხდება“ (გვ. 39).

სხვა ხელნაწერების მსგავსად ფემბასეულ კარაბადინშიც ვხვდებით მომზადებული წამლების ღამე გარეთ ვარსკვლავზე გადგმის წესს: „ქალს რომ შვილი არ რჩებოდეს და სწული შვილი ებადებოდეს, ნიგზის ყვითელი კორფლი გალესე წყალში, ჩაასხი კვაწიაში, ცა რომ მოწმენდილი იყოს, მიაკარი ის კვაწია, რაშიც ის ნიგზის კორფლი იყოს, იმ ნიგოზზე დანა ზედ დაადევი, თავმოხდილი იყოს, იმ ღამესა მასკლავი კრიფოს, დილას ჩამოიღე, თვეში რომ ქალი იდგეს, საპს დილას ასვი უზმოს“ (გვ. 68). და შემდეგ: „თუ კაცმა ბევრი ღვიწრო დალიოს და აწყინოს, პირი გაუყვითლდეს და გაუსივდეს, მისი წამალი: ინა წყლით აღულე, დადგი, დაწდეს, იმაში შაქარი (...) და ნუშის ზეთი გაურიე, ერთ ღამეს კარში დადგი და დილას ასვი და უშველის“ (გვ. 3). საყურადღებოა, რომ ღამეცის ქვეშ წამლის დადგმის წესს მიმართავს ზაზა ფანასკერტელიც (გვ. 642 ახ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერის ავტორი ცდილობს მკითხველს აარიდოს უცხო სიტყვები, მაგრამ თუ ზოგჯერ მათი ხმარებისაგან თავს ვერ ითავისუფლებს, თვითონვე გვთავაზობს უცხო სიტყვის განმარტებას. 26-ე გვერდზე ავტორი ამბობს: „პირიღამ დენას იარყნი ქვიანო“. 29-ე გვე-

რღზე მოხსენებულთა ფისის სახელი: „ყართნი ქვია — ფისიც, ის რომ სიმსიენის ალაგს სცხოთ, სიმსიენეს დააცხრობს“; საყურადღებოა, რომ ეს ტერმინი არც ერთ სხვა სამკურნალო წიგნსა და ხელნაწერში არ შეგვხვედრია.

ხელნაწერის ავტორი საკმაოდ პუნქტუალურია. ის ცდილობს კარაბადინი გაათავისუფლოს ზედმეტი სიტყვებისაგან, რითაც წინადადება ყველგან იმდენად ლაკონურია, რომ ტექსტში ყოველთვის გასაგებია წამლების მოპოვების, მომზადებისა და ხმარების წესები. გამონაკლისია მხოლოდ ერთი ადგილი (გვ. 74), სადაც არ არის მითითებული მომზადებული წამლის მიღების წესი შარდის შეკავების დროს. საყურადღებოა, რომ აქ დასახელებული წამლები (თხის ბუშტი, ქარვა, კამის ძირი, ასკილი, ფარა) შარდის შეკავების დროს იხმარებოდა როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებშიც. ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც ლაპარაკია ვეტერინარიაზე.

ავტორი ერიდება ერთი და იგივე დაავადების მკურნალობის მსგავსი მეთოდების განმეორებას, მაგრამ ხელნაწერში ორ ადგილას მაინც არის ასეთი შემთხვევები (გვ. 79). რაც იმის შედეგი უნდა იყოს, რომ კარაბადინი რამდენიმე პირის მიერ არის გადაწერილი.

ფემბასეულ ხელნაწერს ახასიათებს წამლის მოსამზადებელი ნედლეულის სიმრავლე, რაც ძირითადად არ სცილდება ნორმის ფარგლებს, მაგრამ ერთგან წამლის შემადგენლობა იმდენად რთულია, რომ საქმე კურიოზამდე მიდის. 61-62 გვერდებზე საყმაწვილოს სამკურნალოდ ერთი წამლის შემადგენლობაში შედის 33 დასახელების ნედლეული. მათ შორის: სათვალე მარჯანი, მარგალიტი, ოქრო, ვერცხლი, გიშერი, ქარვა და სხვ.

ხელნაწერში საკმაო ადგილი უკავია შელოცვებსა და თილისმებს. თელიან, რომ ისინი მოკლებულია სამკურნალო ღირებულებას, მიუხედავად ამისა ჩვენ მათ ხარჯზე ტექსტი არ შეგვიპოვებია და უცვლელად დავტოვეთ, რადგანაც შეუძლებელია უარყოფით მათი როლი შთაგონებით მკურნალობაში. გარდა ამისა მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ოსმალთა გაბატონებამდე აჭარის ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით. თილისმებად ავტორი გვიჩვენებს გამოვიყენოთ: იორდასალემი

(გვ. 10), მეღამურის ჭონი და გული (15), ხარის რქის ბეჭედი (17), მელიას კბილები (20) ავადმყოფისავე სისხლში გასვრილი ისარი (21), ქარვა (27), გველის პერანგი (32), ობობა და მისი ქსელი (33), კაკბის ნაღველი და მუშკი (48), გველის კბილი და თვალი (50), მტრედის შვილი გამხმარი (53), ნახშირი (63), ჩახმანის ტალი (79) და ა. შ.

მაგიური ხასიათის საშუალებების გამოყენების მაგალითებს ვხვდებით ძველი ბაბილონის მედიცინაში. ავადმყოფებს აძლევდნენ თავის ენას, ყვითელი ხარის ყურს, ფოცხერის თმებს და ა. შ.

საქართველოში კარგად არის ცნობილი, თუ როგორ იყენებდნენ გველის სორცს გონების გასანათლებლად, გველის თვალს — სასწაულების მოსახდენად. ამ შემთხვევაში გველი გათანაბრებულია ოქროსთან, ვერცხლთან, მარგალიტთან, გიშერთან და სხვა ძვირფასეულობასთან, რომლებსაც დევები და გველეშაბები იცავენ. გველი ვარდაიქმნება თვალ-მარგალიტად. პირიქითაც ხდება. ჩვენს მიერ ზემოდასახელებული „კურიოზული“ რეცეპტი, შესაძლოა ქართული კლასიკური ძეგლების „ვეფხისტყაოსნის“, „გველის მკამელის“, „ხოგაის მიჯნის“ შესაბამისი ადგილის ანარქული იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფემბასეულ კარაბადინში განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული ცხოველური პროდუქტები და ცხოველთა გამონაყოფები (შარდი, ნეხვი და სხვ). რაც ესთეტიკურად სრულიად გაუმართლებელია და ავადმყოფიც უარს ამბობს მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში ავტორი ცდილობს წამალი ისე მიაღებინოს ადამიანს, რომ მან არ იცოდეს წამლის შემადგენლობა: „კაცი მუცელში შეკრული იყოს ან მკვალს დესვას, ქათმის სკინტლი ან კარქს ღვინოში გახსენი, ან კარქს ძმარში გასწურეთ, ასვით მკვალს ლაყენებს. იმ კაცმა არ უნდა იცოდეს. მისწრება არის“ (გვ. 31, 32) და შემდეგ: „მოწამლულისათვის და შეკრულისათვის: „კუროს ხირხიმალი ერბოში შეწვი, შეკამოს, უთხარა იყო, იმან გითხრას: მე არ ვიცი; შენ უთხარი ეღერის სორცი იყო“. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავადგინეთ რას ნიშნავს სიტყვა „ელერი“.

არამარტო ქართული, არამედ მსოფლიოს მედიცინის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია თქმულება ჰეკატეს სახელგანთქმულ ბაღზე. ლეგენდის მიხედვით, იგი გაშენებული იყო მდინარე ფაზისის ქვემო წელში, გარს შემოვლებული ჰქონდა ცხრა საყენის სიმაღლის ღობე, ხოლო შესასვლელს იცავდა საშინელი არტემისიო. აქ, როგორც ცნობილია, მოშენებული ჰქონდათ სამკურნალო მცენარეთა რამდენიმე ასეული სახე. თვით ჰეკატე, მისი მოწაფეები მედეა და ცირცეა ამ მცენარეთაგან დამზადებული წამლებით სასწაულებს ახდენდნენ. ჰეკატეს ბაღის მცენარეთაგან ბევრი დღესაც გამოიყენება მეცნიერულ მედიცინაში. დავასახელებთ ჩვენთვის ცნობილ მცენარეებს: ალისარჩული, ანაგვირილა, ასფოთოლა, ბაბუნა, ბაღბა, ბეგქონდარა, გვიმრა, გონგოლა, ვენერას თმა, ვერბენა, ზაფრანა, თავშავა, იელი, ილი, იორდასალემი, იფნურა, კამა, კატაბალახა, ლავანდი, მანდრაგორი, ნარდი, პაპირი, პიტნა, სალბი, ტილჭირი, ურიში, უცუნა, ფრინტა, ქალაღის არალია, ღვია, ყაყაჩო, ყოჩივარდა, შმაგა, ცერცველა, ძალლყურძენა, ხანჭკოლა, ხარისძირა (მათი რუსული და ლათინური შესატყვისები იხ. დანართში).

საყურადღებოა, რომ აპარაში ამ მცენარეთაგან დღესაც გამოიყენება სამკურნალოდ ანაგვირილა, ასფოთოლა, გონგოლა (ცოცხა), თავშავა (ისხანი), კამა (ცერეცო), ღვია (ოდალაჯი), ძალლყურძენა, ხანჭკოლა და ხარისძირა. ამათგან გვირილა, კამა, ძალლყურძენა, ხანჭკოლა და ხარისძირა შეტანულია აპარაში აღმოჩენილ კარაბადინებში (აგარელი, ფემბა).

ამ მხრივ საინტერესო ცნობა მოგვაწოდა შუახევის რაიონის სოფელ ჭალის მცხოვრებმა მენშურ დიასამიძემ (დაბად. 1925 წ.). იგი იცნობს მცენარე ასფოთოლას, რომლის ნახარშით მკურნალობს მენსტრუალური ციკლის მოშლას. ამავე ინფორმატორმა მოგვაწოდა საყმაწვილოს მკურნალობის (მაჩიამბელას, მაძალი ტაბელას და სხვ. მცენარეების ნახარში აბაზანებით), აგრეთვე ბავშვთა უმადლობის საკუთარი მეთოდები.

ფემბასეული ხელნაწერის მცენარეული სამკურნა-

ლო საშუალებები შედარებულია ქართულ კლასიკურ სამედიცინო წიგნებთან და აგარელის ხელნაწერთან სპეციალურ თავში, „მსგავსება სხვა ქართულ კარაბადინებთან — პარალელები“. ყველა მათგანთან, როგორც მოსალოდნელი იყო ვნახულობთ უპირავ მსგავსებას, რაც ქართული ხალხური სამკურნალო მეთოდების ერთიანობაზე მიუთითებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორი ადგილი ფემბასეული კარაბადინიდან, რომლებიც უნდა განვიხილოთ არა როგორც ჩვეულებრივი პარალელი, არამედ თითქმის უცვლელი განმეორება ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნიდან“ და დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდიდან“, ამიტომ ეს ადგილები საგანგებო შედარებას იმსახურებენ:

ზაზა	ფემბა
<p>„თუ კაცმან ბევრი ღვინო სვას, აწყინოს, პირი გაუყვიოდეს და გაუსივდეს, მისი წამალი: აიღე ინა და წყლით ადუღე. მერმე დაღვე, რომ დაწმდეს და გაურჩე ტაპარზი შაქარი და ნუშის ზეთი და ერთსა ღამესა ცასა ქვეშ დადგი და დილასა შეასუი და უშველის“ (გვ. 642).</p>	<p>„თუ კაცმან ბევრი ღვინო დალიოს და აწყინოს. პირი გაუყვიო (თლდეს) და გაუ(სივდეს) მისი წამალი ინა წყლით ადუღე და დადგი. დაწდეს იმაში შაქარი და ნუშის ზეთი გაურჩე ერთ ღამეს კარში დადგი და დილას ასვი და უშველის“ (გვ. 3).</p>

როგორც ვხედავთ, მსგავსება მართლაც რომ საოცარია. შეუძლებელია ფემბასეული კარაბადინის გადამწერს, ან ავტორს ეს ადგილი ჩაეწერა ზაზას სამკურნალო წიგნის, ან მისი მოგვიანო ვარიანტების უქონელად. საიდან შეიძლებოდა მოხვედრილიყო აქარაში ზაზა ფანასკერტელის ხელნაწერი? ის ხომ 1479-1505 წლებს შორის დაიწერა, ხოლო 1709 წელს განაახლა და აკინძა ვახტანგ VI. შემდეგ ხელნაწერი ქართლის მეფესთან ერთად რუსეთში მოხვდა. 1737 წელს, ე. ი. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ იგი ჯერ უფლისწულ ბაქარის კუთვნილება იყო, ხოლო შემდეგ მისი შვილიშვილის გიორგი ალექსანდრეს ძის ხელში გადასულა. 1852 წელს, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მეცნიერები (მ. შენგელია) ვარაუდობენ, ხელნაწერი შესანახად გადასცეს ქ. ნიუნი-ნოვ-

გოროდის (ახლანდელი გორკის) არქივს, სადაც მთელი საუკუნე ხელუხლებლად იდო. 1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის წევრმა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა თორნიკე ჭყონიამ ამ არქივში აღმოაჩინა ზაზას ხელნაწერი და იგი საქართველოში ჩამოიტანა. ამჟამად ინახება ს. ჯანაშიას სახელობის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.<sup>7</sup> მისი მეორე ნაწილი 175-დან 684 ფურცლამდე 1950 წელს გამოსცეს პროფესორებმა ი. აბულაძემ და კ. გრიგოლიამ (რედაქტორი პროფ. მ. სააკაშვილი), ხოლო პირველი ნაწილი 1959 წელს პროფ. მ. შენგელიამ. ამ უკანასკნელმა მეორედ, 1978 წ. გამოკვლევიდა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ ორივე ნაწილი ერთად, ხოლო 1987 წ. კვლავ ცალ-ცალკე, პირველი და მეორე ნაწილი.

თუ გავიხსენებთ ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის თავდაპირველ საცხოვრის, სამხრეთ საქართველოს (ტაოს, ფანასკერტს, შავშეთს), რომელშიც ერთ დროს აჭარაც იყო გაერთიანებული, როგორც უშუალოდ მომიჯნავე პროვინცია, აგრეთვე ზაზას აჭარელ თანამოგვარეთა (შესაძლოა ახლო ნათესაეთა) გადმოცემას, მათი შავშეთიდან თუ ტაო-კლარჯეთიდან აჭარაში გადმოსახლების შესახებ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კარაბადინის ნაწილი, ან მისი ერთერთი ვარიანტი. ფანასკერტიდან აჭარაში ჩამოიტანეს გადმოსახლებულმა ციციშვილებმა, რომლებიც შუახევის რაიონის სოფელ ცხემლისში ამჟამადაც ციციანებად, ხოლო ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში ციციანიძეებად იწოდებიან (ამ უკანასკნელთა წინაპარია გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი ცნობილი ხასან ციციშვილი). როდის შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? ალბათ სწორედ მაშინ, როცა დიდი მკურნალის და ბრძენთმთავრის, ზაზა ფანასკერტელის მთელი სახლეულობა გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო ტაოდან შიდა ქართლში, ძამას ხეობაში, კერძოდ სოფელ ზოვრეთში გადასახლდა. ეს კი მოხდა მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში.

ასეთივე ინტერესს იწვევს ფემბასეული ხელნაწერის მე-

7 Q ფონდი, საბ. № 877.



ორე ადგილი, რაც ასევე თითქმის მთლიანად ემთხვევა დავით ბაგრატიონის მკვ. ანალოზის მეთოდს:

დავით ბაგრატიონი	ფეშბა
„ვინცა ორი დანგი ამა ტიტის თესლი ჭამოს, სისხისათვის მწოვედ კარგი არის და რაცა კაცის ტანშიცა ყუითელი წყალი და წალა დგას, ყუელასა გასწმენდს და გააქარებებს“ (გვ. 403).	„ვის(ა)ც ორი დანჯი ტიტის თესლი დაღეჟოს და ჭამოს სისხლისთვის მწ(ო)ვედ კარგია. კაცს ტანში რაც ყუითელი წყალი აქ გა(ა)ქ(ა)რებებს“. (გვ. 36.).

როგორც ვხედავთ, არც ეს არის უბრალო მსგავსება, აქაც ტექსტი ამჟღავნებს გადაწერილი უნდა იყოს, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ფეშბა გვირჩევს ავადმყოფს თაფლით ვაჭამოთ ტიტას თესლი. გარდა ამისა გადამწერს დაშვებული აქვს შეცდომა — ნაცვლად სიტყვისა „სისხისათვის“ (სისხა), რაც სისხლიან ფაღარათს ნიშნავს, ნახმარი აქვს სიტყვა „სისხლისთვის“. მაგრამ ეს კორექტურული შეცდომაა და პრინციპული მნიშვნელობა არცა აქვს, რამეთუ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე დაავადების ნიშანია ნაგულისხმები. გაურკვეველი რჩება მხოლოდ ერთი რამ: საიდან შეიძლება მოხვედრილიყო მე-18 საუკუნეში აჭარაში დავით ბაგრატიონის ნაშრომის თუნდაც ერთი აბზაცი მაშინ, როცა „იადიგარ დაუდი“ დაიწერა 1579-1585 წლებს შორის თბილისსა და სტამბოლში, „აღმოჩნდა და შექმნილია სახ. მუზეუმის მიერ 1928 წელს და ის დღემდე შეიძლება ითქვას, არავის უნახავს, არამც თუ აუწერია“<sup>8</sup> დედანი დაკარგულია. ჩვენამდე მოადღწია გადაწერილმა ვარიანტმა, რომელიც 1938 წელს გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა.

საყურადღებოა, რომ ბოლო დრომდე უცნობი იყო „იადიგარ დაუდის“ ახლად აღმოჩენილი ვარიანტის გადამწერის ვინაობაც. მხედველობაში გვაქვს აწ განსვენებული პროფესორ ვ. ალადაშვილის ოჯახის კუთვნილი ხელნაწერი, რომელიც დღეისათვის ყველაზე სრულყოფილ ვარიანტად ითვლება. ლ. კოტეტიშვილის მიერ გამოცემულ ხელნაწერთან შედარებით იგი 30 ფურცლით მეტია. მკვლევარმა სოკრატ

8 დ. ბაგრატიონი. იადიგარ დაუდი. თბ., 1985, გვ. 34.

სალუქვაძემ სარწმუნო წყაროებით დაადგინა, რომ „იადიგარ დაუდის“ ალადაშვილისეული ვარიანტი, ლ. კოტეტიშვილის მიერ გამოცემულთან შედარებით, გადაწერილია თითქმის ერთი საუკუნით გვიან, ხოლო გადამწერი ნიკოლოზ ალექსის ძე მესხიშვილი გახლავთ,<sup>9</sup>

როგორც ვთქვით „იადიგარ დაუდის“ დედანი შემონახული არ არის. საქართველოს სსრ ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის არქივში.<sup>10</sup> ლაღო კოტეტიშვილის მოღვაწეობის პერიოდში ინახებოდა ხელნაწერი, რომელიც დედნიდან ყოფილა გადაწერილი როსტომის მეფობის (1634-1658) დროს. ამის შესახებ გვაუწყებს არშიაზე მინაწერი: „აწ ამა მალამებისა, ამ დედას წიგნშიგა (დედანში) ვერცა თავისა და ვერცა ბოლოსა ვერ შევიტყვევ, თუ სხვა სად ეწერა. სამოფურცელი ცუდად ეგდებოდა და რაც იმაშიგა ეწერა უკლებობისათვის აქ დაწვერეთ. როსტომ მეფის ბედნიერებითა ქალღმერთი ბევრი იყო და სხვას არას დავზარდით და აქ დავსწერეთ და რაცა აკლდეს თუ სხვაგან იპოვოთ თქვენ ჩაუმატეთ, ალაგი აქუს“.<sup>11</sup>

სამწუხაროდ, გადამწერი არ გვაძეცნობს თავის ვინაობას. როგორც ცნობილია, როსტომ ხანის მეფობის დროს თბილისში მოღვაწეობდა მწიგნობარი, მღვდელ-მონაზონი და გადამწერი მარკოზ აჭარელი, რომლის კალამს მრავალი აპოკრიფული და აგიოგრაფიული კრებული მიეკუთვნება. იგი ძალზე ახლო ურთიერთობაში ყოფილა მარიამ დედოფალთან და ელისე თბილელთან. ხომ არ არის „იადიგარ დაუდიც“ მისი გადაწერილი? ამის დადგენა არც თუ ისე ძნელია, თუ მოხდება მარკოზის მიერ გადაწერილი საბუთებისა და „იადიგარ დაუდის“ კალიგრაფიული შედარება. თუ ჩვენი ვარაუდი დადასტურდება, მაშინ გასაკვირიც არ იქნებოდა არა მარტო ერთი აბზაცის, არამედ მთელი ხელნაწერის ვარიანტებიც რომ აღმოჩენილიყო აჭარაში, რადგანაც მარკოზ აჭარელის

<sup>9</sup> გაზ. „წიგნის სამყარო“, 23 ოქტომბერი, 1985.

<sup>10</sup> Q კოლექცია, ფონდი № 270.

<sup>11</sup> დ. ბაგრატიონი... გვ. 37.

ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ამ მხარესთან.<sup>12</sup>

ახლა მოკლედ იმ ზოგად განმასხვავებელ ნიშნებზე, რომლებზეც შევნიშნეთ ფემბასეულ ხელნაწერსა და აგარელის „მცირე კარაბადინს“ შორის.

ფემბასეულ ხელნაწერში იგრძნობა ცხოველური სამკურნალო საშუალებების სიუხვე, ნედლეულის დამუშავებისა და მომზადებული წამლების ხმარების წინ აუცილებელი იყო მათი აწონვა, რაც აგარელის ხელნაწერში თითქმის არ გვხვდება. სამაგიეროდ ამ უკანასკნელში მხოლოდ ორიოდ აღვიღოთ გვხვდება „ღვთით შევლა“, ფემბასეულ კარაბადინში კი თითქმის ყველა დაავადების მკურნალობა ბოლოვდება ამ მოწოდებით, გარდა ამისა მკურნალობის მიზნით ხშირად გამოიყენება შელოცვა, თილისმა და რელიგიური რწმენის შემცველი სხვა რიტუალები.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აგარელისა და ფემბასეულ ხელნაწერებს შორის განსხვავება არაარსებითია, ისინი ერთმანეთს ავსებენ. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ისინი ერთმანეთის გაგრძელებას და ერთ ნაშრომს წარმოადგენდნენ. ამიტომ, საჭიროა მათი გაერთიანება და მკითხველისათვის ერთ ნაწარმოებად მიწოდება.

---

12 დაწვრილებით იხ. ჩვენს „ვინ იყო მარკოზ აქარელი?“ სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები. ტ. IX. ბათუმი. 1978. გვ. 173-184.

## ფეხასეული ხელნაწერის ფეხსვი

r1(1)\*

...ცოტა სხმარტლის ცილი ესენი ყ[ველა] ჩაყარე ძმარში, თუკი ძმარი იყ[ოს ცო]ტა წყალი გაურიე, აღუღ[ე], ს[ა]მჯელ გად[მო]დგი, ნელთბილი პირში იბუგე ნავახ[შ]მევს, ნასად[ლ]ევს.

ქის წამალი: ხვარ[ა]სანი დანაყე, წყალში ჩაყარე, შაქარი ურთე, აღუღე. უზმით ასვი, შარ[ა] ცოტა ქენი, ბევრის დალევა საფათ[ე]რაკო არის, თხოპონტრას კაკალი ხ...როს\*\* გავს, უკეთესი ხასიათი აქვს.

კიდო ქისათვის: სათალი ატამის შტო მოსჭერით, გარეთ შავი კანი გა[ა]ცალეთ, შიგნი ყვითელი ცილი დაფხიკეთ. წმენდათ დანაყეთ, ცოტა შაბი შეან[ა]ყე, გაწურეთ, ასვით, დიდ[ა]ს უზმით.

v<sub>1</sub>(2)

/// [ვა]ცის ქონი და ერბო და მამალი ღორის ქონი, კვარცხის ზეთი და სანთელი და შაბი და საკმეველი ერთმანეთში აურიე და თიხის ქოთანში მოადუღე და მალამოთ იქნება. კაცს რო კბილები სტკიოდეს და არ იცოდეს თუ სიგრილით იყოს, ცივი წყალი იბუგოს, თუ ემწოს სიგრილით იქნება თუ იამოს სიმხუულ[ი]თ იქნება. კეფაზე კოტუში მოკიდეთ ცემხრით სტკიოდეს იმ მხრისკენ მკლ[ა]ვში სისხლი გართობ მისთვისვე: ნეკეკი[?] რომ დ[ა]ემართება კბილებს და დიდ[ე]ებს ჩაჭამს კბილების. დიღ გამოუჩენს, კატის ძუძუსა და ბაღში ყვითელათ აყვ[ავ]დება ჩინჩალი გამოესხმის, ის და ნაყე, შაბი დააყარე და ჩაჭმულს ღრძილებზედ და კბილებზე დადევ.

\* ფრჩხილებში ჩასმულია ხელნაწერის გვერდი.

\*\* სისხლის წვეთით გადაშლილია და არ იკითხება.

/// კბილები რომ ენძრეოდეს: თეთრი ოსპი, მწვანე] გუნდა, ბროწეულ[ის] ქერქი, შაბი უმი, ესენი [წორ[ა] და-  
ნაყე, სადაფი დაფხიკე, მარჯანი და მარგალიტი დანაყე, ქალა  
შაქარი გაურიე და ზედ კბილების ძირზე და[ა]ყარე.

//// თიაქარი რომ წამოუვიდეს და კიდევ სტკიოდეს: და-  
თვის ნალველი კიდევ დააღვეინე, კიდევ შესცხე. მისთვისვე:  
სხვილ[ი] ცერცვი მოხარშე და ფაფათ გაღესე და დათვის  
ნ[ა]ღველით თავი მოუქყეპე და შამოსღვეი, შავბალახა, უტუ-  
სუნა და ნიახური ერთ[ა]თ დანაყე, თუ გინდოდეს მოხარშე,  
თუ გინდოდეს ღორის ქონით მოხარაყე და კვერცხი და[ა]-  
ხალე და შამოსღვეი [. . .] და დათვის ნალველი  
ღვინოში გაღესე მოადულე და ასვი [. . .] ის გულ (ი)  
და დილა ჩა[ა]ყლაპე კარგია

r2(3)

/// თუ კაცმა ბევრი ღვინო დალიოს და აწყინოს, პირი  
გაუყვი[თლდეს] და გაუ[სივდეს] მისი წ[ა]მალი: ინა წყლით  
ადულე, დაადგი დ[ა]წდეს იმაში შაქარი [. . .] და ნუ-  
შის ზეთი გაურიე, ერთ ღამეს კარში გადგი და დილას ასვი  
და უშველის. [. . .] რომ ღვინისგან[ა] სტკიოდეს: ბა-  
ტკანის ღვიძლი ღვი[ნ]ით გაქენი, რომ დ[ა]დნეს] შაქარი გა-  
ურიე და ასვი, უშველის. იცოდე, რომ ღვინის ნ[ა]წყენის კა-  
ცის [ათვის] შაქრისთან[ა], მისთვის სხვა წამალი არ არის  
რა, ყოველი ღვინის ნაწყენს შაქარი უშველის.

//// თანდრუხათია ქარისთვის კარგია, ან ვარდის წყლით  
და ან წყლით უნდა წაისვას თბილ[ა]თ და ოფლი იღინოს.

/// ფაზარი სიცხისთვის კ[ა]ია წყლით გაღესოს და და-  
ლიოს. გულს რომ ეყრებოდეს და სუსტათ რომ იყოს, დალი-  
ოს, ქარისთვისაც კ[ა]რგია ნაკბენისათვისაც, გაღესე, დაცხე,  
სიმსივნისთვისაც კარგია. ჯადვარ/ი/ ქარისთვის კარგია.

/// მკვალისათვის: თუ ღვიძლის შკვალი დადგეს, გულიც  
სტკიოდეს, ჯერ ხელი გაუხსენი მერმე კვერცხები და/ა/-  
მტკრიე, შაბით მოღესე, მერმე ტყემლის ტყლაპზე გას-  
ცხე, გა/ა/თბე, სადაც მკვალი ადგეს დაადვეი, კილო ღვი-  
ნოში იაღლვაშები მოხარშე, შამოსღვეი, და/ა/ხურე და  
ოფლი ადინე.

/// კბილის რყევისათვის: ფუფალი დანაყე, გაცერი.

ღრძილებზე და[ა]ყარე, კბილები დაუშაგრდება. ვისაც ღრძი-  
ლებიდან ავი სული ამოსდიოდეს: ერბო გაათბე და ბევრჯელ  
იბუგე, იმასაც მოუხდება და კბილებს[ა]ც დაუშაგრებს. მი-  
სთვისვე: თეთრი სანთელი ლეჰოს. // სისხლ[ლ]ზე ყვანისთვის:  
შაბი დანაყე, გაცერი კვერცხის გულში ამოუკიდე. უზმოთ  
ჩა/აყლაპებდე სისხლი დაწყნარდება.

/// შორიელის ნაკბენისათვის: ტალბუნ[ი] დანაყე, დამწე-  
ნით, და[ა]დევით მისთვისვე; ქათმის საკვერცხე და[ა]დევი.

// მუცელკეთილისათვის წამალი: ტურის ნალველ[ა] ასვი,  
ტურის წელი ფეხზე შე[ე]აბი და კიდოც ასვი. დათვის ენა ას-  
ვი, რგვალი წამალი და თხის ნალველა ასვი, ჯ[ა]ოზი ასვი,  
თხის ხორცი დაუკიდე.

/// სატკბურის და თავის მ[უ]ნისთვის: ღორის ქონი კან-  
რში\* ქ[ა]ლამნის ჯღანი, ქ[ა]თ[ამ] ნ[ა]ც[ა]რი, ესენი დასწვი,  
ქვაბის განჯა გაურე, შაბით შოლესე, თბილ(ი) სცხე მეორე  
დღეს, ქ[ა]თ[ამ] ნ[ა]ც[ა]რას წვენით დაბანე თუ უნდოდეს  
კიდო.

v<sub>2</sub>(4)

[. .] შინაურის მთხილის ხე დასწვი, შავის ძრღ-  
ხის რძით (გალესე) და სცხეთ. ლოცვა სატკბურის: სახელით  
მღვთისათ[ა] მამისათა და სულის წმინდითა ქრისტემ დაკლა  
თეთრი [ხა]რი განაწვია ყოველი სული სატკბურმა არა აწვია  
სატკბურმა უთხრა[ა] მე რათ არ მაწვიეო, შენ მითხარ გაწ-  
ვიეო. შეხვალ კაცისა ტანში და ცვ[ა]რი კოკბა გ[ა]დის[არ]  
გადმოდის[არ]. გვარ მამამ და ძემ და სულმა წმინდამან არც  
ვიცი რ[ა]მ არც კოკბამ არც ავდივარ არც გამოვდივარ, ამო-  
ველ ქორს[ა]ვითა, გავხმები ქონდარივითა, ჩამოსცვინდები  
ქერის ქატოსავით, ღმერთო დაწერე შენი ჯვარი.

/// ქარცეცხლის წამალი: მარმიქს უძახიან ის კარგა დას-  
წვი, კარგა დანაყე, გაცერი, ის კვერცხის ზეთში ჩაყარე და  
ურე ზედ სცხებდი და უშველის.

\* ტექსტშია „კაპრში“, რაც წინადადებას გაუგებარს ხდის, ამიტომ  
ფიქრობ, რომ აქ მცენარე („კაპარი“) კი არა, ჭურჭელი („კარი“) უნდა  
იგულისხმებოდეს.

/// ნაღრძობისათვის: ღომი ღვი[ნი]თ მოხარზე, თბილი შემოსდევნი ყოველთვის ნაღრძობს უშველის.

// ყბა რომ კაცს ამოუყარდეს, იმასაც ჩაუგდებს და უშველის ღვინოში მოხარშული ღომი.

/// დამწვრისთვის: ბანბა და თხის ქონი სწორად ას[ე] დანაყე, წებოწყლათ გახდეს და ახ[ა]ლახ[ა]ლ დადებდე დილ[ა] საღამოს.

/// ლოცვა მუცელკეთილის: სახელით მღთისათა და მამის ძისათა სულის წმინდისთა ესსწანო წიგნი მოგეცა მე მეყარყრიტი [?] შენ ვისაც ს[ა]სმელი გინდოდეს ასე რომ არც ჩემგან და არც ჩემიანისაგან არ დაშავდესრა. ჩვენი სახელი ეს არის: ათირმანი, მათირმანი, შათირმანი, მეყარყლიტა, აზრუმელი, ტუროს[ა]ნო, შუბოსანო, წითლოსანო, წითელ ხატო უშველე წითელის მუცლი ტკივილ[ს]საგან მონას შენსა მს[ა]ხელით ვინც ეს [ლ]ოცვა დ[ა]იწეროს მის[ი] ს[ა]ხელი ჩაწ[ე]რ[ო]ს და შეიბას რომ დასწერ ნუ წააკით[ხ]ამ შებმულს.

// არდათრობისთვი[ს]: თიკნის ფილტვი [და]წვი, უზმო შექამ[ე], კარგია.

r<sup>3</sup>(5)

/// ქალს მუცელ[ი] უხთებოდეს: დანაყე დედალ[ი] მრავალ[ი]ძა[რ]ღვას ფურცელი, და[ა]სხი კვერცხი, წელზე შემოსდევნი, თბილი ყველი ჭიბზე დასდევნი, სამ დღეს ის შეკრული იყოს. უსცილოთ მორჩება, დას[ა]ლევით წ[ა]მალი: უძრავის ქვის ნატეხი, ლუქი, ქვეშნიგზისა დაალევინე, მორჩება.

/// ხველებისთვის, ცხელებისთვის: მოადუღე სანდლები, ია, ბიის გული, ძირტკბილა, რევ[ა]ნდი, ქალაშაქარი დანაყე, კისფერი გაურიე, ასვიცივ[ა]თ; სიცხეს[ა]ც გამოყრის, ხველებაზედაც\* უშველის.

/// ქარისათვის: ნაქერალ[ი] და ბზე წყლით მოხ[ა]რზე, ტანი დაბანე, ის მოხ[ა]რშულ[ი] ქვეშაც დაუგე, ზედაც დაა-

\* ჰესტრია „ხველებზედაც“.

ხურე, იმაში ოფლი აღინე, ბრინჯიანი ქ[ათ]აში აკამე.

/// თუ კაცს ფერი სჭირდეს: თავის სისხლში ვირის პიტ-  
ნა V<sub>3</sub>(6) [გა]ურთიე, შესცხე: ტანის საბან[ათ] შინდანწლის\*\*  
შტო და ფურცელი, კრ[ა]ვის კულა, შარმეტა მოადულე  
წყალ-ლეინოში, სამჯერ ტანი დაბანე ღომის ნარეცხში,\*\*  
უსცილოთ მორჩება.

/// ვისაც გველმა უკბინოს: წითელი ძროხის რძე ყვე-  
ლ[ათ] ამოიყვანე. ძმარში ჩადვას ცხელი, ამოილოს, ზედ  
ნაკბენზე დასდვას სამჯელ, ოთხჯერ.

/// ვინც ვერ ფსემდეს: თახვის ნღველა, ბუნდრუკი, ჯინ-  
ჭრის კაკალი გადმოადულე, წყლით ასვი.

/// ვინც გულმაფიწყი იყოს, თხის ბალანი ცხვირში  
იხჩოლოს.

/// ვინც ვერ დ[ა]იძინებდეს: დედალი თხის რქა  
თავქვეშ დაუდევი, რომ ვერ შეიტყოს, დაიძინებს.

/// თვალზე რომ თეთრი დ[ი]ეკრას: ოფოფი ოქროთი  
დაკალი, მისი r4(7) სისხლი ქიქაში ჩ[ა]ასხი, სამ დღე და  
ღამეს [თე]თრს დაკრულზე\*\*\* და[ა]წვეთე თუ ოფოფი ვერ  
იშ[ო]ვნო, კვერცხის ცილა, ჰის ფერი შაბით მოლესე,  
თეთრზე, დაასხი თვალს ძალიან დაალიბრებს გალ[ა]ზაზა.  
ნუ შეშინდები, თეთრი გადეცლება უს[ა]თუოთ.

/// ვის[ა]ც ეშმაკი აშინებდეს: მგლის ნღველი,  
ყორნის ნღველი, ვაცი თხის ნღველი ესენი ყველა ერ-  
თად გალეს[ე] წყლით, ოც დღეს ასმევედე ხშირ[ათ].

/// კაცი რომ შეშლით იყოს: მოიტანე ფურისულ[ას]  
ძირი, ანწლის ძირი, თხის ფლოქი, ფოლიოს ძირი, ქვეშნი-  
გზისას ძირი, ესენი ყველა ერთათ დანაყე და ღვინით  
ასვი.

/// ბნედის წამალი: კურდღლის თავი გაატყ[ა]ვე, პა-  
ტარა უხმარს ქოთანში ჩადევი, პირი მოუწეპე და ჩად-  
გი თონეში, გაჩხრიკე ღადარი, იმაში ჩაფალი, ძალიან დას-  
წვი; ხანი დააყო[ვენ]ე, მერე გამოიღე სამ დილ[ას] V<sub>4</sub>(8)

\*\* ტექსტშია „შინდანწლის“.

\*\*\* ორჯერ სწერია.

\*\*\*\* ტექსტშია „კაკრულზე“.



[უ]ზმით აკამე, თუ მოუხდეს კილო უქენი; [კი]ლო წამალი: შავი ჩაბაჩი და ნიორი დანაყე, დილ[ას] აკამე.

/// ვისაც ბნედისგან და ფელენჯისგან რთოლ[ა] დაემართოს: მოიტანე არყა, ია, შანარი უხჩოლე; ონბალო და ასკილის ფურცელი, შინაური პიტნა დანაყე და ცხვირში ჩ[ა]აწვეთე; არყა და ფირისურა და ჯინჯრის ძირი ხელსა და ყელს შეაბი.

/// გულყრისთვის: იორდასალევი უხჩოლე. /// ვისაც ალი დ[ა]ეცეს, გაბეროს, ყვითელი გოგირდი უხჩოლე.

/// ვისაც შართლ[ა] მოეჩვენოს, დემართოს: მოიტანე უხმარი ქოთანი, ჩაყარე ნაკვერცხალი, თეთრი საკმეველი, დევის სისხლი, უწვიმარი ქათმის სკინტლი, მისი თავის ბალნით ოთხივე ხელფეხის ფრჩხილი, ღორის ჯაგარა\* მალმალე უხჩოლე; სასმელათ მგლის ნალველა ასვი, კატის ბუდეც ასვი და საც პირველ[ა]თ დემართოს, r5(9) მოიტანე იმ ავანტყოფის სიმალე ასკილი სამჯერ იმ ავანტყოფს მიუწვინე... მერე [...ლე] წითელი ძაფით შეხვიე გძლათ დაფალი, სადაც დემართოს წითელი მამალი უხმარს ქოთანში ჩასვი.

/// ვისაც სოკომ აწყინოს: შინაური პიტნა დანაყე და ცოტა წყლით გამოსწურე, ასვი.

/// რომელიც მუცელში შეკრული იყოს: შავი ყურძენი დანაყე და ასვი უზმით, გახსნის.

/// ვისაც ქარი და ჯირყვალა და ტეხა დემართოს: მოიტანე ნიახურის თესლი და ძირი, ბროწეულის კაკალი, ქონდარი დანაყე, წყლით ასვი.

/// ვისაც ჭი[ა] ჭირდეს: კლიავი დანაყე, ერთი კობზი ძროხის ნალველით შეზილე ჭიპის სწორეთ ესენი ჭიპზე დაადევი, და[ა]ყრევიანეფს.

/// ხოშორი რომ კაცს დ[ა]ემართოს: ქერის ქბილი...\*\* v5(10) (რო)გორც დაწდეს, უზმით ასვი და[ა]ყრევიანეფს.

/// ვისაც თავი სტკიოდეს: კურდღლის ნალველა ღვინოზე გალესე, ცხვირში ჩა[ა]წვეთე; ერგოს.

/// ტყლიპის წამალი: იმქლი ყველის საკვეთელით გახსენი.

\* ტექსტშია „ძაგარა“.

\*\* სტრიქონი მოკმულია, ერთი ფურცელი აკლია.

ეს ქბილი თეორი ღვინით მოხარშე, ტყლიპზე შემოდევო, ტყლიპი გახმება.

/// იორდას[ა]ლვეი შვიდს მარტს მოსთხარე დანაყე წყლით შეზილე იორდას[ა]ლვეი და შეშჰამოს და მრ[ა]ვალს სენს და სნეულებას დაკარგავს. ვინაც კლ[ა]ვზე შეიბას ღვიძლის ტკივილისაგან [ნუ] ეშინია, ნურც მტერის, ყოველის-ფერის წამალია ეს იორდას[ა]ლვეი

ვისაც გული სტკიოდეს, ჰამოს. მორჩეს და მინდღემჩი მოწ[ა]მლის ნუ ეშინია; ვის[ა]ც [ე]ძინებოდეს ჰამოს მოაფხიზლებს ცოტა აქ[ . ]\* მოაფხიზლებს.

....რე(11)თვალთეთრისთვის: კაჰკ[ა]ჰის ტვინი, ც[ო]ტა ყი-რმიზი ატლ[ა]სის ნარღვევი, შაჰრის ყინული ჰვისფერი, ესენი ოთხივე ერთათ ქალის რძით გალესე; შიგნით ჩაასხი. ეს ლოცვა შეულოცე: სახელითა ღვთისა, შამით ძის[ა]თა, შავის მელნის ტბაზე ჰვე დაჯდა თეთრი ყორანი, მოვიდა წვიმა წითელი წვიმა, ყორ[ა]ნი.

/// ვისაც სწყუროდეს: წრილ[ი] ბოლოკის ძირი დანაყე, მერ[ე] მოხ[ა]რშე, წყლით ასვი სამჯელ.

/// ქალს მუდამ სოვლ[ა]დ ჰონდეს ასო, მდოგვი—ღვინო ასვი.

/// სოკოსთვის: მოიტანე ენდროს გული, დანაყე, პურის ცომში ჩაურთე, გამოაცხვე, მერე გამოყარე, რ[ა]ვალ[ა] ძა[რ]-ღვას კაკალი დანაყე, გულზე და[ა]დვეი ერთათ.

/// თვალის სინათლისთვის: კაჰუეტის ნაღველი თვალთ უწვეთე.

V6(12)

/// ვისაც გველმა უკბინოს, მოიყვანე ქათამი ხელში დ[ა]-იკირ[ე], ქათმის ნაწყლი ნაკბენზე დაადვეი, ქ[ა]თ[ა]ში მოკვ-ღებ[ა]. კ[ა]ც[ი] მორჩება, სხვადასხვა ქ[ა]თ[ა]ში უნაცვლ[ა]

/// ვისაც ცხვირში სისხლი სდიოდეს: ირმის რქა დასწვი და მურჰაფი ერთათ უხრჩოლე.

/// თვ[ა]ლის ტკივილისთვის: ან სტკიოდეს ან თეთრი გადაკრულ[ი] ჰონდეს, ან ეცრემლებოდეს, ან ეკლირწებოდეს.

\* სტრიქონი მოცვეთილია.

\*\* მკურნალობის ანალოგიური წესი მორიელის ნაკბენის დროს აღწერილი აქვს შარდენს თბილისში.

ან ეძინებოდეს: დარიჩინ[ი] დანაყე, ჯამფაში გასცერით, თვალ-  
ში გამოისურმეთ, თვალის სინ[ა]თლეს მოუმატებს სიბნელეს  
თვალისას დაკარგამს, ქარს[ა]ც მოაშორებს თვალისას.

/// კოთხოჯი ხმელი რომ იყოს ერთ ღ[ა]მეს წყალში და-  
[ა]ლზე ჭიქაში, მერმეთ ის კოთხოჯის წყალი, პირაღმა დააწვინე  
კაცი და ჩა[ა]სხი თვალეებში; კაც[ს] რომ თვალის ფერდებზე  
r7(13) სისხლი ქონდეს დიდათ მოუხდებ[ა], თვალის სინ[ა]-  
თლეს[ა]ც მოუხდებ[ა].

/// ბოლოკი და თაფლი სწორ[ა] დანაყე, თვალის უბეები  
რომ უსივდე[ს] გარედამ დაადევით, სიმსივნეს და[ა]ცხრობს,  
უცხო არიბ.

/// ისევე კოთხოჯის წყლის ჩასხმას ეს ხასიათი აქ[ვ]ს:  
თვალს გასწმენდს სინ[ა]თლეს მოუმატებს, კირწ[ს] ალა[ა]რ  
უზამს, სიბნელეს და სითეთრეს გადა[ა]რთვამს უთუოთ.

/// ფისი დასწვით, თვალეებზე უხჩოლეთ, თვალის სინათლეს  
უცხოთ მოუხთებ[ა]; რომ თვალ[ი] ეცრემლებოდეს ც[რ]ემ-  
ლ[ი]ს შეშრეტა კარგია.

/// მწვანე ბაყაყი დაკ[ა]ლით, მისი ერთი წვეთი სისხლი  
კაც[ს] რომ თვალში ამოსული ბალ[ან]ნი ქონდეს ჩაასხით მა-  
მწ[ა]მს მოსკრის აღ[ა]რც ამოუვა.

/// ფირუზის თვ[ა]ლი დანაყეთ, წმინდათ გასცერით. v7(14)  
[თ]ვალში გამოისურმეთ, თვალის სინათლეს უშველის.

/// მწოიოს სისხლი თითო წვეთი თვალში ჩ[ა]ასხ[ი]თ და  
თვალზე რომ თეთრი ქონდეს გადაკრული იმასაც გადაართვამს,  
არც ბალ[ან]ს ამოუშვებს თვალში.

/// ბუძგვის (?) ნალ[ვ]ლით თვალეები გამოიოლეთ, თვალ-  
შიდაც ჩ[ა]ისხით ერთი დანგი, თეთრი რომ ქონდეს თვალზე  
გადაკრულ[ი] გადაართმევს.

/// ჯოდანს ეტყვიან, ერთი წ[ა]მალაი, მეწრიმლეს ექნება,  
ერთი ოსპის\* შარც[ვ]ლის ოდენი ზეთში გაურიეთ დანაყილი,  
ღამე რომ კაცი დაწვეს და კარში რომ გამოვიდეს და ველ[ა]-  
რ[ა]ფერ[ი] ღ[ა]ინ[ა]ხოს, მისთ[ა]ნა კაცს თვალში ჩა-  
[ა]სხით ე(რ)თჯელ, ორჯელ, სამჯელ, ძალიან(ა)თ აუხილამთ

\* ტექსტშია „ოსპის“

თვალს, მარ(ა) ზაფხულში ნუ უზამთ, ან შემოდგომაზე უქე-  
ნით და ზამთარში.

რ8((15)

// მელ(ა)მურას ზედა ქვედა სასები დასწვით მისი ფერფ-  
ლი\* გასცერით მტკიცეთ, თვალეში ჩაიყარეთ, თვალის თეთრს  
მოარჩენს.

// კიდეც მელ(ა)მურას სასები გა(ა)ხმეთ, ხახვის წყალში გა-  
ლესეთ, თვალი რომ ეცრემლებოდეს თვ(ა)ლის კილუები გამო-  
ისურმეთ და ცრემლს შეშრეტს.

/// კილო მელამურ(ა)ს სისხლი თვალში ჩ(ა)იწვეთე თბი-  
ლ(ა)თ, თვალის სინათლეს დიდათ მოუმატებს.

/// კილო მელ(ა)მურ(ა)ს ქონი და გული, კაცმა რომ დიდი  
ძილი იცოდეს, თავათ იმ კ(ა)ცმ(ა) რომ ვერ შეიტყოს ისე  
თ(ა)ვექვეშ დაუდევით, რომ გამოელვიძებ(ა) მას აქეთ მას  
ძილ(ი) აღარ ექნება\*\*.

/// ტკბილი ბროწეულის კანი და მყავე ბროწეულის კანი  
ორივე სწორათ მოხარშეთ ასე, რომ შესქელდეს მერე... ჩამო-  
იღეთ გასწურეთ კაც(ს) რომ თვალ(ის) (კი)ლოები ქ(ა)ოდეს,  
იმაზე მოსცხეთ აღარ მოქავდეს(ს).

v8(16)

/// კამა რომ სჭამო თვ(ა)ლის სინ(ა)თლეს მოუხდება, კა-  
მა რომ მოყლიმ(ო) და მის(ი) წყალი თვალში ჩ(ა)ისხ(ა)ს სი-  
ნ(ა)თლეს მოუხდება, თუ გინდა მოხარშოს და მის(ი) წყალი  
იხმაროს კარგათ მოუხდება თვ(ა)ლის სინ(ა)თლეს.

/// მარილის თვალი წყალში გალესეთ, თვალში ჩა(ა)სხით,  
თვალზე რომ ხორცი იქნება გადაკრული შოგლეჯს და თვალის  
უბეში რაც ყალბი აქ გარდაართმევს.

/// კაც(ს) რომ თვალი უხურდეს, ქალის რძეში სახ(ა)მებე-  
ლი გალეს(ე) და ბანბით თვალეზე დაადევით, სიმხურ(ვა)ლეს  
გამოკრფეს, ცრემლი რომ დიოდეს იმას(ა)ც შეშრეტს.

/// სახ[ა]მებელი ისევ წყალში გაქენით, წამოადუღეთ ფა-  
ფასავე[თ] [შე]იქნეს, თვალის კილოებზე თუ შიგნით<sup>(17)</sup>  
ბზუკვა რომ გამოუვიდეს მალმალე და[ადევ]ით, და[ა]მწიფებს  
და ცრემლს[ა]ც შეშრეტს.

\* ტექსტშია „ფერილი“.

\*\* აქ სიტყვა „შეუბერეთ“ ზედმეტია.

/// ისევე სახ[ა]მებელი კვერცხის ცილაში გალესეთ ბან-  
ბით თვალზე დაადევით, სიცხეს ამოკრეფს.

/// თვალი რომ კაცს ტკიოდეს, შაბი დასწვით დანაყეთ,  
გამტვიცეთ, კვერცხს თავი მოსტეხეთ, ცილი გარდასხით, შაბი  
დანაყულ[ი] იმ კვერცხის გულში ჩაყარეთ ტატბით (?) აური-  
ეთ, გაქენით კარგათ, მას მიღმა კვერცხის ღენჭობით ნელ-  
თბილ ღადარში ჩადევით, მოურიეთ, მას მოღმა თბილთბილ[ა]თ  
ბანბას წაცხეთ, [უ]მალ მო[უ]სვით, და[ა]დევით, თვალის ტკი-  
ვილს მოუხდება ძალიან.

/// ხარის რქის ბეჭედი გა[ა]კეთე, ნეკზე წამოაცვით, კაცს  
რომ თვალზე გადაკრული ქონდეს უთუოთ [გა]დაართმევს].  
v9(18)

/// დედაკაცის რძეში ჭ[ა]ჭ[ა] ბალ[ა]ხი დან[ა]ყეთ ცი-  
ვ[ა]თ თვალს დადევით, თვალის ტკივილს და ჩხლეტას მოუხ-  
დებ[ა]. ისევე დედაკაცის რძე კაცს რომ თვალი ჩხლეტდეს  
ჩა[ა]სხით შიგ თვალეებში, ჩხლეტას დაუამებს და ტკივილს[ა]ც  
მოუხდებ[ა]. ყვითელი კოჭი წყალში გალესეთ, თვალში ჩა[ა]-  
სხით, თვალის ტკივილს მოუხდება.

/// აბზინდას ფურცელი ღვინოში მოხარშეთ, კაცს რომ  
თავი სტკიოდეს, ჯერ აორთქლეთ მერე მის[ი] ნახარშით თავი  
დაბანეთ, მერე ის ნახარში აბზინდას ფურცელი თბილათ თავს  
შამოდევით, თავის ტკივილს მოუხდება.

/// კურდღლის მაჭიკი (...თ) ავიზნე რომ კაცს დ[ა]მართოს  
ერთ (...თ) ერთხელ გალესეთ კარგა ძმარში და r10(19) ასვით,  
მეორე დღეს[ა]ც ასე უყ[ა]ვით და მესამე დღეს[ა]ც ასე  
უყ[ა]ვით და ავიზნეს[ა]ც გა[ა]ქარებებს და თავის ტკივილს[ა]ც  
უშველს.

/// ხარის ფლოქი ერთი წინა და ერთი უკანა ფლოქი და-  
წვი, დანაყე, გასცერი, ავიზნის მქონე კაცს ასვი, მოუხდება.

/// ხმელეთათ რკუ იქნება ის დ[ა]იჭირეთ, დაკალით და  
მისი სისხლი ავზნიან კაცს ასვი და მორჩება. რკუს ნაღველი  
წყალში გალესეთ ავზნია[ნ] კაცს ცხვირში ჩა[ა]სხით, მორ-  
ჩება.

/// სინ[ა]მაქი გადმოადუღე ხანდიხან ცხელცხელი დახრიპე  
ჩ[ა]ის[ა]ვით მუცელშიდაც მოუხდებ[ა], ბელთ [?] ას[ა]ქმებს  
და თავის ტკივილებსაც მოუხდება.

/// წითელი სანდალი, თეთრი სანდალი, ერთად წყალში გა-

ლესეთ და ქალ[ა]ლდ[ით] შუბლზე დაფინეთ, მუქით ცხვირი-  
v<sub>10</sub>(20)

დამაც მოაწვეინე, თავის ტკივილს მოუხდება, თეთრი სანდალი  
აქ[ა]რბეთ.

/// მელის' კბილები ავზნიანს კაცს შეაბი გულზე და მარ-  
ჯენა ხელზე, მოუხდება.

/// ქაფური ვარდის წყალში გალესე და თავზე მოუსვით,  
სიცხისაგან რომ თავი სტკიოდეს მოუხდება.

/// ავზნიან კაცს მუცელში შეკრამს: ხაშხაში წამოადლდე  
ნელთბილ[ა]თ დააღვეინეთ, მუცელში გახსნის გამოწ[ო]მს.\*

/// ბოლოკის წვენში თხის ნალველა გალესე, ყურში რომ  
არა ესმოდეს რა ჩა[ა]სხი და მოუხდება.

/// ტაბასტასთვის გ[ა]ეხსნას ან ქონდეს, ჭინჭრის ფურცელი  
მოყლიმული ჭინჭრის წყალი ჩაასხით ორივე ნეშტოებში რომ  
r11(21)

სისხლ[ი] სდიოდეს და მერმეთ ის ნაჟღღემ[ი] ჭინჭარი  
ორივე ცხვირში შესტენეთ, სისხლი დადგება უცხო არის.

/// კაც[ს] რომ სისხლი სდიოდეს ცხვირში, ერთი მომცრო  
შვილდის[ა]რი გა[ა]კეთე, ის ისარი იმ კაცის სისხლ[ლ]ში გასვა-  
რეთ და შეღებეთ, მერმეთ ოჯინჯალის პირდაპირ სათ[ი]ვესთან  
ბურჯულს ესროლეთ, და[ა]მაგრეთ და დ[ა]ეთხოვეთ ის ის-  
[ა]რ[ი] იქ იყოს, სისხლი შეშტება მამწ[ა]მს.

/// ობობას ქსელი თეთრი რომ იყოს და სქელი, მობოჭეთ,  
ცხვირებში შეტენეთ, მოუხდება უთუოთ.

/// ვენ[ა]ხის ნასხლ[ა]ვი დასწვით, გასცერით, ერთს მასრ-  
[ა]ში ჩაყარე, რომ სისხლი სდიოდეს მასრის წვერი ცხვირში  
შეუყავით, შეუბერეთ მეორე თავისგან, მამწ[ა]მს და[ა]ყენებს  
სისხლისდენას.

v<sub>11</sub>(22) \

/// კვერცხის კანი დასწვით, გასცერით ისიც მასრ[ა]ში  
ჩაყარეთ და შეუბერ[ე]თ ორივე ცხვირის ნესტოებში\*\* „სის-  
ხლი მამწ[ა]მს დადგება.

/// ანგურის ზეთი ცხვირში ჩა[ა]სხით, კაცს რომ გამოტე-  
ნილი ცხვირი ქონდეს ჭულს ვერ ითქვამდეს, მამწ[ა]მს გახსნის

\* ტექსტშია „გამოწმს“.

\*\* აქ სიტყვა „შეუბერეთ“ ზედმეტია“.

და მატლს[ა]ც მოკლ[ა]მს, გულმავიწყებას[ა]ც მოუხდება.

/// ურთხლის კაკალი თაფლში დან[ა]ყე და ღრძილების ხორცებ[ი] რომ დამპალი ქონდეს პირში იბუგეთ, ახ[ა]ლს ხორცს მოიყვანს, დიდათ მოუხდება.

/// თურინჯის კაკალი დან[ა]ყეთ, ღრძილებს თითით მოუხვით, ღრძილებს დაამაგრებს კარგათ. ღრძილები რომ კაცს სუსტათ ქონდეს, ყოველდღე რომ კარგი ძმარი პირში იბუგოს დილდილა მოუხდება.

r<sub>12</sub>(23)

/// კვაწ[ა]ხურის ცილი და თავათ კვაწახური ორივე ძმარში მოხ[ა]რზე, გასწურე და პირში იბუგეთ, სურ[ა]ვანდს[ა]ც მოუხდება და კბილის ტკივილს[ა]ც.

/// შაბი დასწვი და დანაყე, თაფლში და ძმარში აურიე, მითი პირი გამოირეცხე, კიდევ იბუგეთ, კბილის ღრძილებში რომ სისხლი მოსდიოდეს, შეშრეტს. ღრძილებს და კბილებს დაამაგრებს.

/// გუნდის ქბილი ამოხრუტნულს კბილში შიგ ჩაყ[ა]რე, ზედ სანთ(ელი) დადევით, ზედ კბილი და[ა]ქირეთ, მატლს მოკლამს, ტკივილს დაუშვებს.

/// საკმეველ[ი], დანამასტაკი, ორივე ერთ[ა]თ ღეჭე, კბილებს დაამაგრებს, კბილის სიმყრალეს ამოიღებს, ღრძილებს[ა]ც დაამაგრებს, უცხ[ო] კარგია.

/// ვარდის წყლით პირი და კბილები გამ[ო]ირეცხე, ქეც იბუგეთ, ნუნებს დაამაგრებს.

v<sub>12</sub>(24)

/// პიტნა ნალეკ[ი] კბილში იქონიეთ, კბილის ტკივილს მოუხდება.

/// ზღვის პერულ[ი] უმარულსავით დანაყე, გამტკიცე, გაღესე, კარგა წაუსვი, პირზე ჰორფლს გადართმევს.

/// კოთხოჯი აჭამეთ, გულის ფიცრის ტკივილს მოუხდება.

/// ნუშის ზეთი ჰამოს და გულზე რომ ბალლ[ა]მი ექნება მოალბობს და წა[ა]გდებს.

/// კამ[ა], რომ კაცს გული უფერდებოდეს მოუხდება.

/// ერთ კაცს რომ სულ არწყევინებდეს, გულსა და მადას არაფერი ამაგრებდეს, კვაწ[ა]ხური\* გამოხადეთ ცივ წყალში,

\* ტექსტშია „წვაწხური“.

ასვით, რწყევას გადაუგდებს.

/// ცერეცო აჰამე, გულის თ[ა]მ[ა]შს მოუხდებ[ა]. თეთრი სანდალი წყალში გალესე, ასვი, გულს გა[ა]მამ[ა]ცებს.

რ13(25)

// გული რომ კაცს ერეოდეს, ბოლოკის კანი და ფურცელ[ი] დანაყე, თაფლში აურიეთ, აჰამეთ, ადვილ[ა]თ წა[ა]რწყევს და მოუხდებ[ა].

/// ცვარი საკმეველი ან აჰამეთ ან ძმარში ლესეთ, ასვით, რწყევას გადაუგდებს, მადის ტკივილს[ა]ც მოუხდება.

/// ოქრო წყალში გალესეთ, ასვით, კაცს რომ გული სტკიოდეს ან უთრთოდ[ე]ს, დიდად მოუხდება.

/// თეთრი და წითელი სანდალი წყალში გალესეთ, თეთრი უნფრ[ო] გ[ა]ლესეთ გრილი კაცისთვის კარგია, მხურვალე კაცისთვისაც კარგია. კაცს რომ პირიდან სისხლი მოსდიოდეს იმა(ა)ც ძალიან არგებს გულის ტკივილსა და თ(რ)თოლებას(ა)ც არგებს, გულს(ა) გა(ა)მაგრებს.

/// ცვარი საკმეველ(ი) დაღეჭეთ, ჩ(ა)ყლაპეთ, პირიდან გამო(მა)ვალს v13(26) (ფოლ)ხს დააყენებს.

/// ქარვა გალესე წყალში, ყელიდან რომ სისხლი მოსდიოდეს, ასვი შეშრეტს, პირიდან დენ(ა)ს იარყნი ქვიან.

/// თოფ(ა)ლახი კარგია მეტათ, მხურვალე ბალ(ა)ხია, ასვით, გულში რომ ქვა იყოს დაადნობს. ტუხტის კაკალი იქნეს, ან ფურცელი იქნეს, თუ ძირი, დანაყეთ, წყალი დაასხი, წამოადუღეთ, თბილ(ა)თ ასე(ი), გულის სიცხეს ამოყრის.

/// მალოქი ერბოში მოხრაკე, აჰამეთ, ხმელს ხველებას მოუხდება.

/// მრავალძარღვას\* კაკალი დანაყეთ, გა(ა)ხმეთ, გამხმარი დანაყეთ, თაფლის შარბა(თში) ჩაყარეთ, ადუღეთ, ყავეს(ა)ვით დააღვეინეთ.

/// თუ ჯულაბი გინდოდეს, ბევრი თხუთმეტი ტუხტის ძირი ამოიღეთ, შვიდი ღრამ(ი) ხიაშამბარი r14(27) გაურიეთ, დანაყეთ, და(ა)სხით წყალი, გასწურეთ, დალიეთ, ჯულ(ა)ბ(ი) იქნებ(ა), ლწყინარია.

\* „მრვლი ბრვაძლვას“ — ასეა ტექსტში.



// იარყიანმ(ა) კაცმა რომ ქარვა არონიოს ხელში ერთოდ მოუხდება

/// სახ(ა)მებელი წყალში გაქენით, შიგ წრილა(თ) ხახვი ჩაქერით, მოადუღეთ ასე რომ ხახვი ჩ(ა)იქნას კოვზით ახრეპინეთ თბილთბილ(ა)თ, ხველებას დააწყნარებს.

/// წითელი სანდალი, თეთრი სანდალი ორივე წყალში გაღესე, შიგ სახ(ა)მებელი გაქენით, ცოტა შაქა(ა)რი ჩაყარეთ, წამოადუღეთ და კოვზით ახრეპინეთ, სიგრილისგან დამართებულს ხველ(ა) ს დიდათ მოუხდება. შაქარი თუ არ იქნეს კარგი თ(ა)ფლი უქენით, ისიც კარგია.

// დარიჩინი v14(28) ჩ(ა)ის(ა)ვით სიმსივნეს მოუხდებ(ა). ტიქს(ა)ვით გაბერილი რომ იყოს საქმელ[ი]თაც და სასმელ[ი]თაც, მიუჯინეთ დარიჩინის მარდარინი [?] ახ[ა]ლი უნდა. უცხო არის. ძმარი ქვაბში მოადუღეთ, გადმოდგით, რაც უსივდეს მისი ორთქლი უორთქლეთ ზედ რამე დახურეთ, სიმსივნეს დააცხრობს, 'ოფლი მოუა.

/// შაშკლავი დან[ა]ყეთ, დაადევით, ან ასვით შეუკ[ა]რით, სიმსივნეს და[ა]ცხრობს.

/// ძროხის იქნეს თუ ხ[ა]რის მისი ფუნა თბილთბილა დაადევით, მოუხდება სიმსივნეს, სიცხე თუ აქ ამოყრის.

/// შრეშის ფესვი მოადუღეთ კარგათ, ფაფას[ა]ვით გასქედდეს რომ სასირცხო უსივდეს ან კაცს საპარცავი, დაადევით ერთჯერ [ო]რჯელ და გა[ა]პარებს უთუოთ.

r15(29)

/// ძალის ძვალი დასწვით, კარგა თეთრი შეიქნეს, დანაყეთ, უმარულს[ა]ვით, სიმსივნ[ე] სადაც ჭონდეს ან გვერდებზე ან ხელებზე ან კანჭებზე ან პირზე, დასცხე სქლათ, იმწამს დააცხრობს სიმსივნეს.

/// ქათამი გააპეთ, ძალუან[ა]თ რომ კაცს რამე უსივდეს და მაგრ[ა]თ იყოს, წამოადევით შეამბალებს. X სამი ღრამი ია შაქრის წყალში მოხარშეთ, ჩ[ა]ის[ა]ვით სვით, ზაფრას გვერდებისაგან გადენის, სიცხისაგან რომ რაიმე უსივდეს, დან[ა]ყეთ და დაადევით და[ა]ცხრობს სიმსივნეს.

/// ყართნი ქვია ფისიც. ის რომ სიმსივნეს აღ[ა]გს სცხობო. სი[მ]სივნეს დააცხრობს.

/// მუხის რკო დანაყეთ, დაქბით სევედისაგან რომ კაცი სი-  
ვდეს, მტლეთ დაადევით, სიმსიენეს და[ა]ცხრობს.

/// კაცს რომ ტყლიპი დიდი ქონდეს, კორჩიოტა რომ  
არის, დანაყე კარგა, უტეცხურს ფაფაში ჩაყარეთ და მტლეთ  
დაადევით, გარედამ შეუკარით, ერთს ღამეს სამჯელ ასე უქე-  
ნით და მორჩება.

/// კაკალი ს[ა]ნელებელი დანაყეთ, დაადევით ტყლიპს,  
კარგის ძმრით შეუკარით, მოუხთება.

/// ერთ კაცს რომ დიდხანს აციოს და ტყლიპი დაუტეოს,  
მარცხენით[ა] და მარჯვენით[ა]ც მაგრა [ქ]ონდეს, მისი წამა-  
ლი ეს არის ამის მეტი ველ[ა]რ[ა]ფერი მოარჩენს: მოიტანე  
ტილიფის r16(31) ფურცელი, დანაყეთ კარგა, მერმე ზე[დ]  
წყალი დაახით, აურიეთ კარგათ, გ[ა]წურეთ, ერთ ჭურჭელში  
ჩაახით, ყო[ვე]ლდღე დილას უზმით ექს ექს[ი] დრამი ას-  
ვით, ერთს კვირას იმ ტყლიპს, იმ სი[მ]სიენეს მოარჩენს  
ღითით. ეს წამლები ბევრჯელ დაცდილია.

/// ხმელი ლედვის ჭამ[ა] ტყლიპს არგებს.

/// ხარის კოქი დასწვი, დანაყე, გასცერით, წყალში ჩ[ა]-  
ყარეთ, ასვით, ტყლიპს დაადნობს.

/// კაცი მუცელში შეკრული იყოს ან მქვეალი დაესვას,  
ქათმის სკინტლი ან კა[რ]ქს ღვინოში გახსენი, ან კარგს ძმარში,  
გასწურეთ, ასვით მქვეალს v16(32) [და]აყენებს. იმ კაცმა არ  
უნდა იცოდეს, მისწრება არის.

/// ქალს რომ შვილ[ი]ს ყოლ[ა] უჭირდეს, მგველის პერა-  
ნგი გამოხვიე ნაქერში, მარჯვენა ბარძაყზე შეაბი, შვილს შობს.  
ორი დრამი ზღვის პერეული წყლით გაღვსე, ასვი, მამწამს  
ღაბადებს.

/// გარეული პიტნა დანაყეთ, გასწურეთ, ასვით, მკვდარი  
შვილი რომ ქალს მუცელში ყავდეს, გააგდებინებს, მამყოლ-  
ს[ა]ც გააგდებინებს, დედათ წეს[სა]ც გამოუშვებს, ვ[ი]საც  
შეკრული აქ.

/// ქალს რომ შვილი ეყოლოს მამყოლი აღარ, ლადანა უხ-  
ჩოლ[ე], მამწ[ა]მს დავ[ა]რდების.

/// ქალს რომ შვილის ყოლა გაუჭირდეს, ობობა (მ)ისი  
ქსელიანა ერთს რამეში გამოკარით, მარჯვენ(ა) ბარკ(ა)ლზე

r17(33)

შეაბი. მამ(წამ)ს მორჩებ(ა), ღთით.

/// ისრიმი ასვი, ჭყურტიან კაცს მოუხდება, ასე ასვით რომ ისრიმს რომ გამოხდინან იმაში და ცარიელი ფოლდება (?) გაახურეთ და იმ ისრიმში ამოაცივე და ისე ასვი.

/// დანის ფიფილის ჭამ(ა) დიდს ქარებს გაღვენის ტანი-ღამ, უცხო არის.

/// თუ ბალღმისგან აცივებდეს, ბოლოკი ძმარში მოხარშე, ძალიან(ა)თ აჭამეთ და წაარწყევიენებს, გაუშვებს ცივებას.

/// ლღვის და ქერის ფურცელი გაქენით და მალამოსავით ბეჭებზე დაადევით ორჯელ სამჯელ და (მო)არჩენს.

v17(34)

/// შავკაკალა და(ნა)ყეთ და ძმრით მოხარშე, ბღერს მოარჩენს.

/// ბელურას სკინტლი კაცის ნერწყვში გაღესეთ ხელის გულზე, მერმეთ მეჭეჭზე დასდევით, მორჩება.

/// ოფლი რომ კაცს არ გამოუვიდეს ოშოშა და შავი მჭადი, დაფნის ფოთოლი და ან ხე, ესენი სამივე ერთათ გადმო-ადულე და შაქარი უქენი, თბილი ასვი, მაშინვე ოფლს გამოყ-არის.

/// ტყლიპის(ა)თვის: მოცოხას ფოთოლი, თეთრი საკმე-ველი კვერცხის ცილში აზილე, ფერდზე შემოს(ცხე) შემთბა-რი, სამ ღღეს ისე ქონდეს შეკრული, მოუხდება, მერე შესხენი  
r18(35)

/// წყურვილი რომ კაცს აუვარდეს, კვაწახურის კაკალი და ინდი წყალში გადმოადულე შაქრით, ცივ(ა)თ ასვი.

/// ჭულბისგან კაცი რომ გახსნილი იყოს დ(ა) ველ(ა)რ მოუჭრ(ი)ს, ნიორი და მიხ(ა)კი სწორა დანაყე და ჭიპზე და(ა)-ღევი და მოუჭრ(ი)ს.

/// ჯღომისაგან რომ კაცი გახსნილი იყოს, ქარვა, იმდონი დან(ა)მასტაკი, მისი წონა ობოლი ს(ა)კმელი, ქ(ა)ლა შაქარი, ასი ღრ(ა)მი წყალი დაახხი, ამდონი ადულე, რომ შესქელდეს, გა(ა)ცივე და ცივი დაალევიენე, იცოდე გახსნილს და(ა)ყენებს.

/// კაცს რომ თურქული დ(ა)ემ(ა)რთოს პირში კბილები სტიკოდეს და ღძილები ჩაქ(ა)მოს, შაბი, ბროწეულის კანი,

v18(36)

გუნდა, ესენი დან(ა)ყე და მოხარშე, გადმოადღულე და თბილ-  
თბილი იბუგოს.

/// ყმაწვილს რომ თეთრ(ა)თ გამოაყ(ა)როს პირში, ესენი  
გამტკიცული ჩააყარე პირში.

// ვინც\* ორი დანგი ტიტის თესლი და(ღ)ეკოს\*\* და ჭა-  
მოს თაფლით, სისხლისათვის მწვ(ა)ვედ კარგია, კაცს ტანში  
რაც ყვითელი წყალი აქ გააქრობს.

// ვინც ინა მხურვალე სიმსივნეზე დეიდვას უშეველის.

/// კარგი და მართალი ჯერ დაცდილი წ(ა)მლები კბილის  
გამაგრებისათვის: მოიტანე თეთრი შაბი, სახ(ა)მებელი, ნიშა-  
დური, სამივე სწორა ქენი, წმინდათ დანაყე, გაცერი, კბილე-  
r19(37)

ბის ძირშიგან დ(ა)ისვან კბილებსაც გაუთეთრებს და ღძილებ-  
ს(ა)ც ამოყვანს.

// მუცელში რომ გაქსნილი იყო, ბროწეული დანაყე, გუ-  
ნდა\*\*\* დანაყე ერთათ, ძმრით აშუშე, ცხელ-ცხელი დააგორ-  
გ(ა)ლე\*\*\*\* სამსამი ჩაყლაპე დილ(ა) საღამოს თბილთბილი,  
მუცელში შეკრამს.

// მუცელში გახსნისათვის: ბროწეულის თ(ა)ვბ(ო)ლო მო-  
ხარშე, მერე ამოკრიფე, ნახარ(შ)ში შაქარი ჩაყარე, წყლულებ  
ასვი გაცივებული შეკრამს.

// ყმაწვილს რომ არწყევიებდეს ქალის რძეში დან[ა]მას-  
ტაკი, თეთრი სანდალი გალესე, ასვი.

/// სოკოს წამალი: ასისთავა, ჩაწყობილა, რთხმელის კუ-  
კური შავ[ა]თ რომ გამოესხმის ერთმანეთის წონა რომ მეტი  
არ იყოს, დარიჩინი, ჯაოზი, ყვითელი კოჭი, \*\*\*\* ს[ა]ნელებელი,  
თეთრი საკმეველი, ესენი ყველა ერთად დანაყე, [თა]ფლი  
v19(38)

ადულე, ცოტათი რომ შესქელდეს ესენი ჩაყარე, ცოტა ადულე  
და გადმოდგი დილდილას უზმოზე უნდა შექ[ა]მოს.

/// ქარცეცხლის წამალი: ლურჯი ეკალი დასწვი, გამხმარი  
ანწლის ფოთოლი, ესენი დანაყე, გ[ა]ამტკიცე, ნიგზის ზეთში

\* ტექსტში „ვისც“, \*\* ტექსტში „დაქეკოს“.

\*\*\* ტექსტში ორჯერ სწერია \*\*\*\* ტექსტში „...“

\*\*\*\*\* ორჯერ სწერია.

ჩაყე ინა, მოურიე, ჰე[არტილი ლახოსტაკი ჩ[ალესე. შაბიცი, საც[ა] ქარტეცსლი ჰონდეს სცხე ნუ დ[ა]ისოლებს, გამოიშუ- შოს.

/// ადამიანი რომ დ[ა]იწვას მისი წამალი: კვერცხის ზეთი გამოხადე. თხის ჰონიცი გაურიე წითელი მიწა, ლილა მუნდ- სკი(?) ესენი დანაყე, იმ ზეთში ჩაყ[არე, სცხე ს[ა]ც დამწვა- რი ჰონდეს. სიმინდის ცარიელი ტარო, ასკილის ჰოხი, პურის მარცვალი, ესენი ერთათ დასწვი, გა[ამტკიცე, ზეთი რომ სცხო ეს ზედ აყ[არე, თუ დაუბუგოს ჰინჰარი მოხარშე და  
r20(39)

დადევი იმ დაბუგებულს მოაცლის მასუჰან [ესე]ნი უყავი კიდო.

/// თვალი რომ კაცს უხდებოდეს და წითლათ ჰონდეს, დე- დოფალა ბალახი რომ არის მეორე, [მ]სუჰან[ა]ს გავს, წითელი ღერო აქ. ეს ორივე ერთ[ათ] დანაყე, წითელი სანდ[ა]ლი გა- უურიე და თვალზე ადევი, მოუხდება.

/// შაკიკის წამალი: მერცხლის ბუდე გამხმარი წმინდათ დანაყე, ძმრით აშუშე ს(ა)ც სტკიოდეს თბილთბილი ადევი, მოუხდება.

/// ჰალს რომ ბუდე დარჩება მუცელში და აღ[არ] მორ- ჩება მურქ[ა]ფი ასეი და დავარდება.

/// წყალმა რომ კაცს აწყინოს, წყალში ყვითელი კოჭი, ზღვის ჰაფი, იორდას(ა)ლევი, დამწვარი შაბი გალეს(ე), ესენი თბილთბილი ასეი.

v20(40)

/// ზაფრისათვის: ყვითელი (კ)ოჭი რის(ა)ც ფ(ა)ზ(ა)რი იქნება, ზაფრ(ა)ნა ესენი გალესე ღვინოში, თბილი დალიოს, თუ გინდა ჰათმის წელზე მოაყაროს, ჰამოს, სჯობს.

/// ყმაწვილს რომ ფუში ჩამოუვიდეს: პატარა ბაყაყი უნ- და დანაყო, უწყლო თაფლი უნდა მოადულო, რომ გაცივდება ნელთბილი მჩვარზე გაკრული ამოაკ(ა)რი დ(ა)ეკრის, მაგრამ თბილი წყლით უნდა მოალბო და მობანო. კიდო თაგვი გა(ა)ჰე თბილი დაშაქრე, შამოსდევი, თუ საყმაწვილო არის ეს(ე)ნ(ი) მოუხდება.

/// ყურის ტკივილისათვის: ჰალის რძეში თხის ნალველა

გალესე, ყურში ჩაასხი, მკ(ა)მელი რომ სკირდეს მაინც მოუხდება.

/// წითელი ქ(ა)რის წ(ა)მალი: წყალში თხის ქ(ო)ნი მოხარშე ს(ა)ხ(ა)მებელი ჩაყარე სქლ(ა)თ შამოსდევ. თუ მაინც და r21(41)

მაინც გაუხელდეს წითელი (...)ლი გალესე, სახამებელი სქლათ ამოუკიდე, შამოსდევ, დაუამებს.

/// კბილები რომ სტკიოდეს, ღრძილები რომ ჩაჭამოს, კვერცხის ცილში შაბიამანი გალესე და უბუგეთ, მოუხდება. თუ გა(ა)მწ(ა)როს მას უკან ზნის წამლები უბუგე.

/// სიგრილის ხველისთვის: ფუფალი დაფხიკე, ხელის გულზე დ(ა)იყარე, ატლიკე, მოუხდება.

/// ქაჩლისათვის: უხმარი ლ(ა)ხოსტაკი, მწვანე გუნდა, წითელი მიწა, შაბიამანი, სულ ცოტა მარგიმუშკი, მგზ(ა)ერული ინა, ესენი ყველა ერთათ დანაყე, ღორის ქონში გა(ა)კეთე, დამწვარი ნიგოზი გაურიე და თბილთბილი სცხე.

/// ნაწყენით თიაქარი აუტყდეს: ღვინოში დათვის ნაღველა v20(42)

გალესე, ასვი თუ უბრალოთ ეტკინოს, სამი ძირი ბრ[ავა]რძა-  
[რ]ღვას ძირი წყლით ასვი.

/// ქალია თუ კაცი, ზეპელა ჭია სც[ვ]იოდეს პატარა ფინჯ[ა]ლში ოტკა და[ა]სხი, სამი წვეთი ბალზინის ზეთი ჩაასხი ასვი დილა,\* თუ ოტკა არ იყოს კ[ა]ის ცეცხლ[ლ]თან წაუსვი ტანზე, სულ შაბი ჭამოს, იქნება დიდი ჭიაც დავარდეს, მოუხდება.

/// მუცელი კაცს სტკიოდეს, კიდევ უსივდეს: შავი ბოლო-  
კი ბრინჯით მოხარშული დალიოს.

/// მუცელი რომ კაცს სტკიოდეს, ყაბზ[ა]თ იყოს, შეკრა არ უშველის, ვიღე სანთელი ქონის, მარილი წა[ა]ყარე მელთ (?) მიეცი და ეშველება.

r22(43)

/// მუცელში რომ სისხლ[ლ]ზე გადიოდეს, პრასი მოხარშე, თუნთუბო დააყარე, აჭამე.

/// მუცელში რომ სისხლ[ლ]ზე გადიოდეს ან სისხლს აფუ-

\* ტე მ.ტშია „დალი“.

რთვებდეს, [მუცელ]ში გახსნილი იყოს, აიღე ირმის კუდი, და-  
სწვი დანაყე, ასვი წყლით.

/// ბალღამისგან რომ ყვითელი ფს[ე]ლზე მისდიოდეს, ადე-  
ბინებდეს: აიღე ბოლოკი თაფლით და ძმრით აქამოს, ზედ თბი-  
ლი წყალი დალიოს, ცოტა ოდენი ხანი მოითმინოს. ბალღამი-  
საგან გა[ი]წმ[ინ]დება.

/// ზაფრისათვის წამალი: შავი ფურის რძე რვა ღრამი, მა-  
რცვალი საკმეველის ღრამი შიგ გაურთიე და მოხარუე, უზმოთ  
დალიოს, ერთი სათი ოფლი იდინე, იმ დღეს ასე ქენი, ას[ა]ლი  
დაბადებულსავით შეიქნები.

/// თიაქარი რომ კაცს აუვარდეს, ზაფრან[ა] თბილი წყლით  
გალესე, დალიე.

/// შაკივისათვის: ია ია ფოთლიან ძირიან[ა] დანაყე და  
v22(44)

საცა [სტკ]იოდეს იქ დადევი; მისთავისავე; შავი ბოლოკი კა-  
ნიან[ა]თ დანაყე, დაადევი, კბილქვეშაც დ(ა)იდვას, საით(ა)ც  
სტკიოდეს იმ გვერდზე დაწვეს.

/// ცხვირიდან რომ სისხლი სდიოდეს არ უდგებოდეს, მო-  
იტანე გარეული პიტნა დანაყე და შუბ(ლ)ზე შემოსდევი, მისი  
წვეთი ცხვირში ჩაუწვეთე; კიდევ ცხვირში სისხლი არ უდგე-  
ბოდეს, აიღე გუნდა დანაყე\* თხის რძე გაურთიე, ცხვირში შე-  
ასხი.

/// ბრაზიანმა ძაღლმა ან მგელმა კაცს რომ უკბინოს, თი-  
ახმარუხი ღვინით წ(ა)ისვას ნაკმენზე, კიდევ დალიოს, უშვე-  
ლის; აგრ(ე)ვე მორიალის და მგველის ნაკბენს არგებს თიახმა-  
რუხი წ(ა)ისვას.

r23(45)

/// ღძილი რომ სტკიოდეს: ვარდის (...) დანაყე, მოაყარე  
და მოუხდება.

/// პირიდან რომ კაცს წყალი სდიოდეს (თუ) ჭი(ი)სვან  
არის ნიორი დანაყე და ძმრით დაალევიანე.

/// დედაკაცს რომ შობა გაუჭირდეს, აიღე ნახევარ(ი) მის-  
ხალი თიახმარუხი, წყალში გალეს(ე), დაალევიანე და მორჩება;  
დედაკაცს რომ ცოტა რძე ქონდეს, ქერის ფქვილი და თაფლი

\* ტექსტშია „ნახყე“.

და ძველი ღვინო ერთათ მოხ(ა)რზე, დალიოს.

/// დედაკაცს რომ წინკარი ეწოდეს, ხმელი (ვა)რდი ღვი-  
ნოში ჩადევი სამი დღე, მერე მოადუღე და და(ა)დევი.

/// ტყლიპი რომ კაცს ამოკროდეს, სელი დანაყე, რძეში  
მოხარზე, სამჯელ და(ა)დევი(ი) მტლეთ; კილო (ტყ)ლიპისათვის:  
v23(46)

ქერის ქატო, პურის ქატო ღვინოში მოზილე, დაადევი.

/// მკ(ვა)ლის წამალი: ვაზის წილაში დასწვი და მის ნაც(ა)-  
რში ცოტა მარილი გაურიე, თბილი წყლით დაადევი.

/// მოწამლულისათვის და შეკრულისათვის: კუროს ხირ-  
ნიმალი\* ერბოში შეწვი, შექამოს უთხ(ა)რ რა იყო, იმან გი-  
თხრას: მე არ ვიცი, შენ უთხარი ეღერის(?) ხორცი იყო.

/// გაპრილში რომ სისხლი არ დადგეს, ბაყაყი დაწვი, მის  
ნამწვეავზე\*\* მოაყარე, შეუკარი; მისთვისვე ცხენის და ვირის  
ნეხვი ზედ და[ა]დევი ძმ[რ]ით არეული.

/// გველი რომ კაცს პირში შეუვიდეს, ბოლოკი დანაყე,  
მის წყალში ზაფრანა გაურიე, ასვი.

r24(47)

/// ძა[ლ]ლმა რომ კაცს [უკ]ბინოს, გარეული ვარდის ძი-  
რი გაახმე, დანაყე, შამოადევი, ვირი ლობიო გააპე და და[ა]დე-  
ვი, კარგია.

/// დედაკაცი რომ ორსულ(ა)თ იყოს, გინდა შეიტყო ვაჟია  
თუ ქალი: ერთ ფინჯალში წყალი ჩაასხი, ზედ იმ ორსულმ[ა]  
რძე დააწვეთოს, თუ ქვეშ დაილექოს ქალია, თუ ზევით მოე-  
რთოს ვაჟია.

/// დედაკაცის რძე სირსელზე წ[ა]ისვი, თუ გაუმრთელოს  
ვაჟია, თვარამ\*\*\* ქალია.

/// ყმაწვილმა რომ მიწა ჰკამოს, თევზის ნაღველი მიწაში  
გაურიე და აჭამე და მიწას აღარ ჰკამს.

/// ავანტყოფს რომ ენა ჩაუ[ვ]არდეს, ან შეკროდეს  
v24(48)

\* ტკიპის ანთისქლის" რას გამო წინადადება გაუმართავია.

\*\* აღმათ უნდა იყო ეს ნამწვევი ზედ მოაყარე". ასე აზრი გაუგება-



[ვერ] ილაპარაკოს. პიტნა დანაყე, მისი წყალი ცხვირში ჩაუწვეთოს, ილ(ა)პარაკებს.

/// ჯულ[ა]ბმა რომ კაცს ძალა უქნას, მოიტანე წყალი, ფეხები შიგ ჩაუწყვე; თუ იმათაც არ იქნეს, მოიტანე ჯაოზი, წმინდათ დანაყე, პური პტყლ[ა]თ დაჭერი, ღვინოში და[ა]სველე, ცეცხლ[ლ]ზე შეწვი. ის დანაყილი ჯაოზი მარილივით მოაყარე და ისე პური ღვინოში დაასოლე, აჰამე.

/// კაკბის ნაღველი და მუშკი შეიბი, ყოველის კაცის წინ საყვარელ[ი] იქნები.

/// ყმაწვილი თუ არწყევს, ნიასური დანაყე, წყლით გამოწურე, შინაური პიტნის ძირიც იმაში გაურიე, ნუშის გული, V25(50)

დანამასტაკიც, წითელი სანდალი, ჯაოზი; ზღვის ქაფი, ირ(მის) ფაზარი, თახვის წამალი, თიახმარუხი (ფუფა)ლი, ზაფრანა წყლით ასვი, თუ არ მოუხთეს, ღვინოში ძუძუ გარიე, ის წამლები იმაში გა(ა)კეთ(ე) და ასვი, კატის ბუდეც გაურიე.

/// ვის(ა)ც ათ(ა)შა(ნ)გი სჭირდეს, გუნდა, შაბიამანი, ბროწეულის ქერქი, გოგირდი\* ესენი ერთად დანაყე, კვერცხის ზეთში ჩაყარე, დასცხე ს(ა)დ(ა)ც ქონდეს, არგებს, ჯ(ა)ხველა, მწარბალი სამჯელ მოხ(ა)რზე, ღვინოში სამჯელ ტანი დაბანე.

/// ვის(ა)ც ჰია ქონდეს, პრასის კაკალი ღვინით ასვი, ჰინკრის ძირი ღვინით ასვი უზმოთ.

/// ვინც შეკრული იყოს, შავი ყურძენი დანაყე ძალიან V 25(50)

სქლ(ა)თ, მის წვენში (...) (ტ)უხტი გაურიე, წყლით ასვი (გა)ხსნის.

/// ვის(ა)ც მორიალმა უკბინოს, თავგი გა(ა)პე, ნაკბენზე დაადევი, ძროხის ნეხვი(ც).

// ვინც სისხლს ფსემდეს, ქინძის თესლი დანაყე, წყლით ასვი, არგებს.

/// თუ კაცი იფსემდეს, კურდღლის სისხლი ღვინით ასვი, მოუხდება.

// თუ (მ)გელის კბილი შეიბა(ს), ძალლი მიდღემჩი ველარ უკბენს:

\* ტექსტშია „გორგინდი“.

// თუ მარჯვენა გველის თვალს ბუდიანა შეიბამ, მიღღმჩი მავნე ვშმაკისაგან არ გიქირს რა.

/// საწერელის ლოცვა ეს არის: სასელით(ა) მლთის(ა)თ(ა) და სულის წმინდის (ა)თ(ა) საწერელი მოვიდოდა ეამს შუა-  
r26(51)

ღამისას შამოეყარა მიქელ (.....) მთავარ ანგელოზი, საწერელო სად (მი)ხვალ, სადა ნამყოფი ხარ, ზღვის ნამყოფი ვარ განმე-  
ძლო, თახმელ(ე)თით გამოვედი, საწერელო სად მიხვალ, მი-  
ვალ ჩემს ბაგაზედა კ(ა)ცის ტანში სისხლის სასმელათ, ძვა-  
ლის სახრავათ, ბილის საქმელ(ა)თ. შამოეყარა მიქ-  
ელ გაბრიელი თავარ ანგელოზი, არ მამაძემ და  
სულმა წ[მ]ინდამ არ ჩავიშევეფ კაცის ტანში სისხლის სასმე-  
v26(52)

ლათ (არცა ძვალის სახრავათ .) ... (თ)ავგის სის-  
რას ძირი, მამალი ეკ[ალა]ს ძირი, კაქაჰის ძირი... ისფერა, ეკ-  
ლის ძირი, ვარდის ძირი, მატიტელა, მგზავრული ინა ესენი  
ყველა დანაყე, ამათი წვენი კარგათ დაშაქრე, იმაში ბატის ნა-  
ღველა გაღესე და ასვი, არგებს სად[ა]ც საწერელი ქონდეს,  
ძროხის რძეში ვარდი მოხარშე შამოსდევი, ტილიფის კილი,  
ქის ფერი, კვერცხის ცილი ერთათ გაურთიე, შამოსდევი მერე  
( ————— )

r27(53)

ძროხის რ( .) ფურცელი\* დააღვეინე მორჩება.

/// თუ წა[რბი მოკ]ლე იქნეს ყმაწვილს, ძაღლის რძე და  
თ[ხ]ის ნაღველი წაუხვი, ამოუვა დიდსაც და პ[ატარასაც].

/// კაცს თუ კაცობა აკლდეს, ნიგზის ზეთი ასვი, ობოლი  
ასკილი მოსთხარე, მისი ცილ(ი) შეაცალე ბაბუსაგძალ[ი]ს ცი-  
ლი, სამი ცილი ფურისულ[ა]ს ძირი საროს ძირი დანაყე, ყვე-  
ლა ღვინით დამწენი, ასმევდე, ღვ[ა]ლოს თესლი, ძველი ვერ-  
ხვის ცილი ღვინით ასვი, უსცილოთ მორჩეს.

// ცხელებიანს წვრილი ლოკოკინა ასვი, მოუხდება.

/// კაცი რომ დაჰრელდეს, ბუძგვის ღვიძლი წ[ე]ისვას  
დაჰრელებულზე, მორჩება.

\* აქ ფურცელი გასაქველია, ან რი წყურება.

// მტრედის შვილი გ[აა]ზე გა[ა]ხმე. მარკვენა მკლ[ა]ვზე  
შეიბას. მორჩება.

v27(54)

// ვის[ა]ც შარდი უჭირდეს, ბუძგვის ღვიძლი გაახმე და  
შავი მუხუდოს წვეწვი გალესე, გაათბე. ასვი, მორჩება.

// ქალს რიგი აკლდეს, ანისუნი დაალევინე. შოადულე  
წყლით და თაფლით ასვი, რიგს მოუმატებს.

///ვის[ა]ც სიცხე არ გამოწელდეს, რევანდი ვარდის  
წყლით მოუდუღ[ე], და[ა]ლევინე, არგებს.

/// თავის ტკივილისათვის: ერბო ძმარი შოადულე, საფე-  
თქლებზე ქალღლით დაფინე, არგებს.

/// თავის ტკივილისათვის: შავი ბოლოკის ქერქი და მარი-  
ლი დანაყე, შამოსდევი.

/// ვისაც შარდი უჩერდეს, ბაყლს ატანდეს, რამაქის აბი  
გააკეთე. ყოველ დილას თითო აბი და საღამოს ჩა(ა)ყლაპე,  
არგებს.

r28(55)

// ჯდომის წამალი: ზეთი, ღორის ქონი, პიტნა სამივე  
ერ[თა]თ აურიე. მაჭებზე დაადევი, თვალპირზე ოფლი მოედინ-  
ება, მორჩება.

// კიდო ჯდომის წამალი: დიკის ქბილი კვერცხის ცილით  
მოზილე, მუცელზე შემოსდევი, მორჩება.

/// ათ[ა]შა[ნ]გის წამალი: კაცის ძვალი, ძაღლის ძვალი  
დასწვი, იხროლე გადა(ა)ბიჯე, გენგეჩო\* ცოტა დალევინე, წი-  
ნადამაც ასაქმებს და უკანიდამაც, რევანდის თესლი ადულე,  
დაალევინე, ისევე მუცელში შეკრ[ა]ვს გენგეჩოს ზეთი წაუს-  
[ვი], ვისაც ქარი სჭირდეს.

/// ვის[ა]ც კბილი ენძრეოდეს, ლერწმის თავზ[ე] ქუჩუ-  
ჩი ამოუა, მარილი ოცი დრამი, ესენი წმინდათ დანაყე, თაფ-  
ლით დაზილე, კბილის ძირში ჩაუდევი და არგებს.

/// ვის[ა]ც გველმა უკბინოს, იფნის ცილი, შინაური თხი-  
v28(56)

ღის ცილი, (...) ცილი, ურნალის ძირი, გადურგველი პიტნის  
ძირი, ესენი ერთათ დანაყე, წყლით ასვი, იცოდე თუ ცოც-

\* ამ სიტყვას ხ.ზ.ი აქვს გადასწული.

ხალს მ(ო)-უსწრო. არგებ[ს].

/// ვის[ა] გული სტკიოდეს, თეთრი საკმეველი ყალიონით დალიოს, არგებს.

კყურტის წამალი: მოიტანე მეავე ბროწეულის თავბოლო, დააღბე გამოსწურე და წყლით ასვი.

კიდო მისთვინ: შაბი და ღომის კაკალი კეცზე დასწვი დანაყე, წყლით ასვი. თუ ამან არ გადაუგდოს, ბზის ხავსით გასტენე ქოთანი, წყალი დაასხი და ადულე თავგადაგლესილი, ნელთბილათ ასვი; თუ გულყრა ქონდეს თეთრი საკმეველი, დანამასტაკი, ყვითელი კოჭი დანაყე, წყლით ასვით.

r29(57)

/// შარდი ნახე ავანტყოფის, სალ(ამო)ყამს შეინახე დილამდე, დილას ნახე: შავი ღრუბელი თუ ქ(ო)ნდეს, მოკდეს, თუ თეთრი ჩაწვა, მოწ(ა)მლულია; თუ ვ(ა)რდისფერად ჩაწვა სიმხურვ(ა)ლისაგან არის; თუ კვარტლის ფერ(ა)თ ჩაწვა, ბაღმისგან არის; თუ მწვანეთ ჩაწვა, ღ(ვ)იძლი სტკივა; წმინდა წითელი შარდი იყოს, ნალთვ(ა)ლყბია, თუ ყვითლ(ა)თ ჩაწვა სიმხურვალისგან არის; ამ შარდებს რაც შეატყო იმ მოწ(ა)მლულის შარდისთვის, კაცის შარდი ასვი, მორჩება.

/// ხველის წამალი: თეთრი საკმეველი რძეში მოხარშე, ცივათ ასვი, თუ სიგრილთ ახველოს ნიორი მოხარშე, აქამე; ბოლოკი შემწვარი თაფლ(ლ)ში ჩაყარე, თბილათ (აქა)მე. სიგ-  
v29(58)

რილის გულის არევისათვის: ილი, ჯაოზი, თოფლ(ა)ხი, ჯადრე-ბი, თავვის წამალი, დარიჩინი, ლადანა, თეთრი საკმეველი, ყვითელი კოჭი ერთათ დანაყე ღვინით მოადულე თბილათ და-ალევინე უზმო. სიგრილეს (და) საყმაწვილო ქარს მოუხთება.

/// წითელი ქართა თვალი სტკიოდეს ან თეთრი ქონდეს, თეთრი და წითელი სანდალი ჰისნაერი (

.)

...ქალს რომ ტანთ არ ემართებოდეს, თუ სი-  
ცხე (ქონდეს), ღვინოში გაღესილი ლადანა ხშირ(ა)თ ას-  
ვი, გამ(თბა)რი, თუ სიციხე ქონდეს წყლით მისთვისვე:

\* მშ-ე გვერდის მეორე ნახევარი დაწერილია სხვა სვეტით. სიტყვათა გაუმართავე და ძალიან ასონაქლულოა, რის გამოც მისი გ. ეტყებაზია.

ქალ[....] [....] განა თვითო ქინძისთავის ოდენი ქალბანა და გარგვალე ყოველ დღე ჩა[ა]ყლაპე და[ა]რღვევს სისხლს.

/// ჭი[ი]სთვის ბორ[ა]კი რძ[ე]ში გაღეს[ე] და ასვი; თუ პატარა იყოს, თიხმარუხი წყალში გაღეს[ე], ასვი; ბროწეულის თ[ა]ვბოლო, მწვანე გუნდა, მაწკიალა(?), ჰვარტლი, ესენი სწორა წყალში გამოხ[ა]რშე და ასვი; ნიახური მისი ძირიან-ფურცლიან[ა]თ ძმარში მოხ[ა]რშე. თბილი ერთი ჭიპზე დაადევი, მეორ[ე] სასულესთ[ა]ნ; მისთვისვე; კვერცხები დაამტარიე, დანაყილი შაბი ჩაყარე, იმაში დარის (?) მჩვარი ამოსვარე და ყელსა და გულზე დაადევი; კდე ქერსა ფის (?) ნახ[ა]დი წყლით ის .

/// ტყლიპი რომ კ[ა]ც ექნება, მალოქ[ი] მოხარშე. ღაჰქერი, მერ[ე] ცხელს წ[ა]ცარ[ი] მოაყარე. საც[ა] ტყლ[ი]-პ[ი] ქონდეს, ღორცმა რომ იგუოს ის ცხელცხელი დაადევი. სამჯელ სამს[ა]მ დღეს ას[ე] რომ არ შეხსნ[ა]ს თითოს დადება სამსამს დღესა.

v30(60)

/// [სიყ]ვითლის: შექლიავეს ცილი წყლით და მი[. .] ერთი დამე და უზმო ასვი დაშაქრული, კილო მე[ა]ვე ვაშლის ქერქი, ისიც ისე უქენი.

/// ცხვირში სისხლის დივილისთვის: კირწყალში(?) გაღესე და ქოჩორზე დასცხე.

/// სოკოს წამალი: კინ წინდა წმინდათ დანაყე, გამტკიცე, უცეცხურს თაფლ[ო]ში აზილე, დილა სალამოს აქამე, გულზე მოაცილე მერ[ე] უკ[ა]ნ კვატუში მოკიდე. მისთვისვე კოქი ს[ა]ნელ[ე]ბელ[ი], ჰიპილა, ილი, მიხაკი. დარიჩინი, ჯაოზი, ფუფალი, თეთრი საკმევე[ე]ლი, ბროწეულის თავბოლო, შაქარი, შაქრის ყინული, ენდრო, ჯანგარი, შაბი, შაბიამანი. დამწვარ[ი] შაბი, გუნდა, ინა ესენი ყველა წმინდათ დანაყე, ერთ-მანე[თში] ჩაურე, ტაფ[ა]ზე დაყარე, დასწვი. რომ დ[ა]იწვას და შაშვედეს გადმოიღე და წმინდათ დანაყე, გასცერი. მოხ[ა]რშე ჭიჭლაყა ფხ[ა]ლი და კარქ(?) გა[ა]კეთ[ე]. იმე[ბ]ს მოაყარ[ე] ხოლმე და აქამე. კვერცხზედ[ა]ც მოაყარე და აქამე; თუ [უ]კ[ა]ნ კ[ა]რზე ესხ[ა]ს კვატუში მოკიდე და ის სოკ[ო]ან-ერ[ე] და დანაყილი წამლებიც შიგ ჩაყარე. კიდე ასკილ[ი]ს სოკო წმინდათ დანაყე და დაქრილს სოკო შემოაყარ[ე]. კიდე

ასვი, გულზე რომ ესხას მოახმობს და გაყრევინებს კიდეც. [ბროწეულის] თავბოლო წმინდათ დანაყე და გასცერი, სამს კვე[რც]ხზე მოაყარე რგვ[ა]ლზ[ე] და სამი დილ[ა]ს შეაქამე და სამი სალა[მოს]. სამს დღეს ასისთავა და დიდი ბურღვის ძირი და კულ[მუ]ხის ძირი, ეს[ე]ბი თავითავს მიწებულ[ა]თ მოადუღე ღვინოს[ა] და თაფლ[ა]ში თფ[ი]ლ[ა]თ და[ა]ტკბე თუ სიცხე აქ წყალში, თვარ[ა] ღვინოს და თაფლ[ა]ში თითო ფიალა\* დილ[ა] სალ[ა]მოს ასე[ი] გაციებული, საკმელათ ჭი-ჯლავას და კვერცხს აკმევდე, ნიახური და პრ[ა]სა დასკერი და მოხარშე და გამომცხვარი პურის გული ამოუკიდე და აჭამე.

/// ბოვს რომ ოფლი შე[ე]პარ[ო]ს მის[ი] წამალი: ჯ[ა]-ოზი და\*\* ჯ[ა]დვარი გაღეს[ე] ძუძუში ასმევდე ხოლმე სან-სამღი არ გადუვდეს, ეს კილო ღვინოში გაღეს[ე] და თავის ქონორში ჩ[ა]სსცხებდე და პირზედაც გაღ[ა]სცხებდე.

/// ყმაწვილს რ[ო]მ არწყევინებდეს, გორგინდი ერთ-მანეთსოდენ წყალში გალ[ე]ს[ე] და ასვი; დანამასტაკი ბან-ბის კურკ[ა]. ნუშის გული, ტკბილი ვ[ა]შლი დანაყე, გამოწურ[ე], ამის წვეწვი გალ[ე]ს[ე] ეს[ე]ნი და ასე[ი] პატარ[ა]ს.

/// პატარ[ა] ყმაწვილს რომ ავიზნე და საყმაწვილო აჟრ-ყდება და ჟრინვას დ[ა]იწყებს ეს ასვი: [წითელი] და თეთრ[ი] v31(62)

ს[ა]ნდალი, ლილა, ქალბანა, მუნდსკი, [კის]ფერი, ქართული ენდრო, შაბი, კატის ბუდე, [თ]ახვის ღუმა, დაჯლჯა[?] სათვალე მარჯ[ა]ნი, მარგალიტი, ოქრო, ვერცხლი, მარტვ რქა გიშე-რ[ი], დევის სისხლი, დამწვარი ირმი[ს] რქ[ა], ქარვა, არდაშხანი, ზღვისპერული, დან[ა]მასტაკი, თხის ნადველი, უმარული, იორდასალევი, ინდოური ხულმის კურკა, კიბოს თვალი ესენი წყალში გაღეს[ე] და ასვი, ძუძუ შეურიე ცოცოტა ყოველდღე ცოცოტა ასე[ი]. ცოტათ გამთბარი, თუ სიცხე არ ექნეს და ქ[ა]რს საყმაწვილოს ატყობდე, თეთრ[ა]თ გამობჟინდეს, ამ წამლებში ჯაოზი, ფუფალი, ყვითელ[ი] კოჭი, ჯ[ა]დვარი, ალილა

\* ტექსტში „ფიალის“, \*\* „და“ ორჯერ სწერია.

გ[ა]ურე და ისე ასმეველე უთუოთ უშველის: თუ თ[ა]ვი გაუ-  
ხურდეს. ქ[ა]ფური გალეს[ე] და ქ[ა]ღალდით შუ[ბ]ლზე და  
ს[ა]ფეთქლებზე აფინე. გარეთ ქაღალდს ნუ უზ[ა]მ,\* ყმ.წ-  
ვილს შიგნი წამალში ასვი.

r32(63)

//// საყარი რომ ქალს სპირდეს და შვილ[ი] უკვლევო-  
დეს. ორსულობაზე თონე გაახურვე, უხმარ[ი] ქოთ[ანი] მოი-  
ტანე, მკვდარი მგველი შიგ ჩაადღე, მას ჩელტ[ა] გადააფარე.  
ვისაც ეს პირ[ი] სპირდეს, დაჯდეს ზედ ტიტველ[ი] ნაწყლით.  
პირი კარგა ამოიხვიოს. ასე რომ მას სულ[ი] არ ეცეს, სანამდი  
გაუძლოს ის იჯდეს იმ ჩელტზე. მერ[ე] გადმოვიდეს. ქვეშაგე-  
ბელში გაეხვიოს და ოფლი იდინოს. მასუკან ტანი ბალახის  
წამლებით დაიმდურლოს; მისთვისვე: ქათმის. ბატის ოორი  
ძაღლის მთხლეში ახრ[ა]კე და ტანზე შეუხვი, რთმეღის,  
ღვინის, ჰინკრის, ძაღლის ყურსენას ფერც[ი]ლი მის წყალ-  
ღვინოში დახარზე ესენი და ამით ტანი დასაქანიე და ნაცრის  
ძალი გამოადუღე, ამით ძუძუები დაიბანოს. ორ ბეჭს შუა  
ნ[ა]ხშირ[ი]თ ჯვარედინ[ა]თ დაბეჭდე.

/// სირსველი რომ აღამიანს გაუჩნდეს, დიდია თუ პატა-  
რა,\*\* მოიტანე ბაყაყი. დანაყე წმინდათ. სანამდი სტეჩდეს ის  
ადევი დაშაქრული. ტეხა რომ დათმ[ოს] მოიყვანე წიწილი,  
v32(64) გაატყავე. ისიც წმინდათ დანაყე [ . ] ის ნუ  
შეატან სანამდი ს[ა]შვილებლათ ხორცი [არ] წამოვიდეს ადევ  
და ხორციით რომ ამოივსოს ბალახის წამლები დაადევი, წი-  
თელი კინწა რ[ა]ც საწყმაწვილ[ო] წ[ა]მლები იყოს, მასუკან  
უმი რძის ნალები ქვაბის გევრ[დ]ზე\*\*\* მოლ[ე]სე, ლახოსტა-  
კით და შაბი სცხე სანამდი არ მორჩე[ს].

/// აღამიანს თავში თმის სისნას დაუწყებს, იმისთვის მო-  
[ი]ტანე უნიშნო შავი ძროხის რძე. იმაში გაცრილი ჰეარკლი  
ჩაყარე. მას[ი]ქეთ და სცხე მეოთხ[ე] მეოთხ[ე] დღეს, დაბა-  
ნე. მერ[ე] ძმარ[ი] მეწეს (?) დაასხი და იმას ნიორი მოუ[ა]ვი,  
დასცხე მერ[ე] თუ იშონ[ი] ვირის ფსელ[ი]თ მობანე, თუ ის  
ვერ იშონო იელის ხუხური ღვინოში მოხარზე და იმით დაბა-

\* რეჟსტში „ქალბანს ნუზა“.

\*\* -გაუჩნდეს“ მეორეჯერ სწერია.

\*\*\* ტექსტში „გვერსე“.

ნე, ღორის ქონს სცხებდღე და ღორის ჩლიქ[ი] დასწვი და და-  
აყარ[ე] ხოლმე ბალანს მოგ[ე]რის; ხანდახან შაბიამ[ა]ნს გა-  
ლესდღე ძმარში და დასცხებდ[ე] ხოლმე ვინცობ[ა] არის ეს[ე]-  
r33(65)

ნ[ი] არ მოუხტ[ე]ს ან გვირილინ ფოთოლი დანაყე და დაადე-  
ვი, უთუ[ოთ] მორჩება ხანდიხ[ა]ნ მძალის ზეთს[ა]ც დასცხებ-  
ღე.

/// ათ[ა]შ[ან]გისთვის: ჯაოზი, ყვითელი კოჭი, სინებილი,  
საკმეველ[ი], გვარ[ა]ჩილა წამალ[ი], ესენ[ი] სწორა დანაყე და  
ასვი წყლით: კვერცხის ზეთი, ნიგზის ზეთი, ღორის ქონი, ამ-  
ში შაბიამანი, მარილი. ვარდკ[ა]ნ[ა]ფას ძირ[ი] და ფურცელი  
და კაკ[ა]ლი. გვარჩილა წამალი, ციკმურ[ა]ს ფურცელი და  
კავერლა [?] საკმეველი ს[ა]ნთელი გოგირდი\*\* ეს[ე]ნ[ი]  
სწორა დანაყე და დაადევი ყოველს დღეს წ[ა]უსვი, სან[ა]მდი  
არ მორჩეს. ვირის მწორო დასწვი უხმარს ქოთ[ა]ნში და ვი-  
რის ფსელში გაქენი და წაუსვი. თუ პირში ქონდეს, ეს ბა-  
ლა/ხის წამლები, შაბიამანიც დანაყე და და[ა]კავებიე პირში  
ს[ა]ნ[ა]მდი არ მორჩეს ასე უქენი.

//// დიდი იყოს თუ პატარა, მუცელში რომ გახსნილი იყ-  
ოს და არ უშველოს რ[ა]. სისხლზეც რომ გადიოდეს, დადუ-  
ღებული არდაშხანა ღვინის ფერია რგვალ[ი] ეს და თხის წალ-  
ველი ერთათ გალესე ღვინოში გაათბე ასვი ჯულბისგანაც  
რომ გახსნილი იყოს იმასაც არგებს.

v33(66)

[. .] მი ველრთი[?] მოსქრა პური მოზილე ღვინით  
[. .] ლე ცეცხლ[ში] ჩასვი, გამოაცხვე, რომ გამოცხვეს კა-  
რგა, [გ]ამოიღე, გადაავლე ღვინო ცხელზე, დანაყილი ქონდ-  
რის კრებული ს[ა]კმეველი ერთ[ა]თ დან[ა]ყილი მარილივით  
იმას დააყარე ცხელზე, მერე ეს ცხელი მუცელზე გადააკარი,  
ტიტველ მუცელზე სამჯელ ზედიზე[დ] უშველის.

/// სოკო რომ კაცს სჭირდეს და ნერწყვი მოსდიოდეს,  
მის ამოს[ა]ბრელ[ა]თ რკინა წინდა დანაყე წმინდათ, დარიაში  
გა[ა]მტკიცე. მიხ[ა]კი დანაყე, დარიჩინი, ყვითელი კოჭი უცე-  
ცხლო თაფლ[ში] ჩაყარე. ესენი დაზილე, ესენი სამს დილას

\* ტექსტში „გორგინდი“.



სამსამი ლუკმა ჩა[ა]ყლაპე, სოკოსათვის კარგია.

//// ნაღლების (?) დაღუღება თუ გინდოდეს თიაქარისათვის. მოიტანე ყოლისფერი ნაღლები [?] კ[აი] ღვინოში დააღბე ასე დააღბე კარგია, მერჯანი გააფრე ტაფ[ა]ზე დაასხი, კ[აი] ღვინოში მოადღუღე. აბზინდა უქენი და კოთხოჯი, ასე რომ კარგა გასქელდეს, თურმე ბარგეს წამლებს უზამ ისიც კარგია, გადმოასხი მიწის ჯამზე, რომ გაცივდეს გაგორგლე, ჭურჭელში შეინ[ა]ხე თიაქარიანს კ[ა]ცს უჯობს, მუცელ[ი] რომ კაცს ეწოდეს იმასაც უჯობს.

/// თვალი რომ კაცს სტკიოდეს, ტეხდეს, შავბალახას ფოთოლი წმინდათ დასქერი, დაასხი კვერცხის ცილი აურიე ტარ34(67)

ფ[აზ]ე მოხრაკე, თბილთბილი საძქელ დაადევი; შიგნი სასმელ[ა]თ. წითელი ქ[ ] წაშლები: შიგნი თვალში ჩ[ა]-ს[ა]სხმელათ სარდ[ა]ფზე დაასხი, იმა[ში] შაბით მოურიე ჭისფერი, ცოტცოტა თვალში ჩაუღევი, მოუხდება, თვალი დაულობრდება, მაგრამ ნუ შეგეშინდება, უჯობს.

:// კაცს თუ ქალს შარღი ჰოკავებული ჭონდეს, დანაყე წითელი ასკილი, ასკილი ზამთარს[ა]ც ასხია და ზაფხულს[ა]ც, დაასხი წყალი, ჩადევი ფარა, ცოტახანს აცალე, სამჯელ ასვი, უშველის.

//// ყმაწვილი რომ დაიბადოს ეს წამლები უნდა წააყარო: დანაყე ენდრო, სამი რაკის თვალი მონცრო, წითელი ფუფალი, ესენ[ი] ყველა წმინდათ დან[ა]ცილი რომ დაბან დააყარე. თავს და პირზე ნუ წააყრი. თბილ წყალში ლაყე კვერცხი ჩაასხი, ცოტა შინდის ტყლ[ა]პი გამოზრდე. ის ყმაწვილ ას[ე] დაბან[ე] და მერე ეს წამლები წა[ა]ყარე

//// ყმაწვილი რომ დაიბადოს პირში გამოსასმელ[ა]თ მაშინვე შავი კატის სისხლი, სამი კაკალი ჭისფერი, თხის ნაღველი ესენი იმისი ჭიპის სისხლ[ლ]ში გაღესე, ესენი ქეც ასვი და პირიც გამოუჭილე, ესენი რომ ჭნა, ტანი მასუკან დაბანე და წ[ა]ს[ა]ყრელი მასუკან წააყარე.

v 34(68)

/// ქალს რომ შვილი არ რჩებოდეს და სნეული შვილი ებადებოდეს, ნიგზის ყვითელი ჰორფლი გაღესე წყალში, ჩაა-

სხი კვაწიაში\*. ც[ა] რომ მოწმენდილი იყოს მიაკარი ეს კვაწია რაშიაც ის ნიგზის კორფლი იყოს, იმ ნიგოზზე დანა ზედ დაადევი, თავმოხდილი იყოს, იმ ღამეს მასკლავი კრიფოს. დილას ჩამოიღე. თვეში რომ ქალი იდგეს, სამს დილ[ა]ს ასვი უზმოს.

/// თვეში რომ ქალი ჩადგეს, ყვავი თ[ა]ვის ბუნბულიანათ ქობ[ა]რზე წყალში და იმით ტანი დაიბანოს სამჯელს, სნეულებას უშველის.

/// გაახმე კურდღლის ძვალი ჩრდილში, გალესე წყალში ყვითელი კოჭი. ზღვის პერული ქაფი, იორდასალევი, ეს ოთხი თავი ღვიძლი ვისაც სტკიოდეს ასვი, მოუხთება. კილო თხის ჰაჰის ქონი, თუ იშონო თხის რძეში თვ[ა]რ[ა] ძროხის რძეში გალესე და ასვი ოთ[ხ] ხუთ დღეს.

/// სოკოს წამალი: ერთი ძირი ასისთავა გამხმარი, ერთი მუკი ჩაწყობილა ისიც გამხმარი, ჩაყარე ქოთანში ზე[დ] ღვინო დაასხი, ყვითელი კოჭი, დარიჩინი, თოფლ[ა]ხი, ჯაოზი, თეთრი საკმეველი, არღამხანა, მიხაკი ესენი ძირი დანაყე ესენი, დაასხი წყალი, გამოსწურე, იმაში რევანდი გალესე, დღეში რ36(71)

სამჯელ ასვი, თუ რომ ვერც ციება შეიტყოს ვერც ცხელება ფეხებს[ა]ც უცხელებდეს სასმელათ ამ წიგ[ნ]ზე რომ სწერაჲ ამას ასმევე[დ]ე ხ[ო]ლმე; იცოდე კორდის ჰია დანაყე, წყლით გამოსწურე, იმაში ქაფური, რევანდი დალეს[ე] ღღეში სამჯელ ასვი; ახლ[ა] ცალკენ ცხრ[ა] ფეხ[ა] დან[ა]ყე, წყლით გამოსწურე, იმაში რევანდი\*\* გალესე, ის ასვი, თუ სიცხით ვერა უწველო რა და ძალიან სიცხე ქონდეს, დაასხი მაწონი ტამბუზე, იმაში აღის[ა]რჩული ჩაყარე, კარგა ამოკვლიტე, ერთი კათხა ძმარი ჩაასსო, იმაში პერანგი ამოკვლიტე, გადმოაბრუნე პერანგი და ჩა[ა]ცვი, ოფლი ადინე იმაში, რომ არ ედინოს მ[ა]ინც უჯობს. სამჯელ უქენი ეს. თუ ფეხი გაუხურდეს ძალუან, დანაყე ძალლის ყურძენა ჩაყარე ტამბუში, დაასხი წყალი: უსვი მალმალ ფეხებზე, თუ გულის წუხილი ქონდეს ცხელებიანს, ვარდის წყალში თეთრი სანდალი გალესე, ქეც დააღევინე და საფეთქლებსა დ[ა] ხელის მაჯაზე ქალაღლით შეუხვიე.

\* კვა(წ)ია — ხცირე კოჭობი; კოჭობი — ხცირე ქოთანა

\*\* „რევანდი“ ორჯერ სწერია.

/// ცხელებიანი კ[ა]ცისათვის: ტირიფის ოტკა ამრიგათ გამოხადე: თ[ა]სზედ უხმარი ტილოს ხელსახოც[ი] გადააკარი, ქვეშ მიაკარი მაგრა[თ] ქოთ[ა]ნი წყლით გაავსე ის მიკრული თასი შიგ ჩადგი იმ ქოთანში იმ ტილოზე დილა[ს] მოკრეფილი ტირიფის ფოთოლი დაყარე, იმა[ზ]ე უხმარი ქალღი დააფარე იმა[ზ]ე ცივი კეცი დადგი, იმ კეცზე ნაკვერცხ[ა]ლი დაყარე, ფოთოლი მალიმალ ნახე, თუ გ(ა)შრეს სხვა ფოთოლი და[ა]ყარე, ცეცხლიც უნაცლე, გადმოასხი ხოლმე დ[ა] იმაში ქაფური და რევანდი გალესე, შეინ[ა]ხე, ჰიქით დილდილას ცხელებიანს თითო ფინჯალი ასვი.

/// ქარი რომ აწუხებდეს და სტეხდეს: ლილა წითელი მიწა, წითელი სანდალი, ჯაოზი, საკმეველი, ქინძის კაკალი, ჯანგარი, შაბიამანი, ირმის რქა, ალის [ა]რჩული ესენი დანაყე, გადაადნე. ღორის ქონი, დანაყილი წამლები ჩაყარე, აღუდე, გააცივე, კვერცხის ზეთი გამოხ[ა]დე, ჩა[ა]სხი, თუ იშონო კარ37(73)

ტის ქონი გაურიე, საც[ა] სტეხდეს წაუსვი, ცეცხლ[ს] უცხუნ[ე] ქარიან კ[ა]ცს მოუხთება რომ წ[ა]ისვას.

/// ქალს რომ დედ[ათ] წეს[ი] არ ემართებოდეს და სიგრილეს[ა]ც ატყობდეს თავს ოტკ[ა] და ზაფრანა სვას: ოტკაში გალეს[ოს] სვას სამ[ი] დღე ცოტცოტა რომ დაემართოს ცოტა და მაშინ...

/// თუ რომ სიმხურ[ვა]ლისაგან ატყობდეს თეთრათ, აღუდებულ წყალში კოვ[ზ]ში(?) ჯერ მდუღარე ჩაასხი, მერე ზა[ფრა]ნა ჩადევი, თავს და[ა]ხურე პატარ[ა]ხ[ან]. ჩ[ა]ისავით პირში რომ იბანოს ის ჩ[ა]ისავით დალიე სამჯელ თითო კ[ა]თხა თუ ძალიან დაგემართოს, აღარ გადგივარდეს, ქვეილაში საკმეველი იხჩოლე, მოგეჭრის.

/// ანსდარ (?) რომ კაცს ხველება დააწყებინოს, მამალი ბრავა[ლ]ძა[რ]ღვას ძირიანფოჩიან[ათ] ჩ[ა]ისავით დაადუღე, ჯარგა, ასე შაქარ[ი] შეადუღე, რომ დატკბეს თბილთბილი ჩ[ა]ისავით ასვი.

/// ვისაც ოფლი არ ედინოს, რათიცი უნდა ავანტყოფი იყოს, ერთი მუჭი ოშიშა და ერთი საყმაწვილო წამალია, ყვითელი ყვავილი აქ ბუწ[ვა]სავით (?) გრძელი ღერო აქს, ეს

ორი წყალღვინოში გადმოადუდე, დაწოლის დროს ცხელცხელი დალიოს, ოფლი მოუა.

/// კიდო თვალის ტკივილისთვინ წითელი ქარი რომ აყვეს და უხურდეს: კვერცხის ცილაში ქისფერ[ა] გალესე, ქვით მოთქვიფე, ბანბაზე დასცხე, დაადევი.

v37(74)

/// [ქა]ლია თუ კაცი შარდს უქვერდეს და ვერ ფსემდეს: თხის ბუშტი გაანმე და როც[ა] დაგვირდეს გალეს[ე] წყალში, იმაში ქ[ა]რვა ჩ[ა]ლესე სამი ძირი კამის ძირი დანაყე, იმაში გამოპყლიტე, ამაში კიდო ერთი მუქი ასკილი დან[ა]ყე გამოსკყლიტე წყლით და ამაში გაურიე, შიდ ფარა ჩ[ა]აგდე, დადგი. ვის[ა]ც შარდს უქვერდეს, კაცია თუ საქონელი, ყველას მოუხდება.

ა/// კიდო კაცს შარდი უნდა შეუტყობლათ ანსდრ(?) მისდიოდეს და მისდიოდეს, ბუძგვის ნაღველი და სისხლ[ი] წყალში გალესოს, იმაში ჯაოზი გალესოს და თახვის ნაღველა ასვი.

.//// დიდია თუ თოთო ბოვში, პირში გამოაყაროს, დანაყე გუნდა და ბროწეულის კანი, დამწვარი შაბი ერთათ ესენი, ქათმის ცილი და უმარული გაურიე, დიდს[ა]ც მოუხდება; თოთო ბოვში რომ იყოს და პირში გამოყ[ა]რ[ო]ს იმას პირში მოაყარე შიგ დაყრილზე.

.//// კაცს თუ ქალს ანს დარ(?) თვალის ტეხა აუარდეს. წითლათ გახდეს და თეთრი გადეკრ[ა]ს ეს ულოცე: სახელის ღთის[ა]თ[ა] მამის ძის[ა]თა და სულის წმინდის[ა]თ[ა] შავი შავ[ა]თ და[ა]ბი თეთრი თეთრ[ა]თ და[ა]ბი თვ[ა]ლის უპეს აუწიე ფერ(?) შედევი ეს ლოცვ[ა] სამჯელ ულოცე, ას ქირს მოუხდება.

r38(75)

თეთრი რომ კ[ა]ც[ს] გ[ა]დ[ა]ეკრ[ა]ს ასე ულოცე: სახელით ღთისით მამით ძისით სულით წმიდით თეთრი (. .) მოფრინებად თეთრის ტახზედ მან გააგო თე[თრი] ხიდი მან დადგ[ა] თეთრი ბუდე, მან დადვ[ა] თეთრ[ი] კვერცხი მან დ[ა]კრ[ა] ნიკ[ა]რტი გაქრ[ა] ბუდე, ისეც გაქრება ამის თვ[ა]ლში თეთრი, წევიდ[ა] თეთრი, მოვიდ[ა] შავი, წ[ა]ვიდ[ა] წითელი, მოვიდ[ა] შავი ლოცვ[ა] ჩემი არგე ყოლწმიდ[ა] რ[ა]ვ[ა]რც

ეს მარტილი გაქრეს, ისე ამ თვალში თეთრი გაქრეს, სამჯელ ულოცე და თეთრი გაქრეს, სამჯელ ულოცე და თეთრი გაქრებ[ა] ღითთ.

. კიდო ადამიანს თვალში თეთრი გაუჩნდეს და გაუჩინდეს ქ[ა]ლის რძეში ჰისფერი, წითელი სა[ნ]დალი, შაქრის ყინულით ეს[ე]ნი გალესე, ორჯელ იქნეს თუ სამჯელ დღეში ჩაახი, ერთხელ იქნეს თუ ორჯელ, ცოტა დამწვარი შაბი გაურიე.

/// ყმაწვილი რომ წითელი ზნისგან გაცივდეს და შამოუტანოს ყოლისფერი, წითელი ზნის ბალ[ა]ხები დაკრიფე, დანაყე, კვერცხები გულიანცილიან[ა]თ დაახალე, აურიე, ტაფაზე აშუშე, მჭვარზე გააკარი, ზედ დამწვარი დანაყილი წმინდათ ირმის რქა მოაყარე, ცხელი რომ არ იქნეს ისე ნელთბილი შამოადევი ყმაწვილს ყოლიფერზე და შიგნიც საყმაწვილო წამლები ასეი.

/// თვალის თეთრის წამლები რომ სწერია ამაში და წითლათ თვალის თეთრის შამოვლების თუ ქონდეს, ვარდის წყალი თვარამ ვარდის ფურცელი მოხ[ა]რშე წყალში და გამოწურ[ე], იმაში წითელი სანდალი, ენდრო მუნდსკი(?) ჰისფერი  
v38(76)

ესენ[ი] გალეს[ე] დორბანდი ამოავლე (. .) ვნ, თვალზე აფინე, დაზელილი წამალიც გაურიე ამა (. .) (. .) ფურლილა[?]

/// დაჭრილის მალამ[ოს] [გაკ]ეთება ასე უნდა: მოიტანე კარქი გადუმდნარი ერბო სამი ოთხი ქათმის კვერცხის სისხო რომ იყოს ისე იმთონი დადევი კ[ა]ი მორეცხილს ტაფ[ა]ზე, მასთან ერთი მონცრო ქათმის კვერცხის სისხო სანთელი, ქ[ა]-ფური ფთხილის სისხო, აგრეთვე იმდონი ქალბანა, ცოტა ერც[ა]ზე წყალში წითელი ს[ან]დ[ა]ლ[ი] გ[ა]ლ[ე]ს[ე]თ, მოცრა წყალში კარგა ესენი ყველა ერთ[ა]თ თავმოყრილი აღუღე, ტაფ[ა]ში კარგათ მოურიე, გადმოდგი, გააცივე, შე[ი]-ნ[ა]ხ[ე] ჰურჭელში. დაჭრილ[ი]ს მალ[ა]მ[ო] ეს არის, რ[ა]ც უნდა დაჭრილი იყოს ადამიან[ი] ეს უჯობს. თუ მილ[ზე] დაჭირდეს მილზე[?] წ[ა]უსევას, თორა(?) ის გაჭრილ[ი] ქონდეს დ[ა]დევი ხელის გულზე დანის პირ[ი]თ დაზილე, კარგა მოკვეთილს ძველს ტილოზე დასცხევი და დაჭრილზე ჩააფ[ა]რე,

რამდონზედაც ქონდეს იმდენზე, მეტს ნუ იქ, დილა საღამოს  
მობანდით შუის ღვინ[ი]თ, წყალი არ გაურიო, გაათბე და მა-  
რტო ღვინით მობან[ე] დილ[ა]-საღამოს და ეს მალამ[ო] ასე  
უყავი სანამ არ მორჩეს. ამ მალამოში კიდო გაურიე თეთრ[ი]  
საკმეველი და დანამასტაკი ორივე კაკლის სისხოები მოუნდება  
r39(77)

/// პტყელი ჰის წამალი: აიღე ბროწეულის ხის ქერქი,  
დანაყეთ, ჰამოს, იმის წვენი დალიოს. კაცს ჰია აქუს, დაფკუ-  
ნებს დაცდილია. კიდევ ერთი ბალახია, რომ ძაღლის რძეს  
უძახიან, ის რძე ნახგვარი აჰამე, უზმოთ აძლიეთ, მუცელში  
რაც ბედით ჰია არის, სულ დააყრევიანებს.

/// ტაბასტის წამალი: ნახმარი ჰურის სარ(ე)ცხელი, ბან-  
ბის ჰინჰი, წითელი ღორის მაგარი, წითელი მამლის ბუნბუ-  
ლი, თალათინის ნაჰერი, ცოცხის წუხიმელი(?) ოზობას ბანდ-  
ლი, გოლგიდი (?) ესენი ყველას თავი მოუყარე, მიწა მოს-  
თხარე, იმაში ნატეხრით ცეცხლი დადგი, იმაზე ის წამლები  
ათბე (. )

v39(78)

უხჩოლე გარს საბანი მოახურე ასე რომ (.  
) ან კვამლი წამლისა (. )

უქენით და მორჩება ღვითთ.

/// მგველის ნაკბენისთვის: ცხრა ანწლის ძირი, მათიტელი  
დანაყეთ და ასვით, ზედაც დაადევით არგებს ღვითთ.

/// გველმა რომ კაცი უცებ დაშხამოს, მოიყვანე თეთრი  
ქათამი და უკანა\*\* კარი გაუღე, ზედ დასვით, ცოტა აც[ა]ლეთ  
და შხამს(ა)ც ამოსწოვს და თავ(ა)თაც მოკდება. მეგრეთ მოი-  
ტანეთ კაკლის წონა თრიაქი, კვერცხის ოდენათ დააგორგალეთ  
თვითო ძველის ღვინით ან ძველის ბადაგით ან თაფლის წყლით  
სვას და განიკურნების ღვითთ.

\* ნახევარი ფურცელი სისველისაგან წაშლილი და გადახეულია რის  
გამო 12 სტრიქონი არ იკითხება.

\*\* „უკანა“ ორჯერ სწერია.

/// სიცხის: მრ(ა)ვ(ალ)ძა(რ)ღვას მარცვალი გადმოადულე წყლით, იას ყვ(ა)ვილ(ი) ნინოფლის ყ(ვ)ავილ(ი), ესენი ერთათ წყლით, ტათლიბი გაურიე, რომ დაატკბოს ისე, თუ ნამეტანი უქენი გამწ(ა)რდება, გადმოილე გააცივე, ვის(ა)ც სიცხე ექნეს ასვი მოუხდება.

/// ხუნაგმა რომ კაცს შამოუტიოს: ჯერ ენის ძირში სისხლ(ი) გააღებინე, მერე ღობის ჩხირბალახს უძახიან, ხეს(ა)ვით იზრდება მარ(ა) დაბალია პატარ(ე)ბი, მისი ცილი დაფხიკე, რძეში მოხარშე, პურის ქბილი ამოუკიდე, ფაფასავით ყელზე შამოადევი ენაში იქნეს თუ ენის ქვეშ სისხლი გააღებინე (ძალ)იანი მოუხდება ხუნაგს. 140(79)

/// შარდის ხუთვისთვის: წამალი მოიტანე ორმოც(ი) (. . .) სელი დანაყეთ, რძე და წყალი აურიეთ ერთმანეთში [. . .] უზმოთ დალიოს.

/// რომელსაც დედაკაცს შობა [გაუძენ]ლდეს ჩახმახის ტალი წელზე შეიბას, მაშინვე (შობს) ზაფრანას ჩ[ა]ი სვ[ა]ს ყელზე რომ ედგეს კარგია.

//// ადამ[ია]ნს რომ ბუზუკი გამოუვიდეს, სელის ქუმელის მარცვალი ან დანაყე ან დაქბი, ძროხის რძეში ამოუკიდე, ფაფათ გააკეთე, რძით თავი მოიწებე, დადევი ბუზუკზე გას[ა]აპარებელია გააპარებს, დას[ა]მწიფებელია დაამწიფებს და გამოიყვანს სხვა კიდო.

/// ადამიანს რომ ცხვირში სისხლი წასხტეს და დიოდეს იმას ეს შეშრეტს კისერზე კინჩხს უძახიან, ცივი წყალი ასხილ[ა] ის შეშრეტს, მაგრამ თუ ეჭირვებ[ა] დენა აცალოს.

/// ხუნაგმ[ა] რომ კაცს შამოუტიოს ღობის ჩხირს უძახიან ხეს[ა]ვით გეიზდებ[ა] დაბალია, ის დაფხიკე, მისი ცილი რძეში მოხარშე, მერე პურის ქბილი ამოუკიდე და ფაფასავით ყელზე შამოსდევი, სისხლი გაართვი ენაში უჯობს, ეს [ა]რი მის[ი] წამალი.

//// მგველის ნაკმენის ლოცვა ეს [ა]რი: საროს და ს[ა]როს და სროსწია ასკუნი[?] და ბატკანი სადაც დიდი გველ[ე]შაპია დავსვი ვერცხლის ჯამზე, დავსვი მჩივანს ერგოს მგველის ნაკბენს ეს ლოცვა წყალს ულოცე ისე ასვი, მოციქულს უჯობს მგველის ნაკმენს.

V40(80)

/// [მე]ველის ნაკბენს[ა]ც უჯობს და მგველი.... ფხა [.

. . .]მასაც უჯობს.

/// სამხ[ვ]ედროსთვის: ბზის (. . .) გაახმე, დაფშვე-  
ნი, წმინდათ დანაყე, დარის(?) მჩვარში გასცერი [.

. . . ეზე] და სცხე და ეს ბზა დააყარე და უშველის. ხარის  
ძირას ძირი (. . .) მოხარშე\* და თბილთბილათ უკ[ა]-  
ნაკარზე დაადევით.

/// ქისტვის: ხნკვლა\*\* თფილათ მოზილე და აქამე, ამის  
[მეტს] სხვა წამალს ნუ უზამ.

/// მძოვარ[ი]ს წ[ა]მალი: მოხარშეთ კანაფის ფოთოლი,  
ზედ დაადევით; კიდევ დანაყეთ თოფის წამალი, შაბი, შაბია-  
მანი დანაყეთ, მიწ(ა)ზე (?) დაყარეთ, ძმარი დაასხი ისე შა-  
ბით მოლესეთ, მოპარცულზე დასცხეთ.

/// ქაჩლის წამალი: ტურისძირა (?) და კორჩიოტა დანა-  
ყეთ, შავი ცერცვი მოხარშეთ, აზილეთ მარილი და კვარტლი,  
ლორის ქონი, ესენი ყოველ დილას დადევით. შავი საპნით მო-  
ზანეთ, მოპარცულზე თბილთბილი დაადევით მერ[ე] ხანდიხან  
მარილი, შაბი, ძიმწარე დანაყეთ ს[ა]ნ[ა]მლის ყრიდეს.

| /// კაცს რომ შარდს უკაეებდეს, შავი ბოლოკი დანაყე,  
წყალი დაასხი, გამოიწურეთ, დაალევიანე უშველის.

/// შარდს რომ უკაეებდეს, კამის ძირი მოთხარე, დანაყე,  
წყალი და[ა]სხი გამოსწურე, იმაში თხის ნაღველი გალგსე, იმ-  
დონი რომ ნაღვლის გემო ექნეს, ასვი, შარდს[ა]ც გახსნის და  
თეძოვების ტეხას[ა]ც უშველის.

/// გახელებულმა ბრ[ა]ზიანმა ძალ[ლ]მა რომ კაცს უკბი-  
ნოს ვისმე, ნიორი, ხახვი, ბოლოკი, ანწლის ძირი, გზის მოლი  
ცხენის დანაყე, წყლით ასვი.

(. . .)

r41(81)

(. . .) უთუთო ქვას დაამტვრევს. მისთვისვე ქერის  
ახალი კაკ[ალი] [ლ]ერო დანაყოს, ქერქი შეხადოს, მისი წვენი  
გარდმოსწუროს ახლ[ა] [მი]ს წვენშიდ სამი წვეთი ზეთის ხი-  
ლის ზეთი ჩააწვეთოს და დაალევიანოს [ . . . ] ქვას

\* ტექსტშია „მოხარტე“.

\*\* ხანკვლა თუ კიანკველა (?)



დაამტკრევეს; მისთვისვე: თუ დიად გასაჭირი ქონდეს, კა, კ[აჰ]ის ტვინი მზესუმზირას კურკაში უნდა გალესოს, ქინძის-თავის ოდენი უნდა დააღვეინოს.

/// თუ შარდს ვერ იჭირვებდეს და კიდეც ეწოდეს, თხის ბუშტი გაახმე და გალესე თფ[ი]ლწყლით, ძმრით ასმევედე, არგებს.

/// შარდის ჰირვისთვის და შირიმისთვის, ერთა პეშვი [ . . . ] ფურცელას კაკალი წყლით ადულე კარგა, გადმო-ილე, გასწურე, მერმე [მისი] წვენი თბილი შეასვი, ორსავე უშველის.

/// შირ[ი]მი ს [ . . . ] ვისთვის); კიბორჩხალის თვალი წყალში გალ[ე]ს[ე], ასვი, ტრედის (სტა . . . ი) და ასვი; შავი ბოლოკი და ჭაკუნტელი დანაყე თაფლით გამო-სწურე [ . . . ], თუ ქალს დ[ა]ემართოს სხვი-ლი მკალის ფთა და ბოლო უხჩოლე, [ . . . ] ასვი ონბა-ლო, შინაური პიტნა, ცერეცო წაქით მოხარშე, ჯერ უხჩ[ოლე], მერმე საპარცავთან შამოსდევი; მისთვისვე წითელი ლორი (:)  
[ . . . . ული] თუ ახალი იყოს ვარდის წყლით ასვი. თბი-ლი იყოს [ . . . . ლაში] აღებინეთ.

//// სისხლ[ს] რომ ფსემდეს [ . . . ] [ლ]ვინით ას-ვი საშველ დილა სადამოს მისთვისვე ოხოპონტრა [ . . . ]

ზე] დაადევი, ნათლის კვერი გალეს[ე] და ასვი.

/// . . . [შარდს ვერ იჭერდეს, თხის წელი დახვე-წე, ღვინით გაქენი [ . . . ] [შა]რდი უნდომოთ მისდიოდეს ძლ[ი]ერს ( . . . . . ) ნა-ხარშში გალესე, ასვი თხის ნალ[ველა] [ . . . ] რდ ეს, ცოცხალი თაგვი გააპე და [ . . . ]

]

v41(82)

/// სისხლის ფსმისთვის: ბერძნული ფთხილის ფურ[ცე-ლი] დანაყე და წყლით ასვი.

/// დაკოდლობისაგან რ[ომ] [სისხ]ლი ჩაქცეოდეს: სამი ახალი ფთხილის შტო მოსჭერი, დასწვი, წყლით ასვი, შირი-

მისათვის შავი ბოლოკი გამოწურე, და ა[სვი] დადნება, შარდს გამოყვება.

/// შარდს რომ ვერ იჭერდეს, კილოფის ძირი დანაყე, ასვი.

/// შარდის ჰირვისთვის: შავი ბოლოკი, ჰარხლის ფურცელი გამოსწურე, ასვი.

/// სისხლის რწყევისა და ფურთხებისათვი[ს]: წითელი სანდალი, თეთრი სანდალი, ორივე ვ(ა)რდის წყალში გალ(ე)სე წითელი მიწა და ბი(ი)ს წვენი გაურთე და სვი. რწყევის და განსნისათვის: კაპარი, ბანბის კურკა, ბერძნული თხილის გული დანაყე და წყლით (ასვი).

/// შარდის ჰირვისათვის: ყოლის ფითრი ზეთში და (. . .ს) მლღავის (?) წვერი იმაში გასვარონ, კიდევ დაალევინოს და კიდო იმ მლღავის წვერი ასოში დაუბრუნოს.

/// ყიყვის (წამალი) ზღვისპერეული ორჯელ გაახურვე თე(თ)რს ღვინოში ჩააგდე, მერმე (. . .) ზედ გაახურვე ტყუვილად (?) გააცივე, კარგა დანაყე ან ოტკაში ან (. . .)-ში ან თეთრს ღვინით ასვი.

/// მისთვისვე: ატმის ფურ(ცელი) დანაყე, შამოსდევი სამჯელ, ჯაშკუტას ძირი კურ(ა)ნკუჩა (. . .) ქალოკდას ძირი, დიოფალას ძირი ფურცლიანათ უზ(მოთ) ღვინით ასვი. მისთვისვე: მყვარი გააპე და თბილი შამო(დევი) (. . .) კის თავა კისერზე შეაბი, ღრუბელი დასწვი და (. . .)

(. . .) გალესე ორივე, ღვინით ერთათ ასვი თბ( . . .) შამოდევი ხოლმე ხშირათ. მისთვისვე (ღვინ . . .) (. . .) ქერი, კაქკაჰის ძირი ცხვარს (თვ. . .)

(. . .) (. . .) (ძალ)ლის ყურძენას ფურცელი ესე (. . .) , ;) დასხი ასვი მისთვისვე (. . .) .( )

(.

# ფემბასეული ხელნაწერის მსგავსება სხვა ქართულ კაიაბაღინებთან (კაიაღინები)

## 1. ა ბ ზ ი ნ დ ა

ფემბასეულ კაიაბაღინში აბზინდის ფურცლის ნახარში წარმატებით იხმარება თავის ტკივილის დროს: „აბზინდის ფურცელი ღვინოში მოხარშეთ, კაცს რომ თავი სტკიოდეს, ჯერ აორთქლეთ, მერე მისი ნახარშით თავი დაბანეთ, მერე ის ნახარში აბზინდის ფურცელი თბილათ თავს შემოადევით — თავის ტკივილს მოუხდება“ (გვ. 18). ფემბა აბზინდას სხვა წამლებთან ერთად ხმარობდა აგრეთვე თიაქრის სამკურნალოდ და მუცლის ტკივილის დროს (გვ. 66).

ა ბ ზ ი ნ დ ა თავის ტკივილის სამკურნალოდ გამოყენებული აქვს ქანანელსაც. იგი ამ მცენარეს იყენებს რთული წამლის მოსამზადებლად (აფიონი, შამიანდალი, მუყლი აზრაცი, საყმუნია, თეთრი ფილფილა, თურბუთი და სხვ). ქანანელი გვთავაზობს ყუყუის აბს (საბრი, მუყოი, ავსანთინი (აბზინდა), მასტაქი და სხვ), რომელიც „არგებს თავი სტკივილსა, ყურის ტკივილსა და თავის ნახევრის ტკივილსა და თვალის სინათლესა და მომატებს და ცხვირსა. რაიმე სდიოდეს გამოსწმენდს, და თავშიგან რომ სიხმელე სჭირდეს არგებს. ესე წამლები ჯალინოზ აქიმსა შეუწყვია“ (გვ. 54, 67).

ფანასკერტელის მიხედვით, „ნიშანი აფსინდის ტაბიხისა ერგების ტკივილსა სტომაქისასა და ცხროთასა, რომელი შეიპყრობს ყოველთა დღეთა სიცივითა თანა!“ (გვ. 174,

\* იგულისხმება ზ. ფანასკერტელის წიგნის ახალი, 1978 წლის გამოცემა.

ახ.) იგივე ავტორი აბზინდას გამონაწურს გვთავაზობს თავ-  
ბრუნევისა და შაკიკის სამკურნალოდ: „ერგების ყოველსა  
ბრუსა სხმასა თავისასა ძლივ გასამართლებლისა და ყოველთა  
ტკივილთა სტომაქისათა და შაკიკსა და ტკივილსა თავისასა  
ყურთასა“ (გვ. 17 ნახ.),

დავით ბაგრატიონი აბზინდას წვენს იყენებს ელენთის  
დაავადებასთან დაკავშირებული მ უ ც ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს  
დროს: „ეს აბზინდას წვენი რომე ან შარბათად ქნან და ისრე  
სვან და ან უშაქროთ ამისი ჯულაბი სვან, ტყირპის ტკივილი-  
სა და ტყირპის სუდას გახსნისათვის უცხოფრად მწოდელ კარგი  
არის და მრავალჯერ დაცდილი“ (გვ. 181 ახ).

აბზინდა (მამულა, მყარალა) ქართულ ხალხურ მედიცინაში  
ამჟამადაც გამოიყენება მუცლის ორგანოების ტკივილის დროს,  
ჭიების გამოსადეგნად, ქალური დაავადებების საწინააღმდეგ-  
ოდ და ა. შ. მეცნიერული მედიცინა მას ხმარობს მადის მო-  
საყვან საშუალებად. მცენარეში შედის გლუკოზიდები, ცილა,  
სახამებელი, ეთერზეთები (თუიონი).

საყურადღებოა, რომ თიაქრის სამკურნალოდ აჭარის მო-  
სახლეობა აბზინდას ამჟამადაც იყენებს. მცენარის ძირს რეც-  
ხვენ, ხარშვენ ქონდართან და პილპილთან ერთად, ნახარშს  
გაწურავენ და ასმევენ ავადმყოფს.

## 2. ა ლ ი ლ ა

ფემბასეულ ხელნაწერში ალილა იხმარება ძალზე რთული  
შემადგენლობის წამლებთან ერთად ჩვილი ბავშვის ავი ზნის  
და საყმაწვილოს დროს დასალევად (გვ. 63).

ასევე რთული წამლების შემადგენლობაში იყენებს ალი-  
ლას აგარელიც. იგი მას ხმარობს გულის ტკივილის დროს —  
აჭმევდნენ ავადმყოფს ამ წამალს, თანაც დილას და საღამოს  
ოფლს ადენდნენ.

ქანანელის აზრით, „ალილა ქაბული ესე წამალი სიმხურვა-  
ლისაგან არის და სევდასა უშველის და კაცი, რომელიც ან ა-  
ს და დ წ ა ი ქ ც ე ს და დ უ ჟ ი მ ო ს დ ი ო დ ე ს უ შ ვ ე -  
ლის, რომე ბალღამი სჭირდეს მას გასწმენდს“.

## მ. ანისუნი

„ქალს რომ რიგი აკლდეს, ანისუნი დააღვიძნე, მოადულე წყლით და თაფლით ასვი, რიგს მოუმატებს“, — გვირჩევს ფემბასეული ხელნაწერის ავტორი.

ქანანელი უფრო ფართოდ წარმოგვიდგენს ანისუნის მოქმედებას. მისი თქმით, ეს მცენარე სხვებთან ერთად „ერგების დედათა და რომელთა გამოუვიდოდეს სისხლი წრდოვნებისადიადი, გარდამეტებულ... და ერგების ტკივილსა საშოთასა თაფლწყლითა“ (გვ. 70).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფემბას მხედველობაში აქვს „რიგის დაკლება“, რომელიც გამოწვეულია „საშოს ტკივილით“. ამასთან მტკიცდება, რომ ანისუნი შეიძლება გამოვიყენოთ ამენორეისა და დისმენორეის დროსაც, როგორც თვიურის მომწესრიგებელი.

ხოჯა ყოფილი ქალთა რიგის დაკლების მიზეზად თვლის სისხლის გასქელებას და გვთავაზობს ისეთ წამლებს, რომლებიც სისხლს თხიერებას მოუმატებს: „კურნებაი მისი რაიცა სისხლისა... სისქისგან იყოს იგი არს, რომელ ეგეთთა წამალთა იხმარებოდეს, რომელ სისხლსა ანატიფედეს... მყავეთა და ეგეთთა რაისმე რომელ სისხლსა გაასქელებდეს ერიდოს... კურნებაი მისი იგი არს, რომელ ნიახურის თესლი და ანისონი და ბადიანი და პიტნაი მთისა ყოველი დანაყოს და თაფლითა ანუ შავისა მუხუდისა წყლითა იხმაროს“ (გვ. 236). ხოჯა ყოფილი ანისუნს ხმარობს აგრეთვე მუცლის მოშლის საწინააღმდეგო საშუალებად (გვ. 241.).

მრავალი დაავადების სამკურნალოდ აქვს გამოყენებული ანისუნი ფანასკერტელს. სხვათა შორის ერთგან იგი ამბობს, რომ „თუ... დააკლდეს წესი ორ თუე ან სამ თუე, ანუ უფრო მისგან... კურნე წამლებითა მარტივითა... რომელნი ჩამოიღებენ წესსა, მათგან — წამალნი: თახუის ყვერი და ანისონი...“ (გვ. 686, ახ.).

## 4. ანწლი

ფემბას კარაბადინში ანწლის გამხმარი ფოთოლი სხვა წამლებთან ერთად იხმარება ქარცეცხლის დროს წასა-

ცხეზად, ხოლო მცენარის ძირი გველისა და ძაღლის ნაკბენზე დასადებად მატიტელასთან, ნიორთან, ხახვთან და ბოლოკთან ერთად. ასეთ დროს ანწლს დასალევადაც აძლევენ (გვ. 38, 78, 80).

აგარელი სამკურნალოდ იყენებს ანწლის ძირს, რომელსაც ღვიოროში ჩაფლავდნენ, შემდეგ მოჰლიმავდნენ და წვენს აწვეთებდნენ ყურის ტკივილის დროს. მცენარის კაკალს მკურნალი სელის ზეთთან, ყარაფილთან, დარიჩინთან და ზენჯფირთან გარეულს და შელესილს ხმარობდა ქალის ფუშის (თიაქრის) დროს დასაზელად და სიმსივნის დასაცხრობად.

ძველ კარაბადინებში ანწლი ნახმარი არ არის. ა. იაშვილის მიხედვით, ანწლის წვენს ხმარობდნენ დასალევად მალარიის დროს, ფოთლების ნახარშს და თვით უმ ფოთლებს — რევმატიზმის დროს დასაფენად მტკივნეულ ადგილზე (მ. სააკაშვილი, გვ. 315). საყურადღებოა, რომ აპარაში ანწლის ნახარშს ძალზე ფართო გამოყენება აქვს. კუჭის აშლილობის დროს აძლევენ დასალევად, აბაზანებს უკეთებენ ქარების საწინააღმდეგოდ, გამონაწვლილს უწვეთებენ ყურის ტკივილის დროს.

დანაყილ ანწლს რბილი ქსოვილების და ძვლის დაუქეჟილობის დროს გარედან აფენენ ტკივილების დასაწყნარებლად (შუახევის რ. ს. ქალა, გულა ვაშაყმაძე)

## 6. ბამბის კურკა

ფემბასეულ კარაბადინში ნათქვამია: „სისხლის რწყევისა... და გახსნისათვის კაპარი, ბანბის კურკა ბერძნული თხილის გული დანაყე და წყლით ასვი“ (გვ. 62).

ფანასკერტელის მიხედვით ბამბის კურკის გული „ერგების ტკივილსა ფირტუისასა და მკერდისასა, ვის კაეშნისა მჯდომი იყოს და იხუელდეს და შალალსა (ჩირქსა, რ. ს.) ამოაყრიდეს მყრალსა“ (გვ. 184, ახ.). ამ დაავადებაში ავტორი დღევანდელი გაგებით გულისხმობს ფილტვის აბსცესს, რომელსაც ხშირად ფილტვიდან სისხლის დენაც ახლავს; იგივე წამალი იხმარება ხველის დროს (გვ. 199 ახ.). სხვაგან ავტორი პირდაპირ ასახელებს სისხლიან ხველას,

რომლის დროსაც იხმარებოდა ბამბის კურკის გული: „თუ ახუ ე ლ ო ს და ც ო ტ ა ს ი ს ხ ლ ი ა მ ო ი ლ ო ს, დაიჭირე ბამბისა გურკის გული — ხუთი დრამი, ძირა — ერთი დრამი, ორივე დანაყე და ნესუის თესლისაგან სახურეტელი ფუშრუკი შეაქნეინე. ესე ერთმანერჩიგან გაურიე და შეასვი“ (გვ. 389 ახ.).

## 6. ბ ი ა

ხ ვ ე ლ ე ბ ი ს ა და ც ხ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ფეშბა გვიჩევეს: „მოადულე სანდლები, ია, ბიის გული, ძირტკბილა, რევანდი, ქალა შაქარი, დანაყე, ჰისფერი გაურიე ასვი ცივათ — ს ი ც ხ ე ს ა ც გა მ ო ყ რ ი ს, ხ ვ ე ლ ე ბ ა ზ ე და ც უ შ ვ ე ლ ი ს“ (გვ. 5).

ქანანელი ამბობს: „კაცი რომ ბნდებოდეს და სულსა ვერა ირქმევდეს... ეს სენი... რომე სტომაქშიგა ჩავიდეს და მისი ს ი ც ხ ე გულსა ეცემოდეს და მისთვის ბნდებოდეს... თუ მუცელი გახსნით იყოს და მისგან წაეკიდოს აღტოლი თუთუბა მიეც ანუ ბიის სასმელი და ნიადაგ კარგი რამე უქმივე წინა და ვაშლი და ბიასაცა უსუნებდეს, და შეცაცოხნინე და ქერქი გააგდონ და წვენი შექამოს და უშველის (გვ. 25). ბიისა გურკისა ლაბა... ერგების... ვის მკერდი შევიწრებოდეს და დ ი ლ ს ა ხ უ ე ლ ა ს ა და ფ ი რ ტ უ ი ს ა დ ი დ ს ა ხ ი ვ ი ლ ს ა“ (გვ. 62).

„ხუელისა და ხივილისათვის“ ფანასკერტელი გვიჩევეს ბიის თესლი საზამთროს, კიტრის, აყიროს, უკედავას თესლთან და ხმელ იასთან ერთად დავნაყოთ, ბაზარკატონის ლაბით შევზილოთ, ბურთულეზად დავამრგვალოთ და დაწოლის წინ მივცეთ (გვ. 124. ახ.).

## 7. ბ ო ლ ო კ ი

ფემბასეულ კარაბადინში ძალზე ფართოდ არის გამოყენებული ბოლოკის კანი, ფურცელი, ძირი, წვენი. იგი იხმარება სხვადასხვა დაავადების და ცალკეული სიმპტომების დროს (წყურვილი, თვალის უბეების სიმსივნე, ს მ ე ნ ი ს და ქ-

ვეითება, გულისრევა, პირღებინება, მუცლის ტკივილი, პირში გველის ჩაძვრომა, სიყვითლე, ხველა, შარდის შეკავება, თირკმლის კენჭი). ციების დროს ბოლოკი იხმარება როგორც სასაქმებელი (გვ. 11, 13, 20, 25, 33, 42; 43; 46; 57; 80-82).

„რა სარწყეველსა წამალსა აიღებდეს იყოფინოს ბოლოკის წყალი“ ამბობს ხოჯა ყოფილი (გვ. 33). იმავე წამალს მკურნალი იყენებს, როცა „მიწყით გემოი პირისა უზმასა მწარე ედგას და დია სწყუროდეს... კურნებაი იგი არს, რომელ სიქანგუბინითა და ბოლოკის წყლითა არწყიოს...“ (გვ. 177, 178). ასევე მკურნალობს სტომაქის ტკივილსაც (გვ. 184), თირკმელის კენჭის დროს, როცა „ფსელი ცოტცოტაღ გმოიოდოდეს და ეწვოდეს და იქნების რომელ ქვისა ნალეწისაებრ გამოჰყვეს ფსელსა თანა და თირკმელი გამაგრდეს და ბარკალი ემძიმებოდეს... ბოლოკისა თესლი და მწარე ნუში, ამა ყოველთაგან რომელსა ჰამდეს ერგების... რომელ ქვაი თირკმელს გან დაღეწოს და ჩამოიღოს“ (გვ. 217, 218). ამავე მიზნით ავტორი გვირჩევს სხვა წამლებიც ბოლოკის წყლით დაეალევინოთ. ბოლოკის წყალს სასაქმებლად მკურნალი იყენებს მაშინაც, როცა „ასონი გაშავდენ და სიმლაშე მოიკიდოს და პობაი დაიწყოს, და ყვითელი წყალი სდიოდეს, და ხორხი შეიპყროს, ხმა დახდეს და სულსა ვერ იკვეთდეს, და პირი და თვალი დამრღვევდეს და დაშავდეს... თუ ზაფხული იყოს არწყიოს ბოლოკისა წყლითა და მდოგვითა“ (გვ. 268, 269).

ასევე ფართოდ აქვს გამოყენებული ბოლოკი ზაზა ფანასკერტელსაც. ბოლოკის თესლი — მუცლის ტკივილის დროს და სქესობრივი აქტივობის მოსამატებლად, ძირი და ნაყოფი ციების დროს, წვენი შარდის ბუშტის კენჭის დროს, ზეთი — ყურიდან ჭიის გამოსადევნად და სიყრუის დროს, თვით ნაყოფი ხარისძირასთან ერთად — საფალარათოდ, წიწმატთან ერთად ამოსახველებლად (გვ. 99, 102, 108, 152, 360, 443; 479; 640; 718 ახ.).

დავით ბაგრატიონი ასე ახასიათებს ბოლოკს: „კაცს მწოდ კაცობასა მატებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს, სიგრილითა რომ კაცს ახველებდეს, მისთვის გამორჩეული წამალი



არის... კაცსა რომე... ყ უ რ ი სტკიოდეს და თბილთბილი ესე ბოლოკის წვენი ყურშიგა ჩაიშვას, მაშინვე ყურის ტკივილი უშველოს და თუ კაცი ყრუ იყოს, სიყრუე ეშველოს. ვინცა ბოლოკის წვენი თვალშიგა გამოივლოს, თვალთა მწრედ დაუფერავს და თვალთა სინათლესა მისცემს“ (გვ. 202. ახ.), „იადიგარ დაუდში“ ბოლოკი ითვლება აგრეთვე გ ვ ე ლ ი ს ა და მ ო რ ი ე ლ ი ს უ ხ ა მ ი ს გამანეიტრალებლად. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ ბოლოკნაქამ კაცს მორიელმა რომ უკბინოს, ვერას უზამსო, ხოლო თვით მორიელს რომ მოხვდეს ბოლოკის წვენი, მოკლავსო (გვ. 203, ახ).

აგარელი ამბობს: „შარდი თუ დაუკავდეს ბოლოკის ფურცელი, ჭაკუნტელი, აჯასპი, სანელებელი, ჯაოზი ერთად მოადუდე, შეინახე, როდესაც გინდოდეს ღვინით ასვი თაფლით“ (გვ. 13).

ქანანელი ასე გვარიგებს: „თუ ბოლოკის ფურცელს ავადმყოფი სჭამს, შეკვრით რომ იყოს, გახსნის, და სისხასა არგებს და შირიმსა გამოსწმენდს, რომე მისნაშიგა ქვა იყოს მასაც გამოსწმენდს“ (გვ. 445).

ამგვარად, როგორც აგარელის, ისე ქანანელის დარიგებებში წამლის მოქმედების მექანიზმი ერთი და იგივეა. განსხვავება იმაშია, რომ აგარელი ძუნწად ხმარობს სიტყვებს და მოკლედ ამბობს: („შარდი თუ დაუკავდესო“ და არ ასახელებს ამ დაკავების მიზეზს (კენჭს, მინერალურ ნალექს), რომელიც ქანანელს, ხოჯა ყოფილსა და ფემბას აქვთ აღნიშნული.

ბოლოკის ფესვებში მეცნიერებამ აღმოაჩინა ასკორბინის ღეავა (ვიტამინი — C) და ლიზოციმი, რომელიც სპობს ზოგიერთ მიკრობს, ამცირებს ტკივილს, რომელიც თან ახლავს ხველას.

## 8. ბ რ ი ნ ჯ ი

ქარებთან ავადმყოფს ფემბა ურჩევს ნაჭერალი და ბზე წყლით მოხარშოს და ნახარში ტანი დაიბანოს, მოხარშული ბზე ქვეშ დაიგოს, ზემოდან დაიხუროს და ოფლი იდინოს, დაიცვას დიეტა — ბრინჯიანი ქათამი ჭამოს (გვ. 5).

„მე უცელი კაცს სტკიოდეს, კიდეც უსივდეს, შავი ბოლოკი ბრინჯით მოხარშული დალიოს“ (გვ. 42).

ს ე ვ დ ი ს ა გ ა ნ დაავადებულ ქალს ხოჯა ყოფილი ისეთივე დიეტას უნიშნავს: „ცხიბიანსა ბრინჯსა ჭამდეს, რომელ ბატკნისა ხორცითა და ვარიითა შექნილ იყოს“ (გვ. 169).

მ უ ც ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს დროს, რომელსაც თან ახლავს სისხლის დენა, მკურნალი ურჩევს „საქამადთა ბრინჯსა და ზორთანსა შემგებარსა“ (გვ. 200).

ნ ა წ ლ ა ვ ე ბ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს დროს ფანასკერტელიც უნიშნავს ქერქშემძვრალ ბრინჯსა, მსუქან ბატკანსა და ქათამს (გვ. 240, 409). „კაცი რომე სტომაქზედა სატკივარიანად იყოს... მისი საქმელი ან ბრინჯითა ან ოსპრით, ქათმითა იყოს წარიმითა შექნილი“ (გვ. 415 ახ.).

დავით ბაგრატიონი ამბობს: „ვინცა ბრინჯი მოხრაკოს და მერე ცარიელის წყლითა ხოშკა ფლავად მოხარშოს და ხმელი ღო თბილის წყლითა გამოლესოს და კარგი ნიორი ურიოს და ამა ხოშკა ფლავზედა დაასხას და ჭამოს, რაგინდა რა კაცი მწოვედ გახსნით იყოს, მაშინცა შეკრას“ (გვ. 435. აი.).

## 9. ბ რ ო წ ე უ ლ ი

ბროწეულის ქერქს ფეშბა ხმარობს კ ბ ი ლ ე ბ ი ს რ ყ ე ვ ი ს დროს მწვანე გუნდასთან, თეთრ ოსპთან, შაბთან და შაქართან ერთად; მცენარის კაკალს ქონდართან და ნიახურის თესლთან ერთად — ქ ა რ ე ბ ი ს ა და ჯ ი რ ყ ვ ლ ე ბ ი ს დაავადების დროს. ავტორის დაკვირვებით თვალის ქ უ თ უ თ ო ე ბ ი ს ქ ა ვ ი ლ ს (ბლეფარიტს) აწყენარებდა მცენარეთა კანი. -ტკბილი ბროწეულის კანი და მკვავე ბროწეულის კანი ორივე სწორათ მოხარშეთ, ასე რომ შესქელდეს, მერეთ ჩამოიღეთ, გასწურეთ. კაცს რომ თვალის კილოები ქონდეს იმაზე მოსცხეთ აღარ მოქავდეს“ (გვ. 15). მკურნალი ბ რ ო წ ე უ ლ ს გ უ ნ დ ა ს თ ა ნ ერთად დანაყილს იყენებს ფადარათიანობის დროს; ამ ნარევს უმატებდა შაბიამანს და გოგირდს და ხმარობდა ა თ ა შ ა ნ გ ი ს საწინააღმდეგოდ, გარეგან სახმარად; მკვავე ბროწეულს იყენებს ჭყურტის (დიაბეტის), ჭიებით ინვაზიის, სოკოვანი დაავადების და ს ტ ო მ ა ტ ი ტ ი ს დროს.

ქანანელის აზრით, ბროწეულის ქერქი „ერგების მოფოლხეებულე ბასა ღრძილთასა, რომლისაგან გამოვიდოდეს სისხლი, ნიადაგ ტკივილსა კბილთასა და საცოხნეთასა და გამოიღებს სინოტიესა პირისაგან და დაუამებს სულსა პირისასა და ერგების კბილთა შეძრულთა“ (გვ. 67). ბროწეულის წყალს ქანანელი იყენებს ციების (ცხროს) დროს, თუ ადგილი აქვს უძილობას, ქარების დროს. იხმარებოდა მცენარის ნაყოფის წვენი და შარაბი (გვ. 141).

განსაკუთრებით ფართოდ ხმარობს ბროწეულს ხოჯა ყოფილი. თვალის ქავილისა და სისხლის მოწოლის დროს ავტორი ურჩევს, „დანაყილი ქრთილი და ნარსაქი და ბროწეულისა ქერქი დანაყილი ვარდის ზეთითა შეაბგოს და თვალთა შემოსდვას, ერგების“ (გვ. 99, 109). ღრძილების სიმსივნის დროს იხმარებოდა „მორდი და ბროწეულისა ქერქი, რომელ ძმართა შემგბარ იყოს, პირსა მიწყით მაგით იბანდეს და თაფლიანსა ნუ ჰამს, და გრილთა საქამდთა ჰამდეს ვითა ისრიმი და ბროწეულისა მყავე“ (გვ. 138). იმავე წესით მკურნალობდა ჰყურტს (შაქრიან დიაბეტს), რომელიც გაძლიერებული წყურვილით ხასიათდებოდა. მკურნალი ურჩევს: „თუ მუცელი ლბილად იყოს, ბროწეულისა და ისრიმისა წყალი სვას და სიარულსა და ჰირის ნახვასა და დიაცსა ერიდების“ (გვ. 172). ავტორი ამბობს, რომ ჰიისაგან განსაკურნებლად კარგია ბროწეულის ქერქი (208).

ფანასკერტელის მიხედვით, ტკბილი ბროწეულის ქერქის გამონახარში ელუვენთან ერთად „გაიღებს ჰიასა მუცლისაგან“ (გვ. 158 ახ.). მკურნალი მყავე ბროწეულის ქერქს ხმარობს აგრეთვე კუჭის აშლილობის დროს (გვ. 185 ახ). მისი აზრით, ნაყოფის ქერქი და თავი „ერგების მოფოლხეებულე ბასა ღრძილთასა, რომლისაგან გამოვიდოდეს სისხლი ნიადაგ და ტკივილსა კბილთასა“ (გვ. 186, 371 ახ). თვალის ტკივილისა და მოსისხვლის დროს ავტორი გვირჩევს: „ბროწეულისა ქერქი, გუნდა და წიდა დანაყე, ბერძული ზეთი და დედაკაცისა რძე ერთმანეთსა გაურთე, გაათბე და ბამბითა ზედა დასდევ და ერგოს“ (გვ. 332 ახ.).

თ ვ ა ლ ი ს დ ა ა ვ ა დ ე ბ ე ბ ი ს დ რ ო ს ა ვ ტ ო რ ი ხ მ ა რ ო ბ ს  
ა ვ რ ე თ ვ ე ბ რ ო წ ე უ ლ ი ს წ ვ ე ნ ს ა დ ა წ ყ ა ლ ს ( ვ ვ . 331, 343 ახ ).

ბ რ ო წ ე უ ლ ი ს ქ ე რ ქ შ ი შ ე დ ი ს მ თ რ ი მ ლ ნ ი ლ ო გ რ ე ბ ა გ ა -  
ლ ი ს მ ე ა ვ ა , ფ ი ს ი , მ ა ნ ი ტ ი , ა ლ კ ა ლ ო ი დ ე ბ ი , ს ა ს ა მ ე ბ ე ლ ო . ს ა ყ უ -  
რ ა დ ლ ე ბ ო ა , რ ო მ ხ ა ლ ხ უ რ მ ე დ ი ც ი ნ ა შ ი ბ რ ო წ ე უ ლ ი ს ქ ე რ ქ ი ა მ -  
ქ ა მ ა დ ა ც გ ა მ ო ი ყ ე ნ ე ბ ა კ უ ქ ი ს ა შ ლ ი ლ ო ბ ი ს , დ ი ზ ე ნ ტ ი რ ი ი ს დ რ ო ს  
ჭ ი ზ ბ ი ს გ ა მ ო ს ა დ ე ნ ა დ დ ა კ ბ ი ლ ე ბ ი ს კ ე ნ წ ე კ ა მ ს დ ა ს ა შ ლ ე ლ ა დ  
( ი . მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ) . ნ ა ყ ო ფ ი ს ქ ე რ ქ ი ს ა გ ა ნ მ შ ა დ დ ე ბ ა პ რ ე პ ა რ ა ტ ი  
ე ქ ს გ რ ა ნ ი . ა კ ა დ . კ . ე რ ი ს თ ა ვ ი ქ ე რ ქ ი ს ფ ხ ე ნ ი ლ ს დ ა მ წ ვ რ ო ბ ი ს  
დ რ ო ს ხ მ ა რ ო ბ ლ ა .

## 10. გ უ ნ დ ა

ფ ე მ ბ ა გ უ ნ დ ა ს ბ რ ო წ ე უ ლ თ ა ნ დ ა შ ა ბ თ ა ნ ე რ თ ა დ ი ყ ე ნ ე ბ ს  
ც ხ ვ ი რ ი დ ა ნ ს ი ს ხ ლ დ ე ნ ი ს , კ ბ ი ლ ე ბ ი ს ა დ ა ღ რ ძ ი ლ ე ბ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს  
დ რ ო ს . „ კ ბ ი ლ ე ბ ი ტ კ ი ო დ ე ს დ ა ღ რ ძ ი ლ ე ბ ი ჩ ა ს -  
ქ ა მ ო ს , შ ა ბ ი , ბ რ ო წ ე უ ლ ი ს კ ა ნ ი , გ უ ნ დ ა ე ს ე ნ ი  
დ ა ნ ა ყ ე დ ა მ ო ხ ა რ შ ე , გ ა დ მ ო ა დ ლ ე დ ა თ ბ ი ლ ო ბ ი ლ ა დ ი ბ უ გ ო ს ...  
( ვ ვ . 35, 36 ) . დ ი დ ი ა თ უ თ ო თ ო ბ ა ვ შ ე ვ ი , პ ი რ შ ი გ ა მ ო ა ყ ა -  
რ ო ს , დ ა ნ ა ყ ე გ უ ნ დ ა დ ა ბ რ ო წ ე უ ლ ი ს კ ა ნ ი , დ ა მ წ ვ ა რ ი შ ა ბ ი  
ე რ თ ა თ ე ს ე ნ ი , ქ ა თ მ ი ს ც ი ლ ა დ ა უ მ ა რ უ ლ ი გ ა უ რ ი ე . დ ი დ ს ა ც  
ნ ო უ ხ დ ე ბ ა ; თ ო თ ო ბ ა ვ შ ე ვ ი რ ო მ ი ყ ო ს დ ა პ ი რ შ ი გ ა მ ო ა ყ ა რ ო ს ,  
ი მ ა ს პ ი რ შ ი მ ო ა ყ ა რ ე შ ი გ დ ა ყ რ ი ლ ზ ე ... ( ვ ვ . 74 ) . ც ხ ვ ი რ ი -  
დ ა მ რ ო მ ს ი ს ხ ლ ი ს დ ი ო დ ე ს , ა რ უ დ გ ე ბ ო დ ე ს ...  
გ უ ნ დ ა დ ა ნ ა ყ ე , თ ხ ი ს რ ძ ე გ ა უ რ ი ე , ც ხ ვ ი რ შ ი შ ე ა ს ხ ი “ ( ვ ვ . 44 ) .

თ ი თ ქ მ ი ს ა ნ ა ლ ო გ ი უ რ მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა ს გ ვ თ ა ვ ა ზ ო ბ ს ა გ ა რ ე -  
ლ ი ც : თ ა ვ პ ი რ ი ს რ ა მ ე ე მ ი ზ ე ზ ე ბ ო დ ე ს , ყ ო ვ ე ლ ს  
პ ი რ ს უ შ ე ვ ე ლ ი ს გ უ ნ დ ა , ლ ო ხ ო ს ტ ა კ ი , შ ა ბ ი , ნ ი ო რ ი . ბ ო რ ა კ ი :  
ე ს ე ნ ი ხ უ თ ი ვ ე ც ა ლ - ც ა ლ კ ე დ ა ნ ა ყ ე , ე რ თ ა თ შ ე ყ ა რ ე , გ ა ხ უ რ ე -  
ბ უ ლ ს კ ე ც ზ ე დ ა წ ვ ი დ ა წ მ ი ნ დ ა თ დ ა ფ შ ე ვ ე ნ ი , რ ო დ ე ს ა ც დ ა გ ჭ ი -  
რ დ ე ს პ ი რ შ ი დ ა ი ყ ე ნ ო ს , ს ა ნ ა მ დ ე გ ა ძ ლ ო ს ქ ო ნ დ ე ს მ ე ო რ ე დ ლ ე -  
ნ დ ე პ ი რ ს ნ უ გ ა მ ო ი რ ე ც ხ ა ვ ს , ა ს ე თ ი ტ კ ი ვ ი ლ ი ა რ ე ქ ნ ე -  
ბ ა ა ნ თ ა ვ ი ს , ა ნ პ ი რ ი ს ა ნ კ ბ ი ლ ი ს უ შ ვ ე ლ ე ბ ე -  
ლ ი მ ო უ რ ჩ ე ს “ ( ვ ვ . 17 ) . მ ა რ თ ა ლ ი ა , ო რ ი ვ ე მ კ უ რ ნ ა ლ ი გ უ ნ -  
დ ა ს ს ხ ვ ა დ ა ს ზ ვ ა წ ა მ ლ ე ბ ს უ რ ე ვ ს , მ ა გ რ ა მ ძ ი რ ი თ ა დ ი მ ო ქ მ ე დ ი  
დ ა წ ა მ ყ ე ა ნ ი მ ა ი ნ ც გ უ ნ დ ა ა .

ქართული კლასიკური სამკურნალო წიგნების ავტორების აზრი ამ მცენარის გამოყენებაზე ძირითადად ემსახევა ზემოთ ნათქვამს. ფანასკერტელი წყალში გახსნილ გუნდას გულს ხმარობს ცხვირში ჩასაწვეთებლად თავის ტკივილის დროს: „თავის ტკივილისათვის; აიღე გაუხურტელი გუნდა, დალეწე და გული გამოართვი, წყლით გაქენი და ცხვირშია შიგა ჩაუში“ (გვ. 280).

ქანანელი ამბობს: „ნიშანი მარცვლისა ჩადებითა პირსაში გაანერგების მოფოლხუე ბუღე ბასა დრძილთასა, რომლისაგან გამოვიდოდეს სისხლი ნიადაგ ტკივილისა კბილთასა და საცოხნეთასა და გამოიღებს სინოტიესა პირისაგან და დაუამებს სულსა პირისასა და ერგების კბილთა შესრულთა... აიღე კარამულის გურკა და აყარყარა და გუნდა მწვანე“ (გვ. 67).

ხოჯა ყოფილი გუნდას იყენებს ცხვირიდან სისხლდენის შესაჩერებლად: „ცხვირთაგან სისხლის დენაი... გუნდა და მტვერი წისკვილისაი, თეთრი საკმეველი, საბრი, ხონისიაოშანი და თეთრი აჯასპი, ამათ ყოველთაგან რაიცა იყოს გაგალოს და ცხვირთა შეჭებროს“ (გვ. 130, 131).

გუნდა ანუ გალები საქართველოში გვხვდება მაღალი მთის მუხის ყლორტებზე, შეიცავს დიდი რაოდენობით ტანიწს.

## 11. ღ ა რ ი ჩ ი ნ ი (ბასია)

აგარელი დარიჩინს ხმარობს, მუცლის სიმსივნისა და თიაქრის, აგრეთვე ფარული (უმზირო) სიყვითლის დროს (გვ. 38, 39). უფრო ფართოდ აქვს გამოყენებული ეს სამკურნალო მცენარე ფემბას. იგი მას ხმარობს თვალის ტკივილის, მუცლის შებერილობის, სოკოს, გულის რევმის და ჭიებით ინვაზიის დროს: „თვალის ტკივილისათვის ან სტკიოდეს, ან თეთრი გადაკრული ქონდეს, ან ეკრემლებოდეს, ან ეკლირწებოდეს, ან ეძინებოდეს, დარიჩინი დანაყე, ჯამფაში გასცერით, თვალში გამოიხურვეთ, თვალის სინათლეს მოუმატებს, სიბნელეს თვალისას დაკარგავს, ქარსაც მოიშორებს თვალისას (გვ. 12), ქალი თუ კაცი პეპელა ჭია სცვიოდეს. პატარა ფინჯალში ოტკა დაასხი.

სამი წვეთი ბალზინის ზეთი ჩაასხი, ასეი დილა. თუ ოტკა არ იყოს, კაი ღვინოში ეს ზეთი და დარიჩინის ზეთი კაი ცეცხლთან წაუსვი ტანზე. სულ შაბი ჰამოს, იქნება დედო ჰიაც დავარდეს, მოუხდება (გვ. 42). დარიჩინი ჩაისავით სიმსივნეს მოუხდება, ტიკსავით გაბერილი რომ იყოს საჰმელითაც და სასმელითაც, მიუჯინეთ დარიჩინის მარდარინი(?), ახალი უნდა, უცხო არის“ (გვ. 27, 28).

ქანანელის აზრით, დარიჩინი მოუხდება „ტკივილისათვისა თუ თვალისასა სიბნელესათუ შესვას და თუ იღარღაროს“ (გვ. 54).

ზ. ფანასკერტელი ამბობს: „აწ ესე მოგახსენოთ, რაცა ჰიისაგან მუცელსა გამოსწმენდს: ნიორი, წიწმატი, ნიგოზი ბარანგი, ქულდარე ბრანგი, ქუაბული, აბნილი, ალილა. ინდოური, ნიშადური, სონიჯი, ალთეთი, ელქირუმი, ფილფილი, დარიჩინი და ბროწეულის ქერქი“ (გვ. 589 ახ).

„იადიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: „კაცსა რომე სისხა შეექნას და თავით ფერხთამდისი სრულიად გასივდე ს... პილპილი, რომელიც იყოს, გამოუხარშონ, ან ამავე იარაღითა გაუტენონ და ისრე აჰამონ...“ (გვ. 163 ახ).

## 12. ვ ა რ დ ი

ფემბასეულ კარაბადინში ნათქვამია: „ქაფური ვარდის წყალში გაღესე და თავზე მოუსვი, სიცხისაგან რომ თავი სტკიოდეს მოუხდება“ (გვ. 20).

ხოჯა ყოფილი თავის ტკივილის დროს შემდეგ წამლებს გვთავაზობს: „ვარდი და სანდალი და ყაყიანი და სომხური მიწა და ჰუტეტი ყველაი დანაყოს და მურდისა წყლითა შეზილოს. ანუ ვარდისა წყლითა და თავსა შემოსდვას...“ (გვ. 70). ავტორი ვარდს ფართოდ ხმარობს ღრძილები-სა და კბილები-ს ტკივილის დროს. „ღრძილებიდან სისხლის დენის კურნებაი იგი არს რომელ ვარდი წითელი ხმელი და ჰალილა და ბროწეულისა ყვავილი დანაყილი და გაცრილი და ცოტა წითელი და ყვითელი ზარნიხი დანაყილი. და გაცრილი, ერგან კულა გაჰრიოს, დანაყოს და გაცრას

და ღრძილთა შესცხოს, და მაშინ მორდისა წყლითა და ვარდისა წყლითა ღრძილთა და პირსა ვამოიბანდეს, და მსურგალთა საქამადთა და თაფლიანთა ერიდოს“ (გვ. 137).

„ვარდის წყლით პირი და კბილები გამოირეცხე, ქეციბუგეთ, ნუნებს დაიმაგრებს (გვ. 23). ღ ძ ი ლ ი, რ ო მ ტ კ ი ო დ ე ს ვარდის (...) დანაყე, მოაყარე — მოუსდება“ (გვ. 45), — ვკითხულობთ ფემბასეულ ხელნაწერში.

ასევე ფართოდ ხმარობს ვარდს და მისგან დამზადებულ წამლებს მრავალი დაავადების დროს ზაზა ფანასკერტელიც. პარალელები ფემბასეულ კარაბადინთან იმდენად ბევრია, რომ ყველა მათგანის მოტანა შეუძლებელია და ვფიქრობთ აუცილებელი არც არის. მათი გაცნობა მკითხველს შეუძლია მითითებულ ავტორთა ნაშრომებში.

დავით ბაგრატიონი თავის ტკივილისათვის გე-წვდის მრავალი წამლისაგან შედგენილ რეცეპტს, მაგრამ ყველაზე საიმედოდ მაინც ვარდის წყლით შემზადებულ წამალს თვლის: „და თუ არცა ამა წამლებმან უშველოს, მოიტანე ცოტა ფარფიონი და ან ვარდისა ერბოთა ან ვარდის წყლითა გააყენეთ და ამა თავმტკივანსა კაცს პირველ თავი მოპარსეთ და მერმე სრულად თავზედა ეს წამალი შემოსცხეთ და უსათიოდ თავის ტკივილსა უშველის“ (გვ. 242 ახ.).

ვარდის ფურცლების ნახარში ხოცავს ზოგიერთ მიკრობს, აძლიერებს ნაღვლის გამოყოფას, აუმჯობესებს გულის მუშაობას, ამცირებს კბილებისა და თავის ტკივილს.

### 13. ზ ა შ რ ა ნ ი

როგორც ირკვევა, ზაფრანი ძველთაგანვე იხმარებოდა სქესობრივი ფუნქციის დაქვეითების დროს, როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში. ფემბა ამ მიზნით მცენარეს ხმარობს ქალთა პრაქტიკაში: „ქალს რომ დედათ წესი არ ემართებოდეს და სიგრილესაც ატყობდეს თავს, ოტკა და ზაფრანა სვას, ოტკაში გალესოს, სვას სამი დღე ცოტ-ცოტა, რომ დაემართოს ცოტა და მაშინ“ (გვ. 73).

მაჯუნი, რომელშიც ზაფრანა და სხვა წამლეული ნივთიე-

ებები შედის, აგარელის აზრით, „ყველას უშველის ვინც  
სელსვერიჭირვებდეს, ან წელს იტკენ-  
ეს, თავს ბრუესხმოდეს, კაცობა აკლდეს,  
ეკრით იყოს...“ (გვ. 25).

დაახლოებით ამასვე ვკითხულობთ ზ. ფანასკერტელის  
სამკურნალო წიგნშიც“. „ზაფრანი გააძლიერებს ღუ-  
ძლსა, გაიღებს ფსელსა“... (გვ. 410).

დავით ბატონიშვილი ამბობს: „ზაფრანის მაჯუნი ამა სე-  
ებსა ყველას უშველის... კაცსა შიგნით მატლი ესხას, ან წე-  
ლი სტკიოდეს, ან ერთსა ალაგსა მჭვალის შემოეჭდოს,  
ან კაცი ზარმაცობდეს, ყველას მწოვედ არგებს“  
გვ. 410).

თანამედროვე მედიცინა იყენებს ზაფრანის ყვავილის დი-  
ნგებს, რომელშიც შედის ეთეროვანი ზეთი, შაქარი, აზოტური  
ნივთიერებები და საღებავი. ზაფრანი ხასიათდება დამამშვი-  
ფებელი, ტკივილდამაყუჩებელი და შარდმდენი თვისებებით.  
უმჯობესებს გულის მუშაობას.

#### 14. ზეთისხილი

ზეთისხილის ზეთი ფემბას გამოყენებული აქვს თირკმ-  
ლის კენჭოვანი დაავადებისაგან განსაკურნავად: „ქერის ახალი  
კაკალი, ღერო დანაყოს, ქერქი შეხადოს, მისი წვენი გარდმო-  
სწუროს, ახლა... წვენშიდ სამი წვეთი ზეთის ხილის ზეთი ჩა-  
აწველოს და დააღვინოს... ქვას და ამტვრევს (გვ. 81).

ხოკა უოფალი თირკმლის კენჭების დასამტვრევად სასარ-  
გებლოდ თვლის რთული შემადგენლობის წამალს, რომელშიც  
შედის რვა სხვადასხვა მცენარის ნაწილი, რომელზეც დამატე-  
ბით „მუხუდისა წვენსა ჭამდეს ზეთისხილის ზეთითა... რომელ  
ესე წამლები იხმაროს თირკმლისა ქვასა და ღეწს  
და ჩამოიღებს“ (გვ. 218).

როგორც მეცნიერული, ისე თანამედროვე ხალხური მედი-  
ცინაც ზეითუნის ზეთს დღესაც იყენებენ თირკმლისა და ნაღ-  
ვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს.



## 15. ზღვის პერული (ქაფი)

ამ ნაკლებად ცნობილ სამკურნალო საშუალებას ფემბა იყენებს მშობიარობის გაძნელების (გვ. 32), ბავშვთა საყმაწვილო დაავადებების (აეიზნის) (გვ. 62), ღვიძლის ტკივილის (გვ. 68.), და ჩიყვით დაავადების დროს (გვ. 82).

თითქმის ანალოგიურად ხმარობს ზღვის ქაფს (პერულს) ფანასკერტელიც. მისი აზრით, სხვა წამლებთან ერთად ის შეიძლება გამოვიყენოთ „საშოისა და ტყირბის ტკივილისა და ღვიძლისათვის“ (გვ. 502 ახ.) ზღვის პერულს ასევე წარმატებით ხმარობს მკურნალი კანის სხვადასხვა დაავადების (კეთრი, მქავანი, სირსვილა და სხვა) დროს: „პერული ზღუისა დაგაღე ძმრითა და სცხე“ (გვ. 620 ახ). იმავე ავტორის აზრით, „ზღუის პერული მომკმელი არის ბაყლისა, რომელი თუალთა შინა იყოს და ერგების ბაკკსა და მღიერსა და მქავანსა, და გასწმენდს ტყავსა და როდეს დაიწუას და იცხოს თმასა დასრულსა. ერგების საჩინოდ“ (გვ. 741 ახ).

დავით ბაგრატიონი ზღვის ქაფს სხვა წამლებთან ერთად შეფებად აქცევს და ურჩევს ქალებს იხმარონ ის საშოს მხრიდან უშვილობის დროს იმ ანგარიშით, რომ წამლის ხმარებიდან „სამსა დღესა უკან ქმარი მოუწევს“ (გვ. 463 ახ).

## 16. თუთუბო

ფემბა გვირჩევს: „მუცელში რომ სისხლზე გადიოდეს, პრასი მოხარზე, თუთუბო დააყარე, აჭამე“ (გვ. 43).

„სტომაქიდან სისხლის ამოღების“ დროს ქანანელი გვირჩევს ვიხმაროთ რუბები, „რომელ სისხლის უკუმყენებელი იყოს, ვითა თუთუბისა რუბი“, გარდა ამისა საჭიროდ თვლის „საჭამადსა თუთუბისა ურწყოისა ანუ ალარდნისა ჭამოს ნუშისა ზეთითა, და მწვანელითა თანა ხავარტი და კატკატოი იხმაროს. და თუ ძალი არ ჰქონდეს სნეუ-

ლსა, ვარია აღარდენითა ან თუთუბითა შექნილი ჭამოს“ (გვ. 178).

ნაწლავები დანსისხლდენის დროს ხმარობს თუთუბოს ფანასკერტელიც (გვ. 570 ახ).

თუთუბო დიდი რაოდენობით შეიცავს ტანინს და მთრიმლავ ექტრაქტებს. ამიტომ მას ახლაც ფართოდ იყენებენ დამწვრობის, კრილობების, სტომატიტის, გასტრიტის, განსაკუთრებით სისხლიანი ფაღარათის დროს.

## 17. 0 ბ

ფემბასეულ კარაბადინში დიდი ადგილი უკავია ამ მცენარეს. იხმარებოდა მისი ფოთოლი, ძირი და ყვავილი: სიცხიანი ხველების, სიმსივნის დასაცხრობად, ზაფრის დროს, შაკიკის სამკურნალოდ. „...მოადლულე სანდლები, ია, ბიის გული. ძირტებილა, რეევანდი, ქალა შაქარი დანაყე, ჭისფერი გაურე, ასვი ცივათ, სიცხესაც გამოყრის, ხველებაზედაც უშველის“ (გვ. 5); სამი დრამი ია შაქრის წყალში მოხარშეთ, ჩაისავეით სვით, ზაფრას გვერდებისაგან გადაენის, სიცხისაგან რომ რამე უსივდეს, დანაყეთ და დაადევით, დააცხრობს (გვ. 29); შაკიკისათვის: ია ია ფოთლიან-ძირიან დანაყე და საცა სტკიოდეს იქ დაადევი“ (გვ. 43).

ქანანელი ამბობს, რომ მათბუხი ბუზურგ, რომელშიც ორათეულზე მეტი წამალი შედის, მათ შორის ია და ვარდი, „არგებს საფრას (ზაფრას), სევდას და ბალდამსა, ავსა და მრავალსა სისხლსა ტანისასა (გვ. 56); ქაფია მათბუხი ზაფრასაგაიდებს და გაარღვევს და გასწმენდს და ცხელსა ხურვებისათვის კარგი არის და მისი წამლები: სინამაქი შვიდი დრამი, ია ხუთი დრამი გინა ხმელი იყოს... (გვ. 58). მკურნალის აზრით სხვა წამლებთან ერთად ია არგებს „კაცსა რომე გვერდი სტკიოდეს და ხუელასაც არგებს და ყელსარომ მოუჭიროს რამე მასაც არგებს“ (გვ. 59.).

ხოჯა ყოფილი იის წყლით მკურნალობას გვთავაზობს ორდლიანი მალარიის დროს, რომელიც „ერთსა დღესა მოვიდოდეს და მეორესა არ მოვიდოდეს და ეს ცხრომიის ზაფ-

რისაგან იქნების, რომელ ტანისა ძარღვთა შიგან დამპალი იყოს და მანკიანად გასრულ იყოს“ (გვ. 284).

ფემბასეულ კარაბადინში პარალელს ვხვდებით ფანასკერტელთანაც, რომელიც გვაწვდის მკურნალობის წესებს: „შაკიკისა და ნახევარ-თავი რომე სტკიოდეს, ხან ერთკე ხან მეორესა კერძსა... თუ ზაფრისაგან იყოს... მისი წამალი... ყუითლისა და ქუაბულურისა ალილისა წუენი, იის ზეთი, ვარდის წყალი და ძმარი ერთმანეთშიგან გაურიოს და თავზედა შემოსცხოს, და თუ კაცი მსუქანი იყოს იარაჯი ფეყარა ილაროს“ (გვ. 285 აბ).

დავით ბაგრატიონი აღწერს შინაური და გარეული იის თვისებებს და ამბობს, რომ „ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა ორსავე მწოდდ არგებს... ამა იის შარბათი რომე კაცმან სვას, კაცსა ყელსა და უღბობს და ხველასა უშველის“ (გვ. 205 აბ).

აჭარის მოსახლეობა იას დღესაც იყენებს მუცლის ტკივილის დასაწყნარებლად და მშრალი ხველის დროს; იისა და მარწყვის ფოთლებს ხარშავენ, ნახარშს სიცხიან ავადმყოფს ასმევენ, ფოთლებს კი შუბლზე ადებენ.

## 18. ი ნ ა (ნამდვილი ინა).

ფემბასეულ კარაბადინში ინა გამოყენებულია მხოლოდ კანის დაავადებათა სამკურნალოდ (ქარცეცხლი, ქაჩალი, საწერელი, სოკო) და ნაბახუსევზე შაქართან და ნუშის ზეთთან ერთად. ქარცეცხლის დროს ინა იხმარებოდა ლურჯ ეკალთან, ანწლის ფოთოლთან, ნიგვზის ზეთთან, ქვარტლთან და ლახოსტაკთან ერთად, თითქმის იმავე შემადგენლობას ავტორი უმატებდა მწვანე გუნდას, წითელ მიწას, შაბიამანს მარგიმუშკს და ხმარობდა ქაჩალის სამკურნალოდ (გვ. 38 41, 52).

ინას სამკურნალოდ ხმარობდნენ ქანანელი და დავით ბაგრატიონი. უფრო ფართო გამოყენებას ვხვდებით „წიგნი სააქიმოში“. საყურადღებოა, რომ ხოჯა ყოფილიც ინას ძირითადად კანის დაავადებების დროს ხმარობს. კირით დაზიანებისათუ კანი „გაბერილი იყოს, წყლულად ედგას და თხამლი სდი

ოდეს: ინა, ატმის ფურცელი; სულდი და სმელი ვარდი ყველა დანაყილი და გაცრილი ზედ მოაყაროს" (გვ. 31). თავის კანის დაწყულულების დროს (საფა), მკურნალი ურჩევს „ზარდაჩომა, ინა, მურდასანგი, ძმარი, ბროწეულისა ქერქი და ვარდისა ზეთი ავანსა შიგან ერთგან გაგალოს და მას დასდებდეს" (გვ. 54).

ფანასკერტელიც ინას ხმარობს ფრჩხილებისა და კანის დაავადებების (სირსვილის) დროს, აგრეთვე პირის ღრუს ვასივებისას, რაც ღვინის სმით არის გამოწვეული: „თუ კაცმა ბევრი ღვინო სვას აწყინოს, პირი გაუყვითლდეს და გაუსივდეს, მისი წამალი აიღე ინა და წყლითა აღუღე, მერმე დადევ, რომ დაწმდეს და გაურიე ტაპარზი შაქარი ნუშის ზეთი და ერთსა ღამესა ცასა ქვეშ დადგი და დილისა და შეასუი და უშველის" (გვ. 642, აბ).

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ფემბასეული ფრაზა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ არა როგორც ჩვეულებრივი პარალელი, არამედ თითქმის უცვლელი განმეორება ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნიდან მოტანილი ციტატისა (იხ. შესავალი). ასეთი მსგავსება ჩვენს ხელნაწერებში სხვაგან არ შეგვხვედრია, ამიტომ ფემბასეული ხელნაწერის აბზაცი მოგვაქვს მთლიანად: თუ კაცმა ბევრი ღვინო დალიოს და აწყინოს, პირი გაუყვი (თლდეს) მისი წამალი ინა წყლით აღუღე და დადგი, დ(ა)წდეს, იმაში შაქარი და ნუშის ზეთი გაურიე, ერთ ღამეს კარში დადგი და დილას ასვი და უშველის" (გვ. 3).

## 19. ისრიმი

ფემბას ხელნაწერში ასეთ რჩევას ვხვდებით: „ისრიმი ასვი ქყურტიანს კაცს მოუხდება, ასრე ასვით რომ ისრიმს რომ გამოხდინ იმაში და ცარიელი ფოლდება (?), გაახურეთ და იმ ისრიმში ამოაცივე და ისე ასვი" (გვ. 33).

„ჰყურტს“ ნიკო ჩუბინაშვილი ასე განმარტავს: „სენი, რომელიც მრავალს წყალს ასმევს და უფრო განახმობს“. ჩვენი აზრით ეს შაქრიანი დიაბეტია. უფრო ზუსტად ამ დაავადებში, ნიშნებს გადმოვცემს ხოჯა ყოფილი: „წყურვილი და წყლისადია სმაი. ნიშანი მისი... იგი არს, რომელ მიწყით პირი მშრალად იყოს... წყურვილისაგან ეგრე ეგონოს, რომელ სტომაქსა რაიმე უკბენს და პირი მწარე იყოს“. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ როგორც ფემბასეულ ხელნაწერში, ისე ხოჯა ყოფილთან, ისრიმი გამოიყენება დიაბეტის დროს დიეტურ საშუალებად: „და საქამადასა თიქნისა ხორცსა ქამდეს ძმრითა შიქნილსა ანუ ისრიმითა“ (გვ. 171).

ზ. ფანასკერტელს შარაბში, რომელსაც შეუძლია წყურვილი და წყნაროს, ერთერთ ძირითად მოქმედ წამლად შეტანილი აქვს ისრიმის წყალი (გვ. 467 ას).

ანალოგიური მიზნით ხმარობს ისრიმს დავით ბაგრატიონიც: „ისრიმი... სისხლსა და საფრასა ორსავე დააწყნარებს და გააქარვებს, კაცსა წყურვილსა და რწყევასა ორსავე უკუუგდებს“ (გვ. 183).

### 20. ქ ა მ ა (რაზიანა)

ფემბასეულ კარაბადინში ვკითხულობთ: „კამა რომ სქამოთ ვალის სინათლეს მოუხდება. კამა რომ მოყლიმო და მისი წყალი თვალში ჩაისხას, თვალის სინათლეს მოუხდება. -თუ გინდა მოხარშოს და მისი წყალი იხმაროს, კარგათ მოუხდება თვალის სინათლეს“ (გვ. 16).

თითქმის იგივეს გვირჩევს აგარელიც: „თვალის ტკიოდეს ან დანაკრავი ჰქონდეს, ან რამე ქარისაგან ცრემლი სდიოდეს: ქინძი, კამა დანაყე, კეცზე მოტაფე, თფილ-თფილი თვალზე მიადევნი, ოფლი ადინე, ქარს ნუ ეკრავს, მორჩება“ (გვ. 21, 22).

მკურნალობის ეს მეთოდი ზუსტად შეესაბამება ქანანელისა და დავით ბატონიშვილის მიერ მოწოდებულ წესებს: „ვინც რაზიანის წვენი თვალშიგა ვამოივლოს. თვალთასინათლისათვის კარგი არის, და თვალშიგა დაბადი დადმან შავსა წყალსა აღარ ჩამოუშვებს“ (დ. ბაგრ. გვ. 172). ქანანელიც ხომ იმასვე გვირჩევს: კამის „წვენი თვალშიგა გამო-

ელონ, თვალის სინათლეს მატებს“ (გვ. 440).

კამა დიდი რაოდენობით შეიცავს ბ<sub>1</sub>, ბ<sub>2</sub>, პ<sub>3</sub> და ც ვიტამინებს, ამიტომ ის საკვებში იხმარება არამარტო როგორც აურნელოვანი მცენარე, არამედ ამ ვიტამინის შემცველი. კამა იხმარება კუჭის დაბალი სიმჟავიანობის, უმადობის, ყაბზობის, სიმსუქნის, ბუასილის დროს, აგრეთვე როგორც ამოახველებელი საშუალება.

## 21. კ მ წ ა ხ უ რ ი

ფემბასეულ ხელნაწერში ასეთი რჩევაა: კვაწახურის ცილი და თავათ კვაწახური ორივე ძმარში მოხარშე, გასწურე და პირში იბუგეთ, ს უ რ ა ვ ა ნ დ ს ა ც მ ო უ ხ დ ე ბ ა და კ ბ ი ლ ის ტ კ ი ვ ი ლ ს ა ც (გვ. 23).

აგარელიც კოწახურს ხმარობს „კბილის ტკივილისათვის, კოწახურის ცილი ძმარით პირში დაუყენე“-ო (გვ. 22, 24).

„კაცმან რომ ესე კოწახური ერთსა ღამესა წყალშიც დააღბოს და უშაქროთ ამისი ჭულაბი სვას, ვითომცა და ამისი წვენი სვას, თავისა და საფეთქლების ტკივილსა... მწოვედ არგებს“ (დ. ბაგ. გვ. 195).

უქველია, რომ სამივე შემთხვევაში მხედველობაშია სამწვერა და სახის ნერვისმიერი ტკივილი.

კოწახურის ქერქი და ფესვები შეიცავს ალკალოიდ ბესარინს, რომელსაც ზოგჯერ სისხლისდენის შესაჩერებლადაც ხმარობენ.

## 22. ლ ა დ ა ნ ა

გ უ ლ ის რ ე ვ ის საწინააღმდეგოდ ფემბა გვირჩევს ჯაოზის, თოფლახის, ჯადრების, თავგის წამლის. დარიჩინის, თეთრი საკმეველის, ყვითელი კოჭისა და ლადანის ნარევის ხმარებას: „ერთად დანაყე, ღვინით მოადუღე, თბილათ დააღვეინე უზმოთ (გვ. 58); ქალს რომ შვილი ეყოლოს, მამყოლი — აღარ, ლადანა უხჩოლე, მამწამს დავარდების“ (გვ. 32).

ხოჯა ყოფილი სხეადასხვა სამკურნალო საშუალების ნა-

რევს (აქლილალმალიქი, მორდი, ლადანა, ოზნა), შემკვრელი შარაბით მალამოდ შექნას და მუცელზე შემოდებას გვთავაზობს რ წ ყ ე ე ი ს დ რ ო ს (გვ. 181).

ზაზა ფანასკერტელის მიხედვით ლადანის ლიდიმედი ...„ერგების სტომაქისა ტკივილსა და მ უ ც ე ლ შ ი გ ა შ ე ი ლ ი ბ ა ს ა და როდეს ჰიპსა ქუეშე იცხოს მუსთაქუესვე ხსნილობასა დაუშუებს...“ (გვ. 209 ახ).

დავით ბაგრატიონი განმარტავს, რომ „ლადანა მხურვალე და ნედლია. თუ ღედაკაცსა მ უ ც ე ლ შ ი გ ა შ ე ი ლ ი მ ო უ კ უ დ ე ს და ძ ნ ე ლ ა დ და ე ხ ს ნ ა ს. მოუტანე ლადანა და ნაკვერცხალზედა დააკვივე და ამისი კუამლი საშოშიგა უხრჩოლეთ და მაშინვე დაეარდების და დაეხსნების“ (გვ. 122 ახ).

### 23. ლ უ ქ ი (თეთრი ნარი, მგლის სორსი)

ფემბას ხელნაწერში ვკითხულობთ: „ქალს მ უ ც ე ლ ი უ ხ თ ე ბ ო დ ე ს, დანაყე დედალი ბრვალძალვას ფურცელი, დაასხი კვერცხი, წელზე შემოსდები, თბილი ყველი ჰიპზე დაადები, სამ დღეს ის შეკრული იყოს, უსცილოთ მორჩება. დასალევით წამალი: უძრავი ნატესი, ლუქი, ქვეშნიგზისა დაალევინე.“

ქანანელი ამბობს: „დედაკაცსა რომე წ ე ს ი შ ე ე კ რ ა ს, ყურსი აფიონი (რთული შემადგენლობის წამალი) მიეცი და ლუქიც მიუმატეო (გვ. 73, 74).“

### 24. მარბიმუშაკი (ღარღუსანი)

ქ ა ჩ ლ ი ს (მ უ ნ ი ს) სამკურნალოდ ფენბასეულ ხელნაწერში შემოთავაზებულია: „უხმარი ლაქოსტაკი, მწვანე გუნდა, წითელი მიწა, შაბიამანი, სულ ცოტა მარბიმუშაკი, მგზავრული ინა. ესენი ყველა ერთად დანაყე, ღორას ქონში გააკეთე, დამწვარი ნიგოზი გაურიე და თბილთბილად სცხე“ (გვ. 41).

„იადიგარ დაუდში“ დასახელებულია: „კაი წამალი, რომე მ უ ნ ს უ შ ე ე ლ ის: მოიტანე სამი კუერცხი და კარგად გათქვიფეთ, მერმე მოიტანეთ ერთი ღირჰამი სულეიმანი, ვითამ-

ცა და დარიშხანაო და წმიდად დანაყეთ და გაცერით და ამა კუერცხის ცილაშიგა ჩაყარეთ და თუ კუერცხი არ იყოს მაწონითა ქენით და კარგად ამოთქვიფეთ და ერთსა დღესა და ღამესა შეინახეთ და მეორეს დილასა მ უ ნ ი ა ნ ი კაცი აბანოშიგა შევიდეს და მუნი კარგად დაიფხიკოს და მერმე ესე წამალი კიდევ კარგად ამოთქუიფონ და მ უ ნ ზ ე დ ა შესცხონ და ორსა საათსა იმყოფონ და მას უკან თბილის წყლითა დაიბანონ“ (გვ. 515).

### მრავალქარღვა

სიცხის დროს იყენებს მრავალქარღვას აგარელი: „გ უ ლ ხ ა დ ა ს ი ც ხ ი ს ა თ ე ი ს . დედალ-მამალი მრავალქარღვა, კამის ძირი, დაჩილული თეთრი პიტნის ძირი, თეთრი ვენახის მჩვილი ღრიკელი... (დასახელებულია მრავალი სამკურნალო საშუალება. რ. ს). ესენი წყალ ღვინოში მისი ნების თაფლი გაურთიე და კაი მოხარჩე, გაგრილდეს... ჩალესე და ასმევდე“ (გვ. 36).

ფემბა ხმარობს მცენარის კაკალს სოკოვანი დაავადებისა და ს ი ც ხ ი ა ნ ი მ შ რ ა ლ ი ხ ე ე ლ ე ბ ი ს დროს, ძირს — თიქრის სამკურნალოდ. ხველების დროს მცენარე გამოყენებულია „ძირიან-ფოჩიანად“.

საკმაოდ ფართოდ იყენებს მრავალქარღვას ქანანელიც (თვით მცენარეს, მის ფურცელს, წვენს): „და კურნე ს ე ნ ს ა მ ხ უ რ ვ ა ლ ს ა წამლებითა გრილითა იის ზეთითა და ვარდის ზეთითა გარეგარე შეცხებდით და შეასვი ტაბაშირი და მრავალქარღვა და ბაზარყატუნი წყლითა გრილითა ყოველთა დღეთა...“ (გვ. 47).

კიდევ უფრო ფართოდ ხმარობს მცენარეს ფანასკერტელი. ფილტვის ტუბერკულოზის (სილის) დროს თუ ხ ე ე ლ ე ბ ა აწუხებს ავადმყოფს: „ესე წამალი მიეც რომე შეკრას: — სამყი აარაბი მოხალული და მრავალქარღვა დანაყე და ტუტისა შარბათითა მიეც“ (გვ. 383 ახ).

დავით ბაგრატიონის აზრით, მრავალქარღვა „ც ხ ე ლ ე ბ ა ს ა , იარაყანსა, ხაფაყანსა და სისხასა ყუელასა მწოდე კარგად მოუხდების“ (გვ. 180).



მრავალძარღვას ფოთლები შეიცავს გლიკოზიდებს, ქო-  
ლინს, C და K ვიტამინებს, ლიმონმეავას, მთრიმლავ ნივ-  
თიერებებს, ფერმენტებს. ფოთლების გამონაწვლილისაგან  
მზადდება პრეპარატი პლანტაგლუციდი.

ხალხური მედიცინა მცენარეს ახლაც იყენებს ციე ბ-  
ცხელები ს დროს, აგრეთვე ჭრილობების და იარების სა-  
მკურნალოდ, რის გამო აქარაში მას „იარას ბალახსაც“ უწო-  
დებენ.

## 28. ნ ი ბ ო ზ ი

საკვებად და სამკურნალოდ გავრცელებული ეს პრიოდუ-  
ქტი ფემბას გამოყენებული აქვს ქარცეცხლის ათაშანგის და  
კ ა ც ო ბ ი ს დ ა კ ლ ე ბ ი ს დროს: „თუ კაცობა აკლდეს ნი-  
გოზის ზეთი ასვი, ობოლი ასკილი მოსთხარე, მოსი ცილი შეა-  
ცალე, ბაბუასაგდალის ცალი, სამი ცალი ფურისულას ძირი,  
საროს ძირი, დანაყე, ყველა ღვინით დამწენი, ასმევდე... უა-  
ცილოთ მორჩეს“ (გვ. 53).

ქანანელი ინდურ (ქოქოსის) ნიგოზს სმარობს იმავე მიზ-  
ნით: „კ ა ც ი რ ო მ ც ო ლ თ ა ნ ა ვ ე რ დ ა წ ე ბ ო დ ე ს...  
აიღე: სტაფილოსა თესლი, ინდური ნიგოზი, დარიჩინი, ყარა-  
მფული, ჭაგზი, თვითოსაგან ხუთ ხუთი მიტყალი, თათლით  
მაჭუნი შექენ და აქამე და მამა ცობას მატებს და  
ძალას მიცემს“ (გვ. 116).

დავით ბაგრატიონი კაცობის დაკლებიას სასარგებლოდ  
თვლის როგორც ინდურ, ისე მართალ ნიგოზს: „ინდური ნი-  
გოზი... მხურვალი და ნედლი არის, ტვინსა, დაბალისა ორივე  
დაალბობს, წელსა და თირკმელთა გაუხურებს, კ ა ც ს ა კ ა-  
ც ო ბ ა ს ა მ ა ტ ე ბ ს. ბ ე ვ რ ს თ ე ს ლ ს ჩ ა უ ყ ე ნ ე ბ ს...  
მართალი... ახალი ნიგოზი, მხურვალი და ნედლი არის, კაცის  
სტომაქშიგა ფიცხლად დადნების და კაცსა ბ ე ვ რ ს ა  
თ ე ს ლ ს ჩ ა უ ყ ე ნ ე ბ ს“. მკურნალი აქვე ამბობს, რომ  
ძველი ნიგოზი მავნეა და „ვაჟმან კაცმან არ უნდა ჭამოს თვა-  
რემ აწყენს“ (გვ. 190).

საყურადღებოა, რომ აგარელიც ნიგოზის მიღებას მამა-  
კაცის სათესლე ჭირკვალზე ზემოქმედებას უკავშირებს: „ვის

უკერი გაუსივდეს... თხილი ნიგოზი არ ექმება“-ო (გვ. 5,6).

ნიგეზის (კაკლის) ფოთლები შეიცავს ალკალოიდ იუგლანდინს და ინოზიტს (თაგვის შაქარს), ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ცილებს, ზეთი — გლიცეროიდებს. მცენარეს და მის ნაყოფს ახლაც ფართო გამოყენება აქვს ხალხურ მედიცინაში. მწვანე ფოთლების ნაყენი ამცირებს თავის ტკივილს, ნაყოფი — ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

## ნ უ შ ი

ფემბასეულ კარაბადინში იხმარება ნუშის ზეთი და გული. ნუშის ზეთს ინასთან ერთად იკი ხმარობდა ღვინისაგან წყენის (იხ. ინა), ავრეთვე გულის ბალამისა და ბავშვთა პირღებინების დროს: „ნუშის ზეთი ჭამოს და გულზე რომ ბაღდადი ექნება მთალობოს და წააგდებს (გვ. 24), ყმაწვილს რომ არ წყევინებდეს შაქარი და გირგინდი (ვივირდი, რ. ს.). ერმანეთისოდენ წყალში გალესე და ასვი. დანამასტაკო, ბანბის კურკა, ნუშის გული, ტკბილი ვაშლი დანაყე. გამოწურე. ამის წვენიში გალესე ესენი და ასვი პატარას“ (გვ. 61).

„უსწორო კარაბადინში“ ნუშის ზეთსა და გულს მრავალჯერ გამოიყენება აქვს. ერთგან ქანანელი გვირჩევეს: „თუ ანერწყითს ანუ გასახსნელი წამალი აელოს დილეულად უშში, დაწურვილსა ტბილისა ნუშისა ზეთსა შექუემდეს ყოველთა ღილათა მარვე არის“ (გვ. 377).

კიდევ უფრო ფართოდ იყენებს ნუშსა და მის პროდუქტებს (ყურსი, ზეთი, გული, შარაბი, ურწყო) ხოჯა ყოფილი. ერთგან იგი აღნიშნავს: „სტომაქისა ტკივილისა ვითარებთა რაი სიგრილისგან იყოს იგი არს, რომელ ყოლაი საჭამადსა არ მოიდნობდეს და ვიდრე არ არწყითს არ გამოისვენოს.. კურნებაი მისი იგი არს... დიდთა იარაითა იხმარებდეს და ბედანჯირისა ზეთი და ნუშისა ტკბილისა და მწარისა ზეთი ძირთა წყლისათა სეას“ (გვ. 184).

პირღებინების საწინააღმდეგოდ ნუშის ზეთს ხმარობს ფანასკერტელიც. „კაცსა რომე ახუელებდეს.. გული ეშლებოლეს და კიდევ არწყევდეს... უკურკო ჩამოიხი ნუშის

ზეოთა მოაღულოს და ყოველთა ღღეთა უზმოსა ატყვევებ  
(გვ. 385. ნაბახუსევზე ნუშის გამოყენების შესახებ იხ. იხ.).

ნუშის თესლი შეიცავს ცხიმზეთის დიდ რაოდენობას, ამიგდალინს, ნუშისმჟეა ნიტრილს, გლუკოზიდებს და გენზო-  
გებს.

## 25. პ ი ტ ნ ა

### ა. ბალის (შინაური) პიტნა

პიტნის წყალი ფემბასეულ ხელნაწერში გამოყენებულია მეტყველების დარღვევის ან სრული მოშლის დროს: ავანტ-  
ყოფს რომ ენა ჩაუვარდეს ან შეკროდეს, ვერ  
ილაპარაკოს, პიტნა დანაყე, მისი წყალი ცხვირში ჩაუწ-  
ვეთე, ილაპარაკებს“ (გვ. 47, 48).

ქანანელი ამბობს: ნანა პიტნა... თუ ქერის ფეკლითა  
ტლედ ქნა და შუბლზედა შემოსლვა, გრილსა სუდასა კარგად  
მოუხდების. თუ ენა ზედა მძიმედ უბნობდეს. კა-  
რგად მოუხდების, რომ შეიცხოს“ (გვ. 442).

შინაურ პიტნას ფემბა ღმარობს აგრეთვე წყენის (პირღ-  
ბინების) დროს, როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა პრაქტი-  
კაში. როგორც ჩანს, ასეთივე ეფექტი ახასიათებს გარეულ  
პიტნასაც (იხ. ქვემოთ).

### ბ. წითის პიტნა (ღირის პიტნა, ტყის. გარეული)

„იაღიგარ დაუღში“ ვკითხულობთ: გარეული პიტნა „ძა-  
ლასა მისცემს და მწარედ გაამაგრებს კაცსა, საჭმელსა  
მოანდომებს და გულსა ფირტუსა ძალასა მისცემს,  
რწყევასა უკუაგდებს, კაცსა რომე მუცელშივა ჭო-  
ვისხას, იმას დაჰსოცს. გუამისა და სტომაქიდალმან ბალამსა  
და პილთებს გაჰყენებს, ქარსა გააქარვებს“. (გვ. 174).

თითქმის იმასვე იმეორებს აგარელიც: „თუ ვინმე ავათ-  
იყოს და საჭმელს ვერ ჰამდეს, მოუტანე ერთი კათ-  
ხა ძმარა, ერთი კათხა თაფლი, ადუღე. იმის მოსარეველ მარ-  
თლა შეკონე შავი პიტნა. სანამღი იდულოს მანამდე ურიე. შე-

რე ვააცივე და ასვი. საქმელს მოანდომებს და-  
ლილია“ (გვ. 17, 18).

მაგრამ ტყის პიტნას სხვა უფრო ძლიერი და მნიშვნელო-  
ვანი მოქმედების თვისებაც ჰქონია, რომლის შესახებ ვხვდე-  
ბით ქანანელის, ხოჯა ყოფილის წიგნებსა და ფემბასეულ ხე-  
ლნაწერშიც.

ამ უქანასკნელში ვკითხულობთ: გარეული პიტნა დანა-  
ყეთ, გასწურეთ, მკვდარი შეილი რომ ქალს მუ-  
ცელში ყავდეს გააგდებინებს. მამყოლსაც გააგ-  
დებინებს, დელათ წესსაც გამოუშვებს, ვისაც შეკრულ აქ“  
(გვ. 32).

ქანანელის აზრით ნანა პიტნას ქალი სქესობრივი  
აქტის წინ თუ შეისხურებს იგი არ დაორსულდება: „თუ  
ღუდაკაცმან ტინვასა წინათ შაფად ქნას, ორსულობასა  
გარდაუგდებს“ (გვ. 442).

ხოჯა ყოფილის აზრით: „ყმისა მოგდებასა თუ ქარისაგან,  
თუ სინედლისაგან იყოს. ერგების: ნიახურისა თესლი და ბა-  
დიანი, ანისონი, ქონდარი, ნანსუაპი, შავი ანგუდანი, უპანი  
აზს, და ღინარითა და პიტნა მთისა, სული. ძირაი და ზარნაბა-  
ლი თვითთისგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი და გაცრი-  
ლი მისგნით მუტყალი ერთი ღვინითა იხმაროს“ (გვ. 241). ხა-  
ლსურ მედიცინაში პიტნას იყენებენ შარდმდენად. დიდი რა-  
ოდენობით პიტნის მიღება იწვევს მოწამლვას. ამ დროს აძ-  
ლკევენ გასეჩილ სტაფილოს, რომელიც ანეიტრალებს პიტნის  
წხამს.

## 29. პ რ ა ს ა

ფემბასეულ ხელნაწერში პრასა და მისი კაკალი გამოყე-  
ნებულია სისხლიანი განავლის, გულის დაავადების (სოკო) და  
ჭიებით ინვაზიის დროს: „მუცელში რომ სისხლზე გა-  
დიოდეს პრასი მოხარზე, თუნთუბო დააყარე, აქამე  
(გვ. 43), ვისაც ჭია ჭონდეს პრასის კაკალი ღვინით ასვი  
(გვ. 49), სოკოს წამალი... გულზე რომ ესხას, მოახმობს და  
გააყრევინებს კიდევ... ნიახური და პრასა დასკერი და მოხა-

რშე და გამომცხვარი პურის გული ამოუკიდე და აქამე (გვ 61).

ქანანელი ამბობს: „აბი მუყლი არგებს, რაცა ტყირაშიგან ქარი იყოს, ყუელას გამოიღებს.. რომ ბოვასირი ვასქ-ლებოდეს და სისხლი სდიოდეს მასაც არგებს... შაჰაჰ-ჰანთალი ნახევარი დრამი, საყუნია ერთი დანვი. ეს ერთბირად დანაყე, გაცერი და პრასის წყლით დაავორვალე და ორის პრასის წონა შეასვი თბილის წყლითა“ (გვ. 62).

ფანასკერტელიც პრასას იყენებს სისხლმდენი ბუასილის დროს ოყნის სახით: „ოყნა, სარგო წყლულებისათვის, რომელი იყოს მუცვილსა შიგან და სისხლად იყვანდეს და მას სახელსდებენ ბერვენნი დოსინატრია.. თუ წაეკიდოს საგურკელსა შიგან ბავასირი და გასივდეს, ღანაყე პრასა, დაასხი ზედა ერბო ფურთა და დასდევ საგურკელსა ზედა“ (გვ. 567, 568 ახ).

დავით ბაგრატიონის აზრით, „პრასის თესლი მხურვალე და ხმელი არის, კაცის გვამიდაღმან ქარს გააქარვებს და კაცობას მწოედ ძალას მისცემს, კაცსა ბევრ თესლს ჩაუყენებს. და კაცსა მაშინვე შარდზედა გახსნის და სოკოსა სენისათვის მწოედ კარგი არის, რომენ კაცმან მოხარშოს, ეს პრასა კი ჭამოს და ამისის ნახარშის წვენითა უკანა კარი გამოიბანოს და მერმე კარგად გამოიხოცოს (გვ. 174, 175). აწე ბოვასილის თოკოსა ჰქუიან.. და უკანას კარიდაღმან სისხლი ბევრი სდიოდეს.. მოიტანე ხაშხაშის ქერქი და ტუხტის თესლი და პრასა და მოადუღონ და თბილთბილი ამათის წვენითა რამდენჯერცა გარ გავიდეს, უკანა კარი გამოიბანოს და ფიხლავ გაიწმინდონ, რომე არ გაცივდეს, თვარემ აწყენს და თუ სისხლი სწვეთდეს, ანჯუბას შარბათი სეგან“ (გვ. 455, 456).

პრასა ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარება კბილებიდან სისხლის დენის, ღრძილების დაავადებების სამკურნალოდ. შემჩნეულია აგრეთვე, რომ ის ამშვიდებს ნერვულ სისტემას და აუმჯობესებს მეხსიერებას.

## მ. რ ე ჰ ა ნ ი (ზაშკლავი, ზაშტრამი, ზაშპრამი)

ფემბასეულ კარაბადინში ვხვდებით მცენარის მომზადებისა და ხმარების ძალზე ძუნწ ცნობას: „ზაშკლავი დანაყეთ, დაადევით, ან ასვით, შეუქარით, ს ი მ ს ი ვ ნ ე ს დაუცხრობს“ (გვ. 29). ჩვენთვის ძნელია გარკვევა უბრალო სიმსივნეზეა ლაპარაკი, თუ მძიმე დაავადებაზე — ავთვისებიან სიმსივნეზე.

ამ საკითხის გარკვევაში ერთგვარად გვეხმარება ზაზა ფანასკერტელი. მისი თქმით „ნიშანი ლიდიმედისა აფსინდისა, ერგების სტომაქისა ტკივილსა და ს ი მ ს ი ვ ნ ე ს ა მ ი ს ს ა... აიღე: აფსინდი, მასტაქი, საბრი, ლადანი და ზაშპრამი, ამათგანი წონი ხუთ-ხუთსა დრამისა და ცუილი წონი ათისა დრამისა. შეკრიბენ ესე წამალნი, დანაყნე, დასცრნე და გაადგინო ცუილი ნარდისა ზეთითა, რაზომი ეყოფოდეს. ესე წამალნი ჩაურთნე, იწამლო“... (გვ. 201).

ჩვენი აზრით, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ლაპარაკია მუცლის ღრუს ორგანოების ავთვისებიან სიმსივნეზე.

## მ. ს ა კ მ ე ვ ე ლ ი

ფემბასეულ კარაბადინში საკმეველი 12-ჯერ არის დასახელებული. ის გამოყენებულია ნ ე რ ვ უ ლ ი და კ ბ ი ლ ე ბ ი ს და ა ვ ა დ ე ბ ე ბ ი ს, შ ა ქ რ ი ა ნ ი დ ი ა ბ ე ტ ი ს, ს ო კ ო ს, გ უ ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს, ხ ვ ე ლ ე ბ ი ს ა თ ა შ ა ნ გ ი ს, ქ ა რ ე ბ ი ს, აგრეთვე გ ი ნ ე კ ო ლ ო გ ი უ რ პრაქტიკაში და ქ რ ი ლ ო ბ ე ბ ი ს ა თ ე ი ს საქირო მალამოს შედგენილობაში. „საკმეველი, დანამასტაკი ორივე ერთათ ღეჭე, კბილებს დაამაგრებს, უცხო, კარგია (გვ. 23). ტულიპისათვის: მოცობას ფოთოლი, თეთრი საკმეველი კვერცხის ცილაში აზიღე, ფერღზე შემოსცხე შემთბარი, სამ ღღეს ისე ქონდეს შეკრული, მოუხდება. მერე შეხსენი (გვ. 34). ვისაც გული სტკიოდეს თეთრი საკმეველი ყალიონით დალიოს, არგებს (გვ. 56), ხველის წამალი: თეთრი საკმეველი რძეში მოხარშე, ცივად ასვი“ (გვ.

57). ქარებისა და ტეხვის დროს ფეშა საკმეველს სმარობს. წითელ მიწასთან, სანდალთან, ჯაოხთან, ქინძის კაკლთან, ჯანგართან, შაბიამანთან, ირმის რქასთან და ალისარჩულთან ერთად, ხოლო დედათა წესის მოშლისა და თეატრად შლის დროს ურჩევს ქალებს ზაფრანავარეული არაყი დალიონ და საშოს მხრიდან საკმეველი იხრჩოლონ. კრილობისათვის მალამოს შესამზადებლად მკურნალი იყენებს საკმეველს, დანამასტაკს, ერბოს, სანთელს, წითელ სანდალს: „რაც უნდა დაჭრილი იყოს ადამიანი ეს უჯობს“-ო სწერს და თან გვაწვდის მალამოს ხმარების წესებს (გვ. 76).

საკმეველს ფართოდ ხმარობს აგარელიც. მას ექვსჯერ აქვს გამოყენებული თეთრი საკმეველი, აქედან ორ შემთხვევაში პარალელს ვხვდებით ფეშბასეულ სელნაწერთან, კერძოდ, გ უ ლ ი ს ა და კ ბ ი ლ ე ბ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ი ს ა ს. (გვ. 31, 34).

ზაზა ფანასკერტელი საკმეველს იყენებს კრილობისა და დაყევილობის დროს მალამოს შესამზადებლად, აგრეთვე დ რ ძ ი ლ ე ბ ი ს ა და კ ბ ი ლ ე ბ ი ს დაავადების დროს: „წამალი, რომე ღრძილსა უშუელის თუ წამხდარი და შექმული იყოს და კბილებიც დაამაგროს“ (გვ. 371 ახ). საკმეველი ამ დროს იხმარება ბროწეულის გულთან და ყვაეილაან, ყვთელ გუნდასთან, წიდასთან და მარილთან ერთად ღრძილებზე მოსაყრელად. „თუ მუდამ გ ა უ წ ყ უ ე ლ ა დ ე ხ უ ე ლ დ ე ს დაიპირე ჩამიჩი და თეთრი საკმელი, წყალშიგა შიადუღე და გამოწურე და ცოტა ნუშის ზეთი გაუჩრე და შეასუი ცხელი (გვ. 380, 386, 399 ახ); გ უ ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი, რომე ს ი გ რ ი ლ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს.. ადულე საკმელი და კულიავი შეასუი წყლითა სამჯერ“ (გვ. 465 ახ). საკმეველს სსვა წამლებთან ერთად ზაზა ხმარობს დაავადებათა მთელი ჯგუფის“ საკურნელობისათვის, რომელი იყოს ღ უ ი ძ ლ ი ს ა და ტ ყ ი რ ბ ს ა შიგან და სიგრილისათვის საშოსა და მეოთხისა ცხროსათვის და ხუელისა ნედლისათვის (გვ. 544 ახ); საშოსა ოდეს სისლი სდიოდე ს აიღე.. ნახევარ დანვის წონა ზაფრანი, საკმელი, დანვის წონა მური დაგალენ და შერიენ ერთგან: და შეასუი ეგრევე ლემის თესლი და ოდეს ვინდეს საცხებელი, მაშინ სცბე მისთვის ღრამის წონა ან უფრო (გვ. 691 ახ). სა-

კმეველი თეთრი გაუქარვებს გულს ურვასა და შეუმატებს სწავლასა და.. შეუმატებს მოხსენეობასა და... ერგების ქარ-  
სა“ (გვ. 742 ახ).

## მ 2. ს ა ნ დ ა ლ ი

წითელსა და თეთრ სანდალს ფემბასეულ ხელნაწერში ძა-  
ლზე ხშირად ვხვდებით. იგი გამოყენებულია ხველებისა და  
სისხლიანი ლებინების დროს, ბავშვთა პრაქტიკაში, თ ა ვ ი ს ა  
და გ უ ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს, გ უ ლ ი ს თ რ თ ო ლ ე ბ ი ს  
(„თ ა მ ა შ ი ს“), ც ი ე ბ - ც ხ ე ლ ე ბ ი ს, ქ ა რ ე ბ ი ს, თ ვ ა -  
ლ ი ს და ა ვ ა დ ე ბ ი ს დროს. სანდალი შედიოდა აგრეთვე  
კრილობების სამკურნალო მალამოს შემადგენლობაში. ერთგან  
მკურნალი წერს: „თეთრი სანდალი წყალში გალესე, ასვი,  
გულს გაამაგრებს (გვ. 24), თეთრი და წითელი სანდალი წყა-  
ლში გალესეთ... გულის ტკივილსა და თრთოლებასაც არ-  
გებს, გულსაც გაამაგრებს“ (გვ. 25).

ორივე სანდალს ფართოდ ხმარობს აგარელიც, განსაკუთ-  
რებით აღსანიშნავია მისი გამოყენება გულის ტკივილისა და  
„გულხადა სიცხისათვის“. მცირე კარაბადინში ნათქვამია:  
„გ უ ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს წამლები: ჯერ ორივე თეთრი და  
წითელი სანდალი, ომაინები, იორდასალემი, ალილა... ესენი  
ერთათ წყალში დალესე ან შაქრით ან თაფლით ფიფინათ სა-  
ხამებლით ზოგი ისე ასვი, ზოგი ფიფინათ აჭამე, დილას და  
სალამოს ოფლი ადინე“ (გვ. 3. 15).

ანალოგიურ დანიშნულებას ვხვდებით „უსწორო კარაბა-  
დინშიც“. „თუ ტ ა ნ ს ა და მ ა ჯ ი ს ზ ე და ნამეტნავად  
ცხლად იყოს და გ უ ლ ი ც ა უ ს უ ს ტ დ ე ბ ო დ ე ს მ ა ს ს ა ნ -  
დალის შარბათი შეუწყევით“ (გვ. 322).

ზაზა ფანასკერტელს თეთრი სანდალი გამოყენებული აქვს  
თ ა ვ ი ს ა და გ უ ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს, ხ ვ ე ლ ე ბ ი ს,  
ხოლო წითელი სანდალი ნ ი კ რ ი ს ი ს ქ ა რ ი ს დროს: „თე-  
თრისა სანდლისა შარაბისა ხასიათი. გულსა ძალსა მისცემს  
და გ უ ლ ს ა ძ გ ე რ ი ს ა თ ვ ი ს კარგია (გვ. 232 ახ). თუ ესე  
გ უ ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს სისუსტისაგან იყოს (გვ. 463 ახ).  
...სიცხისაგან იყოს (გვ. 464 ახ); გულის ტკივილი რომე სიმ-



ხურვალისაგან იყოს“ (გვ. 466 ახ.) და ა. შ. მკურნალი აგრეთვე ამბობს, რომ „ნიკრისისათვის ერგების და გამოცდილი არს ტკივილისათვის და სარგებლისა არს, ვინ გამოცადოს. მადრიელ იყოს“-ო (გვ. 203 ახ).

დავით ბაგრატიონი ასე გვიხსნიათებს სანდლის თვისებებს: „სანდლის შარბათის ხასიათი გრილი და ნედლი არის... კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან გუ ლ ი და ღ ვ ი ძ ლ ი ე წ ო დ ე ს, იმას ორსავე უშველის და გულისა და ღვიძლის წვასა გაუგდებს.... კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან თ ა ვ ი და ს ა ფ ე თ ქ ლ ე ბ ი ს ტ კ ი ო დ ე ს, ამას უშველის. კაცსა რომე მწოვედ რწყევა აუვარდეს და ესე შარბათი სვას, რ წ ყ ე ვ ა ს ა და წ ყ უ რ ვ ი ლ ს ა ო რსავე უკუუგდებს... გ უ ლ ი უ ფ ე თ ქ დ ე ს და უთრთოდეს, მისთვის მწოვედ კარგი არის“ (გვ. 595).

„წიგნი სააქიმოშიც“ დიდი ადგილი უკავია სანდლის გამოყენებას. ფემბასეული ხელნაწერი ხოჯა ყოფილს ემთხვევა თ ა ვ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს, გ უ ლ ი ს თ ა მ ა შ ი ს ა ს და ტ კ ი ვ ი ლ ი ს, თ ვ ა ლ ი ს და ა ვ ა დ ე ბ ი ს საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებისას.

სანდალი ეკუთვნის ეთერზეთოვან მცენარეებს. მისგან მიღებულ ზეთს აქვს მსუბუქი ანტისეპტიკური თვისება.

### 33. ს ე ლ ი

ფემბა სელს ხმარობს ელენთის გადიღების (სიმსივნის) და გარეგანი მუწუჯის სამკურნალოდ: „ტყლიპი რომე კაცს ამოკროდეს, სელი დანაყე, რძეში მოხარუე, სამჯელ დაადევი მტლეთ (გვ. 45), ადამიანს რომ ბუზუჯი გამოუვიდეს, სელის ქუმელის მარცვალი ან დანაყე, ან დაქბი, ძროხის რძეში ამოუკიდე, ფაფათ გააკეთე, რძით თავი მოუწეპე, დაადევი ბუზუჯზე, გასაპარებელია გააპარებს, დასამწიფებელია დაამწიფებს და გამოიყვანს“ (გვ. 79). გარდა ამისა მკურნალს სელი გამოყენებული აქვს „შარდის ხუთვისათვის. წამალი მოიტანე ორმოცი (...) სელი დანაყეთ, რძე და წყალი აურიეთ ერთმანეთში (...), უზმოს დალიოს“ (გვ. 79).

აგარელი იძლევა ასეთ დარიგებას: „თუ ქალს ფუში შვი-

რდეს, ან ქარი შჰირდეს, ანწლის კაკალი, სელის ზეთი, ყარაფილი, დარიჩინი, ზენჯეფირი ერთად გალესე, იმით კარგათ დაზილე ძარღვები და ს ი მ ს ი ვ ნ ე ს ა ც უშველის“ (გვ. 22). (გვ. 22).

ხალსურ ექიმთა მკურნალობის ეს მეთოდები თითქმის მთლიანად აღებულია ქართული კლასიკური სამკურნალო ძეგლებიდან.

ქანანელი სელის ზეთისაგან ამზადებს მტლეს და ასევე იყენებს სიმსივნის დასაცხრობად: „რომე კაცისა ს ი მ ს ი ვ ნ ე მაგარი იყოს, დაიჭირე ხანა ნიგოზი, მური და მუყლი ერთმანეთისა წონა და ყველას წონა სელის თესლი“, ერთ დღე-ღამეს დაღბეს და სიმსივნეზე შესცხეო (გვ. 74.). იგივე ავტორი სხვა შემთხვევაშიც იყენებს ამ მცენარეს: „სელი... სტომაქსა და შ ი გ ა ნ ს ა და ბ უ შ ტ ს ა ძალასა მისცემს. წელშიგა ხანს დაჰყოფს, მერმე ბუშტშიგა, სარცხვენელისა თავისა, ბუშტშიგა გავა და ფსმაშიგა სარცხვენელისა თავი ეწოდეს... თესლსა შატებს (გვ. 438); ტანზედა რაიმე წყლული იყოს და ამოაშრობს მასა წყლულსა და გამოზრდის მისსა ხორცსა“ (გვ. 422).

ხოჯა ყოფილი სელს ხმარობს შარდის ბუშტის ს ი მ ს ი ვ ნ ი ს და ტკივილის დროს, როცა მათ თან სდევს შ ა რ დ ი ს წ ე კ ა ვ ე ბ ა ც. ტკივილის საწინააღმდეგოდ ის გვირჩევს აგრეთვე სხვა წამლებს, ხოლო „რაი ტკივილი დასწყნარდეს და კვირაი ერთი გარდვიდეს, მაშინ ვამძსნელი და მხურვალი მალჰამაი შემოსდვას ვითა ბაბუნაი და სელი და ბაკლაისა ფჰქილი შემაგრითა ღვინითა შეზილოს და შემოსდვას კარკი არს“ (გვ. 222).

ზაზა ფანასკერტელის მიერ მოწოდებულია „თერია... ტყირბის ტკივილისა... ჰკურნე ჰირველად მას თხვეითა კამის წყლითა შემგბრითა და ერბო ფურთა ჩაურთე და მერმე აილე ქაშქის წყალი და ვარდისა ღა სელის თესლი, შეგბოლე ერთგან და ოყნა უყავ და ჩარიე თაფლისა წყალსა“ (გვ. 35 ახ). შ ა რ დ ი ს ბ უ შ ტ ზ ე ს ე ლ ი ს მოქმედების შესახებ ავტორი ზუსტად იმეორებს ქანანელის აზრს (-ს. ციტატა ზემოთ გვ. 765 ახ).

ამჟამად სელი კულტურული მცენარეა. იყენებენ მას როგორც საფადართო საშუალებას. სელისაგან ამზადებენ აგრეთვე კოპტონებს და ხმარობენ საფენებად.

#### 34. ს ი ნ ა მ ა ქ ი

ფემბასეულ კარაბადინში ვხვდებით ასეთ რჩევას: „სინამაქი გადგი, აღუღე, ხანდახან ცხელ-ცხელი დახრივე ჩაისავით, მუცელშიდაც მოუხდება, ხელად ასაქმებს და თავის ტკივილსაც მოუხდება“ (გვ. 19).

ზაზა ფანასკერტელი სინამაქის შესახებ ამბობს, რომ იგი „უშუელის თავის ტკივილსა“ (გვ. 165 ახ). მკურნალი ამ წამალს სასარგებლოდ თვლის „რომე სისხლი წამსდარიყოს, სტომაქი აღარ შეინახავს და გარეთ გამოერიოს“ (გვ. 621 ახ).

დავით ბაგრატიონის აზრით, „კაცსა რომე სიგრილისაგან თავის ტკიოდეს და ესე ფუთფუთას ხე (სინამაქი, რ. ს.) სანდალსავითა გაღესონ ძმრითა და ვარდის წყლითა, და მტკივანსა თავზედა შესცხონ, მაშინვე თავის ტკივილს უშველის“ (გვ. 197).

#### 35. ტ ი რ ი ფ ი

ფემბასეული კარაბადინის მიხედვით, ციებიის (მალარიის) ნარჩენი მოვლენები: ელენთისა და ღვიძლის გაღიდება შეიძლება მორჩეს დანაყილი ტირიფის ფურცლისა და წყლის ნარევით: „კაცს რომ დიღხანს აციოს და ტყლიპი დაუტეოს მარცხენითაც და მარჯვენითაც მაგრა ქონდეს მისი წამალი ეს არის, ამის მეტი (არა) ფერი მოარჩენს. მოიტანე ტირიფის ფურცელი დანაყეთ კარგად, მერმე წყალი დაახით, აურიეთ, კარგად გაწურეთ, ერთ ჭურჭელში ჩაასხით, ყოველდღე დილას უზმოდ ექს-ექს(ი) დრამი ასეთით, ერთ კვირას. იმ ტყლიპს, იმ სიმსივნეს მოარჩენს ღვთით, წამლები ბევრჯერ დაცდილია (გვ. 39, 31)... სადაც საწერელი ქონდეს, ძროხის რძეში ვარდი მოხარშე, შამოსდევი, ტირიფის ცილი, ჰისფერი, კვერცხის ცილი ერთად გაურიე, შამოსდევი“ (გვ. 52).

ქანანელი ასეთივე წესით დამზადებულ ტირიფას წყალს იყენებს სიმურვალისაგან გამოწვეული ს ი მ ს ი ე ნ ი ს და წ ი თ ე ლ ი ქ ა რ ი ს დროს, იქვე მიუთითებს, რომ „არგებს მსურვალე ვარამსა, რომე კაცსა ხელსა სწვავედეს“ (გვ. 74, 75).

ხოჯა ყოფილი გვიხსნის ელენთის გასივების (ტყირპის, რ. ს.) მიზეზებს და გვარიგებს, რომ „ელენთის სიმსიენე უფროისი მსურვალთა ცხროითაგან იქნების და ელენთი გამაგრდების... რომელ გამოჩნდეს და ელენთაი გაასივოს ეკრე“ და გვიჩვენებს სხვა წამლებთან ერთად ვიხმაროთ ტირიფის წყალი (გვ. 197, 198).

ზ. ფანასკერტელი დანაყილი ტირიფის ფურცელს იყენებს ტერფის გასკდომის დროს, როცა ამას თან ასლავს ფრჩხილების და ზიანებაც (საწერელი). ამის შესახებ უკვე ითქვა ზემოთ. (გვ. 654 ახ).

დავით ბაგრატიონი ტირიფის წყალს სასარგებლოდ თვლის როგორც ციების, ისე ცხელების დროს: „კაცს რა რომე ცივებისა და ცხელების ბორჯალი (შეტევის დრო რ. ს.) მოსლოდეს“ ახალი ვარდის, ვაშლის, სანდლის ანაბიის შარბათი გავზამანის (ძროხის ენა, ძირწითელა) ან ტირიფის წყლით გაღესილი და ვარდის წყალგარეული ასვან და მოუხდებათ“ (გვ. 134, 138).

ტირიფი საკმაო რაოდენობით შეიცავს პროტეინებსა და ცილას, ფოთლები — შაქრებს, ნაცარს (კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი).

აქარაში ბოლო დრომდე ტირიფს იყენებდნენ ციებს (მალარიის) დროს. ავადმყოფს აძლევდნენ მცენარის ქერქის ნაწარმს.

## 38. ტ ი ტ ა

ამ მცენარეს ფართოდ იყენებს დავით ბაგრატიონი. მისი აზრით, წიწმატი და ტიტა ერთნაირი მოქმედებისანი არიან. დანაყილი მცენარის წვეწვს ავტორი გვთავაზობს ცხვირში ჩასაწვეთებლად სიყვითლის, ხოლო თესლს — სისხლიანი ფლარათობის დროს. ამასთან, გვაფრთხილებს ბევრი არ ჰამონ,

ჩადგანაც თავს აატკივებს და ზაფრას გააძლიერებსო. (გვ. 171, 172 ახ). „იადიგარ დაუდში“ ერთ მეტად საინტერესო ფრაზასაც ვხვდებით: „ვინცა ორი დანგი ამა ტიტის თესლი ქამოს, სისხლისათვის მწოვედ კარგია რის, და რაცა კაცის ტანშიგა ყუითელი წყალი და წალა დგას, ყუელასა გასწმედს და გააქარვებს“ (გვ. 403). ახლა მოვუსმინოთ ფემბას: „ვინც ორი დანაგი ტიტის თესლი დაღეჭოს და ქამოს თაფლით სისხლისთვის მწოვედ კარგია. კაცს ტანში რაც ყვითელი წყალი აქ, გააქარვებს“, როგორც ხედავთ არც ეს არის უბრალო მსგავსება. აქ ტექსტი აშკარად გადაწერილი უნდა იყოს. (ამის შესახებ უკვე იყო აღნიშნული შესავალში).

### პ. ტ უ ს ტ ი (ვირიმოლოჟა, ფოხვირა)

ფემბა ამ მეცნარეს იყენებს შეკრულობის წინააღმდეგ: „ვინც შეკრული იყოს შავი ყურძენი დანაყე ძალიან სქლათ, მის წვენში ტუხტი გაურიე. წყლით ასვი — გახსნის“ (გვ. 50).

ამავე მიზნით ხმარობს ფანასკერტელი „სუბუქ მათბუხს“, რომელშიც შედის: ქერის ფქვილი, ტუხტი და სტაფილოს თესლი. აგრეთვე აფიონი. მისი თქმით ეს წამალი „უშველის თავსა რომე სიმხურვალისაგან სტკიოდეს და თუ მუცელი შეკვრით იყოს გახსნის“ (გვ. 234 ახ).

„იადიგარ დაუდში“ ვკითხულობთ: „...ძუძუსა და მკერდზე კაცსა მქვალი დაესვას და კაცი მწოვედ შეკრას... ნიადაგ ტუხტი, ძირტკბილა, უნაბის წყალი, ბიის გულის ლობი და ეს წამლები ასვან, ყველა კარგად უზამს“ (გვ. 385, 386).

ტუხტის ფესვებში შედის ლორწო, სახამებელი, შაქარი, ასპარაგინი, ყვავილში — ეთერზეთები.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ტუხტი აქლაც გამოიყენება კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოსაწესრიგებლად და ყურის ტივილის დროს (აგარელი). ტუხტი აუმჯობესებს სუნთქვასაც.

ერთერთი ყველაზე გავრცელებული კურკოვანი მცენარე და ხილთაგანია, რომელიც ფემბას ხელნაწერში გამოყენებულია ღვიძლისა და გულის ტკივილის დასაწყნარებლად. მკურნალი გვირჩევს ვინმაროთ არა უშუალოდ ნაყოფი, არამედ მისვან დამზადებული ტყლაპი, რაც ასე ფართოდ მზადდება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აპარასა და გურიაში: „თუ ღვიძლის მკვავალი დაღვეს გულიც სტიოდეს, ჯერ ხელი გაუხსენი, მერმე კვერცხები დაამტრიე, შაბით მოლესე, მერმე ტყემლის ტყლაპზე გასცხე, გაათბე, სადაც მკვავალი ადგეს დაადევი, კიდო ღვინოში იაღლვაშები მოხარშე. გამოსდევი, დაახურე და ოფლი ადინე“ (გვ. 3).

ხშირად ხმარობს ტყემალს ზოჯა ყოფილიც. რომელიც ძირითადად იმავე პრინციპით მკურნალობს ღვიძლის ტკივილით დაავადებულებს: „ღვიძლის ტკივილი იგი არს, რომელ სისხლისგან იყოს... კურნებაი მისი იგი არს, რომელ ბასალიკი (იდაყვის ვენა, რ. ს.) გაიხსნას მარჯვნითვე და მაშინ ეგოთთა რასმე ჰამდეს, რომელ ღვიძლსა განაძლიერებდეს და ტყემლისა შარაბითა მუცელი დაილბოს“ (გვ. 183).

ფანასკერტელი ტყემლის ტყლაპს (ლავეაშს) თავის ტკივილის დროსაც ხმარობს: „თუ თავის ტკივილი ზაფრისაგან იყოს, ტყემლისა ლავეაში წყლითა დაალბეთ, ზედა მარილი დააყარეთ და შუბლზედა შემოსდევით“ (გვ. 273 ახ). ტყემლის წყალს მკურნალი უნიშნავს გულის ტკივილისა და წყურვილის დროს: „თუ სიმსურვალისაგან გული სტიოდეს... და ნამეტნავად სწყურდებოდეს და რასაცა გრილსა სდებდე იამებოდეს, მისი წამალი შარბათი ტყემლისა შეასყით“... (გვ. 474 ახ).

ტყემლის თესლი შეიცავს ამიგდალინს, ხოლო ნაყოფი შაქარს, ორგანულ მარცვლებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისს, პექტინს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ტყემალი გამოყენებულია მადის მომგვრელად. ტყლაპს იყენებენ ღვიძლისა და ელენთის ტკივილების დროს გარედან შემოსადებად.

## 39. უ რ თ ხ ე ლ ი (მადა)

ერთ-ერთი იშვიათი მცენარის, „წითელი წიგნის“ ბინადარის ურთხელის კაკალი ფემბასეულ ხელნაწერში გამოყენებულია ღრძილების დაავადების დროს: „ურთხელის კაკალი თავლში დანაყე და ღრძილების ხორცები რომ დამპალი ქონდეს პირში იბუგეთ, ახალ ხორცს მოიყვანს, დიდათ მოუხდება“ (გვ. 22). ამ მცენარის ხილი გამოყენებული აქვს მხოლოდ ქანანელს ცხვირის ხორცმეტის დროს: „თუ ცხვირშიგან დართული შეექნას, ნასორი ჰქუიან, აიღე ურთხმელისა ხილი და ლელუი ისრე რომ ორი წილი ლელუი იყოს და ერთი წილი ისი ხილი, დანაყე, მალამავითა შექენ და პატრუკითა ცხვირში შეიდევი“ (გვ. 228, 229).

სხვა სამკურნალო წიგნებში ურთხელის (ურთხეარის, მადის) გამოყენების ფაქტი არ დასტურდება. საყურადღებოა, რომ ქანანელი სამკურნალოდ, ურთხელის ხილის გარდა, ხმარობდა მცენარის ფურცელსა და ფისს.

## 40. შ ე ტ ვ ი

ფემბას კარაბადინში ფეტვი (შავი მქადი) დაფნის ფოთოლთან და ობობასთან ერთად მოხსენიებულია ოფლის დამდენ საშუალებად: „ოფლი რომ კაცს არ გამოუვიდეს ობობა და შავი მქადი, დაფნის ფოთოლი ან ხე, ესენი ერთად გადმოაღულე და შაქარი უქენი, თბილი ასვი, მაშინვე ოფლს გამოყრის“ (გვ. 34).

აგარელი მიუთითებს: „ოფლის გამოსაყვანად წამალი ეს არის: თეთრი ვენახის მჩვილი ღრიკელი დაშქარი, პატარა ქოთანში მოხარშე წყლით, იმის წვენში იაი, ახეულ დოუხვეველი, მქადი მქადა, ესენი კაი მოხარჩე, სამი ან ორი ძირი ჩახარჩე, იმაში თეთრი სანდალი ჩალესე, ის ფიფინათ სასამებლით მოაღულე და აქამე, ოფლი გამოუვა მორჩება“ (გვ. 37), იფქლის მქადი აგარელს გამოყენებული აქვს აგრეთვე სიყვითლის დროს (გვ. 38). ქართულ ხალხურ მედიცინაში ფეტვი იხმარება ყურის ტკივილის დროს და ძილის მომგარელებად.

## 41. ფ ი ს ი (ჟარტნი)

აჟარაში აღმოჩენილ ორივე ხელნაწერში ფისი ერთი და იგივე მიზნით არის გამოყენებული, როგორც აგარელი, ისე ფემბა ფისს იყენებს ს ი მ ს ი ვ ნ ი ს და ს ა ც ხ რ ო ბ ა დ. ქართული კლასიკური ძეგლების გაცნობით ირკვევა, რომ მნიშვნელობა არ ქონდა რომელ მიდამოში იყო სიმსივნე და რომელი ორგანო იყო დაავადებული.

აგარელი ფისს იყენებს თეთრ საკმეველთან და ძირმწარასთან ერთად სათესლე ჯირკვლის სიმსივნის დროს: „ყვერისათვის... ფისი, თეთრი საკმეველი, ძიმწარე დანაყე, ღვინით შესცხე ყვერზე“ (გვ. 32).

ფემბასეულ ხელნაწერში ვკითხულობთ: „ყართნი ქეია ფისიც, ის რომ სიმსივნეს ალაგს სცხოთ სიმსინეს დაიცხრობს“ (გვ. 23).

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“ სამგან ეხვდებით ფისის გამოყენებას და ს ა მ ი ვ ე ჯ ე რ ს წ ო რ ე დ ს ი მ ს ი ვ ნ ი ს დასაცხრობად. მისი აზრით „ლიდიმედი“ რომელშიც შედის „ფისი, რომელ არს გომიზი ფიჭუისა, ერგების ყოველთა სიმსივნეთა შემთხუელთა გუერდთასა“ (გვ. 205 აბ)... მისივე დაკვირვებით „ცუილი და რათინა (ფიჭვის ფისი, რ. ს), ცმელი ზროხისა და ფისი... დაალბობს სიფიცხესა სიმსივნისასა, რომელი იყოს სარცხუინელსა დიაცისასა“ (გვ. 664 აბ); და შემდეგ: „სკორე ზროხისა დასდვა მდგარსა ზედა და მცივანსა მაგარსა, დახსნის თუ დასდვა ნიგრისსა ზედა, ნაცარსა და ფისსა თანა, ერგოს“ (გვ. 751 აბ).

სოფელ ქალის (შუახევის რ.). მცხოვრები მენშურ დიასამიძე ნაძვის და ფიჭვის ფისს წარმატებით ხმარობს რევმატიზმის და ნიკრისის ქარის დროს საფენების სახით. მკურნალმა ისიც კი იცის, რომ კანის გზით ფისი ორგანიზმში იწოვება. ამიტომ ავადმყოფებს ურჩევს, თუ პირში ფისის სუნი იგრძნობთ, არ შეშინდეთო.

## 42. ქალბანა (საქბინაჯი)

ფემბა ქალბანას (ქალბანას) ხმარობს თევურის ნაადრევი შეჩერების (ამენორეის) დროს; „ქალს რომ ტანთარ



ე მ ა რ თ ე ბ ო დ ე ს, თუ სიცხე ქონდეს თვითო ქინძისთავი ოდენი ქალბანა დაამრგვალე, ყოველდღე ჩააყლაპე, დაარღვევს სისხლს“ (გვ. 59).

აგარელსაც ქალბანა გამოყენებული აქვს გინეკოლოგიურ პრაქტიკაში, საშოს წვისა და ქაველის დროს: ქ ა ლ ს თ უ ა ს ო შ ი ე წ ო დ ე ს, ქ ა ვ ი ლ ი ე ჩ ვ ი ო ს... ძმარში ძირმწარა, შორვალა, წითელი სანდალი, კატის ბუდე, ქალბანა ესენი გალესე, გახურებულს ნატეხარზე დაასხი, კიდევ იხრჩოლოს, შიგნითაც ენდომილებოდეს წეისვას, მერმე წყლით გამოიბანდეს თფილით...“ (გვ. 23). იგივე მკურნალი ქალბანას ყურის ტკივილის დროსაც იყენებს: „ყურის ტკივილისათვის ქალბანა ჩხირზე წოუსვი და ჩოუდევი“ (გვ. 7).

ზაზა ფანასკერტელის აზრით საქბინაჯი „ერგების ქართა ს ტ ო მ ა ქ ი ს ა ს ა და ს ა შ ო თ ა და შეალობს მუცელსა და შემოგარეთა ადგილთა და ქ უ ე მ ო ს ა მ უ ც ე ლ ს ა“.. (გვ. 410), გარდა ამისა „ერგების ტკივილსა შენადგამთასა ნიკრისისასა, და რომელნი შეხამებულნი არიან და დავრდობილ სიფიცხითა საღმობისათა და ს ი ყ რ უ ვ ე ს ა და ტრობასა და ყ ო ვ ე ლ ს ა ტ კ ი ვ ი ლ ს ა ყ უ რ თ ა ს ა“ (გვ. 150).

ქალბანაში შედის ეთეროვანი ზეთები. თანამედროვე მედიცინა მის ნაყენსა და ემულსიას იყენებს ნერვული აშლილობის (ისტერიის) დროს. იგი ამავე დროს ეფექტური ამოსახველებელი საშუალებაა.

#### 48. ქერის პური

ფემბასეულ ხელნაწერში არ არის დიფერენცირებული პურის სახეობები. იგი ზოგადად ხმარობს ტერმინს „პური“. ამ მასიურად გავრცელებულ პროდუქტს მკურნალი ხმარობს მრავალი დაავადების დროს. მსგავსებას სხვა ქართულ კარაბადინებთან ვნახულობთ კუჭის აშლილობის მკურნალობისას: „...მ უ ც ე ლ შ ი რ ო მ გა ხ ს ნ ი ლ ი ი ყ ო ს და არ ეშველოს“ რა, სისხლზედაც რომ გადიოდეს... პური მოზილე ღვინით (...) ცეცხლში ჩასვი, გამოაცხვე... გამოილე, გადაავლე ღვინო ცხელზე, დანაყილი ქონდრის კრებული, საკმეველი ერთათ დანაყილი მარილივით იმას წააყარე ცხელზე, მერე...

მუცელზე გადააკარი, ტიტველ მუცელზედ, უშველის“ (გვ. 66).  
აგარელიც ხმარობს ქერის პურს ოლონდ შიგნით მისალე-  
ბად: „ა ა ც ს მ უ ც ე ლ შ ი ხ ს ნ ი დ ე ს და ა ყ რ ი ე ბ დ ე ს  
მწვანე გუნდა, ქერის პური სწორა დაწვი, დანაყე და აქამე“  
(გვ. 11).

ფემბასეული მკურნალობის მეთოდთან ძალზე დიდ მსგა-  
ვსებას ვნახულობთ „იადიგარ დაუდში“: „ვინცა ესე ვარდის  
კაქაქი დანაყოს და ამის წვენითა ქერის ფქვილი ტლედ ქნას,  
გულსა და სტომაქზედან გადააკრან, გულის ფეთქვას და გუ-  
ლის თრთოლას ორსავე უშველის, სიცხესა და სიმბურვალეს  
უკუჰყრის, რ წყევას უკუაგდებს და კაცსა მა-  
შინვე მუცელშიგა შეჰკრავს“ (გვ. 178).

დღევანდელი მედიცინა სამკურნალოდ იყენებს ქერის ექ-  
სტრაქტს გარეგან სახზარად, ამოსახველებელ საშუალებად და  
კუჭნაწლავის ანთებითი პროცესების შესამცირებლად, ხალ-  
ხური მედიცინა კი ნერვების დამამშვიდებელ, ძილის მომგვ-  
რელ და კუჭის ტკივილის დამაყუჩებელ საშუალებად.

#### 44. ჭ ი ნ ძ ი

სხვა თვისებებთან ერთად ქართულ სამედიცინო წიგნებში  
ვანსაკუთრებულად არის აღწერილი ჭინძის სისხლის შემაჩე-  
რებელი თვისება. ფემბა მცენარის თესლს იყენებს სისხლიანი  
შარდვის დროს: „ვინც სისხლს ფსემდეს, ჭინძის  
თესლი დანაყე, წყლით ასვი, მოუხდება“ (გვ. 50). მკურნალი  
ჭინძის კაკალს ურჩევს აგრეთვე იმ ავადმყოფებს, ვისაც  
„ქარი რომ აწუხებდეს და სტეხდეს“ (გვ. 72).

აგარელს სამკურნალოდ გამოყენებული აქვს თვით მცენა-  
რე ცხვირიდან სისხლდენის შესაჩერებლად: „კაცს, რომ  
ცხვირში სისხლი სდიოდეს: ჯაოზი, ჭინძი, ძმარი  
მტლეთ შუბლზე, მაჯებზე გადააკარი“ (გვ. 2). იგივე ავტორი  
დანაყილ ჭინძს ხმარობს თვალის ტკივილის, დანაყ-  
რავის და ქარისაგან ცრემლის დენის დროს (გვ. 23).

მკურნალობის ფემბასეული და აგარელისეული მეთოდი  
მთლიანად ემთხვევა დავით ბაგრატიონის მიერ მოწოდებულ  
წესს, თუმცა, ეს უკანასკნელი გამოირჩევა თავისი ორიგინა-

ლურობით: „კაცსა რომე ცხვირსა სისხლი სდიოდეს ასრე უნდა: ესე ქინძის თესლი დანაყონ და ორიე ცხვირი გამოუტენონ, მაშინვე ცხვირსა სისხლს დასწყუეთს... კაცი რომე სისხლზე დაიარებდეს, ორი ღირპამი ამა ქინძის წვენი ერთგან აურიონ და ასუან, მაშინვე სისხლისა დასწყუეტს და ყუანას უშველის“ (გვ. 175).

თვალის ტკივილის დროს ქინძის წყალს რძესთან ერთად წვეთების სახით ხმარობს ქანანელი: „ქინძის წყალი რძითა, რომე თვალე წვოდეს და სტკიოდეს, ჩაუშვან, დაუამებს“ (გვ. 44). სისხლდენის დროს ქინძის ხმარება საერთოდ ცნობილი ყოფილა ქართული ხალხური მედიცინისათვის. ა. იაშვილის მიხედვით ცხვირიდან სისხლდენის შემთხვევაში მოხარშულ ქინძს შუბლზე ადებდნენ (გვ. 14).

ქინძი საუკეთესო ეთერზეთოვანი სანელებელია, იგი იხმარება აგრეთვე პარფიუმერიაშიც. აქვს ანტიმიკრობული თვისება. მისი მალამო იხმარება წითელი ქარის სამკურნალოდ. ქინძის დიდი დოზით მიღებას შეიძლება მოჰყვეს ტვინის იშემია და დეპრესია.

#### 45. შვითიელი კოჭა (ზანჯაბილი, ზარღანჩო)

ეს არის მცენარე, რომელსაც სანდალის მსგავსად ძალზე ფართო გამოყენება აქვს როგორც ფემბას ხელნაწერში, ისე ყველა ქართულ კლასიკურ სამკურნალო წიგნებში. ფემბა მას იყენებდა ღვიძლისა და თვალის დაავადებების, ბუასილის, ჭყურტის (ღიაბეტი), ზაფრის, საყმაწვილოს, ათაშანგის და სხვა დაავადებათა დროს.

ღიაბეტის და ზაფრის დროს აქვს გამოყენებული ზანჯაბილი ქანანელსაც (გვ. 6, 7, 12, 44), აგრეთვე ნიკრისის ქარისა და შიგნეულის (ღვიძლის) ტკივილის დროს (გვ. 66).

ხოჯა ყოფილი ზანჯაბილს ხმარობს ღიაბეტის (გვ. 172), თვალის ტკივილის სულაყის ქავანი თვალთა სიღრუისას (გვ. 102), დროს: „რომელ სტკივოდეს და იგინაკრავის განიქნების რომელ თვალთა სცემდეს რამე, ანუ მალლისა ადგილისაგან დაცემულ იყოს... ერგების

პალილაი და ზანჯაბილი თვითოსაგან ხუთისა დრამისა წონი...“ (გვ. 107), აგრეთვე ზაფრისა და ღვიძლის ტკივილის დროს (გვ. 83, 190).

ძალზე ფართოდ ხმარობს ზანჯაბილს ზაზა ფანასკერტელი, განსაკუთრებით მუცლის დრუს ორგანოების (ღვიძლის) დაავადების დროს: „...ერგების ტკივილსა ღვიძლისასა და დაყოფილთა ნესუტთა მისთა გახუამს და ერგების სტომაქსა გარყუნილსა და ღვიძლსა“ (გვ. 145 ახ.).

ყვითელ კოქას (ზენჯეფირს) იყენებენ აგრეთვე დავით ბაკრატიონი და აგარელი მკურნალი.

#### 46. შ რ ე შ ი

ფეშბა ამ მცენარის ფესვს იყენებს სასქესო ორგანოს (სათესლე ჯირკვლის) გასიების ან საზარდელის (საპარცავის) თიაქრის დროს: „შრეშის ფესვი მოადუღეთ კარგათ, ფაფასავით გასქელდეს; რომ სასირცხო უსივდეს ან კაცს საპარცავი, დაადევით ერთჯელ, ორჯელ და გააპარებს უთუოთ“ (გვ. 28).

ქანანელი აღნიშნავს: „თუ კაცსა ყუერი ასტკივდეს და გაუსივდეს... ამათი წამალი.. გუნდა დანაყე და შრეში და გუნდა პირდაპირ ქენი, ღვინით მოადუღე, ცოტათ რომ გასქელდეს და შემოსდეგ და სანამდი არ დავარდეს ნუ აიღებ...“ (გვ. 349).

სოჯა ყოფილი შრეშს სხვა წამლებთან ერთად ხმარობს თიაქრის დროს: „რომელ საზარდულსა ქვეშეთ არს ადგილსა, რომელ არაბულად მარაყი ქვიან. ვითარებაი მისი სქელისა ქარისაჯან იქნების, რომელ მძიმე ტვირთი აელოს ან უმაღლისა ადგილისაგან ჩამოხტეს ოდესმე“ (გვ. 232).

დავით ბაკრატიონი მცენარეს იყენებს ქალის ძუძუსა და ზურგის სიმსივნეების დროს, მაგრამ საყურადღებოა, რომ ისიც ხმარობს სწორედ შრეშის ძირს (ფესვს) სხვა მინარევების გარეშე და წამალს ისევე ამზადებს, როგორც ეს ფე-

მბას აქვს აღნიშნული: ...„ესე შრეშის ძირი კაცმან მანამდისი ხარშოს, რომე კარგად მოსქელდეს, მერმე სიმსივნე-ზე და დაიდვას, სიმსივნე და ტკივილი უსათუოდ ორივე უშველოს“ (გვ. 402).

#### 47. ძ ი მ წ ა რ ე (ზარავანდი)

ეს მცენარე ბოლო 2-4 საუკუნის ხელნაწერებში ერთ-ერთი გავრცელებული სამკურნალო საშუალებაა. აგარელი მას იყენებს სათესლე ჯირკვლების გასივების დროს როგორც გარეგან საშუალებას და სმენის დაქვეითებისას ყურში ჩასაწვეთებლად, აგრეთვე კბილის ტკივილის დროს: „დაცდილი კბილის რყევის, ტკივილის წამალი: ქვეშნიგზისაის ძირი, ძიმწარაი დანაყე, შაბი მიურთე, კაის ძმართ მოხრაკე, მიადვას, მაშინვე მოუხდება“ (გვ. 38).

ფემბასეულ ხელნაწერში ძიმწარე მარილთან და შაბთან ერთად გამოყენებულია გარეგან სახმარად კანის დაავადების (ქაჩალის) დროს (გვ. 80).

ხოჯა ყოფილი ზარავანდს ხმარობს „ყურის ქარის“ დროს, რომელსაც თან ახლავს ყურში ხმაური და ტკივილი (გვ. 125). ასევე ემთხვევა ამ კლასიკოსი მკურნალის მეთოდი აგარელისას კბილის მკურნალობისას: „კურნე ბაი კბილისა შეჭმულობისაი... უბანი და პილპილი და ზარავანდი და გომიზი წმინდათ დანაყოს და შეჭმულობისა ადგილსა ზედა მოაყაროს“ (გვ. 136). იგივე ავტორი ზარავანდს ხმარობს შავი ბაჭაყით (კეთრით) დაავადების დროს: „და ესე საცხებელი სხვაი შემოსდვას ზარავანდი და პილი და ბავრუკი თვითთისაგან ნაწილი ერთი, ყოველი დანაყილი ერთგან გაპრიოს და შეზილოს და რაი მანკისა ადგილი კირითა ეზილოს, მაშინ შესცხოს“ (გვ. 263). ზარავანდს მკურნალი ხმარობს აგრეთვე ურვილის (ხორა, ბღერი) დროს გუნდასთან და აჯასპთან ერთად (გვ. 268).

დავით ბაგრატიონი ძიმწარეს ხმარობს ქაჩალის სამკურნალოდ, რისთვისაც გვთავაზობს ასეთ ნარევეს: „მოიტანე სამი ღრამი ინა, ძიმწარე და ეს ორივე წმინდათ დანაყეთ, გაცერით

და ზეთის ერბოში ამოზილეთ, ამ რიგათ ორჯელ სამჯელ სამოსლით თავზედ გარდააკარით, უსათუოთ უშველის“ (გვ.517).

მეცნიერულმა მედიცინამ ახლა უკვე იცის, რომ ძიმწარეში შედის ალკალოიდი არისტოლოხინი, რომლის ვენაში შეყვანა სისხლის წნევის მკვეთრ დაქვეითებას იწვევს.

## ღექსიკონი—სნობაკი\*

— 3 —

**აბზინდა** — *Полынь горькая. Artemisia absinthium L.* იზრდება რიყეებზე. საცხოვრებელი სახლების მახლობლად. გზის პირებზე. ძველთაგანვე იყენებენ ქალური დაავადების, ცოფის, ეპილეფსიის, მუცლისა და თავის ტკივილის დროს. აჭარაში (ქობულეთი) აბზინდას ხმარობენ ამჟამადაც თიაქარის სამკურნალოდ. მცენარის ძირს გარეცხავენ, ქონდართან და პილპილთან ერთად ხარშავენ. ვიდრე წვენი წითელ ფერს არ მიიღებს. შემდეგ გაწურავენ და ასმევენ.

**ალიჯა** — სამკურნალო ბარისპირა, დოშა. *Буквица лекарственная. Betonica officinalis.* გვხვდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია ათაშანგის, ძელის მჭამელის, აგრეთვე საწერელის, სასუნთქი გზების კატარის დროს, რომელსაც თან ახლავს ხველება. აჭარაში მას ხმარობენ გულის ტკივილის და საყმაწვილოს დროს.

**ალისარჩული** — ზაფრანა (რაქ). *Сафлор, крокос. Carthamus tinctorius.*

აჭარაში ამ მცენარეს იყენებდნენ მალალი სიცხის დროს. დიდ ჭურჭელში ჩაასხამდნენ მაწონს, ჩაყრიდნენ მცენარეს, ამოჰყლეთდნენ, შემდეგ ამ ნარევეში ამოსვრიდნენ პერანგს, ჩააცმევდნენ ავადმყოფს და ოფლს ადენდნენ.

**ალის ლობიო** — (აქარ). ვირის ლობიო (მთ.), კამეჩი ფაულა (ინგ.). *Фасоль многоцветковая, бобы турецкие. Phaseolus multiflorus.*

აჭარაში იხმარებოდა ძალღის ნაკბენის სამკურნალოდ.

\* ლექსიკონში განმარტებულია მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც გვხვდება ხელნაწერის ტექსტში.

ამოხრუტნული კბილი — დაზიანებული კბილი, კარიესი.

ამრუჯი — იხ. მარმუქი.

ანგური — ყურძნის სახეობა (ქანანელი), ერთ-ერთი გადაშენებული ჯიში უნდა იყოს. აჭარაში მის ზეთს ხმარობდნენ შეუპოვარი სურდოს და სკლეროზის (გულმავიწყობის) დროს.

ანდუჯა — იხ. კულმუხო.

ანისუნი — ანისული. *Anis, Anis, Phimpinella aromatica M. B.*

იზრდება მაღალი მთის ველებში და გორაკებზე, აჭარაში, ლეჩხუმსა და სვანეთში იყენებენ თვითურის მოსაწესრიგებლად, იხმარებოდა აგრეთვე მადის მომგვრელ საშუალებად.

ანწლი — *Бузник. Sambucus ebulus.*

მრავალწლიანი მცენარე. ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ რევმატიზმის, ქარების, მალარიის დროს. აჭარაში ანწლის ნაყოფს შაქართან ერთად ხმარობენ ფაღარათის, ხოლო ძირს გველის და ძაღლის ნაკბენის სამკურნალოდ. სოფელ ჭალაში (შუახევის რ.). ამ მცენარეს იყენებენ დაქეილობით გამოწვეული ტკივილის დასაწყნარებლად.

არღკანაფი — (იმ. რაჭ. ლეჩხ.) დათვის კანაფი, კანაფურა, დათეკანაფა, საყვითლე ბალახი (აჭარ.). *Конопляник критский. Datisca cannabina L.*

იზრდება ტყეებში, თხემელნარებში, სუბალპურ სარტყელამდე. აჭარაში ამ მცენარეს იყენებენ ფაღარათის, სურავანდის, მალარიის, ათაშანგის დროს; ფართოდ იხმარება აგრეთვე სიყვითლის სამკურნალოდ, რის გამო „სიყვითლის წამალსაც“ ეძახიან.

არღაშხანი — უნდა წარმოსდგებოდეს „კარღაშხანი“-საგან, რაც ქართულად „ძმის სისხლს“, ნიშნავს. „მახული დაში ახავეინი“ (არაბ). *Драконова кровь, сургуч. Resina sanguis draconis.*

ჩვენში ეს მცენარე არ იზრდება. მას ფხვნილის სახით იყენებენ თვალის ტკივილის დროს (ა. იაშვ.) აჭარაში არღაშხანს ხმარობენ გულის ტკივილის, ჩიყვის, საყმაწვილოს, ფაღარათის, ბუასილის სამკურნალოდ. სხვა კარაბადინებში არ გვხვდება, ფემბასეულ ხელნაწერში მოხსენიებული „ღვეის სისხლიც“ არღაშხანი უნდა იყოს (შდრ. *Драконова кровь*)



მას ხმარობენ მოწვევებების და ბავშვთა ავიზნის დროს (შერ. დევის სისხლი, დ. ჩუბ.).

არყა — (აქარ.) სოკო. Груздь. *Lactarius piperatus* Fr. ვარყა. (იმ.). სოკო — პიპილა (გურ.).

აქარაში არყა სოკოს ხმარობდნენ ბნელისა და ფილენჯის („სენია დამგრებელი“. საბა) დროს.

ასისთავა—ქინა. თავცეცხლა (აქარ.). ხოროსანი (კახ.), ქინა-ქინა (გურ.). Золототысячник. *Centaureium umbelatum* Pilib.

ერთი ან ორწლიანი მცენარე, გვხვდება ველებზე, მდელოებზე, მთის შუა სარტყლამდე, თითქმის მთელ საქართველოში. ასისთავა ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია კუჭის მაღალი სიმკვავის, გულწვის, ნაღლის ბუშტისა და ღვიძლის დაავადების დროს.

აქარაში ამ მცენარეს იყენებდნენ სოკოს (ბუასილის) სამკურნალოდ.

ასკილი — გარეული ვარდი (აქარ.), ტყის ვარდი (ლეჩხ. ოკრ.). Шиповник, роза дикая. *Rosa canina* L.

თითქმის მთელ მსოფლიოში გამოიყენება სამკურნალოდ უძველესი დროიდან: აქარაში მას იყენებენ „კაცობის დაკლების“, ბუასილის, დამწვრობის და შარდის შეკავების დროს. ასკილი ხარობს თითქმის ყველგან — ზღვისპირეთიდან სუბალპური ზონის ტყეების ჩათვლით.

ატამი — არტამა (ლაზ.). Персик. *Persica vulgaris* Mill.

მრავალწლიანი ხილეული. აქარაში იხმარებოდა მცენარის ფურცელი და ნაყოფის კურკის შიგთავსი ციებ-ცხელებით (მალარიით) და ჩიყვით დაავადების დროს. ამ დაავადებების ლიკვიდაციის შემდეგ მკურნალობის ამ მეთოდმა დაკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა. ატამის ქერქს მაყვალთან ერთად ბათუმში (თამარის დასახლება) ახლაც იყენებენ სისხლდენის შესაჩერებლად. საერთოდ ქართულ ხალხურ მედიცინაში ამ მცენარის ფოთლის (შარდმდენი), კურკის (ამოსახველებელი) და ქერქის გარდა, იხმარება ახალი ყვავილები. ფოთოლი შეიცავს პრუნაზინს. ქერქი — ცხიმოვან ზეთებს.

აფიონი — ოპიუმი, თერიაყი, ხაშხაში, ყაყაჩორა. Макшотворный. *Papaver somniferum*. „სამსალის მკურნებელი“

(საბა), თრიაფარუხი (ნ. ჩუბ.) კულტურული მცენარეა. გავრცელებულია ველურადაც. აჭარაში ამ მცენარეს ხმარობდნენ მუცლის ტკივილის დროს და ჭირვეული ბავშვის დასაწყენარებლად, აფიონი „ტანის ქარების“ დროსაც იხმარებოდა. საბას მიხედვით, სასიკვდილო წამლის (სამსალის) მიღებისას თერიაკით შეიძლება ადამიანის გადარჩენა, ე. ი. თანამედროვე გაგებით, ის ასრულებდა ანტიდოტის ფუნქციას.

— ბ —

**ბაბუასაგძალი** — იხ. წითელი კუნელი.

**ბადაგი** — შაქრის დანალექი, მოდულებული ტკბილი, патока, ან ნადული ღვინო, гливин (დ. ჩუბ).

**ბალამწარა** — მწარბალი, წარემბალა (აჭარ.). Черешня дикая. *Cerasus avium* L.

ამ მცენარის ნაყოფი სხვა წამლებთან ერთად აჭარაში იხმარებოდა ათაშანგის დროს ტანის დასაბანად.

**ბალახის წამლები** — მცენარეთა რამდენიმე სახეობის საერთო სახელი. ძირითადად იხმარებოდა ბავშვთა დაავადების დროს.

**ბალზინი** — ბალზინი, ბალასინი. Бальзам (ბერძ.). „საზოგადო სახელი არის ყოველთა სრქელთა კეთილსუნოვანთა ზეთთა, რომელნიცა თავით თავისით საცნაურთა ხეთაგან გამოდინდებიან და ამისთვის ეწოდების ამათ ბუნებითი ბალზინი, განსხვავებისათვის შენადგენთა ბალზინთაგან, რომელნიცა გაკეთდებიან კეთილსუნოვანთა გამოხდილთა ზეთთაგან, ანუ ფისიერთა და გორდიერთა და გორდიანთა ნივთიერებათაგან, გახსნილთა სხუათა სრქელთა ზეთთა შინა“ (ი. ბაგრ.).

ფემბასეულ ხელნაწერში შეიძლება იგულისხმება ბალზამის სოჭისაგან — Пихта бальзамическая. *Abies Balsamea* Mill. მიღებული ზეთი, რომელიც იხმარებოდა კიევის გამოსადენად.

**ბალღამი** — სისველე, ფლეგმა, ლორწო. ეს სიტყვა მეტი-სმეტი გულგრილობის, აუღელვებლობის სინონიმადაც იხმარებოდა.

**ბამბა** — Хлопчатник. *Possipium Herbaceum* L.

სამკურნალოდ იხმარებოდა მცენარის კურკა, რომლისგანაც ხდიდნენ ზეთს. იყენებდნენ პირღებინებისა და დაწწვრობის დროს.

**ბანდლი** — ბანდლი. ობობას ქსელი (იმ.). იხმარებოდა კრილობიდან სისხლის შესაჩერებლად.

**ბარგეს წამლები** — უცნობია. თუ „მარგე“-დ ამოვიკითხავთ, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ რომელიმე სნეულების საწინააღმდეგო წამალზე. (შდრ. მარგ-ი თხის სნეულება. აღ. ლ.).

**ბალის პიტნა** — კაპლიბალახა. ნანოეთი. *Мята паперная. Mentha piperita L.*

ენათმეცნიერთა ინტერესს იწვევს პიტნის მეგრული სახელი. სამეგრელოში ამ მცენარეს ყველში ურევენ და სახელიც აქედან მოდის „ყვალმინთა“ ყვალ-ყველი. მინთა — პიტნა; ენათმეცნიერთათვის საინტერესოა ეს სახელი, რადგანაც მინთა ლათინური „მენტა“-დან მომდინარეობს. საქართველოში გავრცელებული სამკურნალო და სანელებელი მცენარეა. ხალხურ მედიცინაში იხმარება კენჭების და სიმსივნის სამკურნალოდ, აგრეთვე მეტყველების მოშლის დროს.

**ბაყაყი** — ხმელეთის მყუარარი (საბა), მცირე გომბეშო (ი. ჩუბ.). ამ სახელით ცნობილია მცენარეც (ოპუნცია) — დედინაცვლის ენა. ბაყაყის ყვავილი. *Индийская фи́га, рак — трава. Opuntia ficus indica Mill.* იმერეთში თვით ბაყაყიც (ფაზარი) სამკურნალოდ იხმარებოდა. ტერმინი „ბაყაყი“ სამკურნალო მანიპულაციასაც გამოხატავდა — ს. გავაზის (ყვარლის რ.) მცხოვრებმა გიო კეწელაშვილმა კარგად იცოდა დაქარგვა — ხუნაგის დროს თავზე კანის გაკვეთა. „ბაყაყს“ ჯვარედინად გადაუჭრიდა და ზედ დაჩეჩქვილ ნიორს დაადებდა თავის ფერფლიანად“ (მც. კარ.).

**ბელთი** — ლეკერტი. შედედებული სისხლი უნდა იყოს („ბელთ ასაქმებს“).

**ბერძნული** (ბერძული) თხილი — პონტოური თხილი. *Лещина понтийская. Corilis pontica.*

თხილის სახეობა. მრავალწლიანი ბუჩქოვანი მცენარე. ხარობს სუბალპურ სარტყელზე. ხალხურ მედიცინაში იხმარება ჭიის დამდენათ, კენჭების, მალარიის, კანის ანთებითი პრო-

ცესების დროს, დამწვარი შტოს ნახშირს ხმარობენ სისხლ-  
ნაყლენთების სამკურნალოდ. ნაყოფს — სისხლიანი ღებინების  
დროს. ზეთს — ყურის ტკივილის დროს (იხ. თხილი).

**ბზა** — შიმშირი (აქარ.). Самшит колхидский, кавказ-  
ская пальма. *Buxus colchica* Pojark.

მცენარე გავრცელებულია კოროხის, აქარისწყლის, კინ-  
ტრიშისა და მაქახლის ხეობებში. აქარაში სამკურნალოდ იხ-  
მარება მცენარის ფოთოლი (ბუასილის დროს), ხავსი (დიაბე-  
ტი) და ნორჩი ყლორტები, ნაყოფს ხმარობენ ჩირქოვანი კრი-  
ლობების სამკურნალოდ, აგრეთვე როგორც სასაქმებელ და  
შარდმდენ საშუალებას (ა. იაშვ.).

**ბზე** — ყანის ნალეწი (საბა), ნალეწი ძნათა პურისა და  
ქერისათა (დ. ჩუბ.).

**ბია** — კომში. Айва дикая. *Cidonia oblonga*. ისევე რო-  
გორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქარაშიც ბიის ნაყო-  
ფის ნახარში იხმარება სიცხიანი ხველების დროს.

**ბნედა** — გულყრა. ეპილეფსია.

**ბობოწვერა** — 1. მუშკი; მუშკი ხისა. Чихрица. *Usnea*  
*barbata* Hoffm. 2. ბურბუშელა, ბაბუაწვერა.

**ბოლოკი** — Редька. *Rafanus sativus* L.

აქარაში ბოლოკი გამოიყენება შარდის შეკავების და კე-  
ნჭებით დაავადების დროს. ხალხურ მედიცინაში ამ მცენარეს  
წარმატებით ხმარობენ აგრეთვე სისხლნაკლოვანების, მუცლის  
ტკივილის, მადისა და წყურვილის გაძლიერების დროს.

**ბორაკი** — ბორა. ბავრუკი (ფან.). ბავრუკი ერთ საჭმელ-  
საც ქვიან (საბა); ტბის ხაშურია, ოქრომკვდელთან ხმარებუ-  
ლი ოქროს დასადნობად ვით ნიშადური კალას დასადნობად  
(ნ. ჩუბ.). ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა კანის გამონაყრე-  
ბის სამკურნალოდ, თავ-პირის ტკივილის დროსა და კიების  
გამოსადეგნად.

**ბრავალძარღვა** — იხ. მრავალძარღვა.

**ბრინჯი** — Рис, чалтык. *Oriza sativa* L.

აქარაში ბრინჯს აძლევდნენ მუცლის ტკივილის და ქარე-  
ბის დროს, როგორც დიეტურ საშუალებას.

**ბროწეული** — Гранатник. *Punic agranatum* L.

საქართველოს მთის ქვედა სარტყელში გავრცელებული

მრავალწლიანი მცენარე. ძველთაგანვე ხმარობენ კბილების, პირის ღრუს დაავადებების, თვიურის აშლის, ფალარათის, ბუასილის, კიებით ინვაზიის, დიაბეტის და სხვა დაავადების დროს. აქარაში ხმარობენ მცენარის ქერქს, კაკალს და კანს. მახინჯაურში ქერქის ნახარშს ასმევენ მუცლის ტკივილის დროს. ნაყოფის ქერქისაგან მზადდება კუჭის აშლილობის საწინააღმდეგო წამალი ექსგრანი.

**ბუზუჯი — მუწუჯი .**

**ბუნდრუჯი —** ერთ-ერთი კვერის შემადგენელი ნაწილი (ფან.). როგორც ზაზა ისე ფემბა უნდა გულისხმობდნენ ჩვეულებრივ ბუნდრუჯს, საკმეველ სუნელს (საბა). აქარაში მას იყენებდნენ შარდის შეკავების დროს (იხ. თეთრი საკმეველი). საყნოსი საშუალებაა, ძველად ცხვირში და ყურებში უკეთებდნენ მიცვალებულს (ა. იაშე).

**ბურული —** ბულული, თივის ხელეური (დ. ჩუბ.). თივის ან გათიბული პურის პატარა ზვინი (ალ. ღლ.).

**ბურღვა —** ბულღვა, ბარამბო. Блоконинок. Petasites. იზრდება ნესტიან ადგილებში. მდინარის პირებზე, ალპურ ზონაში. ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ ავთვისებიანი სიმსივნის დროს და ამოსახველებლად. უმი ფოთლები ან რძით შემზადებული ფაფა აქარაში იხმარება მუწუჯის ან სიმსივნის სამკურნალოდ და ბუასილის (სოკოს) დროს.

**ბუჭვა —** ბუჭგი, პატარა ზღარბი (საბა).

**ბუწე —** ბუწკი, დაბალი ჩირვეი (საბა).

### 3

**გაღანარგავი მაყვალი —** იხ. მაყვალი.

**გაღაურგველი პიტნა —** იხ. ბალის პიტნა.

**გამოსურვება —** გამოსურმევა. გამოვლება „ვიოლავ თვალსა სურმით“ (დ. ჩუბ.).

**გარეული ვარდი —** იხ. ასკილი.

**გარეული პიტნა —** იხ. ტყის პიტნა.

**გენგეჩო —** უცნობია. შესაძლოა იყოს იმერული გენაგერჩაგის (ალ. ღლ.), აბუსალათინის სინონიმი. Клещевина

обыкновенная. *Ricinus communis* L. ტკიპალობიო (ქიზ.),  
ჭულაბი (გურ.).

გვარჯილა — (ლეჩხ.). ქვეერის კედლებზე ღვინის დუღი-  
ლის შედეგად მიმხმარი ნივთიერება (ალ. ღლ.). შესაძლოა ხე-  
ლნაწერში ქიმიური შენაერთი იგულისხმება (გვარჯილა —  
— Селитра. *Kalium nitricum*), იხმარებოდა ცხელების  
დროს.

გველის თვალი — ხალხური რწმენით, გველის ერთერთი  
სახეობა მზიან ამინდში თამაშობს მრგვალი გამჭირვალე ქვით.  
ცხენოსანმა ნაბდის კალთით უნდა აიტაცოს იგი სწორედ მა-  
შინ, როცა გველი ქვას ჰაერში ააგდებს. ამ გველის დაჭერა  
ან მოკვლა არ შეიძლებოდა. ქვის მატარებელი კი ბედნიე-  
რად მიაჩნდათ. ამ ქვას ხმარობდნენ წამლადაც, გველისა და  
შხამიანი მწერების ნაებენის სამკურნალოდ. ამ მიზნით მას  
წყალში ზეზავდნენ და ამგვარად მიღებული სითხით ბანდნენ  
ნაკბენ ადგილს (ა. იაშვ.). ფემბასეულ ხელნაწერში „გველის  
თვალი ბუღიანა“ გამოყენებულია თილისმად „მავნე ეშმაკისა-  
გან“ თავის დასაცავად.

გველის პერანგი — მგველის პერანგი (კანი) იხმარებოდა  
გაძნელებული მშობიარობის და სწორნაწლავის გამოვარდნის  
დროს შესაჩოლებლად (ა. იაშვ.). ფემბასეულ ხელნაწერში  
რგი გამოყენებულია როგორც თილისმა გაძნელებული მშო-  
ბიარობის დროს.

გვირილა — *Ромашка. Piretrum.*

მრავალწლიანი მცენარე, ხარობს მთის შუა სარტყელში.  
აჭარაში იხმარებოდა მცენარის ფოთოლი თმის დაცვენის სა-  
წინააღმდეგოდ. ქარებით დაავადებულს უხჩოლებდნენ დამწ-  
არი მცენარის კვამლს.

გზის მოლი ცხენის — მოლი ორი მნიშვნელობით იხმა-  
რება. „ყარყატისა სკინტლი და მოლი“, „ძაღლის ენა და ვი-  
რიყუერასა ძირი“ (ფან.). ორი უკანასკნელი მცენარეა. ფემ-  
ბასეულ ხელნაწერში ცხენის ძველი განავალი უნდა იგულის-  
ხმებოდეს.

გირბილი — იხ. გოგირდი.

გორგინდი — იხ. გოგირდი.

გიშერი — ძვირფასი ქვა. სათი.

გლედიჩია — ღობის ჩხირბალახი, ღობის ეკალი (იმერ.). რუსული აკაცია (მეგრ.). ხეეკალა, ხელურსმანა (კახ.). Гледичия. *Gleditschia triacanthos* L. ბარის მცენარე, გავრცელებულია აჭარის ზღვისპირა ზოლში, იხმარებოდა კბილების და ყელის დაავადების, ხუნაგის, სუნთქვის გაძნელების დროს.

გოგირდი — Сера. Sulfur.

გორგინდი — იხ. გოგირდი. სპარსული გოგირაი (ა. იაშვ).

გოქშო — კაქაქი, ბურბუშელა, სმელი შამბის ღერო (ნ. ჩუბ.). Ворсянка. *Dipsalus laciniatus*. მცენარის ძირი იხმარებოდა საწერელის (პანარიციუმის) სამკურნალოდ, აგრეთვე ჩიყვის დროს.

გულში ქვა — თრომბი (?).

გუნდა — სარო, ალვის ხე, პირამიდული კვიპაროსი. Кипарис пирамидальный. *Cupressus sempervirens*. აჭარაში ამ მცენარის მწვანე დანაყილი ნაყოფი იხმარებოდა პირის ღრუს, კბილებისა და ღრძილების ტკივილის, აგრეთვე ფალარათის, ცხვირიდან სისხლდენის, ბუასილის, ჭიებით ინფაზიის დროს. მცენარის გირჩებს შარდის შეუკავლობის დროს ხმარობენ.

გუნდრუკი — იხ. ბუნდრუკი.

## დ

დათვის ენა — (შღრ. დათვის ბაბა. საბა). საყურადღებოა, რომ ეს ტერმინი გვხვდება მხოლოდ საბას ლექსიკონში. შემონახულია მხოლოდ ქართლსა და აჭარაში (ალ. ღლ). მისი სინონიმია ამპური. Рябина греческая. *Sorbus gracca*.

დათლიბი — იხ ტათლიბი.

დანაგი — იხ. დანგი.

დანამასტაკი — საყიზი, ნარმასაყიზი (აჭარ.) Мастиковое дерево. *Pistacia lentiscus*. ამ ხისგან მიღებული კევივით საღებო წამალი, ღრძილების გასამაგრებელი (ქან.) ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა კბილების ტკივილის, პირღებინების, ფალარათის, ავთვისებიანი სიმსივნის დროს.

დანგი — წონის ერთეული. სამი კერატის წონა: ოთხი ქრთილის მარცვალი ერთი კერატია (საბა). ქრთილი — შემო-

დგომის ქერი. ამგვარად. ერთი დანგი 12 ცალი შემოდგომის ქერის მარცვლის წონა, ანუ 0,53 გრამია.

**დანდური** — მსუქანა. სუქანა. Портулак. *Portulaca oleracea* L.

ქართულ კლასიკურ კარაბადინებში ცნობილია თუხმაქანის, თუხმაჯანის სახელით. ფემბასეულ ხელნაწერში დასახელებულია სხვა ჩვენთვის უცნობი მცენარე, რომელიც „სუქანას გავს“-ო. საქართველოში სუქანას ხმარობდნენ წყლისადმი შიშის და ავთვისებიანი სიმსივნეების დროს (ა. იაშვი.).

**დანის ფიფილი** — იხ. დარაფილფილი.

**დარაფილფილი** — დარაპილპილი. Перец · продолговатый. *Piper longum* L.

პილპილის სახეობა, წიწაკა. გავრცელებულია მთელ საქართველოში, ფართოდ გამოიყენება სანელებლად. ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა თვალის დაავადების საწინააღმდეგოდ და მადის მომგვრელ საშუალებად. აქარაში მცენარეს იყენებენ ქარებით დაავადების დროს (იხ. წიწაკა).

**ღარიჩინი** — კინამო, კასია. Коричное дерево. *Cinnamomum zeylanicum* Spreng.

მარადმწვანე მერქნიანი მცენარე. ქერქი ძველთაგანვე გამოიყენებოდა როგორც დიეტური და სამკურნალო საშუალება. აძლიერებს საკმლის მონელებას. აქარაში მას ხმარობენ თვალის ტკივილის, მუცლის შებერვის, ბუასილის, გულის რევისა და ქიებით ინვაზიის დროს.

**დაფკუნება** — დეფეკაცია. უკანა ნაწლავის გათავისუფლება შიგთავისისაგან. ფუყვა, დაფუყვა — ჰაერის გამოშვება (დ. ჩუბ.).

**დაფნა** — Лавр благородный. *Laurus nobilis*.

მარადმწვანე დიეტური მცენარე. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. თესლი იხმარებოდა სიმსივნეთა დასაცხრობად. აქარაში ფოთოლი იხმარებოდა ოფლის მოსადენად და თავის ქავილის წინააღმდეგ.

**დაკრილის მახამო** — რთული შემადგენლობის წამალი, მასში შედიოდა: ერბო, სანთელი, ქაფური, ქალბანა, წითელი სანდალი, თეთრი საკმეველი, დანამასტაკი.



დაჭლჯა — ასონაკლული სიტყვაა. ფემბასეულ ხელნაწე-  
რში ძვირფასი ლითონების დაქლიბვას უნდა ნიშნავდეს.

დედალი ბრავალძარღვა — იხ. მრავალძარღვა.

დედოფალა ბალახი — იხ. ყანის ია.

დევის სისხლი — იხ. დევის ხე, დრაკონის ჯე, არდაშხანი.

დიოფალა — იხ. ყანის ია.

დიდი ბურღვა — იხ. ბურღვა.

დიყის ფქვილი — დიკის ფქვილი, გაზაფხულზე ნათესა  
წორბლის ფქვილი.

დორბანდი — დოლბანდი.

## ე

ეკალა — იხ. ეკალიძი.

ეკალიძი — ეკალა, ბურწუმალი (აჭარ.), კურკანტელა  
(გურ.). *Cassapapirily pavon. Smilax excella L.*

იზრდება საქართველოს ყველა კუთხეში, ტყეებში, მდინა-  
რის ნაპირზე, 1200 მ. სიმაღლემდე. ქართულ ხალხურ მედი-  
ცინაში მცენარე გამოყენებულია ჩირქგროვების გამოსარწყა-  
ვად. აჭარაში საწერელის და ციების დროსაც ხმარობდნენ.

ენდრო — *Марена грузинская. Rubia tinctorum ibe-  
rica.*

მრავალწლიანი მცენარე. აჭარაში ხმარობენ სიყვითლის,  
ბუასილის, საყმაწვილოს დროს, აგრეთვე ახალშობილის გან-  
საბანად. შედის კრილობების მალამოს შემადგენლობაში.

ენის ჩავარდნა — მეტყველების ნაწილობრივი ან სრული  
მოშლა.

ელერის ხორცი — უცნობია.

## ვ

ვაზი — ვენახი. *Лоза виноградная. Vitis.* ყურძენი და  
ვაზი. ფოთლები საქართველოში მრავალი დაავადების დროს  
გამოიყენებოდა. აჭარაში თეთრი ვენახის ჩვილ ყლორ-  
ტებს (ღრიკელი), ვაზის წალამს და ვენახის ნასტ-  
ლავს წარმატებით იყენებდნენ ცხვირიდან სისხლდენის.

მუცლის კვალების დროს, აგრეთვე როგორც სიცხის დამწვევ და ოფლმდენ საშუალებას. მათგან მიღებული წვენიტ ამზადებდნენ მექეკის მალამოს (ა. იაშვ.).

ვაზის წილამი — იხ. ვაზი.

ვარდი — Роза. Rosa.

მრავალწლიანი სურნელოვანი მცენარეა. ოდითგანვე იზმარებოდა სამკურნალო მიზნით. აქარაში ვარდის ძირსა და ფურცელს იყენებდნენ თავისა და ღრძილების ტკივილის, თვალის ლიბრის დროს, მაღალი სიცხის დასაწევად და ძალის ნაკებნის სამკურნალოდ.

ვარდკანაფა — თმიანა, ქარაძენძა. Поскошник, седаш. Eupatorium cannabinum L.

მცენარე იზრდება ტყეკაფებში, თხმელნარებში, ჭალის ტყეებში, ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ფაღარათის, სიყვითლის, სურავანდის, მალარიის, ათაშანგის დროს.

ვაშლი — Яблоня обыкновенная. Malus domestica Borkh.

სამკურნალოდ გამოიყენება როგორც ვაშლის ნაყოფი, ასევე ქერქი და ფურცელი. აქარაში ხმარობენ სიყვითლის, პირღებინებისა და ციების დროს.

ვენახი — იხ. ვაზი.

ვერცხლი — Серебро. Argentum.

ვერცხლის მეტალი იზმარებოდა წამლად. ამ მიზნით მას ჭლიბავდნენ.

ვერხვი — Осина. Populus tremula L.

იზმარებოდა ვერხვის ფოთოლი და ნაყოფი თავის ტკივილისა და თმის გაცვენის სამკურნალოდ. აქარაში ვერხვის ცილს ხმარობდნენ სქესობრივი სისუსტის დროს.

ვირი ლობიო — იხ. ალის ლობიო.

ვირის პიტნა — იხ. ტყის პიტნა.

1

ზ

ზაფრა — ნაღველი, ღვიძლის ავადმყოფობა, რომლის დროს ადამიანი ყვითლდება.

ზაფრანა — Шафран. Crocus sativus.

იზრდება ველურად, მოშენებული აქვთ ბოსტნებში, როგორც სანელებელი მცენარე. ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ ნერვული სისტემის დასამშვიდებლად (ონი), თვალის ანთების დროს (ბაკურიანში), აპარაში სმარობენ წაფრის (სიყვითლის), თიაქარის, თვიურის და გვიანების დროს.

**ზეთის ხილი** — ზეთიანი, ზეთიანი (ჟან.). *Маслина, оливковое дерево. Olea europaea L.*

ზეთისხილი მცირე რაოდენობით გვხვდება აპარაში, აფხაზეთში, სამეგრელოსა და კახეთში. სამკურნალოდ გამოიყენება თვით მცენარე, მისი ფოთლები, ნაყოფი და ზეთი. ხმარობდნენ ბრტყელი ჰეების გამოსადევნად, შეკრულობის, რევმატიზმის, ღვიძლის დაავადების, ყურის უცხო სხეულების, თირკმლისა და ნაღველის ბუშტის კენჭის დროს, კრილობებზე საფენებისათვის. ფემბასეულ ხელნაწერშიც ზეთიანის ზეთი კენჭების დასალეწად არის გამოყენებული.

**ზნის წამლები** — წამალთა ჯგუფი: კურდლის მაქიკი, ხარის ფლოქი, კუს სისხლი, მელის კვილები, ხაშხაში, ჯღვის პერული და სხვა.

**ზღვის პერული** — ქაფი.

იოანე ბაგრატიონის მიხედვით *Пенка морская, Milleria polymorpha* არის „ზღვისპირული დერიატაში. სარგიდერია. შედგინება კირიანისა ქვის, მოგურგალო შტოებიანი, მრავალსახიანი მარადის მიმზო და არა ფარდიანი, რომელიცა ზღვისა მიერ გამოგდებულ იქნების ნაპირსა და წითლისაგან და შტოებიანისაგან შეიქმნების თეთრი და სფერის სახე. იპოვების კიდეთა ზედა ლაპლანდისათა ჩდილოეთის ოკეანესა შინა“.

იხმარებოდა წამლად ეგზემის დროს (ა. იაშუ.). ფემბასეულ ხელნაწერში ძალზე ფართო გამოყენება აქვს ჭორფლის, უშვილობის, საყმაწვილოს, ღვიძლის ტკივილის, ჩიყვის დროს.

**ზღმარტლი** — სხმარტლი (იხ.).

საქართველოს ბარისა და შუა სარტყელში გავრცელებული ბუჩქოვანი მრავალწლიანი მცენარე. ნაყოფი იხმარებოდა კუჭის აშლილობის, ქაჩალის, პირის დრუსა და კბილების დაავადების დროს.

თაგვისწამალი — დარიშხანი. იხ. მარგიმუშკი.

თალათინი — ქსოვილი. „სხუათა ენაა, ქართულად ნატა ქვიან“ (საბა). აქედან თალია — ძაძა, ტომარი (მამათა ცხოველება, 108).

თანდრუხათაია — იხ. თანძუხათაია.

თანძუხათაია — თანდრუხათაია „ჩინეთს გაკეთებული წამალი ზუმბურის ლაქის სახედ, ფერით წითელი, ყვითელი ანუ შავი. Тензун китайский, (დ. ჩუბ.) ა. იაშვილის მიხედვით თანზუხათაი სხვადასხვა ფერის ნეკის სიმსხო ჩხირებია, შეიცავს სხვადასხვა თიხისა და ტყვიის ქანგმიწას. აძლევენ ათაშანგიან ავადმყოფებს და გველის, შხამიანი მწერების და ცოფიანი ცხოველების დაკბენილებს. იგი არცერთ ქართულ კარაბადისში არ გვხვდება. ფემბასეული ხელნაწერი ჯერჯერობით ერთადერთია, სადაც ეს უცხოური წამალი გამოყენებულია ქარების დროს თბილი წყლით ან ვარდის წყლით ტანზე წასასმელად და ოფლის მოსადენად.

თაფლის შარბა — ასონაკლულია, თაფლის შარბათი უნდა იყოს.

თახვი — გარეული ცხოველი. ნაერ. Castor.

აქარაში სამკურნალოდ ხმარობენ მის ნაღველს, ღუმას, სათესლე ჯირკვლებს (თახვის მარცვალი(?) გაქნელებული მშობიარობის დროს იხმარებოდა თახვის ყაირი. Боброяжя струя. Castoreum.

ზაზა ფანასკერტელი ფართოდ იყენებდა ღვიძლის, კუჭნაწლავის, ფილტვის, თირკმლების და შარდის ბუშტის დაავადებების, სათესლე ჯირკვლების ანთების, თიაქარის დროს.

ცხოველი გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. ამჟამად მთლიანად გადაშენებულია. დაიწყეს თახვის ხელოვნური მოშენება მთელს ქვეყანაში, თბილისის მახლოზღადაც.

თეთრი ღუმფარა — ნინოფლის ყვავილი, ნინოფი, Водяная лилия, кувшишка белая. *Nimfaea alba* L.

ლოტოსი, წყლის სოსანი. იზრდება წყალში, აქვს მრგვალი ფოთლები და თეთრი ყვავილი. ყვავილში და ფესურაში აღმოაჩინეს ალკალოიდები, რომელთაც ჰიპოტენზიური თვისება აქვს. ფემბასეულ ხელნაწერში თეთრი ღუმფარა სიცხის

დამწვევ საშუალებად არის გამოყენებული.

თეთრი ნარი — ლუქი (აჭარ.). მგლის ხორხი. ერნჯაჯი, ბარდავარდი; Бодяк седой. *Cirsium incanum* Fisch.

სამკურნალოდ თესლიანი მცენარე ქანანელს გამოყენებული აქვს აფიონის ყურსის (ყვერცხი, ტაბლეტი) მოსამზადებლად. ფეძბასეულ ხელნაწერში ლუქი გამოყენებულია ქალური დაავადებების დროს.

თეთრი სანდალი — იხ. სანდალი.

თეთრი ძირი — იხ. თეთრძირა.

თეთძირა — თეთრი ძირი (აჭარ.). ძირთეთრა (გურ.). Колдуница, чаровница, *Circaea luteoliana* L.

გავრცელებულია ჩრდილიან და ტენიან ტყეებში. მთის შუა და ზედა სარტყელში. მცენარის მოხარშულ ფოთლებს იყენებენ კრილობებზე დასაფენად. აჭარაში მას ხმარობენ ცხელების დროს.

თერიაყი — იხ. აფიონი.

თვალზე ბზუჯის გამოსვლა — ქუთუთოს მუწუკი. სინონიმებია: ჯიბლიბო, ბზუკი, ბზუკა, წყლული მუწუკი, სხმო (ალ. ლლ).

თიახმარუხი — თრიახფარუხი; — იხ. აფიონი.

თოფლახი — თოფლახი, სოდი, სოთი, კიპერისა, მ. წის ნუში. იხ. ტყის პიტნა.

თრიაქი. — იხ. აფიონი.

თუთა — ყოლო, ყოლი (აჭარ.). ბეოლა (გურ.). Шелковница, тута. *Morus alba* L. გავრცელებულია ბარში და მთის შუა სარტყელში 1000 მეტრამდე ზღვის დონიდან. ქართულ ხალხურ მედიცინაში თუთის ფესვების ქერქით მკურნალობენ ავზნეს. ფოთლების ნახარშით — ლეიძლის ტკივილსა და დიაბეტს. ფესვებს, ქერქს და ყოლის ფითრს აქვს შარდმდენი თვისებაც. სწორედ ამ მიზნით არის გამოყენებული ყოლის ფითრი ფეძბასეულ ხელნაწერში.

თუთუბო — თუნთუბო (რაქ). თრიმლი (აჭარ.). Сумах. *Rhus coriaria* L. იზრდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქვიან ადგილებზე, ტყეებსა და ტყის პირებზე. ფოთლებისაგან ღებულობენ სამედიცინო ტანინს, რომელიც გამოიყენება დამწვრობის, ღრძილეების ანთების სამკურნალოდ.

ალევინებენ სისხლიანი განავლის დროს. ამავე მიზნით არის გამოყენებული ფემბასეულ ხელნაწერშიც.

თუნთუბო — იხ. თუთუბო.

თურინჯი — Шедок, пумело. *Citrus grandis* osb.

მრავალწლიანი სუბტროპიკული მცენარეა. ზღვისპირა აპარაში ოდითგანვე სარობს: „და ბათუმს, გონიას და ერგეს. ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა“ (ვახუშტი). ფართოდ იხმარებოდა ხალხურ მედიცინაში. მრავალგვარი გამოყენება აქვს კარაბადინეზშიც. აპარაში მცენარის თესლს ხმარობდნენ ღრძილების ანთების დროს.

თურქული — სენია ზროხათა და ცხენთა (ნ. ჩუბ.). სიმბტომი — გამონაყარი პირის ღრუში. ასევე აქვს ფიქსირებული ქანანელსაც.

თხილი — ფთხილი (რაკ.), მთხილი (ჟან.). Лещина, лесной орех, орешник, фундук. *Corylus avellana* L.

გავრცელებულია საქართველოს ტყეებში, ტყისპირებზე, ქართულ ხალხურ მედიცინაში ყვავილებს იყენებდნენ ჰიის დამდენად, კენკოვანი დაავადებისა და მალარიის დროს, მერქნის ნახარშს გაზების დაგროვების და თმის დაავადების საწინააღმდეგოდ. აპარაში დანაყილ და წყალში გახსნილ თხილს აძლევდნენ სისხლიანი შარდვის დროს (იხ. ბერძნული თხილი).

თხმელა — იხ. მურყანი.

o

107

ია-ია — იხ. ია.

ია — ია. Фиалка. *Viola*.

გაზაფხულის ყვავილი, იზრდება მინდორში, ღია ბორცვზე, ტყეებში. მცენარის ნაყენს ხმარობენ ამოსახველებლად. სხვა წამლებთან ერთად იყენებენ აბაზანებისათვის. აპარაში ეს მცენარე უფრო ფართოდ ხმარებაშია: ხველების, ცხელების, სიმსივნის, ზაფრის, შაკიკის, წითელას და სხვა დაავადების დროს.

იარყნი — იარაყანი, იერაყნი, სიყვითლის ავადმყოფობა, ყანის კრაქი, სოქალი. ფემბას ხელნაწერის მიხედვით „პირი-დამ დენას იარყნი ქუინ“.

იაღლვაში — იაღლავაში. გარეგანი სახმარი წამალი, კარაქის, ქონის (თურქ. იაღ). და ქართულ ლავაშისაგან შემზა-

დებული „წამლად სადები ცომი პავარი“ (საბა).

**იელი** — „ხე თაფლის განმრყენელი“ (საბა). დიდმა ლექსიკოგრაფმა კარგად იცოდა, რომ ფუტკარი ამ მცენარისაგან შხამიან თაფლს ამზადებდა. *Одурь желтая понтийская*. *Rhododendron flavium pontica don.* ფესვების ნაყენი იხმარებოდა სულით ავადმყოფების სამკურნალოდ. სოლო ფურცელი კანის დაავადების, სიმსივნის დასაცხრობად. აჭარაში მცენარის „ხუხურს“ (ტერმინი გვხვდება მხოლოდ ფემბასეულ ხელნაწერში. ავტორი კუკურს, ან კოკორს უნდა გულისხმობდეს). იყენებდნენ გარეგან სახმარად, თავის დასაბანად თმების ცვენის დროს.

**ილი** — კაკულა, პილი, პელი. *Кардамон*. *Eletharia cardamomum M. et W.*

**ილი** — მთიულურად მოცესაც ქვია. ხშირად გვხვდება კარაბადინებში. აჭარაში მას ხმარობენ გულის რევის დასაწყენარებლად.

**ინა** — ინ. ნამდვილი ინა.

**ინდი** — იგივე სეინტრი (ა. იაშვ). *Купена*. *Poligonatum*.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ინდი იხმარებოდა პირში არასასიამოვნო სუნის გასაქრობად. აჭარაში ამ მცენარეს ხმარობენ შარდის შეკავენისა და ვაძლიერებული წყურვილის (დიაბეტის) დროს.

**ინდოური ხულმა** — ინდის ხურმა (ინ. ფინიკის პალმა).

**იორდასალევი** — იორდასალემი. *Пеон обыкновенный*. *Paeonie tenuifoliae caucasica*.

მრავალწლიანი ბალახი. იზრდება მთის ზედა სარტყელში. ტყეებსა და ტყის პირებზე. ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა ათაშანგის სამკურნალოდ (ა. იაშვ.). აგრეთვე კბილევისა და ყელის ტკივილის დროს. საინგილოში მას ხმარობენ ხველების დასაწყენარებლად. აჭარაში — გულყრის, გულის ტკივილის, საყმაწვილოს, ღრძილის ტკივილის დროს.

**ირმის კუდი** — გარეული ცხოველის კუდი. იხმარებოდა წამლად. აჭარაში მას სწვავენენ, ნაყავდნენ და ასმევდნენ სისხლიანი ფაღარათის დროს.

**ირმის რქა** — *Лагерштремня индийская*. *Lagersch-troemia indica L.*

1. სამკურნალო მცენარე. იხმარება ქარისა და ტეხვის დროს. 2. გარეული ცხოველის (ირმის) რქა, რომელსაც ხმარების წინ წვედნენ (ტაბაშირი, ქანანელი). აძლევდნენ სისხლიანი ხველის, შარდვის ან ფალარათის დროს. ფემბასეულ ხელნაწერში ირმის რქა (2) გამოყენებულია ცხვირიდან სისხლდენის, ავიზნის, ქარების და წითელას დროს.

ისრიმი — ისრი (გურ.), ისლიმი. უმწიფარი მკვახე ყურძენი. ქართულ ხალხურ მედიცინაში ოდითგანვე ხმარობენ ჭყურტიანი (დიამბეტიანი) ავადმყოფის სამკურნალოდ.

იფანი — იფნი. (აჭარ.). იფნა (რაჭ.). კობიტი (გურ.).  
*Yucca Fraxinus excelsior L.*

მოზრდილი ხეა. გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროზე, მთის შუა სარტყლის ტყეებში. ქერქსა და ნაყოფს იყენებდნენ ნახარშისა და ნაყენის სახით რევმატიზმის, ციების, ქიებით ინვაზიის და თირკმლების დაავადების დროს. აჭარაში იფნის ცილს ხმარობდნენ გველის ნაკბენის სამკურნალოდ. ნაწილები მანჯურიული იფანის ქერქის შიგნითა ლორწოვან მხარეს ადებენ კრილობაზე სისხლდენის შესაჩერებლად.

6

კაკალი — იხ. ნიგოზი.

კაკალი — იხ. ნიგოზი.

კამა — ცერეო, კვლიავი, რაზიანა, Укроп огородный, анит. *Anethum graveolens L.*

მრავალწლიანი (საბოსტნე) მცენარე. უძველესი დროიდან იხმარება სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ნერვული სისტემის დასამშვიდებლად, ღვიძლის დაავადების, ზველების, მაღალი წნევის დროს. აჭარაში ამ მცენარის წვეს ხმარობენ თვალში ჩასაწვეთებლად, აგრეთვე გულის ფრიალის, შარდის შეკავების დროს.

„გუელთა განიკურნიან სიბრყვილე თუალთა თვისთაი, რაჟამს ძოვიან კამაი“ (ბასილი კესარიელი, ექუსთა, დღეთაი, ი. აბულაძე. ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი. გვ. 191).

კამპარი — იხ. კაპარი.

კანაფი — Конопля. *Cannabis.*



გავრცელებულია მთელ საქართველოში, იზრდება ველურადაც, ნაგვიან ადგილებში, მდინარის ნაპირებზე. ხალხი ამ მცენარეს იყენებდა კბილების კარიესის დროს, აგრეთვე ყელში გამოსავლებად, ძილისმომგვრელ და დამამშვიდებელ საშუალებად. აპარაში მცენარის მოხარშულ ფოთლებს ხმარობენ თმის დაცვენის საწინააღმდეგოდ.

კანის დაჭრელება — ცეცხლზე ნიცხუნების შემდეგ წარმოქმნილი კანის სიჭრელე ან ალერგიული გამონაყარი.

კაპუეტი — კაპოეტი, ფრინველი წელიწადგამოვლილი (საბა). Годовалая птица.

თევზი — харнус, лосос (დ. ჩუბ.). დასრულებული ასაკის (ხუთი წლის) ყოჩი (ალ. ღღ.). ტექსტში ძნელდება გარკვევა ფრინველებზე, ყოჩზე თუ თევზზეა ლაპარაკი. სხვათა შორის ეს სახელი მცენარესაც ჰქია (კერკეტა — злак).

კასია — იხ. დარიჩინი.

კატის ბუდე — კატის მომყოლი. იხმარებოდა სამკურნალოდ უმარულთან ერთად. აპარაში მას იყენებდნენ ბნედის, მოჩვენებების, პირღებინების, საყმაწვილოს დროს და ქალური დაავადებების საწინააღმდეგოდ.

კატის ძუძუ — იხ. ფუნთუშა.

კაცის ძვალი — იხმარებოდა წამლად. ფხენილის სახით. სვამდნენ დღეში სამჯერ ცხელებისა და ტიფის დროს (ა. იაშვ.).

ფემბასეულ ხელნაწერში კაცის ძვალი გამოყენებულია ათაშანგის სამკურნალოდ.

კაცობის დაკლება — იმპოტენცია. სქესობრივი ლტოლვის დაქვეითება.

კაკაჭი — იხ. გოქშო.

კაკაჭის ტვინი — ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა შარდის შეკავებისა და მეტყველების მოშლის დროს (ა. იაშვ.). ანალოგიურად არის გამოყენებული ფემბასეულ ხელნაწერში (თირკმლის კენჭებით გამოწვეული შარდის შეკავების დროს).

კვარაკუნჩხა — კურაკუნჩხა, სათოვლია, კორჩიოტა, თოვლის ყვავილი, ქართული ყოჩივარდა. Дряква грузинская. *Cyclamen ibericum*.

გავრცელებულია მთის ქვედა და შუა სარტყელში. ტყის ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ქართულ ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან იხმარება წყლულის, თმის დაცვენის, სქესობრივი სისუსტის, რევმატიზმის, თავის ტკივილის, შეკრულობის, შარდის შეკავების დროს. აჭარაში კვარაყუნჩხას ხმარობენ სიყრუის საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩიყვის სამკურნალოდ, რის გამო მას „ყიყვის წამალსაც“ უწოდებენ (იხ.).

კვატუში — კოტოში.

კვაწარუხი — კოწაროხი. მწიფე ტყემლისაგან დამზადებული ნაღული წვენი. შუა. აჭარაში სამკურნალოდ ხმარობენ მწვანე კოწახურს — Барбарис, Berberis — კბილის ტკივილის, სიყვითლის, სურავანდის დროს, მადის მოსაყვანად, წყურვილის მოსაკლავად.

კვაწია — კვანწია. მცირე კოკობი. „კოკობი — მცირე ქოთანის“ (საბა).

კვლიავი — კლიავი (აჭარ). მკვლიავი (მ). ТМIII. Салии-сарви L.

რაჭაში ტყიურასაც კვლიავს ეძახიან. მცენარე იზრდება მდელოებზე, მინდვრებში, ტყის ზონაში. წყლის ორთქლით მისგან ხდიან ეთერზეთებს. იხმარება ნაწლავთა ატონიის, ტკივილების, გაზების დაგროვების დროს, აჭარაში მას იყენებენ ჭიების გამოსადევნად.

კიბორჩხალი — ცხრაფეხა. პატარა მომრგვალო კიბო. აჭარაში სამკურნალოდ ხმარობდნენ კიბორჩხალის თვალს შარდის შეკავების დროს, რომელიც გამოწვეული იყო კენჭოვანი დაავადებით. კიბოს ფეხები იხმარებოდა სამღლიანი მალარიის, ხოლო თვით კიბო კენჭოვანი დაავადების დროს (შდრ. ა. იაშვ.).

კინწარა — იხ. ფუნთუშა.

კინწინდა — ფემბასეულ ხელნაწერში უნდა იგულისხმებოდეს კინწიდა (რკინის წიდა). რკინის ნაღნობი, იგივე რიჩაპანი (სპარს.).

კლიავი — იხ. კვლიავი.

კოთხოჯი — კოთხუჯი. ეგირი (საბა), აღხარი, ვარსკვლავა. Аир. Acorus calamus.

მრავალწლიანი მცენარეა, იზრდება ჭაობებში, ძველთა-

განვე იხმარება სამკურნალოდ. იყენებდნენ შეკრულობის, მსედველობის დაკლების, გულის, კბილების და თვალების ტკივილის, თიაქრის დროს.

კორდის ჭია — სხვა წამლებთან ერთად იხმარებოდა საერთო შეშუპების დროს, რომელსაც ახლდა ქოშინი და ხველა (ა. იაშვ.). ფემბასეულ კარაბადინში სხვა წამლებთან ერთად იგი გამოიყენებულა მაღალი სიცხის დროს.

კორჩიოტა — იხ. კვარაკუნჩხა, ყოჩივარდა.

კოწაროხი — იხ. კვაწარუხი.

კოკი — კოკობა. ჯანჯაფილი, ყვითელი კოკი, ზენჯეფირი. Имбирь. *Zingiber officinalis* Rosc.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენებოდა თვალის ტკივილის, ბუასილის, ზაფრის, დიაბეტის დროს, ხველების დასაწყენარებლად, საყმაწვილო დაავადებების, ღვიძლის ტკივილის საწინააღმდეგოდ.

კრავის კუდა — იხ. ფარსმანდუკი.

კულმუხო — ანდუზა (აქარ.). მზიურა, ლეხურა (ფშ.). *Девясил лекарственный. Inula helenium*.

მაღალი მრავალწლიანი მცენარეა. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება უძველესი დროიდან. გავრცელებულია მთელ ევროპაში. ეს მცენარე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. იზრდება ნესტიან ადგილებში, ბუჩქნარებს შორის. მისი ფესვურის ნაყენს საქართველოში იყენებენ კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. აქარაში (ქობულეთი) კულმუხის ძირს ახლაც ხმარობენ გველის ნაკბენის სამკურნალოდ, აგრეთვე ბუასილის (სოკოს) დროს. საზღვარგარეთ იხმარება ამოსახველებელ საშუალებად.

კურაკუნჩხა — იხ. კვარაკუნჩხა.

კურო — „ხარი გამოუყვერავი“ (საბა). ფემბასეულ ხელნაწერში ნახმარია „კუროს ხირხიმლის ერბო“ (ალბათ ზურგის ტვინი).

## ლ

ლადანა — ლადანი. ცვარი საკმეველი. *Ладанник. Cistus, Rummy resina olibani, Ladanum Bosvelia carterii*.

„ეს კრიტას ცვარი მოვალს ყვავილსა რასმე ზედა, სუნელია“ (საბა). „თეთრი საკმეველი სუნელი“ (დ. ჩუბ). გავრცელებულა მთის ქვედა სარტყელში. იხმარებოდა მოტეხილობის სამკურნალო წამლის დასამზადებლად. აჭარაში მას იყენებენ შიმოქოლის დაგვიანების, თვიურის შეწყვეტის, გულის რევის, თავის ტკივილის საწინააღმდეგოდ.

ლაქვარდი — ლაქვარდი. „ზღვის ქვა, ძლიერ მსუბუქი, გინა ოღრო-ჩოღრო ქვა თუ ძვალი“ (საბა), იხმარებოდა გამლიზიანებლად (ა. იაშვი.).

ლაშქარა — შანარი, შალარი. სარო. *Окошник кавказский*. *Cymphilum Caucasium* M. B.

კვიპაროსი (ხე) და ლაშქარა, სარო (ბალახი) სხვადასხვა მცენარეა. ფემბას ხელნაწერში მოხსენებული შანარი და აგარელის სარო ერთი და იგივე ბალახი უნდა იყოს. იგი გამოყენებულია ფილენჯის (ბნედის) და სიცხიანობის საწინააღმდეგოდ.

ლახოსტაკი — იხ. ლოხოსტაკი.

ლერწამი — *Тростник большой*. *Arundo donax*.

ტანმაღალი მცენარე. იზრდება მდინარეებსა და ტბების ნაპირებზე. აჭარაში მცენარის ზეთი იხმარებოდა ჩიყვის სამკურნალოდ, ხოლო „ქუჩუჩი“ კბილების ტკივილის დროს.

ლელვი — *Инжир, вишная ягода*. *Ficus carica* L.

გავრცელებულია საქართველოს დაბლობ და შუა სარტყელში 1.000 მ. სიმაღლემდე. ფოთოლს ხმარობდნენ მალარიის საწინააღმდეგოდ. ფოთლის წვენი გამოყენებულია რევმატიზმისა და ჭივებით ინვაზიის დროს: ნახარში — ბუასილის სამკურნალოდ, კრილობებზე დასაფენად: საქართველოში გავრცელებულ საკვებად და სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა ლელვის კვარი, ჩირი: „მიართმიდეს ფქვილსა და ლელვის კუერსა და სკიქსა, ღვინოს, ზეთსა“ (ბიბლია, ძველი აღქმა. ი. აბულაძე, გვ. 209):

ლილა — ლურჯი საღებავი (საბა). *Indigofera tinctoria* L. მზადდება ამავე მცენარის ფურცლებისაგან. „ლურჯი წამალია, რომელსაც დაალობენ და დააყენებენ წყლითა და ეწოდების მას *Indigofera argentea*“ (ი. ბაგ.) ძველთაგანვე

ამ მცენარეს იყენებდნენ ქარების, ეგზემის, თავის და თვალე-  
ბის ტკივილისა და დამწვრობის დროს.

ლოკოკინა — იხ. რამაქი.

ლორი — შაშხი, გამხმარი ხორცი.

ლოხოსტაკი — Растух. თაფლში და გოგირდში ამოსვ-  
რილ სპილენძს დახურულ ქვაბში წვავდნენ, მიღებული ფხვნი-  
ლი იწოდება ლოხოსტაკად. იგი იხმარებოდა კოსმეტიკური  
მიზნით, ასევე თვალისა და კანის დაავადების დროს. ფემბასე-  
ულ კარაბადინში იგი გამოყენებულია ქარცეცხლის, ქაჩალის,  
სირსვილის და ციების დროს.

ლუკუმფხა — იხ. თხიფსელა.

ლურჯი ეკალი — იხ. ლურჯი ნარი.

ლურჯი ნარი — ლურჯი ეკალი. Снегоголовник. *Eriophium coerileum* M. B.

იზრდება მთის ქვედა სარტყელში, ქვიშნარ და თიხნარ  
ადგილებში. ხალხი მას ხმარობს ჭრილობის, წყლულის შეხო-  
რცების დასაჩქარებლად, აგრეთვე წითელი ქარის (ქარცეცხ-  
ლის) წინააღმდეგ.

ლუქი — იხ. თეთრი ნარი.

### მ

მაკიდო — ოხრახუში, ღამსო (ჟან.), მაკინდოლი (მეგრ.)  
*Петрушка. Petroselinum hortense* Holm.

ერთწლიანი საბოსტნე მცენარე. გვხვდება ველურადაც  
სამკურნალოდ გამოიყენება უძველესი დროიდან. ქართულ ხა-  
ლხურ მედიცინაში ხმარობენ საშარდე გზების დაავადების  
დროს. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის ფოთლები, თეს-  
ლი, ფესვები. ნედლი ფოთლები შეიცავს ე. წ. ოხრახუშის  
ქაფურს, ანუ აპიოლს, აგრეთვე ტანინსა და პინენს აქარაში  
გადურგველ მაკიდოს ხმარობდნენ სიცხის დროს.

მალოქი — იხ. მოლოქი.

მარგალიტი — მარგალიტა. Гроздовник полулуный.  
*Boltrichium luneria* L.

სამკურნალო მცენარე. ქართული მედიცინის ისტორიაში  
კარგად არის ცნობილი ძვირფასი ქვის, დაუმუშავებელი

უხურეტელი) მარგალიტის სამკურნალოდ ხმარების მაგალითები. ფემბასეულ ხელნაწერში ძნელი გასარკვევია მცენარე აგულისხმება თუ ძვირფასი ქვა — жемчуг. ამ მხრივ საყურადღებოა ნ. მინდაძის დაკვირვება. მისი ცნობით, ქართველ მთიელთა გადმოცემით მარგალიტი ფრინველის (წეროს) კუჭიდან ამოღებულ ქვას ეწოდებოდა.

ხალხურ მედიცინაში მარგალიტი იხმარებოდა დარდიანობის, უძილობის, მელანქოლიის, უიმედო სიყვარულის, თვალის დაავადებების დროს (ა. იაშვი.). ფემბა მას ხმარობს კბილების დაავადებისა და საყმაწვილოს დროს.

**მარგიმუში** — დარიშხანა, თავის შაქარი. Арсеник, мышьяк (დ. ჩუბ.), იხ. თავიწამალი. იხმარებოდა ათაშანგის დროს (ა. იაშვი.).

**მარმევი** — იხ. მარმუქი.

**მარმუქი** — ამრუჯი, არმუჯი. Манжетка. Alchemilla.

მცენარეთა ჯგუფის საერთო სახელი. იზრდება ალპურ სარტყელში, კლდეთა ნაპრალებში. ძირითადად გამოიყენება კრილობების სამკურნალოდ (რაქა) და მუცლის წვის დროს (ასპინძა). აქარაში მარმუქს საფენებად ხმარობენ ქარცეცხლის დროს.

**მარტვ(ა)რქა** — მარტორქის რქას უხმარ ქოთანში წყალში ხეხავდნენ, შემდეგ რამდენიმეჯერ ალმასს წყალში გაატარებდნენ, ამ წყალს ხმარობდნენ გველის ნაკბენზე მოსასხურებლად. ფემბასეულ ხელნაწერში მარტორქის რქა გამოყენებულია ბავშვთა ავი ზნისა და საყმაწვილოს დროს.

**მარჯანი** — მარჯნის ხე. Коралловое дерево. Erithrina corallodendron L.

ფემბასეულ ტექსტში ნახმარია „სათვალე მარჯანი“, ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგულისხმება ძვირფასი ქვა, „ძოწი, წითელი მძივები ზღვაში პოვებულნი, რომელისამე ხისაგან“ (დ. ჩუბ.). სხვათა შორის ამავე სახელით არის ცნობილი მწერიც „მცირე ბაზია, თვალშავი“ (საბა).

**მატანტელა** — მათიტელა. Горец. Polygonum. ერთწლიანი ბალახი. აქვს დატოტვილი ღერო. გართხმულია მიწაზე. იზრდება გზის პირებზე, ეზოებში; აქარის ხალხურ მედიცინაში ფოთლებს იყენებენ კანის დაავადებათა დროს, წყლის

მატიტელა, წალიკას (აქარ.). გამთბარ, დასრესილ და დარბილებულ ფოთლებს ხმარობენ კვიმატას დროს შემოსადებად, აგრეთვე საწერელისა და გველის ნაკბენის სამკურნალოდ.

მატიტელა — იხ. მატანტელა.

მაყვალა — ბარდი, ბარდმაყვალაი.

*Rubus caucasicus*. ეს მცენარე სამკურნალოდ გამოყენებული აქვთ ძველ ბერძენ ექიმებს: თეოფრასტეს, დიოსკურიდეს, გალენს; პლინიუსს ბარდი შეტანილი აქვს სამკურნალო მცენარეთა სიაში. იზრდება ველურად შუა და სუბალპურ სარტყელში, გაჩეხილ ადგილებზე, ტყისპირებზე. სამეგრელოში სამკურნალოდ იყენებენ ფოთლებს, იმერეთში — ძირების კოჭრებს. რაჭაში მცენარეს ხმარობენ ჭირკვლების დაავადების, ლეჩხუმში — ვენერიული დაავადების, გორში — კანის კიბოთი დაავადების დროს. აჭარაში იხმარება მუცლის ტკივილის, ნაწლავებიდან სისხლდენის დროს. ფესვების „ჩინჩხრებს“ ხმარობდნენ შარდის შეკაებისა და ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ.

მაჩვი — საშუალო სიდიდის მტაცებელი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა. თოფიხალთა, ხალთა. აჭარაში ციების დროს სამკურნალოდ ხმარობდნენ მაჩვის ნაღველას.

მაწკიალა — უცნობია. მაწვიმარა (?) (აქარ.). ფულკარა. მცენარეა (ი. მაყ.).

მაჭუნი — შეზავებული თხიერი, მურაბის მსგავსი წამალი. „სხუთა ენაა, ქართულად ღუბეიდი ჰქვიან“ (საბა).

მგველის პერანგი — იხ. გველის პერანგი.

მგზავრული ინა — იხ. ნამდვილი ინა.

მლოგვი — Горчица. *Sinapis*, *Brassia juncea*.

ველის ყრიელი. იზრდება შუა სარტყლამდე, ვზისპირებზე, მშრალ ფერდობებზე. მლოგვის თესლებს აქვს შარდმდენი თვისება. აჭარაში მას ხმარობდნენ ქალის გარეთა სასქესო ორგანოების დაავადების დროს.

მერცხლის ბუდე — ფრინველის ბუდე. აჭარაში იხმარებოდა სათესლე ჭირკვლის შესიების, ციების, თავის ტკივილის (შაკიკის) დროს. უნდა ვიფიქროთ, რომ სამკურნალო თვისება ჰქონდა მერცხლის ნერწყვისა და მასალის ნარევის, რომელსაც ფრინველი ბუდის გასაკეთებლად გამოყოფდა. სხვა კარა-

ბადინებში არ გვხვდება..

**მელამურა** — მელამია, ღამურისებრთა ოჯახიდან. ამავე ოჯახს მიეკუთვნებიან ყურგრძელი მლამიობი, სამფეროვანი მლამიობი, გრძელფრთიანი მლამიობი და მაჩქათელა. კარაბადინში ნაგულისხმებია მცირე მელამურა, რომელიც გავრცელებულია აჭარაში, ფოთისა და ქუთაისის მიდამოებში. „მცირე კარაბადინში“ ჩვენ ყველა სახე გავიგივეთ, რაც არ არის სწორი. აჭარაში სამკურნალოდ იხმარებოდა მხოლოდ მცირე მელამურას ნაღველი, სასები, ქონი, გული.

**მწე** — უცნობია. ტექსტში კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.

**მზესუმზირა** — Подсолнух. *Helianthus annuus* L.

ერთწლიანი კულტურული მცენარეა. ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ ფოთლებსა და ყვავილს. ყვავილისაგან მზადდება სიყვითლის წამალი, ხოლო ნაყოფისაგან — სიფილისის საწინააღმდეგო საშუალება. აჭარაში მზესუმზირას ნაყოფს იყენებდნენ შარდის ბუშტის კენჭის დროს.

**მზიურა** — იხ. კულმუხო.

**მთხილი** — იხ. თხილი.

**მიხაკი** — Гвоздика. *Dianthus*.

გავრცელებული ერთწლიანი ყვავილოვანი მცენარე. სამკურნალოდ მისი გამოყენების შესახებ ლიტერატურაში ცნობებს ვერ ვხვდებით. იგი მოხსენიებულია მხოლოდ ა. იაშვილის წიგნში და ფემბასეულ ხელნაწერში, სადაც მიხაკი გამოყენებულია კუჭის აშლილობის, ბუასილის, ათაშანგის, პირის ღებინებისა და სხვა დაავადებების დროს.

**მკალი** — კალია, მწერი.

**მოლოქა** — მალოქი, ბალბა. Мальва, просвирник. *Ma-Iva*.

ერთი ან ორწლიანი მცენარე, რომელიც გავრცელებულია მთელ ევროპაში. სამკურნალოდ იხმარებოდა ჭერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და კოლხეთში. იზრდება საცხოვრებელთან ახლოს. ქართულ ხალხურ მედიცინაში მოლოქა გამოიყენება დასალევად მუცლის ტკივილის დროს. რევმატიზმის დროს შეისუნთქავენ მცენარის ყვავილის ნახარშის ორთქლს. ხმარობენ აგრეთვე ყელში გამოსავლებად. იყენებენ აბაზანე-



ბის ს. ხით ორსულობის შესაწყვეტად, მასტიტის სამკურნალოდ. აჭარაში ამ მცენარეს ხმარობენ ყურის და ყელის ტკივილის, ჩირქგროვების, სიმსივნეების, დაეყვილობის, მძრალი ხველის დროს.

**მოცოხა** — უცნობია.

**მრავალძარღვა** — ბრავალძარღვა. ლანცეტა. Подорожник большой. *Plantago major*.

ბრავალწლიანი ბალახია, იზრდება მთელ საქართველოში, იზრდება ეზოებში, გზის პირებზე. აქვს მრავალმხრივი გამოყენება. იხმარება მცენარის ფოთლები. ძირი, მარცვალი. სამკურნალოდ ცნობილია ჭერ კიდევ დიოსკურიამდე. სამეგრელოში, გურიაში. იმერეთში იყენებენ ჩირქგროვების დასამწიფებლად და გამოსადენად, ადებენ ჭრილობებზეც: ქართლში — ყურის დაავადების დროს, მრავალძარღვას კაკალს აჭარაში ხმარობენ ბუასილის და ხველის, ძირს — თიაქრისა და სიცხიანობის დროს.

**მრგვალი წამალი** — Леонтица Смирнова. *Leonticae Smirnowii* Tz.

ბალახოვანი მცენარეა, გავრცელებულია კახეთში, მთის ქვედა სარტყელში. იზრდება ტყის პირებზე; ძველთაგანვე იხმარებოდა ხველებიანი ჭლექის დროს. გადმოცემით ეს მცენარე აქლემებით ინდოეთში გაჰქონდათ. აჭარაში მას ხმარობდნენ მუცელკეთილის (ფაღარათი) დროს.

**მუნდსკი** — უცნობია. მუშკი (?) იხ. ქვემოთ.

**მურქაფი** — მურისაფი (?) ასაპყრობი წამალი მურისაგან (ფან). ფემბასეულ ხელნაწერში მურქაფი გამოყენებულია ცხვირიდან სისხლის დენის და მომყოლის დაბადების გაჭიანურების შემთხვევაში.

**მურყანი** — თხმელა, რთხმელა (იმ. რაჭ.) ჩვეულებრივი მურყანი Олха бородая. *Alnus barbata* C. A. M.

მრავალწლიანი ხე მცენარეა. ხარობს ნესტიან ადგილებში — ღელეებში, მდინარის პირებზე. ქართულ ხალხურ მედიცინაში მურყანის ქერქსა და ნაყოფს იყენებენ კუჭის აშლილობის დროს. საქართველოში ქიმიურ-ფარმაცევტულმა მრეწველობამ დაამზადა პრეპარატი თხმელინი, რომელსაც ასევე შემკვრელად იყენებენ. დანაყილი ფოთლებით სისხლდენასაც

აჩერებენ. ფემბასეულ ხელნაწერში თხმელის კუკური იხმარება სოკოს დროს, ხოლო ფოთლები მკედრად შობადობის თავიდან ასაცილებლად.

**მუშკი** — აფრიკული ცხოველის, მუშკის (მუსკუსი, ფან.) სათესლე ჯირკვლებიდან მიღებული სურნელოვანი სითხე. აქარაში ხმარობდნენ დამწვრობის, საყმაწვილოს, უძილობის, მოწყენილობის, მელანქოლიის და თვალზე თეთრი ლიბრის ვადაკერის დროს. მუშკი ერთერთი მცენარის ბობოწვერას სინონიმიცაა.

**მუცელკეთილი** — მუცელკეთილა, სატალი, ფალარათი, **ΠΟΙΟΣ** (ნ. ჩუბ.).

**მუხა** — **Дуб. Quercus**.

აქარაში მუხის რკო გამოიყენება სევდისაგან გამოწვეული სიძისინის დასაცხრობად.

სოფელ ჭალის (მუახვეის რ.) მცხოვრები იხუს ჭალაძე მუხის ქერქს ახმობს, შემდეგ პატარა მარცვლებად აქცევს, წყალში წამოადულებს, გაწურავს და სითხეს ხმარობს ღრძილების ანთების, აგრეთვე კუჭნაწლავის დაავადებების დროს. მისი თქმით, ასეთი წამალი „ყველაფრის ანთებას უხდება იმ გზაზე, სადაც საქმელი გეიარს“.

**მუხუდო** — სისრა, სისრი, ერევილი. ხალხურ მედიცინაში მუხუდოს ძირი სხვა წამლებთან ერთად იხმარებოდა საწერელის დროს გარეგან საშუალებად.

**მღიერი** — ქეცი, მუნი, მღერი. წვრილმუწუქიანი მწვავე ფხანა. „ნუ არას მის თანა... მღიერი ანუ მეფხანოიანი“ (ბიბლია. ძველი აღქმანი. ი. აბულაძე. გვ. 303).

**მღლავი** — ღლავი, ლოქო, თევზის სახეობა.

**მყვარი** — მყუარი, ბაყაყი.

**მჩვარი** — ჩვარი, ქსოვილის ნაჭერი.

**მძალი** — მძაღე, — ამძაღებული „დამძალი ნიგოზი გინა გემო მოსწალტო“ (საბა) აქარაში სამკურნალოდ იხმარებოდა მძალის ზეთი. სხვაგან არ შეგვხვედრილა.

**მძოვარი** — თმის მაცვენია, იგივე მძოარა. „მუნუქი თმათ მაცვინებელი“ (საბა).

**მწარბალი** — იხ. ბალამწარა.

**მწვანე გუნდა** — იხ. გუნდის ხე.

**მწოიო** — უცნობია. წურბელა უნდა იყოს.

**მკამელი** — წყლული, კირჩხიბი (საბა). კიბო, ავთვისებიანი სიმსივნე. „შეჰყვა პირსა მისა მკამელი და დაჰამა დაწვი მისი“ (ი. აბულაძე. გვ. 312).

**მკვალი** — იხ. კვალი.

## 6

**ნათვალები** — თვალყბა: თვალნაცემი, თვალისცემა.

**ნამდვილი ინა** — *Xina, xenna* *настоящая. Lawsonia inermis* L.

საქართველოში ძველთაგანვე საკმაოდ გავრცელებული კულტურული მცენარეა. ისმარება მრავალი დაავადების დროს, აგრეთვე საღებავებად და კოსმეტიკურ პრაქტიკაში. ფემბასეულ კარაბადინში ინა გამოყენებულია წასასმელად ჩარცეცხლის, ქაჩალის, საწერელის, აგრეთვე ბუასილის დროს.

**ნაღები** — რძეთაგან მოხდილი სიმსუქნე. *Сметана* (დ. ჩუბ).

**ნაღველი** — მომწვანო ყვითელი ფერის მწარე სითხე, რომელსაც გამოიმუშავენს ძუძუმწოვარი ორგანიზმის და ფრინველის ღვიძლი. ქართულ ხალხურ მედიცინაში ხშირად იხმარებოდა თხის, კატის, დათვის, ყვავის, წეროს. მაჩვის, ღამურას ნაღველი თვალის დაავადებებისა და მუცლის ტკივილის დროს (ა. იაშვი.).

**ნიახური** — სონა (მეგრ.). *Сельдерей. Apium graveolens* L.

საქართველოში გავრცელებული საბოსტნე მცენარე (არსებობს აგრეთვე ველური მცენარე ნიახურა, იგივე ძაღლის ქინძი), ხალხური მედიცინა ნიახურს იცნობს როგორც სურავანდის საწინააღმდეგო, შარდმდენ და მადის მომგვრელ საშუალებას. აჭარაში ნიახურის ნახარშს ასმევენ ხველების თირკმლის კენჭების, ბუასილის დროს. ამ მცენარეს ქართლში ხმარობენ თირკმლის დაავადების დროს, კახეთში — ძირმაგარის დასამწიფებლად. ფემბასეულ ხელნაწერში ნიახური გამოყენებულია ჯირკვლების დაავადების, ქარების, სახსრების ტკივილისა და ბუასილის სამკურნალოდ.

**ნიგოზი**—კაკალი, კაკლის ზე. Орех грецкий. *Juglans regia* L. მთელ მსოფლიოში გავრცელებული მცენარეა. მისი ნაყოფი გამოიყენება სანელებლად. საქართველოში ნიგოზის ფოთოლს, ქერქს, უმწიფარს, ან ამძალებულ ნაყოფს, ასევე მწიფე ნაყოფსაც იყენებდნენ სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ (მალარია, კუჭის წყლული, სიყვითლე, ბნედა და სხვა). აჭარაში ნიგოზის ნაყოფს ხმარობდნენ ქარცეცხლის წინააღმდეგ, ათაშანგისა და იმპოტენციის დროს, ამძალებულ კაკლის (მძალის) ზეთს ხმარობდნენ თმის ცვენის საწინააღმდეგოდ.

ნიგოზის ერთი სახე (მათუნა, ციკუტა) მომწამვლელია, „რომლისა (მათუნისა) ნიგოზი მაკუდინებელი წამალი არის“ (გრიგოლ ნოსელი. კაცის აგებულებისათვის. ი. აბულაძე, გვ. 213-328).

**ნიოფლის ყვავილი** — იხ. თეთრი ღუმფარა.

**ნიორი** — Чеснок. *Allium sativum* L.

კულტურული მცენარე, ხარობს საქართველოს შთასა და ბარში. ნიორი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სამკურნალოდ: ჰიების გამოსადევნად, ძალის ნაკბენის, ნაღრძობის სამკურნალოდ, სირსვილიან კანზე საფენებისათვის (რაჭა, კახეთი), პანარიციუმის დროს (იმერეთში). აჭარაში ნიორი იხმარება ბნედის, ფაღარათის, ძლიერი ნერწყვის დენის, თმის გაცვენის, ძალის ნაკბენის დროს.

**ნიუჯა** — ქალოკდა, ქალაკოდა (იმერ.), კოკომეყავა (აჭარ.), დათვის ტერფა (ხევს). Аронник, клешинец, *Arum orientale* M. B.

იზრდება საქართველოს ტყეებში, ტყის პირებზე, მთის ქვედა და შუა სარტყელში. ხალხური მედიცინა მას იყენებს საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, საერთო სისუსტის, სისხლნაკლებობის, რევმატიზმის და ნერვალგიების დროს. აჭარაში ქალაკოდას ხმარობდნენ ჩიყვიანი ავადმყოფების სამკურნალოდ (იხ. მუჯველაი).

**ნიშადური** — Нашатир. *Ammonium chloratum*.

მინერალის მინა. ადვილად გამადნობელი (დ. ჩუბ.). მისგან დამზადებული მალამო იხმარებოდა ბუასილის დროს (ა. იაშვი.).

ნუნა — ნუნი (ნუნების ტკივილი), ფრჩხილის ბუდე, „ფრჩხილის გარემო ტყავი“ (საბა), კბილის ბუდესაც ეძახიან.

ნუში — Миндаль. Amigdalis.

კულტურული მცენარეა. იზრდება ნესტიან ადგილებში. ფართო ადგილი უკავია ქართულ კარაბადინებში. რაჭაში ნუშისაგან ამზადებენ წნევის წამალს. აჭარაში მის გულს იყენებდნენ პირღებინების დროს, ხოლო ზეთს ნაბასუსევეზე გულის წუხილის დროს.

ო

ობობას ქსელი —ობობა, ბაბაკუა (საბა),ობლაბუდა, ბანდლი, ბანდლი (იხ.)

ობოლი საკმელი — იხ. საკმელი.

ონბალო — ომბალო. Мята блошная. Mentha pulegium L.

მრავალწლიანი მცენარეა. ხარობს ტყიანი ზონის მდინარეთა სანაპიროებზე. ხალხური მედიცინა იყენებს ჭრილობის შეხორცების დასაჩქარებლად, ყვიანახველას, ასთმის, ისტერიის დროს. აჭარაში ომბალო გამოყენებულია ბნედის, კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ.

ორფერი — ორფერა, ფილტვის ბალახი (კახ.). ხავერდა (იმერ.). Медуница, легочная трава. Pulmonaria mollissima.

ამ მცენარეს ხალხური მედიცინა ძველთაგანვე იყენებს სასუნთქი გზებისა და ფილტვების დაავადების სამკურნალოდ. აჭარაში ხმარობენ ხველის საწინააღმდეგოდ და ცხელების დროს.

ოსპი — Чечвица. Lens culinaris Medic.

ფემბასეულ ხელნაწერში თეთრი ოსპი გამოყენებულია მორყეული კბილების სამკურნალოდ.

ოტკა — (რუს.). Водка. არაყი.

ოქრო — ძვირფასი მეტალი, იხმარებოდა წამლად. ამ მიზნით მას ქლიბავდნენ და აძლევენ ავადმყოფებს თირკმლების დაავადების დროს (ა. იაშვი.).

ოშიშა — იხ. ოშოშა.

ოზომა — ოშიმა. Будра. *Rlechoma hederacea*.

მრავალწლიანი ბალახია, გავრცელებულია მთის შუა სარტყლამდე, ნესტიან ტყეებში. აჭარაში ამ მცენარეს იყენებდნენ ოფლის მოსაღენად, აგრეთვე კბილების ტკივილის დროს და ნაღრძობზე შემოსადებად. სამეგრელოში, სვანეთში, ლეჩხუმში, ქართლში ოშიმას ასევე იყენებენ ნაღრძობის სამკურნალოდ.

ოხოპონტრა — Карпезнум чернобыльниковый. *Carpesium abrotanoides*.

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. გავრცელებულია ზღვის სანაპიროზე, ტყეებსა და ბუჩქნარებში. აჭარაში ამ მცენარის მოხარშულ ფოთოლს ადებენ მტკივნეულ ადგილზე, ფოთლის ნახარშს იყენებენ აბაზანებისათვის ბუასილისა და შარდის შეკაეების დროს.

ოჯინჯალი — საქვაბე ჯაქვი, რომელაც მიმაგრებულია ბუხარში გამართულ ხის მოწყობილობაზე (შ. ნიყ.).

### 3

პამიდორი — იხ. ოქროს ვაშლა.

პეპელა — ჭია პეპელი, პეპენი, პირზე კორფლი, ფერის მკამელა. *Веснушка*. (დ. ჩუბ.).

პერული — იხ. ზღვის პერული.

პიპილა — იხ. წიწკა.

პიტნა — იხ. ბალის პიტნა.

პრასა — პრასი. Лук порей. *Allium porrum* L.

ერთწლიანი კულტურული მცენარეა. გავრცელებულია მთელ საქართველოში. აჭარაში მას ხმარობდნენ ჭიების გამოსადევნად სისხლიანი განავლის და სოკოს (ბუასილის) დროს.

პური — იხ. ხორბალი.

### შ

ჟოლოს ფითრი — იხ. ფითრი.

ჟრინვა — უხალისობა, ხმადაბალი ტირილი, ჟინიანობა, ჭრკვეულობა.

**რაკის თვალი**—Рак (რუს.), კიბო, იხ. კიბორჩხალა, ცხრაფეხა. მისი კუჭიდან ამოღებული „თვალი“ იხმარებოდა წამლად. Жерновки. Lapides cancrium. ანგიკოზი. „ღურგა“ ლნი ერთის გვერდით გამობერილნი და მეორეს გვერდით ჩადრეკილნი, კენჭისებურ გამყარებულნი სხეულნი, რომელთაცა პპობენ კიბოთა კუჭთა შინა და იხმარებიან მკურნალობასა შინა“ (ი. ბაგრ.).

**რამაქი** — რამიქ (?), ღინჭილა, წვრილი ლოკოკინა, ლოქორი, ლოფორთქინა. Улитка. Cipræa Ascellus.

**რბილი ხორბალი** — დიკა, დოლი. Пшеница мягкая. Triticum vulgare vill.

ერთწლიანი მცენარე, უძვირფასესი საკვები პროდუქტი, იხმარებოდა წამლად. სვანეთში იყენებდნენ პირის ღრუს ანთების დროს, ქართლში იხმარებოდა ვეტერინარიაში საფალარათოდ, აჭარაში — სიმსივნეების (ჯდომის) დროს.

**რევანდი** — Ревен лекарственный. Rheum officinale.

**რგვალი წამალი** — იხ. მრგვალი წამალი.

დიდფოთოლა მაღალი მცენარეა. იყენებდნენ შარდის შეკავების საწინააღმდეგოდ. აჭარაში იხმარება გულის ტკივილის, ხველების, სიცხიანობის, ფალარათის დროს.

**რთხმელა** — იხ. თხმელა, მურყანი.

**რკინა წიდა** — რკინის წიდა, კინწილა. რკინისა და ილეკროს ნაღნობი (საბა), ილეკრო მეტალთა (მათ შორის ძვირფასი) საერთო სახელია. ამ შემთხვევაში ნაღნობში შედის: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, კალა ან სხვა მეტალი. იხმარებოდა სისხლნაკლებობის დროს (ა. იაშვ.). ფემბასეულ ხელნაწერში იგი გამოყენებულია სოკოს (ბუასილის) სამკურნალოდ.

**რკო** — მუხის ნაყოფი, სამკურნალოდ უძველესი დროიდან იხმარება.

**რკუ ხმელეთის**—იგივეა, რაც ხმელეთის კუ. მის კვერცხს აძლევდნენ ქალებს ეკლამპსიის დროს, აგრეთვე ხველების დასაწყენარებლად. მისგან დამზადებულ პლასტიკს აფენდნენ თიაქარზე და საკვერცხეებზე. კუს ჯავშნის ქვედა ნაწილს

ჴვინოში ხარშავდნენ და აძლევდნენ კიბოიან ავადმყოფებს.

ს

**სადაფი** — მარგალიტის ნიჴარა. Перламут. იხმარებოდა წამლად. Громовая стрела. „გაქჴუავებული სადაფია, მქონებელი ვიეთისამე მსგავსებისა ისრისა თანა, რომლისა გამოლიტონი ერი ჰგონებს, რომელ იგინი შთამოსცვივდებოდნენ მიწასა ზედა ელვისა თანა ერთბაშად და იხმევენ ვითა ამოსა წამალსა სნეულებათა შინა“ (ი. ბაგრა.).

**სათვალე მარჯანი** — იხ. მარჯანი.

**საკმელი** — ობოლი საკმელი — იხ. ლადანა.

**საკმეველი** — საკმეველი ხე, კევის ხე, სალსალაჯი, Фисташник. Pistacea mutica F.et. M.

გავრცელებულია მთის ქვედა სარტყელში, მშრალ ფერდობებზე, ნათელ ტყეებში. კახეთში მას ხმარობენ მოტეხილობის სამკურნალოდ. აჭარაში ძალზე ფართოდ იყო გავრცელებული. იხმარებოდა მოჩვენებების, კბილის ტკივილის, დიაბეტის, გულის ტკივილის, ქარების, თეთრად შლის და ჴრილობის მალამოს მოსამზადებლად.

**სამხვედრო** — უკანა ნაწლავის ავადმყოფობა — ბუასილი (ვ. ბერ.). ან ცხენზე ხანგრძლივად ჳდომის შემდეგ უკანა ტანის დაზიანება. ტერმინი გვხვდება მხოლოდ აგარელისა და ფემბასეულ ხელნაწერებში. თითქოს სიტყვა „ხვედრი“-დან უნდა მოდიოდეს. სავარაუდოა, რომ აქ მხედარის ავადმყოფობაც იგულისხმება.

**სანდალი** — სანდალოზი თეთრი და წითელი. Сандальное дерево белое и красное. Santalum album et pterocarpus cantalinus L.

**ტროპიკული ხეა**. „ხეა სურნელი ინდოეთს“ (საბა). ფართოდ იხმარებოდა რევმატიზმის, წითელი ჴარის, პირღებინების სამკურნალოდ. გვხვდება ყველა ჴართულ კარაბადინში.

**სანელეხელი** — Чесночник. Marusmins alliaceus L.

აჭარაში ამ მცენარეს და მის კაკალს ხმარობდნენ ტყლი-



პის (ელენთის გადიდების) და სოკოს (ბუასილის) დროს.

**სარო** — Кипарис. Cupressus. კვიპაროსი, მარადმწვანე წიწვოვანი ხე. ხელნაწერებში სამკურნალოდ გამოყენებულია სარო-ბალახი (იხ. ლაშქარა, შანარი). ფესვების ნახარშს ასმევდნენ ორსულ ქალს ნაადრევი მშობიარობის საწინააღმდეგოდ (შ. ნიუ.).

**სატკბური** — სატკბურა. გართხმული მუწუჯი (საბა), გადამდები (დ. ჩუბ.). ელქუნი. Золотуха, шишан. ამავე სახელის მცენარეც არის Луговая рута. Лупута.

**საყარი** — (იმერ.). სენია, წითლად ყრის ტანზე, ძნელი მოსარჩენია (ვ. ბერ.). ფემბასეულ ხელნაწერში იგულისხმება გინეკოლოგიური დაავადება, რომლის დროსაც ნაყოფი ქალის მუცლად ყოფნის დროს კვდება.

**საყმაწვილო** — ყმაწვილისადმი საკუნონავი (დ. ჩუბ.). ბავშვთა დაავადება.

**საყმაწვილო წამალი** — იხ. ძიმწარა, ყანის ია.

**საწერელი** — პანარიციუმი, ფრჩხილების ავადმყოფობა ღრმა ან ზედაპირული. ფრჩხილების ბუდის ანთება.

**სახამებელი** — მცენარეთა ორგანოებში არსებული შაქარი. „წყალში მოდუღებული და გახმობილი ხლარჩი ფქვილი. იხმარების გასათეთრებლად სარეცხთა. დასაწებებლად ქალაქლდთა და სხვათა. Крахмал. (ნ. ჩუბ.). ქართულ ხალხურ მედიცინაში სახამებელი იხმარებოდა წამლების მოსამზადებლად.

**სეველა** — შავი ნაღველი. Artabilis. ძველი მედიცინის მიხედვით ერთი იმ ოთხ სითხეთაგანი, რომლებიც შედიან ადამიანის სხეულის შემადგენლობაში. მელანქოლია.

**სელი** — Лен. Linum.

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ხარობს ევროპის ქვეყნებში, გამოიყენება საფაღარათოდ. სელის ზეთს აქარაში იყენებდნენ ქალის ფუშის (ფერდის ქარის), ტყლიპის (ელენთის გადიდების) და შარდის შეკავებისას.

**სიმინდი** — სიმინდ (ინგ.), ლაზუთი (ჭან. მეგრ.). Кукуруза. манс. Zea mais L.

ერთწლიანი მცენარე, იხმარებოდა ფაღარათის სამკურნალოდ, სოფელ ურეხში (ხელვაჩაურის რაიონი) სიმინდის ფოჩს

შვიტასთან ერთად ხმარობდნენ შარდმდენ საშუალებად კენკების დროს, აგრეთვე ნერვული აშლილობის დასაწყენარებლად. ანალოგიურად იხმარება ლეჩხუმშიც.

სინმაქი — სინმაქი, ფუთფუთა. *Cassia oстролосная*. *Cassia aculifolia* Del.

„ხე ესე მოვალს ინდოეთს და ეგვიპტეს ფოთოლნი არიან მოგურგალოდ მოგრძონი, წვერ მწვეტნი, სიგრძეზედ ორად განყოფილნი ძარღვითა, ფერით და მწუხანენი და მცირედ მოყვითალონი. სუნი აქუსთ თვისი საკუთარი, გემო მწარე, საზიზლი და მცირედ მოცხარო. იხმარებიან მკურნალობასა შინავითა სასაქმებელი წამალი“ (ი. ბაგრ.). ფემბასეულ ხელნაწერშიც სინმაქი გამოყენებულია როგორც სასაქმებელი საშუალება. იხმარებოდა აგრეთვე თავის ტკივილის დროს.

სინეზილი — უცნობია.

სირსვილი — ლიქენი, ქრონიკული ანთებითი დერმატოზი.

სისნა — თმის დაცვენა.

სისრა — იხ. მუხუდო.

სოინჯი — შავკაკალი (გურ.). სისამი, ცისამი (აჭარ.). უჩაკაკალი (მეგრ.). *Чернушка*. *Nigella sativa* L.

ერთწლიანი მცენარე. საბას მიხედვით სოლინჯი დვალთა (იხ.) ფემბასეულ ხელნაწერში გამოყენებულია მღიერის სამკურნალოდ. ქართულ ხალხურ მედიცინაში მცენარის ბურთულებს ხმარობდნენ თვიურის მოსაწესრიგებლად.

სოკო — დაავადება. ფემბასეული ხელნაწერის მიხედვით ბუასილი. „სენი ბოასილისა“, *почечуи*, *геморойи* (დ. ჩუბ.). „სენია ერთი“ (საბა). ფემბასეულ ხელნაწერში ერთ ადგილას ვხვდებით ტერმინს „ასკილის სოკო“, რომელიც ნახმარია სოკოს (დაავადების) საწინააღმდეგოდ.

სურავანდი — *Золотуха*, *цинга*. *Scorbutis*. ღრძილების დაავადება. სენი სატკივარი თავპირისა (ნ. ჩუბ.).

სუქანა — იხ. დანდური.

სხმარტლი — იხ. ზღმარტლი.



ტაბასტა — სისხლის დინება (საბა), ძნელად შესაწყვეტი (დ. ჩუბ.). შინაგანი ორგანოებიდან (საშვილოსნო, კუჭი და

სხვ.) სისხლის ღენასაც უნდა ნიშნავდეს.

**ტათლიბი** — თათლიბი (ა. იაშვ.), დათლიბი, მინაბალი; დ. ჩუბინაშვილს დათლიბი მოყავს პატრი ფილიპეს ლექსიკონიდან; სხვა ლექსიკონებსა და სამკურნალო ხელნაწერებში იგი არ გვხვდება. ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია დამხმარე (წამლის გასატკბილებელ) საშუალებად. *Лакрица*. *Plicyrrisa glabra* L.

**ტალბუნი** — ჩვენთვის უცნობი წამალია. („ტალბუნი გაურიე“ — ფეშბა).

**ტილიფი** — იხ. ტირიფი.

**ტირიფი** — წნორი (კახ.). ტილიფი (ჯავახ.), ძეწნი (მესს.). *Ива*. *Salix*.

გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, ტყის სარტყელში. იზრდება ტყის პირებზე, რუების გასწვრივ, მდინარეების სანაპიროზე. უძველესი დროიდან იხმარებოდა წამლად. ქერქს იყენებენ კუჭის აშლილობის და ციების საწინააღმდეგოდ. იმერეთში ტირიფის ყლორტებითა და ფოთლებით მკურნალობენ საწერელს: აპარაში და რაქაში ქერქის ნახარში იხმარებოდა მალარიის დროს, ელენთის გაღიდებისა და საწერელის სამკურნალოდ.

**ტიტა** — Тюльпан. *Tulipa*.

ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა ტიტას წვენი, ასევე თესლი ფაღარათისა და კბილის ტკივილის დროს. ფეშბასეულ ხელნაწერში ტიტას თესლი ზუსტად ისევე იხმარება, როგორც „იადიგარ დაუდში“: „სისხლის გასაწმენდად ყვითელი წყლისაგან.“

**ტურისძირა** — უცნობია.

**ტურის წელი** — ტურის ნაწლავი.

**ტუხტი** — ვირიმოლოქა (რაქ.) ფოხვერაი (აპარ.). *Алтея*, *проскурняк*. *Altheae*.

გვხვდება მთის შუა სარტყელამდე. იზრდება ტენიან ადგილებში, მდინარეთა სანაპიროზე. მრავალწლიანი მცენარეა. ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ხველების, კუჭის აშლილობის, კანის დაავადების დროს. სვანეთში ტუხტის ნაყოფს ქალები ლოყებზე ისვამენ, რაქაში ხმარობენ ფესვებს ხველების, აპარაში — კუქნაწლავის აშლილობის დროს.

**ტყემალი** — Алыча дикая, ткемали. *Prunus divaricata* Ldb.

იზრდება მთის შუა სარტყლამდე, ტყეებში, ტყის პირებზე, გზისპირებზე, ეზოებში. ხალხური მედიცინა იყენებდა მადის მომგვრელად სისხლნაკლებობის დროს. რაჭაში ტყემლის ტყლაპს აძლევენ ელენთის გადიდების, აჭარაში — ღვიძლის ტკივილისა და გულის ქვალის დროს.

**ტყის პიტნა** — ვირის პიტნა (იმ.). ტენცო (აჭარ.) *Мята лесная. Mentha longifolia* L.

იზრდება შუა და ზედა სარტყლის ტყიან მთებში, ტენიან წიფლნარებსა და ნაძვნარ-სოჭნარებში. ხალხური მედიცინა ტყის პიტნას იყენებს თირკმლის კენჭების, კუჭის აშლილობისა და მეტეორიზმის დროს; აჭარაში ხმარობენ სიყვითლის დროს სხვა წამლებთან ერთად.

**ტულიპი** — ტყირბი, ტყირბი. „სახლი შავისა ნაღველისა არის ტყირბი“ (ფან.) ფანალა, ელენთის გადიდება. „სახლი“ ფანასკერტელის მიერ ადამიანის ორგანოს მნიშვნელობით არის ნახმარი.

## უ

**უმარული** — Окись олова. *Stannum oxydatum*.

უმაროლი, კაკლის ნაცარი (საბა). ვერცხლის წყალზე ძლიერი მკავეს ზემოქმედებით დამზადებული თეთრი ფხვნილი. წყალში გახსნილს ხმარობენ სახის გასათეთრებლად, კარაქთან და გაცრილ ფქვილთან შერეული იხმარებოდა გამონაყრების სამკურნალოდ.

**უნიშნო შავი ძროხა** — ძროხა, რომელიც მთლიანად შავია, არა აქვს სხვა ფერის ლაქები.

**ურთხელი** — უთხოვარი (კახ.). მადა (აჭარ.). ურთხელ (მეგ.). ურთხელ (სვან.). Тисс, негной дерево. *Taxus baccata*.

უძვირფასესი და უიშვიათესი წიწვოვანი მცენარე, რომელიც გადაშენების პირზე დგას. იზრდება ზღვის დონიდან 1.500 მეტრამდე. წიწვებს იყენებენ გულის დაავადებისა და

წყლისადმი შიშის (ჰიდროფობიის) დროს. ფემბასეულ ხელნაწერში ურთხელის კაკალი გამოყენებულია ღრძილებს დაავადების სამკურნალოდ.

ურნალი — იხ. ურო.

ურო — ბალახი. *Бородач. Andropogon ischemum L.*

მცენარის ძირს აჭარაში ხმარობენ გველის ნაკბენის სამკურნალოდ, სხვა კარაბადინებში არ გვხვდება.

უტუს უნა—ქინკრის დედა, ჭინჭელუა (იმერ., გურ.) ჭინჭრის დედა (აჭარ.), Глухая крапива. *Lamium album L.*

მრავალწლიანი მცენარეა. გვხვდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, ბაღებში (სარეველას სახით). ხალხურ მედიცინაში ხმარობენ ყელის, სასუნთქი გზების, ელენთის დაავადების და ტუბერკულოზის, აგრეთვე შარდის შეკავების დროს. აჭარაში მას იყენებდნენ შეკრულობის, ქალური დაავადების (აგარელი) და თიაქარის (ფემბა) სამკურნალოდ. სხვა კარაბადინებში არ გვხვდება.

## ფ

ფაზარი — „ესე არის ქვა ნალველსა შინა, რომელ ნიამორთა უფროსად გვარობს, სამკურნალოდ სახმარი“ (საბა). ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით: „შუა... კლდეთა შორის პოვებული, იხმარების სამკურნალოდ, წამლად, რომელს გალესენ წყალსა შინა და დაალევიანებენ მას სნეულთ“. ამავე სახელით ცნობილია მცენარე (Роговик, *cerasium*) და გამხმარი ბაყაყი. ა. იაშვილის მიხედვით, ეს არის ზღარბის ქვა. იხმარებოდა ღორის ხორციით და თევზით მოწამვლის საწინააღმდეგოდ.

ფარა — გლემურძი, ღორის ხორცსა და ტყავს შუა მომსუქნო ადგილი: ნაყოფი ძეძვისა (ალ. ღლ.).

ფარსმანდუკი — კრავისკუდა (აჭარ.), კრავიკუდა (იმერ.). ჩიჩქვის ბალახი (ჯავახ.). Тысячелистник, дрсевил, порезник. *Achillea millefolium L.*

გავრცელებულია კავკასიაში, იზრდება მზიან ადგილებში. ხალხური მედიცინა იყენებს ღვიძლის დაავადებების, ციების კბილის ტკივილის დროს, სევანეთში იხმარება ჭრილობების

.ამკურნალოდ, გურიაში — წყალმანკის დროს. აჭარაში ხმა-  
რობენ ღვიძლის დაავადების დროს, რომელსაც ახლავს სიყ-  
ვითლე.

**ფელენჯი** — ტანის ნახევრის დასუსტება, ჰემიპარეზი.  
აბას მიხედვით ეს არის „სენი დამგრეხელი“ (ბნედა).

**ფერი** — სხედასხვა დაავადების დამახასიათებელი ნიშა-  
ნი, კანის ფერის შეცვლა. „კაცს ფერი სჭირდეს“. აქ ავტორი  
აიყვითლეს უნდა გულისხმობდეს. ძველად აჭარაში ცრუმო-  
ჩწმუნეები თვლიდნენ, რომ სულით ავადმყოფი ხედავს სხვე-  
ბისათვის უხილავ არსებებს, რომლებსაც ელაპარაკება და  
ასრულებს მათ დავალებებსო. ამ არსებებსაც „ფერი“ ერქვა.  
გამორიცხული არ არის, რომ აქაც ასეთ დაავადებაზეა ლაპა-  
რაკი.

**ფეტვი** — ჭადი, მჭადი, მჭადა (იმერ., ვურ.), შავი ჭადი  
(ლეჩხ.). *Prosopis juliflora*, ნორ. *Panicum miliaceum* L.

იხმარებოდა როგორც ოფლმდენი და სიყვითლის საწინა-  
აღმდეგო საშუალება.

**ფთხილი** — იხ. თხილი.

**ფითრი** — *Омела. Viscum album* L.

გავრცელებულია მთელ საქართველოში, როგორც პარა-  
ზიტული მცენარე. იზრდება მსხლის ტოტყებზე. მას  
ძველთაგანვე იყენებდნენ ხელების, ბნედის საწინააღმდე-  
გოდ. რაჭაში ხმარობენ წნევის დამწვევად, ლეჩხუმში — გვე-  
ლის და მორიელის ნაკბენის დროს, კახეთში ხელების საწი-  
ნააღმდეგოდ.

**ფინიკის პალმა** — ინდისხურმა. დანაკისკული. *Финико-  
вая пальма. Phoenix dactylifera* L.

ამ მცენარის ნაყოფი სამკურნალოდ გამოყენებული აქვთ  
ქანანელსა და ფანასკერტელს. ფემბასეულ ხელნაწერში მისი  
კურკა იხმარება ბავშვთა პრაქტიკაში ავი ზნისა და საყმაწვი-  
ლოს სამკურნალოდ.

**ფირუზი** — ძვირფასი თვალი პაციოსანი, იხმარება წამ-  
ლად.

**ფისი** — წიწვოვანი მცენარეების ქერქის გამონაჟონი,  
სქელი, წებოვანი სითხე სპეციფიკური სუნით. აჭარაში ფისს

ხმარობენ შესივებულ სათესლე ჯირკვლებზე დასადებად, თვალის ტკივილის და შესივების დროს შესახარჩობლებლად. თვით ფემბას განმარტებით, ფისს ყართნი ქვია. „შელი იყურნების ფისითა ფიქვისაითა“ (ბასილი კესარიელი. ექუსთა დღეთაი. ც. აბულაძე. გვ. 445).

**ფოლიო** — Вдовушки, сивец луговой, скабиноза. *Scabiosa succisa phatensis* M. ერთგვარი მორუხო ყვავილია (ა. ლ.).

ვერ დავადგინეთ ზ. ფანასკერტელის „ფოლი“ და ა. ლლონტის ფოლიო ერთი და იგივეა თუ არა. სხვა კარაბადინებში არ გვხვდება. მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. იზრდება ნესტიან მდელოებზე ბუჩქებს შორის, ვხვდებით ევროპულ ნაწილში, ციმბირში, კავკასიაში, ჯალხურ მედიცინაში იყენებენ ფესვის ნახარშს კრილობის მოსაბანად და ქიების წინააღმდეგ. აქარაში ფოლიოს ხმარობენ სულით ავადმყოფობის (შეშლილობის) დროს.

**ფოლხი** — დუნე, რბილი (შდრ. მოფოლხეებული, მოშვებული).

**ფუნთუშა** — კატის ძუძუა, კაკნის საკენეტელა (აქარ.), წითელი კინწა (ლეჩხ.), ქუჭკუტა (გურ.), წითელი კინწარა. Очиток бледный. *Sedum palidum* M. B.

იზრდება ქვიან ადგილებში შუა სარტყლიდან სუბალპურ ზონამდე. იყენებენ კანის (სირსვილი), თვალების (ბლევფარითი, კონიუნქტივიტი) დაავადების და სიღამწერის დროს.

**ფურისულა** — Первоцвет, баранчик. *Primula officinalis*.

გავრცელებულია ტყეებში, მდელოებზე, სუბალპურ ზონაში. ქართლში მცენარისაგან უშვილობის წამალს ამზადებენ, იყენებენ აგრეთვე თავის ეგზემის დროს. აქარაში ხმარობენ ბნედის და იმპოტენციის სამკურნალოდ.

**ფურისურა** — იხ. ფურისულა.

**ფუფალი** — ფუფალა „ჯაეზივას გომიზია“ (ფან.). *Palma catechu*. *Acacia catechu* Willd.

ძველთაგანვე იხმარება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ვხვდებით ქართულ კარაბადინებსა და ხელნაწერებში.

**ფუში** — ყვერმეტი (საბა), ფერდის ქარი (ნ. ჩუბ.), თიაქა-

რი. აქარაში ამ დაავადებას მკურნალობენ მცენარით, რომელიც ანდუზას (ტელეკია, კულმუხო) სახელით არის ცნობილი. მის ფესვებს ნაყავდნენ და წვენს ასმევდნენ. ანდუზას ფოთლებს შემოაფენდნენ თიაქარის არეში. აგარელი ფუშის სამკურნალოდ იყენებდა ანწლის, კაკლის, სელის ზეთის, ყარაფილის, დარიჩინის, ზენჯფურის ნარევს. ფუშის მკურნალობის თავისებური მეთოდი მოცემულია ფემბასეულ ხელნაწერშიც.

**ფხალი** — კომბოსტო, ლახანა (ქართ.), კეჟერა (აჭარ. გურ.)

**Капуста. Brassica.**

გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. საქართველოში მოყავთ შავი ფხალის სახელწოდებით. სამკურნალოდ დიდი ხანია იხმარება. ფოთლები დიდი რაოდენობით შეიცავს A და C ვიტამინებს. ხმარობენ სიცხის დამწვევად. აქარაში ნორჩი ფოთლები (დუყი) იხმარება შაკიკის დროს.

## ქ

**ქათამნაცარა** — ნაცარქათამა. Марь. *Chenopodium album*.

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე იზრდება ეზოებში, ქვაყრილებზე, ნაკვიან ადგილებში, ფოთლებს იყენებენ მხალად, თესლებს ჭიების დამდენად. მუცლის გაბერილობისა და ტკივილის, ფაღარათის, ბუასილის დროს. ფემბა მას იყენებს სატკბურის და მუნის დროს.

**ქალაშაქარი** — დაწვრილებული, დაფქველი შაქარი.

**ქალბანა** — „სუნელი ხე არს დაბალი, ხმელი და ნედლი, ორივე მფშვნელი, ინდოეთს არის. ეს არს ბანე“ (საბა). *Ферула галбанионосная, Ferula galbaniflua Boiss.*

სამკურნალოდ გამოყენებულია ყველა ქართულ კარაბადინსა და ხელნაწერში.

**ქალის რძე** — ფართოდ იხმარებოდა ახალშობილთა თვალის და კანის დაავადების დროს. ფემბასეულ ხელნაწერში იგი გამოყენებულია თვალის ლიბრის, სიმხურვალის, ტკივილის, აგრეთვე პირღებინებისა და ყურის ტკივილის დროს.



**ქალოკდა** — ქალაკოდა, კოკომქავა, იხ. ნიუკა.

**ქარვა** — *Шитарь. Resina succinum*. მაგარი, გამკვირვალე, ყვითელი ფერის ფისოვანი ნივთიერება, სამკაული, ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა რძეში გარეული ქარვის ფხვნილი შარდვის გაძნელების დროს (ა. იაშვ.). ფემბასეულ ხელნაწერში ქარვა გამოყენებულია ეელიდან სისხლდენის, ფაღარათის, საყმაწვილოს და შარდის შეკავების დროს.

**ქართული ენდრო** — იხ. ენდრო.

**ქარი** — ავადმყოფობათა ჯგუფის საერთო სახელი: თიაქარი, წითელი ქარი, ფერდის ქარი, ფუში, ნიკრისის ქარი (პოდაგრა), სევდის ქარი (მელანქოლია). ზოგი ავტორი ნაწლავებში გაზის დაგროვების სინონიმადაც იყენებს.

**ქარცეცხლი** — წითელი ქარი, კანის დაავადება.

**ქაფი** — იხ. ზღვის პერული, ქაფი-პერი (საბა).

**ქაფური** — *Камфорный лавр. Cinnamomum camphora* Nees.

იზრდება შავი ზღვისპირეთში. მრავალწლიანი ხეა. საგულე საშუალებად იხმარება უძველესი დროიდან. ფემბა იყენებდა თავის ტკივილის, ცხელების დროს, დაქრილის მალამოს მოსამზადებლად.

**ქერი** — *Ячмень. Hordeum*.

ძველი მკურნალები ქერის ჩაღის ნახარშს ხმარობდნენ აბაზანებისათვის ქალური დაავადების დროს, ხოლო ქერის ფაფას — წყლულების მოსაშუშებლად და რევმატიზმის სამკურნალოდ. აქარაში ქერის ფქვილი, ფურცელი, ქატო, ღერო, ქერქი გამოიყენება კიების გამოსადეგნად, ციების დროს, პიპოგალაქტიის და თირკმლების კენჭების საწინააღმდეგოდ.

**ქერსაფი** — ქერძაფი, თეზაფი (?)

**ქვაბის განჯარა** — იხ. ჯანგარი, ჟანგარა.

**ქვეშ ნიგზისა** — ნიგზისპირა (გურ.). მარიანხელა, მარიამხელა (აქარ.). *Гравилат городской. Reum ughanum*.

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე. გავრცელებულია მთიან ზონაში. ქართულ ხალხურ მედიცინაში ფესვების ნაყენს ასმევენ როგორც ძილისმომგვრელს, ფხვნილს აყრიან ჭრილობაზე. აქარაში ამ მცენარის ნახარში აბანავებენ რაქტიან ბავშვებს. გამონახარშს ივლებენ პირში კბილის ტკივი-

ღოს დროს, ხმარობენ აგრეთვე შეკრულობის, სიცხის, ორსულთა პათოლოგიის დროს და სულით ავადმყოფთა სამკურნალოდ.

ქინძი — Китица, кориандр. *Coriandrum sativum* L.

ერთწლიანი კულტურული მცენარე. ფართოდ იხმარებოდა ხალხურ მედიცინაში ცხვირიდან სისხლდენის, წითელი ქარის, ღრძილების და ენის დაავადების დროს. აჭარაში ქინძს ხმარობდნენ სისხლიანი შარდვის და ქარების დროს.

ქლიავი — Слива. *Prunus domestica* L.

იხ. შავი ქლიავი.

ქონდარი — ონჭო, გარეული ქონდარი. Чабар рыхлоцветный. *Laxiflora*.

ხარობს მთის ქვედა ზონაში, მოხარშულ მცენარეს გაწურავენ, შეურევენ რძეს და ალევინებენ ავადმყოფს მუცლის ტკივილისა და ფაღარათის დროს, აგრეთვე ხშირი შარდვის, ქარებისა და რევმატიზმის საწინააღმდეგოდ. „ჭამოს ქონდარი ეფაფური და განიერი ენებისაგან წამლისა და მის მაკუდინებელსა“ (ბასილი კესარიელი. ექუსთა დღეთაი. ი. აბულაძე, გვ. 455).

ქუმელი — იხ. ჩვეულებრივი სელი.

## ღ

ღვალო — იხ. ღოღო.

ღვედეცი — ჯაშკუტა (საბა), ჯაშქვიდი (მეგრ.). Обвоишник. *Periploca graeca* L.

იზრდება ზღვის დონიდან 500 მეტრამდე. მსვიარა ბუჩქია. გამოიყენება მედიცინაში პრეპარატ პერიპლოცინის მისაღებად, რომელიც იხმარება საგულე საშუალებად. აჭარაში ჯაშკუტას ძირი გამოიყენებოდა ჩიყვის დროს, ხმარობდნენ აგრეთვე ბუასილის სამკურნალოდ (ა. იაშვი.).

ღვინო — ყურძნის ღვინოს, ისევე როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც ფართო გამოყენება ჰქონდა წამლების მოსამზადებლად.

ღობის ჩხირბალახი — იხ. გლედიჩია.

ლოლო — ღვალო (აქარ. იმერ. ლაზ. ლეჩხ. მესხ. რაქ.).  
Шавель конский. *Rumex crispus* L.

ეს მრავალწლიანი მცენარე აჭარაში იხმარებოდა მუწუ-  
კების და იმპოტენციის სამკურნალოდ. გურიაში ღვალოს ძი-  
რების ნახარშს აძლევდნენ სიყვითლის დროს. მესხეთ-ჭავჭა-  
ვთში მკურნალობდნენ ჭრილობებს, კუჭის დაავადებას, ყელის  
ტკივილს, გამოიყენებოდა აგრეთვე კანის დაავადებისა და  
ცხელების დროს (ა. იაშვი.).

ლომი. — Гоми, чумиза, просо италианское. *Setaria ila-  
lica* L.

ლომი იხმარებოდა ნაღრძობზე შემოსადებად. ღომის კაკა-  
ლი — შაქრიანი დიაბეტის დროს.

ღრუბელი — ღრუბელა. რამდენიმე სამკურნალო ნედ-  
ლეულის საერთო სახელი: თეთრი ჯიშის ყურძენი, ქლიავის  
სახეობა. ზღვის ცხოველი, ხის სოკო. ტექსტში ძნელდება გა-  
რკვევა, ამათგან რომელი იგულისხმება. აჭარაში ღრუბელს ხმა-  
რობდნენ ჩიყვის (ყიყვის) საწინააღმდეგოდ. ხოჯა ყოფილს და-  
სახელებული აქვს მცენარე ღრუბელი, რუსლები — *Spongia  
officinalis* L.

იყენებენ სევდის ან ბალაამისაგან გამოწვეულ სიმსივნე-  
ებზე შემოსადებად. შესაძლოა, ეს არის „ხავსი სოკოსავით“,  
Губка, (დ. ჩუბ).

## ყ

ყავა — კაფე (ჭან.). Кофе. *Coffea*.

ყანის ია — დედოფალა, საყმაწვილო, სამოშიანი. *Viola  
arvensis* Murray.

ერთი ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარე. იზრდება მინდ-  
ვრებში, მდელოებზე, ღია ბორცვზე. იხმარებოდა ამოსახველე-  
ბლად და კანის დაავადების დროს ავერინის ჩაის სახით,  
აგრეთვე აბაზანებისათვის. აჭარაში ყანის იას ხმარობდნენ  
თვალის სინათლის, კონიუნქტივიტის დროს თვალზე დასადე-  
ბად.

ყართნი — ფისი (იხ).

ყაყულა — იხ. ილი.

ყვანა — ჰინთვა.

ყვითელი კოკა — ზარდანხო. Жельтый имбирь. *Curcuma longa L.*

ბალახის ძირი საკმელთ სანელებელი. ზანჯაფილი (არაბ.). ხმარობდნენ მუცლის შებერილობის დროს, როგორც ჩაის. ფემბასეულ ხელნაწერში ეს მცენარე გამოყენებულია თავის ჯივილის, ბუასილის, ზაფრის, გულის რევის, ღვიძლის და ავადების, დიაბეტის, საყმაწვილოს დროს.

ყირმიზი ატლასი — წითელი ატლასი, ქსოვილი.

ყიყვი — იხ. ჩიყვი.

## შ

შაბი — თეთრი გამჟვირვალე კრისტალური ნივთიერებაა, იხმარება მედიცინასა და კოსმეტიკაში. შაბს და ძმარს ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ ენის ტკივილის დროს. აქარაში შაბს ხმარობდნენ თვალის და კბილის ტკივილის, ქავილის დროს სხვადასხვა ფორმით: უმი, თეთრი, დანაყილი, ღამწვარი.

შაბიამანი — არჯასპი. მწუანე შაბი, გესლიანი — Κύριον (ნ. ჩუბ.). იხმარებოდა ათაშანგის დროს, ფემბა ძალზე ფართოდ იყენებს მას.

შავბალახა — ნაწყენის ბალახი (კახ.). ძალღაჟინქარი. Пустырник. *Leonurus quinquelobatus Pilid.*

ხალხურ მედიცინაში შავბალახა იხმარებოდა უძველესი დროიდან. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება, იზრდება მთის ზედა სარტყლამდე ბუჩქნარებში. იყენებენ სისხლიანი ფაღარათის (ა. იაშვ.), გულის სისუსტის, კუჭის კატარის და ნერვიული აშლილობის დროს როგორც დამაწყნარებელი. ფემბას ხელნაწერის მიხედვით, აღნიშნულ მცენარეს აქარაში ხმარობდნენ კანის ქავილის და თვალის ტკივილის დროს.

შავი ბოლოკი — იხ. ბოლოკი.

შავი მუხუდო — იხ. მუხუდო.

შავი მქადი -- იხ. ფეტვი.

შავი ცერცვი — იხ. ცერცვი.

შავი ძირი -- იხ. ძირშავა.

შავკაკლა -- იხ. სოინჯი.

შავკლიავი -- იხ. ქლიავი.

შაკიკი — Мигрень, Hemigrania. ტიპური სიმპტომო-კომპლექსური ტივილი თავის (სასის) ნახევარ მხარეზე.

შამოჭედებული — შეტევითი, ძლიერი ხასიათის ტივილი.

შანარი — შალარი (ფშ. ხევს.). იხ. ლაშქარა.

შარბა თაფლის — პირველი სიტყვა ასონაკლულია. ჩვენი აზრით, უნდა იყოს შარბათი.

შარდი კაცის — უფრო ხშირად გამოიყენებოდა პატარა ბიჭის შარდი. ფემბას ხელნაწერში დასახელებულია კაცის შარდი, რომელიც სამკურნალოდ იხმარება ავადმყოფის შარდში დაავადების ნიშნების (ამღვრევა, ნალექი, ფერის მკვეთრი შეცვლა) გამოჩენის დროს.

შარმეტა — უცნობია.

შაქრის ყინული — ყინვარე შაქარი. Леденец. Saccharum cristalisatum (დ. ჩუბ.). — შაქრითა და ხილის წვენიტ დამზადებული კრისტალური ტკბილეული.

შაშკლავი — იხ. შაშტრამი.

შაშტრამი — შეშტრამი (აქარ.). რეპანი, Базилук огородный. Ocimum basilicum.

სურნელოვანი მწვანილი. ერთწლიანი ბოსტნეული მცენარე. აქარაში ხმარობდნენ მცენარის ძირსა და ფურცელს ხშირი შარდვის საწინააღმდეგოდ და ქავილის დროს. ფემბასეულ ხელნაწერში შაშტრამი გამოყენებულია სიმსივნის დასაცხრობად.

შეკრა — შეკრულობა, ყაბზობა.

შვიდფერა — უცნობია.

შინაური პიტნა — იხ. ბალის პიტნა.

შინდა — იხ. შინდი.

შინდანწლა — შინდა წკლა. Глог. Thelictania australis.

თხიფსელა (აქარ.).

შინდი — შინდა. Кизил, дерев. Cornusmas L.

გავრცელებულია მთელ საქართველოში. ხალხი იყენებდა

კუქნაწლავის აშლილობის, თვალების დაავადების დროს. ქართლში ხმარობდნენ ბუასილის სამკურნალოდ. ყვავილის ნახარშს იყენებენ ტაბასტის (იხ.) დროს, კახეთში დანაყილ კურკებს ასმევენ დიზენტერიიან ავადმყოფებს.

**შირიში** — კენკი შინაგან ორგანოებში (თირკმელში, ღვიძლში, შარდისა და ნაღველის ბუშტში).

**შრეში** — თიოში (საბა.). Череш, алтанская чалма. *Egermurus spectabilis* M. B.

„ამ ბალახისაგან შემზადდება ფქვილი, ხმარებული მისაწეპებლად ქალაღდთა და მისთანათა“ (ნ. ჩუბ.). აპარაში ამ მცენარეს სასქესო ასოს გასივების დროს ხმარობდნენ. მცენარის ძირი გამოყენებული იყო აგრეთვე სიმსივნეებისა და იარების სამკურნალოდ (ა. იაშვ.).

## ჩ

**ჩაი** — Чай. *Thea*.

**ჩამიჩი** — სომხურია. ხმელი ყურძენი. ქართულად სკიპი ქვიან (საბა).

**ჩაწყობილა** — Петров крест. *Lathraea scumaria*. ლაჯვაბია (მეგრ.).

ლექსიკონებში შეტანილი აქვთ მხოლოდ საბას და იოანე ბაგრატიონს. ამ უკანასკნელის აზრით „ბალახი ესე აღმოცენდების ყოველსა წელსა ძირიდგან, ყვავილთ მოისხამს მსხდომარეთა შტოთა წვეერებსა ზედა, ფოთოლს ვიწროთა, ხორხლიანთა, ნაპირებნაოჭიანთა, გაიზდების ტყეთა შინა“.

ეს მცენარე არც ერთ სხვა კარაბადინში არ გვხვდება, გარდა ფემბასეულ ხელნაწერისა. აქ ჩაწყობილა გამოყენებულია ბუასილის სამკურნალოდ.

**ჩახმახის ტალი** — ჩახმახი თურქთა ენაა, მოკვესილი ჰქვიან; ტალი — კაყი (საბა).

**ჩელტი** — ლასტი, მოწნული ფარცხი (წნელის ღობე), ტყრუშული (შ. ნიყ).

**ჩვეულებრივი სელი** — ქუმელი (თუშ. ფშ.). Лен обыкновенный. *Linum usitatissimum* L.

ფემბასეულ ხელნაწერში რეკომენდებულია ელენტის გა-

დიდებისა და შარდის შეკავების დროს სამკურნალოდ.

ჩიყვი — ყიყვი. ფარისებრი ჯირკვლის გადადება. ენდემური დაავადება. გავრცელებულია თითქმის მთელს მსოფლიოში, იყო რევოლუციამდელ აჭარასა და სვანეთში, ამჟამად იშვიათად გვხვდება.

ჩოღანო — იხ. ჯოღანი.

### ც

ცაგვარელა — უცნობია.

ცერცო — იხ. კამა.

ცერცვი — Бобы конские. *Vicia faba*.

ერთწლიანი პარკოსანი კულტურული მცენარეა, რომელსაც აჭარაში ძველთაგანვე ხმარობდნენ თიაქარზე და გასობულ სათესლე ჯირკვალზე შემოსადებად, აგრეთვე ქაჩალას სამკურნალოდ.

ცვარი საკმეველი — საკმეველის (იხ.) ნაღვენთი.

ციება — ზოგიერთი დაავადებისათვის დამახასიათებელი ნიშანი; შემცივნება — შეერყოლება. ხელნაწერებში მოიხსენიება ცბროს (მალარიის) სინონიმად.

ციცქმურა — უცნობია.

ცოცხის წუხიშელი — ცოცხანა (?), მოცვის ხე, ცოცხის სორგო (?) ცოცხი. წითელწვერა. *Kochia stolonifera*. იხ. იხ. *Kochia prostrata* L. Schrad.

ცხელება — ზოგიერთი დაავადებისათვის დამახასიათებელი ნიშანი. სიცხის მომატება, ხელნაწერებში ხშირად მალარიის სინონიმადაც მოიხსენიება (ციებ-ცხელება).

ცხენის ნეხვი — იხმარებოდა კრილობიდან სისხლის დენის შესაჩერებლად (ა. იაშვ.) ფემბასეულ ხელნაწერშიც იგივე მიზნით არის რეკომენდებული (ძმართან შერეული).

ცხრაფხა — იხ. კიბორჩხალი.

### ძ

ძაღლის ყურძენა — იხ. ძაღლყურძენა.

ძაღლყურძენა — ძაღლის ყურძენი, ძაღლისუნწი (მოხევე). *Паслен дикий. Solanum nigrum* L.

ეს ბალახი იზრდება მინდვრებში, ტყეებში, ჯებზე, ღობის ძირებში. დაბლობიდან შუა სარტყლამდე, შხამიანია. აჭარაში გამოყენებულია ქალური დაავადების, ცხელების, მოწამვლის, ქუთუთოების და კბილების დაავადების დროს.

ძახველი — ჭახველა (აჭარ. ლეჩხ. მესხ.) *Калина. Viburnum opulus L.*

იზრდება თითქმის ყველა ზონაში 2100 მ. სიმაღლეზე, უფრო ნესტიან ადგილებში. ნაყოფის წვენს ასმევენ ხველების, ასთმის, ისტერიის, ჰიპერტონიის დროს, გახანგრძლივებული თვიურის სამკურნალოდ, კუჭის დაავადების დროს სხვა წამლებთან ერთად.

ძველი ბადაგი — იხ. ბადაგი.

ძიმწარე — იხ. ძირმწარა.

ძირმწარა—წამალდიდი (აჭარ.), ჩალბანდი (იმერ.). *Кирказон грузинский. Aristolochia iberica.*

იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლის ტენიან ბუჩქნარებსა და ტყეებში. ხალხურ მედიცინაში იყენებენ სიფილისის დროს. ფესურისა და ფოთლისაგან მიღებულ გამონახარშს. გამონაწვლილსა და ნაყენს — ხველების და კრილობების დროს, ოფლის და შარდის დამდენად. აჭარაში ფესვებს ხმარობენ თიაქარის, ძვლების ტკივილის და ქაჩალის სამკურნალოდ.

ძირტკბილა—*Лакрица, солодка. plicyrrhiza glaba L.*

ტათლიბი, სატკბურა (ქიზ.), მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე, იზრდება მდინარის პირებთან, ველებზე, ნათესების ახლოს. ძველთაგანვე გამოიყენებოდა მუცლის ტკივილისა და ხველების დროს. იმერეთში მრავალძარღვასთან ერთად მომზადებული წამლით მკურნალობენ ბრონქიალურ ასთმას და ჰიპერტონიას. აჭარაში ეს მცენარე იხმარება გულის ტკივილის, ხველებისა და ცხელების დროს.

ძირშავა — შავი ძირი. *Скорцонер испанский, черный корень. ScorZonera hispanica L.*

ფემბასეულ ხელნაწერში იხმარება ცხელების დროს.

ძირწითელი — ძირწითელა, ავაჯუა (მესხ. ჯავახ.), *Красный корень, румянка. Echium tubrum L.*



ჩვენი ვარაუდი არდაკავსა და ავაჯუს იკვირებს  
სებ, რაც ეყრდნობა ა. იაშვილის ცნობას, სწორედ  
იყოს (იხ. „მცირე კარაბადინი“). სხვა კარაბადინებში  
თელა არ გვხვდება. ფემბასეულ ხელნაწერში  
ცხელების დროს.

ძმარი — დამკვებელი ღვინო, იხმარება საკმლის შესან-  
ვებლად. ხალხური მედიცინა ძმარს ძალზე ფართოდ იყენებს  
წამლების მოსამზადებლად, გასანელებლად და დასალევად.

## წ

წაქი — შედედებული რძის ან მანვნის ნაწერი, შრატი.  
აჭარაში ხმარობდნენ სამკურნალო მცენარეების (პიტნა, ცუ-  
რეცო) მოსახარშად.

წებოწყალი — სამკურნალო საშუალებების მოზღვეით  
მიღებული ფაფისებური მასა.

წითელი ასკილი — იხ. ასკილი.

წითელი ზნის ბალახები — იხ. ძირმწარა, ყანის ია, საყ-  
მაწვილო ბალახები. ძირითადად წითელას საწინააღმდეგო სა-  
შუალებები.

წითელი კინწარა — იხ. ფუნთუშა.

წითელი კუნელი — ბაბუასაგძალა (იმერ.). ძალკუნელა  
(კახ. ფშ.), ღირტყემალა (ლეჩხ.), ყრუა (აჭარ.), კირთა ქუნცი  
(მეგრ.). *Бояришник красноплодный. Crataegus Kyrlosila*  
*Eng.*

გავრცელებულია მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეებ-  
ში. გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში. ხალხი ხმარობს  
პირღებინების საწინააღმდეგოდ, შარდის დასადენ და საგულე  
საშუალებად. რაჭაში წითელი კუნელის ნახარშს აძლევენ  
წყლის მაგივრად წნევიან ავადმყოფებს. აჭარაში მას ხმარო-  
ბენ სქესობრივი უნარის გასაძლიერებლად. სხვა კარაბადინე-  
ბში არ გვხვდება.

წითელი ღორი — იხ. ღორი.

წითელი მიწა — სომხეთში არსებული მიწა, რომელიც  
შედის მალამოებისა და პლასტიკების შემადგენლობაში. ხმა-  
რობდნენ ათაშანგის დროს პირში გამოსჯლებად (ა. იაშვი.).

ფემბასეულ ხელნაწერში წითელი მიწა გამოყენებულია ქარბოს, სისხლიანი ხველის და ლებინების, ქაჩალის და დამწვრობის სამკურნალოდ.

წითელი სანდალი — იხ. სანდალი.

წითელი ფუფალი — იხ. ფუფალი.

წიწაკა — პილპილა (აქარ.), პილპილი. Перец стручковый. *Capsicum annuum* L.

ბოსტნეული კულტურული მცენარე. მთელ საქართველოში ფართოდ იყენებენ კულინარიაში. აქარაში წიწაკას სხვა მცენარეებთან ერთად ხმარობენ ბუასილის სამკურნალოდ.

### 3

ჭაკუნტელი — არჯაკელი. Чина розовая. *Lathirus ros-cus* Stev.

ამ სახელით ცნობილია შაქრის ჭარხალი, მაგრამ ხელნაწერში იგულისხმება არა ჭარხალი, არამედ სხვა მცენარე — ჭაკუნტელი (იგივე არჯაკელი). ეს რომ ასეა იმიტაც მტკიცდება, რომ იმავე გვერდზე ნახმარია სიტყვა „ჭარხლის ფურცელი“, ჭაკუნტელი ამ ხელნაწერში ბოლოკთან ერთად ნახმარია რომელიღაც გინეკოლოგიური დაავადების დროს (ტექსტში არ იკითხება).

ჭარხალი — ჭარხალ (სვან.), ჭარხალი (ინგ.). Свекла. *Betavulgaris* L.

კულტურული მცენარეა. მის ფურცელს აქარაში იყენებენ შარდის შეკაეების დროს. ხალხური მედიცინა ჭარხალს ძველთაგანვე ხმარობს ღვიძლის დაავადების, შეკრულობის და თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს.

ჭაჭა ბალახი — ტექსტში ჩვენ ასე ამოვიკითხეთ, მაგრამ მცენარის აგებულება და თვისებები უცნობია. შესაძლოა იყოს კოჭუა ბალახი (დ. ჩუბ.). ან ჭარის ბალახი (ჭილი, ჭილოფი იხ.); ჭაჭა დასავლეთ საქართველოში თირკმელს ჰქვია, ამიტომ შესაძლოა თირკმლის ბალახიც იგულისხმებოდეს (თირკმლის ჩაის მსგავსად).

ჭვალი — ტკივილი.

**ჭიაფერა** — ჭისფერი, ჭყურტა (აჭარ.), ფერა-ფერა (გუბიერ.). Лаконос. *Phytolacca americana* L.

მრავალწლიანი მცენარე. იზრდება დასავლ. საქართველოში, ქართლსა და კახეთში, ზღვის დონიდან 600 მ. სიმაღლეზე. ფოთლებს ხმარობენ მალარიის, ათაშანგის, სურაფანდის, ფადარათის, რევმატიზმის დროს. აჭარაში ხმარობენ სველკების, თვალის ლიბრის, საწერელის დროს და ახალშობილის შესახვევად.

**ჭილოფა** (აჭარ.). Ситник. *Iuncus*.

მრავალწლიანი მცენარე, იზრდება ტენიან ადგილებში. აჭარაში მცენარის ღეროებიდან გამოიღებენ გულგულს, დაპრესავენ და ადებენ ხორცმეტზე. იყენებენ აგრეთვე ხშირი და უნებლიე შარდვის დროს.

**ჭისნაერი** — იხ. ჭიაფერა.

**ჭისფერი** — იხ. ჭიაფერა.

**ჭორფლი** — „წერილად შავი აჩნდეს“ (საბა). მოყავისფრო გამონაყარი კანზე, ძირითადად სახეზე.

**ჭყურტი** — „სენი, რომელიც მრავალ წყალს აქმევს და უფრო განახმობს“ (დ. ჩუბ.). შაქრიანი დიაბეტი.

## ბ

**ხანჭკოლა** — ლობინარი. Лупин. *Lupinus*. პარკოსანი კულტურული მცენარე. აჭარაში იხმარებოდა სათესლე ჭირკვლის გასივების დროს შემოსადებად.

**ხარის კოჭი** — აქ ხარის ჩლიქიდან აღებული ძვალი უნდა იგულისხმებოდეს. სხვათა შორის ხარის კოჭი და ხარის ჩლიქა მცენარეებსაც ჰქვია. Копытень грузинский. *Asarum ibericum* Stev.

**ხარის რქა** — იხმარებოდა მიქსტურის სახით წითელ ქარის დროს (ა. იაშვი.). ფემბასეულ ბელნაწერში გამოყენებულია ხარის რქის ბეჭედი, როგორც თილისმა, თვალის ლიბრის დროს.

**ხარისძირა** — Морозник. *Heleborus caucasicus* (abchasicus).

მრავალწლიანი მცენარეა, იზრდება ჩრდილ ადგილებში

დაბოლოებიან შუა არტელამდე. მცენარის ძირს აჭარაში ხმარობდნენ ზუასილის კვანძზე დასადებად. მის ნახარში აბანა-ეგბდნენ ავადმყოფ ბავშვებსა და ქარებით დაავადებულებს.

**ხაშხაში** - ყაყაჩორა (საბა). *Мак спотворный. Papaver somniferum.*

ყაყაჩოს ძველთაგანვე იყენებდნენ მუცლის ტკივილ-ღროს და კირვეული ბავშვების დასაძინებლად. აჭარაში აღე-ვინებდნენ წამოდულებულ ხაშხაშს ავხნიან ავადმყოფებს, რომელთაც აწუხებდათ შეკრულობა.

**ხაჩვი-ხვარბვი** (მეგრ.) *Лук репчатый. Allium sepa L.*

გავრცელებული ბოსტნეული მცენარე. გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ. აჭარაში მას ხმარობდნენ ხელის საწინააღმდეგოდ და ძაღლის ნაკბენის ღროს.

**ხვარასანი** — იხ. ხოროსანი.

**ხიაშამბარი** — გრძელი და წვრილი კიტრი. კასიას ერთ-ერთი სახე. *Кассия остролистная. Cassia fistula.* (იხ. სინამაქი). იხმარებოდა ჭულაბის (სიროფის) მოსამზადებლად.

**ხორბალი** — *Ршеница. Trilicum.*

ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ ხორბლის ყველა სახეობას. სვანეთში სტომატიტებს მკურნალობდნენ დამწვარი ხორბლის მარცვლით. ქართლში შეკრულობის დროს ცხოველს აძლევენ ხორბლის ალაოს.

**ხოროსანი** — ხვარასანი (დასავლეთ საქართ.). *Полин цитварная. Artemisia cina Berg.*

აჭარაში ხმარობდნენ ჭიების გამოსადევენად.

**ხოშორი** — „წვრილსა და სხვილის საშუალო“ (საბა). ფემბასეულ ტექსტში მსხვილი ჭიებით ინვაზია უნდა იგულისხმებოდეს.

**ხუნაგი** — ყელჭირვება, მახრჩობელა, დიფტერია, სასის გასივება (საბა).

**ხუხური** — იხ. იელის ხუხური (კუკური).

ჭ

**ჩადვარი** — გულფილტვა (კახ.). გულფილტვის ბალახი, კაციხელა (მთ.), ცხრაითთა, ხუთითთა (რაჭ.), *Ятришник. Orchys flavescens.*

გავრცელებულია მთელ საქართველოში, იზრდება ტყეებ-

სა და მდელოებზე. ხალხურ მედიცინაში იყენებენ სიმსივნეებისა და კრილოზების დროს, აგრეთვე გველის, ცოფიანი ცხოველის ნაკბენის დროს, სქესობრივი აქტივობის გასაძლიერებლად. ლეჩხუმში უშვილობის წინააღმდეგაც სმარობენ. აჭარაში ჯადვარი ფართოდ იხმარება ხველის, ქარებისა და საყმაწვილოს დროს.

**ჯადრები** — ჯადვარი (?) იხ.

**ჯამფა** — ჯამთასი, მცირე ჯამი მეტალისა (ი. ჩუბ.).

**ჯანგარი** — 1. სპილენძის ქანგი, ქანგარი. სმარობენ საღებავად და წამლად თვალის სორცმეტების, კრილოზების და წყლულების დროს. *Cuprum aceticum cristalisatum*.

2. ქვაბზე გარედან მოკიდებული ქვარტლი (ალ. ღლ.).

**ჯაოზი** — ჯავზი. — *Мускатник. Myristica moschata*.

ტროპიკულ აზიაში გავრცელებული ნიგვზის საბე (კვიპაროსის კაკალი). ჩვენში არ იზრდება. წარსულში შემოქონდათ თურქეთიდან და ძალზე ფართოდ გამოიყენებოდა მოსაზღვრე ქართულ პროვინციებში. ჯაოზი იხმარებოდა სისუსტის, სისხლნაკლებობის, მალარიის, რევმატიზმის, შარდის შეკავების, ყურის ტკივილის, გულის წუხილის დროს.

**ჯაშკუტა** — იხ. ლველკეცი.

**ჯახველა** — ძახველი.

**ჯდომი** — მჯდომი. შინაგანი ღიღი მუწუჯი (ს ბ ა) *Внутренняя опухоль*. (ა. იაშვ.). ავთვისებიანი სიმსივნე.

**ჯინჯარი** — ჭინჯარი. *Крапива Urtica urens L.*

მთელ მსოფლიოში გავრცელებული მცენარეა. სამკურნალოდ იყენებენ უძველესი დროიდან (კოლხები, ბერძნები). საქართველოში სხვადასხვანაირი გამოყენება აქვს (ფილტვებიდან, საშვილოსნოდან სისხლდენის დროს). აჭარაში ჭინჯარს ხმარობენ თავის ტკივილის, გულის უკმარისობის, თირკმლის კენჭების, ქალის სასქესო ორგანოების დაავადების, ტაბასტის (იხ.). ცხვირიდან სისხლის დენის, დამწვრობის და მკვლად-

შობადობის დროს.

ჯიჯლაყა — ჯიჯლაყა, ჭიჭლაყა (აჭარ.). Щирница, ама-  
рант, бархатник. *Amaranthus*.

საკმაოდ გავრცელებული მცენარის რამდენიმე სახე: ჩვე-  
ულებრივი, წითელი, ბალის ჯიჯლაყა. აჭარაში მცენარე გამო-  
იყენება ბუაილის დროს როგორც დიეტური საშუალება. სხვა  
სამკურნალო ცნობარებსა და კარაბადინებში არ გვხვდება.

ჯოლანი — უნდა იყოს დავით ბაგრატიონის ლექსიკონში  
შეტანილი ჩოლანი, მთის ჭარხალი. ან საბას და ა. მაყაშვილის  
ჩოლანო (ხურხუმო, ხვრიმა) Солерос. *Salicornia euro-  
paea* L.

აქლემის ჩაი, მტირალა ბალახი — Полушечная трава.  
„გაიზრდების ევროპის ნოტიოსა და ჩრდილიანსა ადგილსა  
ხედა. ძალი აქუს მცირედ შემკვრელი“ (დ. ბაგრ.) ფემბასეუ-  
ლი ტექსტის მიხედვით, მას ნაყავდნენ, ზეთში ხსნიდნენ და  
ანჯიტიებდნენ ღამის (ქათმის) სიბრძავის დროს. სხვა სამკურ-  
ნალო წიგნებში არ შეგვხვებდრია..

ჯულაბა — სასაქმებელი სიროფი, თაფლის სიროფი, ვა-  
რდის წყალი, ცუდი გემოს ღვინო (იმერ). მცენარესაც ჭქვია.  
Молочай лекарственный (шиповидный). *Euforbia lathy-  
ris* L. ფემბასეულ ტექსტში სიროფი იგულისხმება.

## ლექსიკონისათვის

წინამდებარე წიგნზე თანდართული ლექსიკონი — ცნობა-  
რი წარმოდგენს ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსი-  
კონის ნაწილს, რომელშიც წარმოდგენილია ჩვენს მიერ მო-  
პოვებული ხელნაწერის ლექსიკა. მისი აღქმის გასაადვილე-  
ბლად იქვე მიწერილია საქართველოს სხვა კუთხეებში ხმარე-  
ბული სინონიმები.

ხელნაწერის დაზიანების, ან თავიდანვე ტექსტის ორიგინალში დაშვებული შეცდომების გამო, ზოგი სიტყვა დამსხანჯებულია. მიუხედავად ამისა ჩვენ ისინი ლექსიკონ-ცნობარსა და საძიებელში უცვლელად შევიტანეთ, რათა გაადვილდეს მათი მოძებნა. იქვე მივუწერეთ დღეისათვის ხმარებული ტერმინი და სინონიმი.

ლექსიკონ-ცნობარში შეტანილია მხოლოდ ხელნაწერთა ტექსტებში ხმარებული სიტყვები. მათგან ბის დროს გამოყენებული ლიტერატურ ციტატების ხსენიებული ტერმინები ტექნიკური მიზეზების გამო ლექსიკონ-ცნობარში არ შეგვიტანია. საქართველოს შემთხვევაში კერძო ხველმა მითითებულ ლიტერატურაზე თანდართული ლექსიკონი უნდა გამოიყენოს.

კარაბაღინში დასახელებულ ეთნობოტანიკურ და სხვა ტერმინთა დიდი ნაწილი დღესაც იხმარება, ნაწილი კი მივიწყებულია. შესაძლოა ისინი მხოლოდ ამ ხელნაწერში იყოს გაბნეული. ჩვენ შევეცადეთ ეს სიტყვები იმდაგვარად აგვეხსნა, რომ მკითხველისათვის გასაგები იყოს ამჟამად ხმარებული, აგრეთვე მივიწყებული და არქაული სიტყვების იდენტურობა.

ვფიქრობთ ლექსიკონი-ცნობარი მკითხველს დაეხმარება არამარტო ჩვენს მიერ განხილულ ხელნაწერში მოხმობილი სიტყვების, არამედ, ნაწილობრივ სხვა ქართულ კარაბაღინებში გამოყენებული ზოგიერთი უცხოური სიტყვის შესახებ. ეს სიტყვები კი არცთუ ისე ცოტაა.

ლექსიკონ-ცნობარის შედგენისას ვიყენებდით ხალხურ მკურნალთა და ხანდაზმულთა გამოთქმებსა და განმარტებებს, მათ ვუდარებდით ცოცხალ მეტყველებაში ხმარებულ სიტყვებს. გარდა ამისა ფართოდ ვისარგებლეთ ლექსიკონებითა და სპეციალური ლიტერატურით, რომელთა სიას წიგნს ვურთავთ.

# ღანართი

## ს ი ა

შემგასეულ ხელნაწერში შეტანილი სამკურნალო მცენარეებისა, რომლებიც არ არის მე-11-მე-16 საუკუნეების ქართულ კლასიკურ სამკურნალო წიგნებში

ხელნაწერი სახელწოდება და დასაკრები ტრანსკრიფცია	რუსული და ლათინური სახელწოდებები	
1	2	3
ბრეანატი	Конопляник критский Datisca cannabina	
2 არყა	Груздь Lactarius piperatus L.	
3 ბაბუასაგძალა	Боярышник красноплодный Crataegus kyrtostila Fing.	
4 ბზე	Солома измельченная	

ხელნაწერში აღმოჩნდა 27 სამკურნალო მცენარე, რომლებიც არ შეგვხვედრია ქართულ კლასიკურ სამკურნალო წიგნებში. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ სიის სათაური ვრცელდება მხოლოდ კლასიკურ სამედიცინო ლიტერატურაზე და იგი არ გამორიცხავს სიაში შეტანილი სამკურნალო მცენარეების არსებობას სხვა სამედიცინო ხელნაწერებში. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ზოგი მცენარე კლასიკურ ძეგლებში შეტანილი იყოს სხვა სახელით. რაც დროთა მსვლელობაში მივიწყებული იქნა და ჩვენთვის ამჟამად უცნობია, ანდა ამ მცენარეებს ხალხი იყენებს მე-16 საუკუნის შემდეგ.



1	2	3
5	დათვის ენა	Рябина греческая Sorbus graeca
6	ეკალა	Сассапариль павой Smilax excella L.
7	ვარდკანაფი*	Лосконник, седаш. Eupatorium cannabinum L.
8	ვირბილობიო	Фасоль многоцветковая Phaseolus multiflorus
9	თეთრი ძირი	Колдуница Circaea luteliana L.
10	კრავის კუდა	Тысячелестник, порезник Achillea millefolium L.
11	ლურჯი ეკალი	Синеголовник Erindium coerileum M. B.
12	მსკუპრა	Подсолнух Helianthus annuus L.
13	ნინოფლის ყვავილი	Водяная лилия Nymphaea alba L.
14	ოშიშა	Будра Glechoma hederacea
15	ურნალი	Бородач Andropogon ischium L.
16	უტუს უნა	Глухая крапива Lamium album
17	ფოლიო	Вдовушки Scabiosa succica phatensis M.
18	ქათამნაცარა	Мать Chenopodium album
19	შავი ძირი	Скорцонер испанский Scorconera hispanica L.

\* როგორც რუსული და ლათინური სახეობები  
კანაფი და თავჭეხენა სინონიმებია (ე.პ.პ.).

1	2	3
20 ჩაწყობილა	Петров крест Lathraea scua maria	
21 ჩოლანი	Солерос Salicornia europa ea L.	
22. ცოცხის წუხიბელი(?)	Кочиа стелющаяся Kochia prostrata L.	
23 ძირწითელა	Красный корень Echium rubrum L.	
24 ჯაშკუტა	Обвойник Periploca grassa L.	
25 ჯიჯლაყა	Щурница Amarantus	

ამჟამინდელი ბალის ზოგადიერტი მცენარე\*

№№ ქართული სახელი (სინონიმი)		ჩუხსული სახელი (სინონიმი)	ლათინური სახელი (სინონიმი)
1	2	3	4
1	ალისარჩული**	Сафлор (крокос)	Carthamus tinctorius L
2	ანაგვირილა	Ромашка	Chamaemella
3	ასფოდელი (ასფოდოლა)	Асфоделина	Asphodeline

\* სია ამოკრებილია რ. დ. კუტუბის („საქართველოს მედიცინა“ № 3-5 1951), ზ. შენგელის (სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში, თბ., 1983) და მ. შენგელის (უძველესი ცილიტარების მკურნალობა, თბ., 1978) ნაშრომებიდან.

\*\* აქ და ქვემოთ აღნიშნულია მცენარეები, რომლებიც შეტანილია ღებავების კარბადინში.

1	2	3	4
4	ბალბა*** (მოლოქა)	Мальва (просвирник)	Malva
5	ბეგქონდარა	Тимьян (чабрец)	Thymus sp. div.
6	გვიმრა (ჩადღუნა)	Папоротник	Dryopteris filix mas.
7	გონგოლა (კოკხა)	Гулявник	Sysimbrium
8	გენერას თმა (კლდის ქოჩორა)	Венерин волос	Adiantum capillus-vene- ris L.
9	გერბენა (კოკხანა)	Вербена	Verbena
10	ზაფრანა*** (კროკო)	Шафран	Crocus sativus L.
11	თაეშაიკელა (შაი- ბალახა**(*)) (ისხანი)	Душица (душиянка)	Origanum vul- gare L.
12	ივლი	Одурь кавказская	Azalea pontica
13	ილი** (პილი, კაკულა)	Кардамон	Elettaria car- damonum m- et w.
14	იორდასალა- მი**(*))	Псон (пшон)	Paeonia
15	ინფურა	Яснец	Dictamus cau- casicus F.
16	კამა	Укроп (анит, копер)	Anethum gra- veolens L.

\*\*\* აქ და ქვემოთ აღნიშნულია მცენარეები, რომლებიც შეტანილია აგარელის კარაბადინში.

\*\*(\*) აქ და ქვემოთ აღნიშნულია მცენარეები, რომლებიც შეტანილია ფეშბასეულ ხელნაწერში. და აგარელის კარაბადინში.

1	2	3	4
17	ვატაბალახა	Валериана (мяун)	Valeriana officinalis L.
18	ლავენდი	Лаванда	Lavandula
19	მანდრაგორი (ონანა)	Мандрагора (адамов корень)	Mandragora officinalis M.
20	ნარდი	Нард (валериана ინდის- ская)	Nardostachis jatamansi D. C
21	პაპირი (პაპირუხსი)	Папирус (египетская трава)	Cyperus alternifolius L.
22	პიტნა**(*)	Мята	Mentha
23	სალბი	Шалфей	Salvia
24	ტილჭირი (აკონიტუმი)	Аконит (борец)	Aconitum
25	ჟრიში	Пайза (просо китайское)	Echinochloa frumentacea L.
26	უცუხა	Безвременник великолепный	Colchicum speciosum stev.
27	ფრინტა	Ветреница пучковатая	Anemone fasciculata L.
28	ქალაღლის არა- ლია	Араллия бумажная	Aralia papi- rifera Hook.
29	ღვია (ოდაღვი)	Можжевельник (арча)	Juniperus
30	ყაყაჩო**	Мак	Papaver
31	ყოჩივარდა	Дряква (альпийская фиал- ка)	Cyclamen
32	შმაგა ლი	Белладона кавказская	Atropa cauca- sica kreyer
33	ივრცველა	Вика (горошек)	Vicia

1	2	3	4
34	ძაღლყურძენი**	Паслен дикий	Solanum nig- rum
35	ხანჭკოლა**(*)	Лупин	Lupinus
36	ხარისძირა	Зимовник (безвременник)	Helleborus

**ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის“  
ლექსიკონში შეტანილი უცნობი და  
შეცდომით განმარტებული  
ტერმინების ახსნის ცდა**

ქართველი (და არა მარტო ქართველი) მკვლევარებისათვის კარგად არის ცნობილი სახელოვანი მეცნიერების ლაღო კოტეტიშვილის, მიხეილ სააკაშვილის, მიხეილ შენგელიას და სხვათა მამულიშვილური ღვაწლი მე-11-16 საუკუნეების ქართული კლასიკური სამკურნალო ხელნაწერების გამოვლინების, გამოკვლევისა და რთული მეცნიერული აპარატურით გამოქვეყნების საშვილიშვილო საქმეში.

ამ უზარმაზარი სამუშაოს ჩატარებისას ზოგან დაშვებულა შეცდომა-უზუსტობანი, რომელთაგან, ალბათ, არ არის დაზღვეული არცერთი მეცნიერული გამოკვლევა. ეს შეიძლება აიხსნას სამი ძირითადი მიზეზით: დროის სიმცირე, ქართული ენათმეცნიერების მაშინდელი დონე 30—50-იანი წლები), როცა ნაკლები იყო სპეციალური ლიტერატურა და შეუძლებელი იყო, როგორც არქაიზმების, ისე კარაბადინებში უხვად გაბნეული უცხო ტერმინების გაშიფვრა და თარგმნა; ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონების სიმცირე. როგორც ცნობილია ეს დარგი მაშინ ის-ის იყო ფეხს იდგამდა, რის გამო მრავალი ქართული ტერმინი გაუშიფრავი დარჩა, ან შეცდომით იქნა გაგებული.

ამ ნაკლის გამოსწორება ახლა ნაწილობრივ შეიძლება,

თანაც ეს მეტად საშური საქმეა, რადგანაც დღეს ხალხური, არატრადიციული მეთოდებით მკურნალობა თანდათანობით თავის ადგილს იკავებს, ხოლო ზემოთდასახელებული მიზეზების გამო მკითხველთა ფართო მასას (ზოგჯერ ექიმ-სპეციალისტებსაც) უძნელდებათ კარაბადინებით სარგებლობა.

ენათმეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ აქარის ჭთიანეთის ისტორიულმა კარჩაკეტილობამ, მოსახლეობის შეუნელებელმა ზრუნვამ ქართული ენის შენარჩუნებისათვის თავისი შედეგი გამოიღო. აქ შემონახულია მრავალი ძირძველი ქართული სიტყვა, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებში თითქმის აღარ გვხვდება. ისინი შეიძლება ნახოთ მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“. ჩვენც ვსარგებლობთ ამ ბედნიერი შემთხვევით და გვსურს მკითხველს შეეთავაზოთ ზოგი სამედიცინო ტერმინის ახლებური განმარტება.

ამჯერად ჩვენ მიზნად დავისახეთ მკითხველს გავაცნოთ ჩვენი მოსაზრებები ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნის“ ლექსიკონში არსებული „თეთრი ლაქების“ შესავსებად; თუმცა ჩვენს მიგნებებსაც არა აქვს სისრულის პრეტენზია, ამიტომ მკითხველის ყველა ობიექტურ შენიშვნას სიამოვნებით გავიზიარებო.

**აზუიზ** — „საბრი და აზუიზ და აყაყია“. კორექტურული შეცდომაა. უნდა იყოს აზუა. ამ მცენარის სინონიმებია საბრი და ალოე. „აყაყია“ ლათინური *acacia*-დან მოდის. „აკაცია შეცდომით „აკაკია“-დ იკითხება, რასაც ჩვენი აზრით მეორე შეცდომა — აკაკია-ს აყაყია-დ გადაკეთება მოჰყვა. ასე გადასხვაფერებული სიტყვები მრავლად გვხვდება ქართულ კარაბადინებში, რის გამო ბევრი მათგანი უცნობია. თუ ჩვენი აზრი სწორია, მაშინ ამ ტერმინების ამოხსნის შესაძლებლობაც გვეძლევა.

**ზირნიხი** — „ზირისკი — ჰქუიან, რირიშკი, კოწახური, აბარბარისი“

ასეთი გემოს ცემა მცდელობა ნიშნის საწმინდე უღირსხანი. აჭარაში მას თავის წაშლას ეძახიან. წყველი, გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება: არგადაჩენა, სკვდილი. მაგ. მომბებზრებელი ცხვირისცემინების, ზველების და სხვათა დროს.

კაპრი — „იგივე კაპარი(?)“ კითხვითი ნიშანი ზედმეტაა, რადგანაც დასაქვებელი არაფერია. კაპრის ფურცელი ნათესაობით ბრუნვაშია — „კაპარის“ მეორე „ა“ შეკვეცილია.

ლობანი — „ნიშასტაგი, გუნდრუკი“. ლობანისა და ნიშასტაგის გუნდრუკთან გაიგივება სწორი არაა, რადგანაც ამივე ლექსიკონში ნიშასტაგი სახამებელია, ღოღო გუნდრუკი თეთრი საკმეველი. ლობანი ნიშასტაგის სინონიმია. ასევეა ზაზას ტექსტშიც: „ლობანი ნიშასტაგისა ჰქუიან“ (გვ. 749).

ლუსმარისა — „უცნობია. იგივე სამკუმისი. სამკუმისი — ლუსმარისას უძახიან“. ჩვენი აზრით აქ უნდა იგულისხმებოდეს მცენარე გლედიჩია, რომელსაც ქართულად ხეეკალას, ხელურსმანას, ლურსმანას ეძახიან. ლურსმარისა ნახმარია ნათესაობით ბრუნვაში. უნდა იყოს ლუსმარა (დ. ბაგრა).

მანჯანისძერი — „უცნობია. იხ. ჰისითი. ჰისითი — მანჯანის ძირია, ბისათიც ეს არის“.

„ძერი“ — კორექტურული შეცდომაა. უნდა იყოს „ძირი“. „მანჯანის“ მაგივრადაც „მარჯანი“ იგულისხმება. საბოლოოდ მივიღეთ „მარჯანის ძირი“. 741 გვერდზე იგი ასეა განმარტებული: „ბოსანი, რომელ არს მარჯანისა ძირი“.

მარ ვალი — „*Lactuca sativa*“. რატომღაც არ არის ქართული თარგმანი — სალათა, ყრდელი (საბა). არაბულად მარვი სურნელოვან ბალახეულობას ნიშნავს.

მეში — „იგივე ნამში. უცნობია. ნამში — მეშია. უცნობია“. მეში — ცუდი სამოგვე, მოგვი — ჩექმა. (საბა). ამგვარად მეში ცუდი საჩექმე ტყავია. აჭარაში ეს დიალექტო ზუსტად ასეთივე მნიშვნელობით იხმარება.

მეჭლები — „ქარქუეტას ძირი“. ეს განმარტება ეკუთვნის მომდევნო სტრიქონს: „აკარკარლა — ქარქუეტას ძირი“. მეჭლები უნდა იყოს იგივე მაჭლამი (მაღამო). წითელი მაჭლამი ნახსენებია ზოჯა ყოფილის „წიგნი სააქიმოში“.

მორბედი — „მორბენალი“. მთლიანად არ გამოხატავს

შინაარსს. აჭარაში ამ სიტყვის ქვეშ იგულისხმება საოჯახო საქმეების შემსრულებელი, ხელზე მოსამსახურე, შინამოსამსახურე (შ. ნიკ.)

მურდა, მურდა საფარიმი — „*Ruscus aculeatus*“. ლათინური თარგმანი არასწორია. უნდა იყოს *Murtus pilenta* L. *Ruscus aculatus* გავრცელებული მცენარე თავისი არაა.

ნახსმანი — „სახსარი (?)“ ვარაუდი მცდარია. აჭარაში ფართოდაა გავრცელებული დიალექტი ნამსხმანი, რაც სხეულის, ორგანიზმის სინონიმი.

ნეძბის თესლი — „შედის ერთერთი „მარცულის“ შემადგენლობაში. „ნუში მწარე გაჭურცნული და ნეძბისა თესლი. ნეძბი — აილოს ნეძბი და შაშპრაში და ველური მოლოქი“. ამ სიტყვას ქართული ლექსიკონი არ იცნობს. ერთად-ერთი მსგავსი სიტყვა არის მეგრული ნეძი — ჩვეულებრივი კაკლის ხე. ამის კატეგორიული მტკიცება არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ზაზა ლაპარაკობს ნეძბის თესლზე და არა ნაყოფზე.

სირი — „უცნობია“. სირი ჩიტია.

სუელი — „დო (?)“.

არ არის სწორი. ამ სახელით აჭარაში ცნობილია არა დო, არამედ დოს ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე, შრატი. „საჭოს რომ შრატი დარჩება“ (ქანანელი).

უკუდავა — „უკუდავისა თესლი, რომელსა ჰქუიან ბაკლა-თალამკა; იხ. შაკლათალამკა, ბაკლათალამკა — უკვდავბე, ანუ კაისმისა წყალი. იხ. კაისმის წყალი, კაისმის წყალი — კასუმი, კასუმა, კაისომი, ყაისუმი — მცენარე *Achillea santolina* L“. როგორც ვხედავთ ამ განმარტებაში არ არის მცენარის თანამედროვე სახელი — ნეგო, цмин, бессмертник, *Helichrisum*, რომელსაც მესხურად ლაწუნაც ჰქვია. ლექსიკონში შეცდომითაა დასახელებული უკვდავას, ნეგოს ლათინური სახელი. ამდენად მისი გაიგივებაც კაისმის წყალთან მცდარია.

უხდური — „საურწყო (საბა), წვენი, გამონაწური (უ. კ.)“ აქ არასწორადაა დამოწმებული „უსწორო კარაბადინი“ (უ. კ) უნდა იყოს წ. ს. („წიგნი სააქიმოი“). ამ უკანასკნელის ტექსტში უხდური ორჯერაა ნახსენები: „და თუ ზამთარი დაემართოს მგზავრობაი ეგრე ხამს, რომელ მხურვალსა და ლბილსა



საჭამადსა იფარებდეს, უხდურსა შიჯან ნიორი ასთა, საბუქსა და მხურვალთა საწვლუბელთა ჩაურთვიდესა...“ (გვ. 35).

„კურნებაი სევდისაი მორევისა და შეშლისაი... და აბანოს მიიყვანდნენ, და სარქოსა შორბასა ბატენისა სორციითა შექნილსა, და კარგი ნატიფი სანელელებელი გაურთონ მისსა უხდურსა და ვაშლი ტკბილი და ბროწეული ტკბილი და აფთიმონისა ფუხთაი აჭამონ...“ (გვ. 52).

როგორც ვხედავთ, არცერთ ციტატაში უხდური არ ნიშნავს „წვენს, გამონაწურს“, „საურწყო“ საბასავე განმარტებით არის „სძე, ერბო, ყველი და მისთანა“. ზუსტად ამ მნიშვნელობით იხმარება აჭარაში. უხდური, ა. ახვლედიანის დაკვირვებით ეს ტერმინი ნიშნავს უხვედრს, მიუღებელს, აკრძალულს და წარმართობის დროიდან მოდის.

**ფერცხალი** — „გვერდის წიბო“ (საბა).

აჭარაში ფერცხალი ნეკნის მნიშვნელობით იხმარება.

**ფოა-ფოი** — „ბაბუასაგძალა, ბაბუაწვერა“. ამ მცენარეების ფოასთან გაიგივება შეცდომაა. საგნობრივ საძიებელში „ფოა, ფოი, ფოვა — ქარქუეტის ყვავილია“. ქარქუეტი — ხმელი კაჭკაჭი (საბა). მესხურად ჯახი ჰქვია. ამგვარად ფოა ქარქუეტას სინონიმია.

